ნოდარ ჯალაღონია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბინოჯოშვილის ფილოსოფიაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ჯალაღონია

ბინაკოვის პოლიციელები

წერილები, ინტერვიუები

თბილისი, 2005
გამომცემლობა „ზანი“

ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ნოდარ ჯალაღონიას შემოქმედებას კარგად იცნობს ქართველი მკითხველი. მაღალ მხატვრულობასთან ერთად მისი ლექსების განუყრელ თვისებად იქცა ღრმა პატრიოტიზმი და სიმართლისადმი ერთგულება. ამ ბოლო 15 წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში დატრიალებულმა მოვლენებმა ეს თვისებები განსაკუთრებული აქტუალობით წარმოაჩინა, როდესაც ბატონმა ნოდარმაც და მისმა შემოქმედებამაც თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის ბრძოლის წინა ხაზზე დაიმკვიდრეს ღირსეული ადგილი.

ამ წიგნში გთავაზობთ პოეტის პუბლიცისტურ წერილებს, რომელიც თავისი პათოსით ნოდარ ჯალაღონიას გასულ წელს გამოცემული ლექსების ერთტომეულის გაგრძელებას წარმოადგენს.

ლექსებითაც და პუბლიცისტური შემოქმედებითაც ნოდარ ჯალაღონია მუდამ მშობლიური ხალხისა და მამულის გვერდით დგას. ბატონი ნოდარი თვითონაც იქ არის, სადაც იბრძვის მისი მხატვრული სიტყვა – წინ ეღობება 9 აპრილს შემოსეულ ტანკებს, მკერდს უშვერს მანქურთთა მიერ მშვიდობიანი მიტინგებისათვის დაშენილ ტყვიებს, აპატიმრებენ სამშობლოს სიყვარულისთვის... ივი არ ყოფილა მხოლოდ ერთგან – ხელისუფლების ნავში! ამდენად, მის შემოქმედებასთან ერთად სამაგალითოა ნოდარ ჯალაღონიას პიროვნული ღირსებები – ზნეობრივი სიმაღლე, სულიერი სისპეტაკე და მოქალაქეობრივი გამბედაობა.

ამ წიგნის მთავარი ღირსება ის არის, რომ ივი საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე მძიმე და მტანჯველი პერიოდის ობიექტური, მიუკერძოებელი ასახვაა, სიმართლის გულმართალი ღაღადია; ამდენად, რაც დრო გავა, პოეტის მახვილი პუბლიცისტური კალმით ნააზრევიც სულ უფრო საგულისხმო და საჭირო იქნება ქართველი მკითხველისათვის.

რედაქტორ-გამომცემელი **მურმან ზაქარაია**

რედაქტორი **ჯემალ შონია**

ISBN 99928-57-83-8

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა მქუხარე, ხანგრძლივი ტაშისათვის

„ჩემი წერილი ერთი მოგონებით მინდა დავიწყო. ოცდახუთი წლის წინათ მოსკოვში სწავლისმაგვარ საქმიანობას ვეწეოდი – ვიყავი მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებული მწერალთა უმაღლესი ორწლიანი კურსების მსმენელი. მახსოვს, ერთ დღეს მთელი კურსი კრემლის დასათვალიერებლად წაგვიყვანეს. ვ. ი. ლენინის კაბინეტში სხვა ექსპონატებთან ერთად გამოფენილი იყო ლენინის სამუშაო რუკა. რუკაზე, იქ, სადაც ეწერა „გრუზია“, რაღაც-რაღაცები შემოხაზული მეჩვენა. უფრო ახლოდან დავაკვირდი. „გრუზია“ დანაწევრებული და შემოხაზული იყო „აფხაზეთად“, „კახეთად“, „სამეგრელოდ“, „აჭარად“, „იმერეთად“. იმპერიული „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკა არც პროლეტარიატის ბელადისათვის იყო უცხო.

რატომ მოვიყვანე ეს მაგალითი? იმიტომ, რომ დღეს ხშირად გაისმის: „კახეთის რეგიონი“, „სამეგრელოს რეგიონი“, „იმერეთის რეგიონი“, „გურიის რეგიონი“ (ინიშნებიან ამ რეგიონების გამგებლებიც)... ამის კვალობაზე შეიქმნა საზოგადოებები: „გურია“, „კახეთი“, „სვანეთი“, „ქართლი“, მესხეთი“, „რაჭა“ და სხვა... ახლა იქმნება საზოგადოება „სამეგრელოც“. გამოდის ამავე კუთხური მიმართულების ჟურნალ-გაზეთებიც. ასე მგონია, ნებსით თუ უნებლიეთ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, პროლეტარიატის ბელადის მითითებებსა და ინსტრუქციებს გულდასმით ვასრულებთ. „სამეგრელოს“ შექმნის ერთ-ერთ ინიციატორს ვკითხე, – რა მიზანს ისახავს საზოგადოება-მეთქი. მიპასუხა: – ხომ ხედავთ, რა დღეშია სამეგრელო, დაცვა და პატრონობა სჭირდებაო.

ვაი ჩვენს დღეს უბედურს!

სამეგრელო – საქართველოს უძველესი და უმშვენიერესი კუთხე რომ უსამართლობისაგან დავიცვათ, ნუთუ ამისათვის სპეციალური საზოგადოების შექმნაა საჭირო? თავის დროზე ამგვარი საზოგადოების არარსებობას ხელი არ შეუშლია ილია ჭავჭავაძის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის, აკაკი წერეთლისთვის, იაკობ გოგებაშვილისთვის, ვაჟა-ფშაველასთვის, გრიგოლ რობაქიძისთვის საჭიროების შემთხვევაში ხმა აღემაღლებინათ და გარეშე თუ შინაური ავისმოსურნეებისაგან დაეცვათ საქართველოს ეს ძირძველი კუთხე ისევე, როგორც გურია, აჭარა და საქართველოს სხვა კუთხეები. ნუთუ საზოგადოება „სამეგრელოს" წევრობაა აუცილებელი, რომ ილაპარაკო იმ უსამართლობაზე, რაც სამეგრელოში ხდება?"

ეს ვრცელი ამონარიდი ჩემი წერილიდანაა, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „იბერია-სპექტრში" 1992 წლის 29 დეკემბერს. ეს ამონაწერი იმიტომ მოვიყვანე, რომ როგორც მაშინ, დღესაც წინააღმდეგი ვარ საქართველოს რეგიონებად და კუთხეებად დაყოფისა.

ამ ათი წლის მანძილზე უკეთესობისაკენ არაფერი შეცვლილა.

მაშინ, ათი წლის წინათ, გონიერებამ გაიმარჯვა და საზოგადოება „სამეგრელო" არ შექმნილა.

ათი წლის შემდეგ ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ იმარჯვა და მისი თაოსნობით საზოგადოება „სამეგრელო" შეიქმნა. მე მიკვირს დღევანდელი „ელიტარული" თუ არაელიტარული ინტელიგენციის გულგრილობა, ასევე სამეგრელოში თუ თბილისში მცხოვრები ამ რეგიონის ინტელიგენციისა თუ მოქალაქეთა დუმილი. ამ გულგრილობამ და დუმილმა შეიძლება მომავალში დიდი პრობლემა წარმოშვას.

ეს თემა არ არის, როგორც დიდი ილია წერდა, კერძოობითი, პიროვნული; ეს საზოგადოებრივი საკითხია. ამიტომ მსურს ვისაუბრო იმაზე, თუ რამდენად სასარგებლო და მისაღებია ბატონი ჭაჭიასა და მისი თანამოსაქმეების ეს „სიმარჯვე" ჩემი კუთხის – სამეგრელოსა და ჩემი ქვეყნის საქართველოსათვის.

თავიდანვე უნდა აღვნიშნო: ბატონი ალექსანდრე ჭაჭია, უდავოდ, ნიჭიერი და განათლებული პიროვნებაა. სადღეისო საკითხებისადმი მიძღვნილი ნიჭიერად და საქმის ცოდნით დაწერილი ბევრი მისი წერილი, ინტერვიუ მომწონებია და მხარდაჭერის სურვილიც გამჩენია, მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ თუ ნიჭიერი და განათლებული ადამიანის ნიჭი და განათლება კეთილ საქმეს არ ემსახურება, გაცილებით მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე უნიჭოსა და გაუნათლებელს. ჩემი აზრით, ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას ზოგიერთი მოსაზრება, რომელიც სამეგრელოს, მეგრულ ენას და მის

მნიშვნელობას ეხება, მცდარია და არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია ჩემი კუთხის – სამეგრელოსა და ჩემი ქვეყნის – საქართველოსათვის. როგორც მკითხველმა შეამჩნია, მე შეგნებულად და საგანგებოდ მივანიშნე „ჩემი კუთხის“ და „ჩემი ქვეყნის“ სხვადასხვაობაზე. თუ რატომ, ამას ცოტა მოგვიანებით მოგახსენებთ.

რასაკვირველია, ყველა ადამიანს აქვს უფლება ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი მოსაზრება ჰქონდეს და გამოთქვას იგი საჯაროდ. ჩემს წერილსაც მხოლოდ საკუთარი აზრის დაფიქსირების პრეტენზია აქვს და მეტი არაფერი. ამიტომ ნუ მივაწებებთ ერთმანეთს რაიმე იარლიყს. მე ბატონი ჭაჭიასათვის არც „კრემლის აგენტობის“ დაბრალებას ვაპირებ და არც სეპარატისტობის; მე შევეცდები ქ. ზუგდიდში 2001 წლის 12 ოქტომბერს საზოგადოება „სამეგრელოს“ მე-2 ყრილობაზე წაკითხული მისი მოხსენების ჩემეული ანალიზი შევთავაზო მკითხველს. დაე, მკითხველმა განსაჯოს, ჩვენს შორის რომელია მართალი. თუ მე მართალი არ აღმოვჩნდები, არც შეცდომის აღიარების შემრცხვება და არც ბოდიშის მოხდის, რადგან, ნათქვამია, შეცდომა იმას არ უღიარებია, ვისაც ჭეშმარიტება არ უძებნიაო. მე მგონია, საკითხის ამგვარი გადაწყვეტის წინააღმდეგი არც ბატონი ალექსანდრე ჭაჭია იქნება.

სანამ ბატონი ჭაჭიას მოხსენებაზე და მის „სეპარატიზმზე“ ვისაუბრებდე, მინდა მკითხველს ზოგადად მივაწოდო მეგრული სეპარატიზმის მოკლე ისტორია, საიდან მოდის ეს სეპარატიზმი, ვინ იყო ამის ინიციატორი, დამკვეთი და აღმსრულებელი. ეს თემა არაბალია, ძველია.

„სეპარატიზმი – 1. გამოყოფის, განკერძოებისაკენ სწრაფვა; 2. მრავალეროვან ბურჟუაზიულ ქვეყნებში – ეროვნულ უმცირესობათა სწრაფვა სახელმწიფოსაგან გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ან ავტონომიური ოლქის შექმნისაკენ“. („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“). ზოგიერთი სეპარატიზმის და მათ შორის „სამეგრელოს სეპარატიზმის“ ინიციატორი და დამკვეთი ყოველთვის იყო (და არის) ესა თუ ის იმპერია, იმპერიის „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკა, რომელსაც სათავე ჯერ კიდევ ძველმა რომაელებმა დაუდეს, შემსრულებლები კი იყვნენ იმპერიის ჩინოვნიკები, „ჭკვიანი მტრები“, ასევე ადგილობრივი კარიერისტები – ტახტისა და ქონების მოყვარულები, რომელთა დევიზი იყო:

„ჩემს შემდეგ თუნდაც ქვა უთოვია“. სამწუხაროდ, მათ რიგებში ხშირად მოხვედრილან „სულელი მოყვარეები“, აგრეთვე პატიოსანი ადამიანები, რომელთაც სჯეროდათ, რომ კარგ საქმეს აკეთებდნენ.

მრავალსაუკუნოვანი ისტორის მანძილზე ამ პოლიტიკას საქართველოს წინააღმდეგ ყველა ჯურის იმპერია იყენებდა. უფრო ადრინდელ პერიოდზე რომ არაფერი ვთქვათ, ჯერ კიდევ მონღოლებმა სცადეს ამ პოლიტიკის აშკარად გამოყენება საქართველოს წინააღმდეგ. ისარგებლეს რა საქართველოს ტახტის ირგვლივ ატეხილი დავით თუ გაუგებრობით, საქართველო ორად გაყვეს – აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. სწორად წერს დიდი ივანე ჯავახიშვილი ორ დავითზე (დავით ულუ და დავით ნარინი): „ორი სამეფოს მაგიერ ირჩიეს ორთა მეფობა განეხორციელებინათ. ორივე დავითი საქართველოს დედაქალაქ თბილისში მოვიდნენ და ერთად იწყეს მეფობა“. ეს იყო ჭკვიანი მეფეების ჭკვიანური გადაწყვეტილება. ისინი არ წამოეგნენ მონღოლთა ანკესზე და საქართველო და ქართველი ერი არ გახლიჩეს. ამავე დროს ეს იყო გონივრული გაკვეთილი საქართველოს მომავალი მმართველებისათვის.

არც ცარიზმის მიერ საქართველოს ორ გუბერნიად გაყოფა იყო შემთხვევითი და საქართველოს სასარგებლოდ გაკეთებული. არც საქართველოს სიყვარულის გამო დაყო საბჭოთა იმპერიამ საქართველო ავტონომიურ რესპუბლიკებად და ოლქად. რუსეთის იმპერიამ საქართველოს ანექსიისთანავე ჩააგდო საქართველოში განხეთქილების თესლი. მან, პირველი აღწერისას, ქართველებად (გრუზინებად) არ ჩაწერა: იმერლები, გურულები, მეგრელები, აჭარლები, სვანები, ხევსურები, თუშები; შემდეგ იმ თესლის გაღვივებას შეეცადა და მეგრელებს შესთავაზა სამეგრელოს სკოლებში სწავლა მეგრულ ენაზე ყოფილიყო და ეკლესიებშიც წირვა-ლოცვა მეგრულ ენაზე ჩატარებულიყო. დავიჯეროთ, რომ რუსეთის იმპერიას ამის გაკეთება სამეგრელოს სიყვარულის გამო სურდა? რუსეთის ამგვარმა პოლიტიკამ აფხაზეთი და, აქედან გამომდინარე, საქართველო თუ სანამდე მიიყვანა, ყველა ხედავს... სამეგრელოს მოსახლეობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან რუსეთის ამ პროვოკაციას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია. სწორედ სამეგრელოს მოსახლეობის ამგვარი საქციელით აღფრთოვანებულმა ილიამ თქვა ეს სიტყ-

ვები: „სამეგრელოში ჩამოვედი და საქართველო ვნახე – ნამდვილი საქართველო“. ასევე დიდი აღფრთოვანებით გამოეხმაურა ამას იაკობ გოგებაშვილიც: „ყველა წოდებამ სამეგრელოში ერთხმად უარყო ეს ცვლილება და არ დათანხმდა ეკლესიაში მეგრული კილოს ხმარებას ქართული ენის მაგივრად“. დიდმა იაკობმა იცოდა, მტრების ხრიკების უკან რა ბოროტებაც იმალებოდა: „ქართველი ერის მტრები ყოველ ღონისძიებებს ხმარობენ, რომ სამეგრელო საქართველოს მოსწყვიტონ, შეამცირონ ქართველთა რიცხვი, ერთი დიდი ლუკმა ორ პატარა ლუკმად აქციონ, ადვილად გადაყლაპონ და ადვილად მოინელონ“. ერის სულიერ მამებს გვერდით ამოუდგნენ სამეგრელოს კუთხის ღირსეული მამულიშვილები: დუტუ მეგრელი (ხოშტარია), იონა მეუნარგია, თედო სახოკია, თედო ჟორდანია, ნიკო დადიანი (შალვა დადიანის მამა) და სხვები. სწორედ მაშინ დაწერა ქვეყნის ბედით შეწუხებულმა და იმპერიის ვერაგობას მიხვედრილმა დუტუ მეგრელმა თავისი ცნობილი ლექსი და ამით მოუწოდა არა მარტო სამეგრელოს მკვიდრთ, არამედ საქართველოს ყოველი კუთხის ქართველებს ერთიანობისკენ:

„ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო,
ყველა ჩემი სამშობლოა,
საყვარელი საქართველო“.

„ქართლის ცხოვრებიდან“ მოყოლებული, საქართველოს ისტორია ერთსულოვნად აღნიშნავს საქართველოს „წახდენის“ უმთავრეს მიზეზს – „ეროვნულ დაქსაქსულობას“. ამ „ეროვნული დაქსაქსულობის“ წინააღმდეგ იბრძოდა ყველა ღირსეული მამულიშვილი, ყველა ღირსეული მეფე, ვისაც ჭკუა და ძალა შესწევდა ერთიანი საქართველოს მძიმე უღლის ტარებისა. მხოლოდ უჭკუო და სუსტი მეფეები მერკანტილური მიზნით, იმპერიის დაკვეთით ცდილობდნენ ქვეყნის კუთხეებად დაშლასა და დაქუცმაცებას. სწორედ ამაზე წერდა დიდი ილია: „ჩვენი უბედურება მაშინ დაიწყო, როცა ქვეყანა დაირღვა და განაწილდა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. ამ დარღვევამ არა თუ ერთობის კავშირი გადაწყვიტა ჩვენი სამეფოისა, არამედ საზოგადოებრივიც, თითოეული ჩვენგანი ერთმანეთს დაგვაშორა... მთელი ჩვენი მამული, ერთიანი ჩვენი ბინა დავყავით, გავინამცეცეთ თითოეულის დონის კვალობაზე ასე, რომ ზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დვაც შესაძლო ყოფილიყო ჩვენს ქონდრის-კაცობისათვის დაბდაპატარავებულ ტვინში მოთავსებულიყო. დავაქციეთ ჩვენი დიდი ერთიანი სამშობლო ოჯახი, რომლის ბოძად იყო ერთიანი მხარი („ერთიანი მხარი"! – ნ.ჯ.) მთელი ქართველობისა და მის ნაშთის ნამსხვრევებისაგან პატარ-პატარა ხუხულები ავაშენეთ."

დღესაც ხომ არ ცდილობენ ზოგიერთები გუბერნიებად და მხარეებად დაშლილ ხუხულებში შეგვყარონ?

იბადება კითხვა: ვინ იყვნენ ის ადამიანები, საქართველოს „ხუხულებად" დაყოფას რომ ცდილობდნენ, „ერთი დიდი ლუკმის ორად გაყოფასა და მის ადვილად გადაყლაპვასა და მონელებაში" ხელს რომ უწყობდნენ იმპერიას? ესენი იყვნენ რუსეთის იმპერიის ჩინოვნიკები; იანოვსკები, გრუნები, თუმანოვები, სენკოვსკები, აშორდიები, გაგუები; უფრო მოგვიანებით კი საბჭოთა ფუნქციონერები – სუსლოვები თუ ჟვანიები.

ხოლო მათ წინააღმდეგ და ერთიანი საქართველოსთვის იბრძოდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, იონა მეუნარგია, თედო ჟორდანია, თედო სახოკია, დუტუ მეგრელი (ხოშტარია), ნიკო და შალვა დადიანები, კონსტანტინე გამსახურდია, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია და სხვები.

„გათიშე და იბატონეს" პოლიტიკა არც საბჭოთა იმპერიისათვის იყო უცხო. სწორედ პარტიული თუ სახელმწიფო ჩინოვნიკები და კარიერისტები ცდილობდნენ წყლის ამღვრევას და ხელის მოთბობას (ისაკ ჟვანია და მისთანანი). ოციან-ოცდაათიან წლებში „ჭკვიანმა მტრებმა" და „სულელმა მოყვარეებმა" ისევ შემოაგდეს ეს თემა, რომლის საფუძველი, როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა იმპერიის ხრიკები და „შინაურების" კარიერა და ანგარება იყო. ეს „სულელი მოყვარეები" (რასაკვირველია, სხვების კარნახით) რაღაც ქაღალდებით ხელში (სეპარატისტული მოთხოვნებით) კარიკარ დადიოდნენ და ხელმოწერებს აგროვებდნენ. ცნობილია, დიდმა ქართველმა მწერალმა და მამულიშვილმა კონსტანტინე გამსახურდიამ შიშველი ხანჯლით როგორ გაყარა ისინი სახლიდან, ხოლო მეგრულ ენაზე გამოცემულ ბროშურაზე „ჭითა ჩხორია" („წითელი სხივი") წერდა, „ასეთი ანტიეროვნული, ქართული ენისათვის დამღუპველი ამბავი დიდი ხანია საქართველოში არ მომხდარაო". ბატონი კონსტანტინე დღეს რომ ცოცხალი იყოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესოა, რას იტყოდა ბატონი ჭაჭიას მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე, მეგრულ ენაზე დაწერილ და გამოცემულ რომანებზე, ლექსებსა და წიგნებზე. ბარემ აქვე შევახსენებ მკითხველს კიდევ ერთ ფაქტს, თუ კონსტანტინე გამსახურდია როგორ გაეკიდა ჯოხით მეგრულ ენაზე სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორს.

რაც შეხება ბატონი ჭაჭიას მიერ დასახელებულ მეგრულ ენაზე გამოცემულ გიორგი სიჭინავას წიგნს, პირადად მე ბატონ გიორგის ვიცნობ როგორც ქართველ მწერალს (ასეც არის შეტანილ ცნობარში). თუ მას სურს მეგრულად წეროს, ვინ უშლის. მაგალითად, ბულატ ოკუჯავა რუს მწერლად თვლიდა თავს. ასევე რუს ჟურნალისტად თვლის თავს მელორ სტურუა. ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს, ოღონდ, ბატონი გიორგის მიერ გამოცემული წიგნი „ნანაში ნინა“ (დედის ენა) სიახლეს არ წარმოადგენს. თავის დროზე დათა აშორდიამაც გამოსცა წიგნი „დიდა ნინა“-ს (დედა ენა) სახელწოდებით, რომლის წინააღმდეგაც გაილაშქრეს იმდროინდელმა პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციამ და სამღვდელობამ (თედო ჟორდანია, ნიკო დადიანი, ეპისკოპოსი ბესარიონ ხელაია). თუ ბატონ ჭაჭიას მოსწონს და მიესალმება ამგვარ წიგნებს, მიესალმოს, მისი ნებაა, ხოლო რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის პოზიციებზე მდგარ სხვა მწერლებს, ისინი ამაზე სულ სხვა აზრის არიან... აი, რას წერდა ამაზე გრიგოლ რობაქიძე: „ჩვენში საშინელი სიმძაფრით იჩენს თავს თემური პარტიკულარიზმი იმერელი, ქართლელი, კახელი, გურული, მეგრელი და სხვა... ჩვენში არსებული პარტიკულარიზმი დამაფიქრებელია მეტად.“ სამწუხაროდ, ზოგიერთებს დღეს ეს სულაც არ აფიქრებთ და არ აწუხებთ. პირიქით, ამ პარტიკულარიზმის გაღვივებას უწყობენ ხელს.

რა შეიძლება ასეთ ადამიანებს ვუწოდოთ?

როგორც აღვნიშნეთ, „სამეგრელოს საკითხს“ გარკვეული პოლიტიკური მოტივით ხშირად შემოაგდებენ ხოლმე. ასეთივე მიზანი ჰქონდა 50-60 იან წლებში შეთითხნილ „მეგრელთა საქმეს“, რომლის ერთ-ერთი მიზანიც ლავრენტი ბერიას წინააღმდეგ მოწყობილი ინტრიგა და ბრძოლა იყო. დღესაც ეს თემა აშკარად პოლიტიზირებულია. ამ თემის უკან დგას საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩეველთა ხმებისათვის (ე. ი. ხელისუფლებისათვის) ბრძოლა. რამდენად გამართლებულია პოლიტიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მერკანტილური მიზნებისათვის ამ მეტად სახიფათო და საეჭვო თემით სპეკულირება? მჯერა, საზოგადოება „სამეგრელოში“ ბევრი პატიოსანი ადამიანია, რომელთაც ჰგონიათ, რომ საკითხის ჭაჭიასეული გადაწყვეტა ამ კუთხეს, მის მცხოვრებლებს სიკეთეს მოუტანს. ისინი მალე მიხვდებიან თავიანთ შეცდომას. მაგრამ, როგორც ამბობენ, ამ საზოგადეობაში საკმაოდაა ყოფილი თუ ახლანდელი კომუნისტი თუ ფუნქციონერი, რომლებიც საბჭოთა საქართველოში (ზოგიერთები – ეროვნულ ხელისუფლებაში), როცა ძალაუფლება, თანამდებობა, კარგი ცხოვრება ჰქონდათ, სულაც არ გრძნობდნენ თავს „დაჩაგრულ მეგრელად“ და კარგი ცხოვრების დაკარგის შემდეგ შეაწუხათ „დაჩაგრული სამეგრელოს“ ბედმა. ზოგიერთებს „დაჩაგრულ სამეგრელოზე“ უფრო ის აწუხებთ, რომ ფოთის პორტის ფულს თბილისიდან გამოგზავნილი ჩინოვნიკები ჭამენ და არა თვითონ (ნაწილობრივ მათი პრეტენზია სამართლიანია). მაგრამ ასევე ჭამენ ჭიათურის მარგანეცს, ზესტაფონის ფეროს, მადნეულისა და კაჭრეთის მადანსა და ოქროს, ჯავახეთის ტუფსა და მარმარილოს, სვანეთისა და ბორჯომის ტყეებს, ბავშვების, ინვალიდების, პენსიონერების ფულს და გრანტებს. ეს გლობალური მოვლენაა. ეს ის მრავალფეხაა, რომლის საცეცები მთელს საქართველოშია მოდებული და მას ედუარდ შევარდნაძის კლანი, მისი კორუმპირებული ხელისუფლება ჰქვია. მას მთელი საქართველო, საქართველოს ყველა კუთხე ერთად უნდა ებრძოლოს, თორემ ცალ-ცალკე არაფერი გამოვა. ვინც დღეს საქართველოს კუთხეებად დანაწევრებას ცდილობს (ამაში შედის აჭარისადმი დაპირისპირებაც), ის იმპერიის და შევარდნაძის საქმეს აკეთებს.

* * *

რაში ვეთანხმები და რაში არ ვეთანხმები ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას? სავსებით ვეთანხმები, როცა ამბობს: „ახლანდელი ხელისუფლების მმართველობის წლებში სამეგრელო აყვავებული, საკმაოდ განვითარებული აგრარულ-ინდუსტრიული რეგიონიდან გაძარცულ, გაღატაკებულ და ჩამორჩენილ პროვინციად გადაიქცა უმუშევარი მოსახლეობით, ემიგრაციის კატასტროფული დონით, სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლით, გაყინული კულტურული ცხოვრებით. აფხაზეთის დაკარგვისა და სატრანსპორტო კომუნი-

კაციების გადაკეტვის შემდეგ სამეგრელო გეოპოლიტიკურ ნიშნად მოექცა. უკიდურეს ეკონომიკურ სიდუხჭირეს ემატება ხალხის მეხსიერებაში სამუდამოდ აღბეჭდილი ის დამცირება, ტანჯვა და შეურაცხყოფა, რომელიც ახლანდელმა ხელისუფლებამ მიაყენა სამეგრელოს მოსახლეობას".

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, ვეთანხმები, ოღონდ მაქვს ჩემი მოსაზრებაც.

სამეგრელომ, მისმა მოსახლეობამ შესანიშნავად იცის, რომ იმ „დამცირებაში, ტანჯვაში, შეურაცხყოფაში, რომელიც ახლანდელმა ხელისუფლებამ მიაყენა სამეგრელოს", ქართველ ხალხს და საქართველოს არავითარი ბრალი არ მიუძღვის. ეს სწორედ „ახლანდელი ხელისუფლების" მიერ სამეგრელოში გაგზავნილი ბანდიტების ხელწერა იყო. არც „მხედრიონი", არც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან სამეგრელოს შესეული ყაჩაღ-ქურდები არ იყვნენ იმ კუთხის წარმომადგენლები. ყაჩაღ-ქურდებს არც ეროვნება გააჩნიათ, არც თავიანთი კუთხის და არც ნათესაური სიყვარული. ისინი თავიანთ კუთხეებსაც ისე ძარცვავდნენ, როგორც სამეგრელოს. ხოლო რა იყოს სამეგრელოს ჯვარზე გაკვრის მიზეზი, მე ამაზე ქვემოთ ვისაუბრებ. პიროვნებები, მთავრობები მოდიან და მიდიან, საქართველო და მისი კუთხეები რჩება. ამიტომ არ შეიძლება რომელიმე პიროვნების ან ხელისუფლების უგუნურობა და დანაშაული ერის გახლეჩის და დაქუცმაცების საბაბი გახდეს.

ვეთანხმები ბატონ ჭაჭიას, როცა წერს: „სამეგრელომ სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით უმძიმესი და უსასტიკესი მორალური დარტყმა მიიღო, რომელიც თავისი სიმძიმით ეკონომიკურ და სოციალურ სიდუხჭირეს – ერთად აღებულს უდრის. საქართველოს სხვა რეგიონებს, საბედნიეროდ, ანალოგიური დარტყმა არ მიუღიათ."დიახ, ვეთანხმები, ოღონდ ცოტაოდენი შენიშვნით. ცნობილია, ქვეყნის ისტორიის უმძიმეს პერიოდში საქართველოს ესა თუ ის მხარე თავის თავზე იღებდა ქვეყნისა და ეროვნული სულის გადარჩენის უმძიმეს მისიას. ამიტომ ამ კუთხეს ატყდებოდა შინაური თუ გარეშე მტრების განსაკუთრებული რისხვა. ეს ისტორიული მისია განგებამ ბოლო ათ წელიწადში სამეგრელოს დააკისრა და მან თავისი მძიმე ჯვარი ღირსეულად ატარა და დღესაც მიაქვს. როცა სამეგრელოს ტრაგედიაზე ვლაპარაკობთ, ამას ნუ ვაქცევთ სხვა კუთხეებთან დაპირისპირების საგნად. გავიხსენოთ საქართველოს

ისტორია. ეს გახსენება მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება ჩვენს დღევანდელობას. ძველი და ახალი ტკივილები უფრო დააახლოებს საქართველოს კუთხეებს. ტანჯვაგამოვლილმა იცის, რას ნიშნავს ტანჯვა და წამება. განა ნაკლები სისასტიკით უსწორდებოდნენ ველიამინოვები და პასკევიჩები ქართლსა და კახეთს, აჯანყებული მთის ქართველებს? განა თავისუფლებისმოყვარე გურიას სისხლის წვიმა არ დაატეხა თავს ალიხანოვ-ავარსკიმ? განა იმერეთში მატარებლის ვაგონებში სისხლის ტბა არ დააყენეს ბოლშევიკებმა? უფრო ადრე, შაჰ-აბასმა თუ თემურ-ლენგმა საქართველოს სიყვარულისა და თავისუფლებისათვის ჯვარზე არ გააკრეს მესხეთ-ჯავახეთი, აჭარა თუ ჰერეთი?.. საქართველოს ყველა ტკივილი ერთად უნდა ვახსენოთ და ერთად უნდა მოვიშუშოთ. არ ვეთანხმები ბატონ ჭაჭიას, როცა ამბობს: „დიდი მწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ გენოციდი, შეურაცხყოფა, გაღატაკება თავს დაატყდა სამეგრელოს იმიტომ, რომ ამ პერიოდში სამეგრელო არ წარმოადგენდა და არც დღეს წარმოადგენს ანგარიშგასაწევ ძალას“. იმ ისტორიულ მისიაზე, რის გამოც სამეგრელოს შეურაცხყოფა მიაყენეს, მე უკვე ვთქვი. რაც შეეხება იმას, რომ „სამეგრელო არ წარმოადგენდა და არც დღეს წარმოადგენს ანგარიშგასაწევ ძალას“, ჩემი აზრით, მცდარია, შეურაცხყოფაა სამეგრელოსათვის. სამეგრელო რომ ძალას წარმოადგენდა, სწორედ იმიტომ გაერთიანდნენ მის წინააღმდეგ შინაური თუ გარეშე მტრები, საბჭოთა ფუნქციონერები და წითელი ინტელიგენცია, ქურდბაცაცები და ყაჩაღები. როცა ყველამ, ამ ერთად აღებულმა ხროვამ, ვერაფერი დააკლო ეროვნული ხელისუფლების უკანასკნელ ციტადელს – სამეგრელოს, სწორედ მაშინ უხმეს ბალტინის ჯარისკაცებს ერთიანი საქართველოსათვის მებრძოლი სამეგრელოს წინააღმდეგ, მაგრამ ვერ დააჩოქეს, ვერ დაადუმეს, საქართველოს ხერხემალი ვერ გადაუტეხეს. ამის დასტური იყო გოჩა ესებუასა და სხვათა ნაბიჯი. ამის დასტური იყო თბილისის შემოგარენში ჩატარებული საბრძოლო ოპერაცია, რომელსაც ტერორისტული აქტი უწოდეს. ამის დასტურია, საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად, ამბოხებული სამეგრელო, სადაც არ წყდება საპროტესტო მიტინგები, გაფიცვები და აქციები ანტიეროვნული, უკანონო ხელისუფლების წინააღმდეგ.

ვეთანხმები ბატონ ჭაჭიას, როცა წერს: „იმ ხელისუფლებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ინტელიგენციის იმ წარმომადგენლებს, ვისაც საქართველოს გადარჩენა სურს, სამეგრელოს მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება, განსაკუთრებული ზრუნვა მართებთ. მაგრამ ეს გარემოება ახლანდელი მმართველი ელიტისათვის, ინტელიგენციის ეგრეთ წოდებული „ელიტარული ნაწილისათვის არც გასაგებია და არც მისაღები. ისინი დიდი ხანია მოწყვეტილნი არიან ქართულ ეროვნულ სხეულს, მათთვის უცხოა ქართველი ერის, ქართული კულტურის შენარჩუნება და განვითარების პრობლემები. მეტიც, მთელი მათი მოღვაწეობა ბოლო წლების განმავლობაში საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ქვეყნის დაშლა, ქართველი ერის დაქუცმაცება და საბოლოოდ მისი მოსპობა მათთვის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს“. დაკვირვებული მკითხველი ალბათ შეამჩნევდა ჩემ მიერ ხაზგასმულ სიტყვებს. ბატონი ჭაჭია, სამწუხაროდ, „ქართულ კულტურას“ სხვადასხვა კონტექსტში ხშირად ცვლის „მეგრული კულტურით“. მე ამის მაგალითებს ქვემოთ მოვიყვან. ასევე ხაზი გავუსვი ქვეყნის „დაშლასა და დაქუცმაცებას“. მისი ეს სიტყვები დღევანდელი ხელისუფლებისადმი სავსებით სამართლიანია, ბატონი ჭაჭია ზოგიერთი თავისი მოსაზრებით იგივეს რომ არ აკეთებდეს.

ასევე, სავსებით ვეთანხმები ბატონ ჭაჭიას, როცა წერს: „კაცმა, რომელმაც თანამებრძოლთა სისხლისა და უბედურების ფასად აფხაზეთი გაყიდა, ის აფხაზეთს დაგვიბრუნებს? მეტი არაა ჩემი მტერი, და ვინმე ამ კაცის მიერ მოწყობილ პროვოკაციას თუ ისევ წამოეგება, მაშინ გამართლდება ერთი უაღრესად განათლებული და კეთილშობილი, დიდად მორწმუნე ქართველი ქალბატონის სიტყვები, რომელმაც მითხრა: „საქართველომ შევარდნაძე დაიმსახურაო“ (ტაში). მე არ შემიძლია იმ კაცის კეთილი ზრახვების დავიჯერო, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ აფხაზეთი დაკარგულიყო, რომელმაც ყველა პირობა შექმნა, რომ ჩემი ხალხი გაუბედურებულიყო, რომელმაც არა მარტო აფხაზეთში მცხოვრები მეგრელები გაყიდა, არამედ თვით სამეგრელო არა ერთხელ, არა ორჯერ, ხუთჯერ ზედიზედ გადაბუგა, დაამცირა და შეურაცხყო; რომელსაც ურეკავდნენ და მშიერი მოსახლეობისათვის ფქვილის გამოყოფას თხოვდნენ, პასუხად ესმოდათ: დაიხოცონ შიმშილითო.

ამ კაცს აფხაზეთის დაბრუნება და სამეგრელოს აყვავება შეეძლება-უნდოდეს?!“ კიდევ ერთხელ ვეთანხმები ბატონ ჭაჭიას, მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო: რასაც ჭაჭია ათი წლის შემდეგ მიხვდა, ამას ზოგიერთები ათი წლის წინათ მიხვდნენ და ამბობდნენ კიდეც, თუ რა უბედურებას მოუტანდა შევარდნაძე საქართველოს, შესაძლებლობის ფარგლებში იბრძოდნენ კიდეც – ზოგი საქმით, ზოგი სიტყვით. მაგრამ იმ წლებში შევარდნაძის წინააღმდეგ მებრძოლი ჭაჭია რატომღაც არ გვახსოვს (შევარდნაძესთან შეხვედრებს და საუბრებს არ ვგულისხმობ). ბატონი ჭაჭიას ზოგიერთი დღევანდელი მოსაზრება ნებსით თუ უნებლიეთ სწორედ შევარდნაძის პროვოკაციაზე წამოგებას ნიშნავს, რადგან სწორედ შევარდნაძის სურვილი იყო და არის სამეგრელო სეპარატიზმში დაადანაშაულოს, მაგრამ, მიუხედავად ხუთგზის აოხრებისა, სამეგრელოს შევარდნაძისათვის ამის საბაბი არ მიუცია. ხოლო ბატონი ჭაჭიას ზოგიერთი დღევანდელი მოსაზრება (ჩემი აზრით) სწორედ შევარდნაძის მცდელობას უმაგრებს ზურგს. არც ის მიმაჩნია სწორად, როცა ბატონი ჭაჭია ცდილობს შევარდნაძის ხელისუფლებისა და მისი (ჭაჭიას) მოსაზრების მოწინააღმდეგეები ერთ სიბრტყეში დააყენოს. ბატონი ალექსანდრეს ზოგიერთი მცდარი მოსაზრებების არმიღება სულაც არ ნიშნავს „დღევანდელი დამაქცევარი ხელისუფლების“ გვერდით ყოფნას.

ვეთანხმები ბატონ ჭაჭიას, როცა წერს: რა ძლიერიც არ უნდა იყოს მეორე მხარე, რუსი იქნება თუ ამერიკა, თურქეთი თუ ჩინეთი, შენი ქვეყნის და შენი ხალხის ბედი არავის უნდა დაუთმო, თუ შენ შენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების ჭეშმარიტი დამცველი ხარ, ვერც ვერავინ მოგერევა, მაგრამ ერთი პირობით: ქვეყნის შიგნით მეხუთე კოლონა არ უნდა არსებობდეს...“ გაგიხარია, ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ რა ეშველება ისეთ ქვეყანას, სადაც მეხუთე კოლონის წევრობა ზოგიერთებს სულაც არ ერცხვინებათ? ზოგიერთები ცდილობენ ასე თუ ისე ამის შენიღბვას, ზოგიერთები კი აშკარად აცხადებენ, „მე მეხუთე კოლონა ვარო“(გრიგოლ ონიანი).

„ჩვენი კარი ღია უნდა იყოს ნებისმიერი პიროვნებისათვის, ვისაც სხვა პატრიოტებთან ერთად სამეგრელოს განვითარება, მისი ჩიხიდან გამოყვანა სურს, ვისთვისაც მეგრული კულტურა, ენა, ტრადიციები, თვითმყოფადობა, სპეციფიკა ძვირფას და სანუკვარ

განძს წარმოადგენს, ვინც ყველაფერს ამას „ზოგადქართული მნიშვნელობის“ ფასეულად მიიჩნევს“. „ზოგადქარულ ფასეულობებზე“ ჩვენ ქვემოთ ვილაპარაკებთ, მანამდე კი მკითხველს ვთხოვთ დაიმახსოვროს „მეგრული კულტურა“.

ახლა იმ საკითხებაც მინდა შევეხო, რაშიაც არა თუ ვეთანხმები ბატონ ჭაჭიას, არამედ „ვაჭარბებ“ კიდეც. „იტალიის მთავრობის გადაწყვეტილებით იქ ჯერ კიდევ ათი წლის წინ სკოლებში შემოღებულ იქნა იტალიური ენის ყველა დიალექტის სწავლება. იტალიელები რატომღაც თვლიან, რომ ეს ერის კონსოლიდაციას უწყობს ხელს. ასევე მოიქცა საფრანგეთის მთავრობა ათი წლის წინ ბრიტანელებისა და კორსიკელების მიმართებაში. მაგრამ ჩვენს „რეფორმატორებს“ სიამოვნებით გადმოაქვთ დასავლეთიდან ჩვენს სინამდვილეში მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც ყოვლად მიუღებელია ქართველი ტრადიციული საზოგადოებისათვის, ქართული ეკონომიკისათვის, ქართული ეროვნული შეგნებისათვის, ხოლო დასავლეთის ქვეყნების ის გამოცდილება, რომელიც მართლაც მისაღებია, რომელიც ერის გაერთიანებას ემსახურება, ჩვენი ხელისუფლებისათვის მიუღებელია“. დიახ, სრულიად ვეთანხმები, ოღონდ ერთი დეტალი უნდა დავაზუსტოთ. ლაპარაკია „იტალიური ენის ყველა დიალექტის სწავლებაზე“ და არა ამ დიალექტების სამწერლო ენად გადაქცევასა და „ბეჭდვითი პროდუქციის გამოშვებაზე“. აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილიც სწორედ ამაზე ამახვილებდნენ ყურადღებას, როცა მეგრულ ენას ქართული სიტყვების სალარო უწოდეს. დიახ, უნდა ისწავლებოდეს ქართული ენის დიალექტები და მათ შორის მეგრული. მე არ ვამბობ სკოლებში მეგრული ან სვანური ენების სწავლების შემოღებაზე, მაგრამ რაღაც მოკლე ისტორიული თუ ენათმეცნიერული მიმოხილვა ალბათ საჭიროა. როგორ და რა ფორმით, ეს უკვე სპეციალისტების საქმეა.

სხვათა შორის, ახლახან გამოვიდა ნიჭიერი პოეტი ქალის ეთერ თათარაიძის ლექსების კრებული, რომელიც ისეთივე სიმდიდრეა ქართული ენისა, როგორიც სხვა კუთხის დიალექტები. ეთერ თათარაიძის ლექსების მკითხველსაც თავისებური მომზადება სჭირდება. აქვე უნდა გავიხსენო ვაჟა-ფშაველაც, რომელიც თავის დროზე საყვედურობდა რედაქციების ზოგიერთ თანამშრომლებს ფშავური თუ ხევსურული კილოკავების არცოდნას, რის გამოც ზოგიერთები

მის სიტყვებს ცვლიდნენ მათთვის გასაგები (მისაღები) სიტყვებით და ამით ამახინჯებდნენ დიდი ვაჟას ლექსებს. ამიტომ, ჩემი აზრით, უნდა გამოვიდეს მეგრული დიალექტის ლექსიკონიც ისე, როგორც გამოვიდა: „გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონი", „იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა", „ქართული ენის აჭარული დიალექტის ლექსიკა", „ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა". „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონის" მრავალტომეულში შეტანილი უნდა იქნეს მეგრული სიტყვებიც. სკოლის მოსწავლეებისათვის გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს" ხომ ერთვის მოსწავლეებისათვის განკუთვნილი ლექსიკონი; ძველი მწერლების თხზულებების უკეთ გაგებისთვის ხომ გამოცემულია „ძველი ქართული ენის ლექსიკონი". ამაში გასაკვირი და მიუღებელი არაფერია. როგორც ილია წერდა: „ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს არ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველიფერისა. წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მათი გამომხატველია, ყველაფერი იცვლება მისი ძლიერი გავლენისაგან". ალბათ ამიტომაცაა, ბერძნები ძველბერძნულ ნაწერებს თანამედროვე ბერძნულ ენაზე რომ თარგმნიან (ასევე სომხებიც), მაგრამ დღევანდელ ბერძნებს ერთი წუთითაც არ უფიქრიათ, რომ ისევ ძველბერძნულ ენაზე დაეწყოთ წერა ან თანამედროვე ბერძნული ლიტერატურა ძველბერძნულად ეთარგმნათ.

შეიძლება ბატონი ჭაჭია შემოგვედავოს და გვითხრას, – ძველი ბერძნული და სომხური ენები უკვე აღარ არსებობენ, მეგრული ენა კი ცოცხალიაო. დიახ, ჩვენდა საბედნიეროდ, ქართული ენის ძირძველი ენები, მეგრული და სვანური ცოცხალია. ეს ის სალაროა, რომელზედაც მიუთითებდნენ აკაკი და იაკობი, ამიტომ მას გაფრთხილება და მოვლა სჭირდება, რომ არ დაიშრიტოს, არ გაღარიბდეს, და არა, სალიტერატურო ენად გადაქცევა. ეს არ გამოვა და არც არავის სჭიდება, გარდა სამეგრელოს „ჭკვიანი მტრებისა", რომლებიც შეეცდებიან მის გამოყენებას და კუთხეებს შორის შუღლის ჩამოგდებას. ამიტომ ქართველური ენების (დიალექტების) გარკვეული დოზით სწავლება სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში საჭიროა, რომ თბილისის ქუჩებში თუ სხვაგან გაგონილი მეგრული სიტყვები ვინმეს „ჩინურად" არ მოესმას. ალბათ ამ მიზნით დაიწყო თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში „კოლ-

ხური ენის სწავლება“ (კოლხური ენის სწავლებაში იგულისხმება მეგრული, ჭანური, ლაზური – ქართული ენობრივი განშტოების სწავლება). როგორც ჩანს, ანალოგიური მიზანი ჰქონდა ნიკო დადიანის (შალვა დადიანის მამა) მიერ გაზეთში გამოქვეყნებულ პატარა წერილს, სადაც იგი თავის თანამედროვე მკითხველებს სთავაზობს ქართულ-მეგრულ სიტყვებს, რომელიც ერთნაირი მნიშვნელობით იხმარებოდა როგორც ქართულად, ასევე მეგრულად და არავითარი თარგმნა არ სჭირდებოდა. მეც მინდა ანალოგიური მაგალითები მივაწოდო ჩვენს დღევანდელ მკითხველს.

ქართულად	მეგრულად
ერთი	ართი
სამი	სუმი
ოთხი	ოთხი
ხუთი	ხუთი
შვიდი	შქვითი
დედა	დიდა
მამა	მუმა
ბაბუა	ბაბუ
ბებია	ბები
ძმა	ჯიმა
მამიდა	მამი
დეიდა	დეი
ბიძია	ბიძი
ბიცოლა	ბიცო

ნუთუ ძნელი მისახვედრია, რომ ეს სიტყვები ერთი ფესვიდან არის ამოსული? ასევეა უამრავი სხვა სიტყვაც. ვისაც ეს ეცოდინება, ის არ დაწერს, მეგრული სიტყვები „მიჯღარკულ-მოჯღარკულიაო“. არც ასეთ სისულელეს იტყვის: „ყველა ჩემი სამშობლოა, სამეგრელოს გარდაო“.

* * *

ბატონი ჭაჭია წერს, რომ მას „კრემლის აგენტობა“ და სეპარატისტობა დააბრალეს. კიდევ ვიმეორებ, მე არავის არაფერს ვაბრალებ, მაგრამ ჭაჭიას მიერ ზუგდიდში წაკითხულ მოხსენებაში სეპარატიზმის სულისკვეთება იგრძნობა და ეს სულისკვეთება მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავალი არჩევნებისათვის არის გამიზნული. მოხსენება სპეციფიკურ აუდიტორიაზეა გათვლილი, სადაც გათვალისწინებულია როგორც დროის ფაქტორი, ასევე დარბაზში მყოფი ადამიანების განწყობა, როგორც ფსიქოლოგიური, ასევე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ამ გრძნობებზე თამაში. ამიტომ ისმოდა ხშირად „ტაში", ზოგჯერ – „ხანგრძლივი, მქუხარე ტაშიც". ამ „ტაშის" უკან ბატონი ჭაჭიას პოპულიზმი იდგა და არა ჭეშმარიტება. ბატონი ალექსანდრე თავის მოსაზრებებს პირდაპირ არ ახვევს თავზე მსმენელებს. ის ცდილობს ეს შეფარვით გააკეთოს. ხშირად სწორ, სამართლიან მოსაზრებებს ოსტატურად მიაყოლებს მისთვის სასურველ აზრს. ძალიან ფხიზელი თვალი და ყურადღებაა საჭირო, რომ ეს შეამჩნიო: „პატივცემულო საზოგადოებავ, ჩემთვის დიდი პატივი და სიხარულია, რომ დღეს მიწევს ჩემი მშობლიური კუთხის დედაქალაქში, ქალაქ ზუგდიდში... შეხვედრა" (მკითხველს ვთხოვ დაიმახსოვროს სიტყვა „დედაქალაქი"). სხვათა შორის, ზუგდიდს თითქმის ანალოგიური მნიშვნელობით (სახელწოდებით) ახსენებს თავის გამოსვლებში ჟირინოვსკიც. ხომ დამაფიქრებელია, რომ ჭაჭიასა და საქართველოს მოძულე ჟირინოვსკის მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა. ბატონი ჭაჭია ხშირად ხმარობს სიტყვებს: „ჩემი ქვეყანა", „ჩემი ხალხი", ჩემი კუთხე". „ჩემი ქვეყანა" და „ჩემი კუთხე" რომ სხვადასხვა ცნებებია ეს სადავო არ არის. დიახ, „ჩემი კუთხე" – სამეგრელოა, „ჩემი ქვეყანა" – საქართველო. ბატონი ჭაჭია ხშირად, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ისე ოსტატურად უნაცვლებს მათ ერთმანეთს, რომ ვერ გაიგებ, „ჩემს ქვეყანაში" სამეგრელოს გულისხმობს თუ საქართველოს: „ყველას გვესმის, რომ ჩვენი ხალხის (რომელი ხალხი? – ნ. ჯ.), ჩვენი შვილების მომავლისათვის ყველა ერთად უნდა გავერთიანდეთ და ერთად დავიცვათ რეგიონისა და ქვეყნის (რომელი ქვეყნის? – ნ. ჯ.) ინტერესები. ჩვენ მაშინაც განვაცხადეთ და დღესაც ვაცხადებთ, რომ სამეგრელო მანამდე იქნება დათრგუნული, დაბეჩავებული და დამცირებული, სანამ მისი მოსახლეობა (ე.ი. სამეგრელოს მოსახლეობა. – ნ. ჯ.) პარტიული და მსოფლმხედველობითი ნიშნებით იქნება დაქუცმაცებული და ერთმანეთს გადაკიდებული". აქ, ასე თუ ისე, აშკარად ჩანს, რომ ჭაჭია „ჩვენს ხალხში" და „ჩვენს ქვეყანაში" სამეგრელოსა და მეგრელებს გულისხმობს და არა სრულიად საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ქართველ ხალხს. ამ თეორიით, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოში ცხოვრობს „კახელი ხალხი“, რომლის დედაქალაქია თელავი, „იმერელი ხალხი“, რომლის დედაქალაქია ქუთაისი, „აჭარელი ხალხი“, რომლის დედაქალაქია ბათუმი, „სვანი ხალხი“, რომლის დედაქალაქია მესტია და ა. შ.

ხალხის, პარტიული თუ მსოფლმხედველობითი ნიშნებით დაქუცმაცების გამო წუხილი და მათი გაერთიანების სურვილი რომ მთლიანად საქართველოს მისამართით იყოს ნათქვამი, მაშინ მადლობის მეტი რა გვეთქმოდა, მაგრამ არა, სამწუხაროდ, ასე არ არის.

„თვით მეგრელებიც კი ერიდებიან სამეგრელოს სავალალო მდგომარეობაზე, მეგრულ კულტურასა და სპეციფიკაზე საჯარო საუბარს“. ხედავთ, ბატონმა ჭაჭიამ სამეგრელოს სავალალო მდგომარეობაზე სამართლიან საყვედურს რა ოსტატურად მიაყოლა „მეგრულ კულტურაზე“ საუბარი. თუმცა „მეგრული კულტურის“ ნიმუშებს ბატონი ჭაჭია არ ასახელებს და ვერც დაასახელებს, რადგან, როგორც სამართლიანად წერს მწერალი და კრიტიკოსი რევაზ თვარაძე, „ცალკე აღებული მეგრული კულტურა არ არსებობს, ისევე როგორც არ არსებობს მესხური, სვანური, აჭარული, და სხვა ქართველური ტომის კულტურა... ათასწლეულების განმავლობაში ჩამოქნილი, საკაცობრიო მნიშვნელობის მქონე ზოგადქართული კულტურა, რომლის შექმნაშიც ყოველი მეგრელი ისევე მონაწილეობდა, როგორც ნებისმიერი ქართლელი, კახელი, იმერელი თუ სხვა რომელიმე ტომის წარმომადგენელი“. ის ძველი კოლხური კულტურაც სწორედ ერთიანი საქართველოს კულტურის ერთი საძირკველთაგანია.

„ჩვენ გვმართებს სამეგრელოს და საკუთარი ხალხის მიმართ სიყვარული“. აქაც, მგონი, სადავო არაფერია – „საკუთარ ხალხში“ ბატონი ალექსანდრე „მეგრელ ხალხს“ გულისხმობს.

„ჩვენთვის არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა იმას, თუ რომელი პარტიის, სხვა ორგანიზაციის წევრი არის ესა თუ ის პიროვნება, რა პარტიული თუ იდეოლოგიური დოქტრინის მატარებელია იგი, სამეგრელოს სიყვარულში, სამშობლოს სიყვარულში, წარსულისა და მომავლის წინაშე პასუხისმგებლობაში ყველანი ერთად უნდა ვიდგეთ“. მე მგონი, აქაც არაფერია სადავო, ბატონი ჭაჭია „თავის სამშობლოში“ მხოლოდ სამეგრელოს გულისხმობს და არა საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს. „ჩვენ ვაყალიბებთ საზოგადოებრივ ძალას, რომლის მიზანია ჩვენი სამშობლოს (რომელი „სამშობლოს“? – ნ. ჯ.) სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, სამეგრელოს საზოგადეობის რეალურ ძალად გადაქცევა“. ამის შემდეგ ძნელად დასაჯერებელია ბატონი ჭაჭიას ეს სიტყვები: „დღესსაქართველოს და ქართველი ერის ისტორიაში საბედისწერო მომენტი დადგა, წყდება ერის არსებობის საკითხი. იმაზე, თუ რას მოიმოქმედებს ქართველი ხალხი იმისთვის, რომ ერს მომავალი ჰქონდეს, პირველ რიგში აცილებელია ქართველთა ერთობა“. არა მგონია ბატონი ჭაჭია თავისი საეჭვო მოსაზრებებით ხელს უწყობდეს „ქართველთა ერთობას“.

„ჩვენ უნდა გაგვაერთიანოს არა პარტიულმა მსოფლმხედველობამ, არა რომელიღაც უცხო იდეოლოგიურმა დოქტრინამ, არამედ ქართულმა ეროვნულ-სახელმწიფოებრივმა პოზიციამ, რომელიც ორი სიტყვით გამოიხატება – „სამშობლოს გადარჩენა“. მშვენიერი სიტყვებია, სამშობლოს გადარჩენაში ბატონი ჭაჭია მარტო „სამეგრელოს გადარჩენას“ კი არა, სრულიად საქართველოს გადარჩენას რომ გულისხმობდეს. „მე მიმაჩნია, რომ ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც საქართველოში შეიქმნება, ხალხის გამთლიანება უნდა ჰქონდეს მიზნად“. აქ უკვე საქართველოს და ქართველ ხალხს ახსენებს და მისასალმებელია, მაგრამ ნუ ვიჩქარებთ დასკვნის გაკეთებისას, ბატონი ჭაჭია საქართველოს გაერთიანებაზე სულაც არ ფიქრობს. „ჩემი ღრმა რწმენით, როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, მომავალში როგორი ხელისუფლებაც არ უნდა გვყავდეს (აქ, როგორც ვხედავთ, უკვე ახლანდელ ანტიეროვნულ, ქვეყნის დამაქცევარ ხელისუფლებაზე არ არის ლაპარაკი. – ნ. ჯ.), სამეგრელოში უნდა არსებობდეს რეალური, ერთიანი, მონოლითური საზოგადოებრივი ძალა, რომელიც ნებისმიერი ხელისუფლებისათვის (დააკვირდით, არა მარტო დღევანდელი, არამედ „ნებისმიერი ხელისუფლებისათვის“. – ნ. ჯ.) ანგარიშგასაწევი ძალა იქნება“. მკითხველს ისევ ვთხოვ, დაიმახსოვროს „მეგრული რეალური, ერთიანი, მონოლითური ძალა“. რომელ „მონოლითურ ძალაზე“ ლაპარაკობს ბატონი ჭაჭია? რა ერქმევა იმ ძალას, რომელიც ცენტრალურ, ე. ი. თბილისის „ნებისმიერ ხელისუფლებას“ დაუპირისპირდება, თუნდაც ის ხალხის მიერ კანონიერი გზით არჩეული

ხელისუფლება იყოს? ბატონი ჭაჭია ამას ჯერჯერობით „მეგრული საზოგადოებრივ ძალას“ უწოდებს. თავის დროზე, ალბათ ამასაც „ტაბუს მოხსნის“ და „საზოგადოებრივი ძალის“ ნაცვლად სულ „სხვა ძალა“ შეგვრჩება. ამის გასაგებად ორიოდე წლით უკან დავიხიოთ, როცა ამ ორგანიზაციის ორგანიზატორებმა ფოთში პირველი ყრილობა ჩაატარეს და „სამეგრელოს შემოღობვა“ მოითხოვეს. ამ „ორღობის პატრიოტებს“ უნდოდათ ამ ორგანიზაციისათვის „სამეგრელოს აღორძინების კავშირი“ ეწოდებინათ და ამით აჭარისკენ იშვერდნენ ხელს და მის სტატუსზე მიანიშნებდნენ. მათ დაავიწყდათ, რომ ასლან აბაშიძემ შექმნა არა „აჭარის აღორძინების კავშირი“, არამედ „სრულიად საქართველოს დემოკრატიისა და აღორძინების კავშირი“, რომელიც თავისი შინაარსით და ტევადობით სულ სხვაა, ვიდრე „სამეგრელოს აღორძინების კავშირი“ ან „საზოგადოება სამეგრელო“.

ბატონი ჭაჭია ზოგჯერ ცდილობს სამეგრელოს თემის დრამატიზებას და პროვოცირებას: „ჩვენ (ე. ი. მეგრელები) იძულებულნი ვართ სულ ვუმტკიცოთ ვიღაცას, რომ ვართ ქართველები, რომ მთელი საქართველოს ტკივილი ისევე გვტკივა, როგორც ჩვენი კუთხის, ჩვენი ოჯახის სატკივარი“. იმას, ვისაც ჰგონია, რომ არსებობს „მეგრელი ხალხი“, „მეგრული კულტურა“, „მეგრული მწერლობა“, შეიძლება მართლა გაუჭირდეს თავისი ქართველობის დამტკიცება, თორემ სამეგრელოსა და მის ჭეშმარიტ შვილებს ამის დამტკიცება არასოდეს დასჭირვებიათ, ისინი თავიანთი მენტალიტეტით, ცნობიერებით, ზნე-ჩვეულებით, ადათ-წესებით ამტკიცებდნენ თავიანთ ქართველობას. განა მეგრელობამ ხელი შეუშალა ცოტნე დადიანს წმინდანად შერაცხულიყო? განა მეგრელობამ ხელი შეუშალა გიორგი ჭყონდიდელს ან ამბროსი ხელაიას სრულიად საქართველოს პატრიარქ-კათოლიკოსები გამხდარიყვნენ? განა მეგრელობამ ხელი შეუშალა ზვიად გამსახურდიას სრულიად საქართველოს პირველი პრეზიდენტი გამხდარიყო? თუნდაც ლავრენტი ბერიას ან ალიოშა მირცხულავას მეგრელობამ შეუშალა ხელი, საქართველოს პირველი პირები ყოფილიყვნენ? განა მეგრელობა უშლიდა ან უშლის ხელს ვინმეს საქართველოს პრემიერმინისტრობაში, მინისტრობასა ან თბილისის მერობაში (ვინ როგორი პრემიერი ან მინისტრი იყო, ეს სხვა საქმეა)? განა მეგრელობამ

შეუშალა ხელი კულტურაში, მეცნიერებაში, მწერლობასა თუ სპორტში თავიანთი სიტყვა ეთქვათ და მსოფლიო სახელი მოეხვეჭათ კონსტანტინე გამსახურდიას, აკაკი ხორავას, ლეო ქიაჩელს, ილია ვეკუას, ტერენტი გრანელს, არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას, ნიკოლოზ შენგელაიას, ანდრია აფაქიძეს, პარმენ ზაქარაიას, გივი კარტოზიას, რომან რურუას, მურთაზ ხურცილავას და მრავალ სხვას?

სხვა ნიჭიერებასთან ერთად ბატონი ალექსანდრე შესანიშნავად ფლობს ორატორულ ხელოვნებას. იგი მიმნდობ და გულუბრყვილო მსმენელს მისთვის მომგებიანი და ხელსაყრელი ფორმით აწვდის ისტორიულ ფაქტებს, მოვლენებს, ისტორიულ პიროვნებათა ქმედებას და ამაში მქუხარე ტაშსაც იმსახურებს. ამის დასამტკიცებლად მომიწევს მისი მოხსენებიდან ვრცელი ამონაწერის მოტანა, მაგრამ მანამდე არ შემიძლია ჩემი გაკვირვება არ გამოვხატო იმ ფაქტის გამო, რომ ბატონი ჭაჭია თავის საკმაოდ ვრცელ მოხსენებაში არსად არ ახსენებს საქართველოს ისტორიის ორ ბრწყინვალე პირონებას, საქართველოს ერთიანობის სიმბოლოებად ქცეულ ქუჯის და ცოტნე დადანს. ალბათ, ეს თავისთავად ბევრ რამეზე მიანიშნებს.

ახლა კი მოვუსმინოთ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას: „სამეგრელოს მთელი ისტორიის მანძილზე საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ გამაერთიანებელი ფუნქცია ეკისრა (ეს როგორ, თუ მეგრელები მთელი ცხოვრების მანძილზე თავიანთი ქართველობის დამტკიცებას უნდებოდნენ, როგორ ახერხებდნენ ასეთი დიდი მისიის შესრულებას? – ნ.ჯ.). მეტიც, ისტორიაში ჩახედულმა ადამიანმა იცის, რომ საქართველოს დაქუცმაცების პერიოდში (არადა, ეს პერიოდი თითქმის მთელ ისტორიას მოიცავს, 200-250 წლის გამოკლებით) არსებობდნენ კახეთის, ქართლის, იმერეთის სამეფოები, მაგრამ, სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიუხედავად, დადიანებს არასოდეს უცდიათ სამეგრელოს სამეფოდ გამოცხადება (ტაში), იმდენად ძლიერი იყო ყოველთვის ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობისაკენ ლტოლვა“.

საქართველოს „სამეფოებად“ და „სამთავროებად“ დანაწილებაში ყოველთვის მტრის ხელი ერია. ესეც იგივე სეპარატიზმია, კუთხეების ერთმანეთთან დაპირისპირება, შიდა შუღლი. ამიტომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვა დიდმა ილიამ, „ჩვენი უბედურება მაშინ დაიწყო, როცა საქა-
რთველო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დაიშალაო“. ამ დაშლით
კნინდებოდა „საქართველოს“ და „ქართველის“ ცნება, რაც იწვევდა
საერთო ეროვნული ცნობიერების დაქვეითებას, გაუცხოებას: „აბა,
დაიძახე: ქართველო-თქო, თუ შავი ზღვიდან მოყოლებული კასპიის
ზღვამდე, მარტო ღიპ-გადმოგდებული ქართლელის მეტმა (ე. ი.
გორის მაზრაში მცხოვრებელმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ
გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენსკენ
მოიღრინჯოს. სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქოს ამათ არ
ეძახიო, თითქოს ისინი ქართველები არ არიანო“ (ილია ჭავჭავაძე).
ამიტომ ნურც ქართლელები, ნურც კახელები და იმერლები ნუ
იამაყებენ თავიანთი „განკერძოებული“ სამეფოების არსებობის
გამო და ნურც მეგრელებს დასწყდებათ გული იმგვარი სამეფოს
არქონის გამო. პირიქით, ეს შეიძლება დადებითადაც კი იქნეს აღ-
ქმული. ოღონდ დადიანების არგამეფება სულაც არ იყო გამოწვე-
ული მათი თავმდაბლობით და „ერთიანი საქართველოს“ სურვილით.
დადიანებმა (გურიის მთავრებმაც) კარგად იცოდნენ, არც საქართვე-
ლოში და არც საქართველოს გარეთ მათ მეფობას დე იურე არავინ
აღიარებდა ერთი მიზეზის გამო – დადიანობა არ ნიშნავდა ბაგრატი-
ონობას, კახეთის, ქართლის, იმერეთის ტახტზე სწორედ სამეფო
გვარის (ბაგრატიონების დინასტიის) წარმომადგენლები ისხდნენ;
მაგრამ დადიანებს არც ის სიკეთე უნდა დავუკარგოთ, რაც ჰქონდათ.
ბატონი ჭაჭიასაგან განსხვავებით, თვით „დიდი ლევან დადიანის“
დროსაც კი აზრად არავის მოსვლია მეგრულ კულტურასა და
მწერლობაზე საუბარი. სამთავროში მიწერ-მოწერა ქართულ ენაზე
იყო და არა მეგრულზე. ეკლესიებშიც წირვა-ლოცვა ქართულად
იმართებოდა. სამეგრელოში მაშინაც უპირველესი წიგნი ბიბლია
„ქართლის ცხოვრება“ და „ვეფხისტყაოსანი“ იყო. არავის გასჩენია
მათი მეგრულად თარგმნის სურვილი და როგორც საქართველოს
ყველა კუთხეში, სამეგრელოშიც ქალებს მზითვად სწორედ ქარ-
თულ „ვეფხისტყაოსანს“ ატანდნენ და არა მეგრულად თარგმნილს.
არც ქართული წიგნების თუ ხელნაწერების მეგრულად თარგმნის
სურვილი გასჩენია ვინმეს, რასაც დღეს ასე დაჟინებით ითხოვს
ბატონი ჭაჭია.

მის მიერ მოყვანილ სხვა მაგალითებშიც აშკარად ჩანს პოპუ-

ლარობის და „ხანგრძლივი, მქუხარე ტაშის“ მოხვეჭის სურვილი: „დამისახელოს ვინმემ ისეთი პიროვნება ქართულ ისტორიაში, ვისაც ერთიანი საქართველოს შექმნისათვის, ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისათვის მეტი გაუკეთებია, ვიდრე გიორგი ჭყონდიდელმა გააკეთა. დამისახელოს ვინმემ ისეთი პიროვნება ქართულ ისტორიაში, ვინც საქართველოს, პირველ რიგში თბილისის, აფხაზეთის გაქართველებისათვის მეტი გაუკეთებია, ვიდრე ლავრენტი ბერიამ გააკეთა (ტაში). დამისახელოს ვინმემ პიროვნება, რომელმაც ქართული სულის (დიახ, „ქართული“ სულის და არა „მეგრულის“. – ნ. ჯ.) ამაღლებისათვის უფრო მეტი გაუკეთებია, ვიდრე ზვიად გამსახურდიამ გააკეთა (ხანგრძლივი, მქუხარე ტაში).

შეიძლება ცოტა უხერხული იყოს გიორგი ჭყონდიდელის და ზვიად გამსახურდიას ლავრენტი ბერიასთან ერთ სიბრტყეზე დაყენება, მაგრამ ახლა ამას თავი დავანებოთ და მთავარზე ვილაპარაკოთ. სანამ ბატონი ჭაჭიას მიერ მოყვანილ მაგალითებს გავაანალიზებდე, მინდა ზოგადად ვთქვა ერთ, იმ ცუდ, საზიანო ჩვევაზე, რაც ქართველებს გვაქვს და რაზედაც დიდი ილია ჯერ კიდევ საუკუნე-ნახევრის წინ მიგვანიშნებდა: „იმერელი“, „გურული“, „მეგრელი“, „ქართლელი“, „კახელი“ – ეს ცალ-ცალკე მითვისებული კერძოობითად მიღებული, განმაყოფელი სახელებიაო. აქვე მინდა გავიხსენო მიხეილ კვესელავას წიგნიდან ერთი ადგილი, რომელიც მეორე მსოფლიო ომს ეხება. საბჭოთა სარდლობამ გამოსცა ბრძანება, რომლის ძალით ყველა იმ სამხედრო ტყვეს, რომელიც იტყოდა, ავსტრიელი ვარ და არა გერმანელიო, დიდ შეღავათებს და პრივილეგიებს აძლევდნენ. როგორც წიგნის ავტორი აღნიშნავს, ასეთი ფაქტი თითქმის არ დაფიქსირებულა. ეს არის სწორედ ის, რასაც ილია „ერთობას ისტორიისას“ უწოდებს და რაც ჩვენ ასე გვაკლია. რა მოგვდის, რა გვემართება, რომ კუთხურობისკენ გაგვირბის თვალი და გონება! სწორედ ამას იყენებენ ჩვენი შინაური თუ გარეშე მტრები. სულ იმის მტკიცებაში ვართ, ფშაველი ვაჟა სჯობია თუ იმერელი აკაკი, მეგრელი კონსტანტინე გამსახურდია უფრო დიდი მწერალია თუ ქართლელი მიხეილ ჯავახიშვილი, იმერელი გალაკტიონ ტაბიძე უფრო დიდი პოეტია თუ კახელი გიორგი ლეონიძე. ვის სჭირდება ეს? რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ამას? – არავითარი. როგორც წესი, ამით „ჭკვიანი მტრები“ და კარიერისტები სარგებლობენ.

ყველა ზემოთჩამოთვლილი სახელი ხომ ჩვენი სიძლიერე და სიმდიდრეა, იმ დიდი თაიგულის ყვავილებია, რომელსაც საქართველო ჰქვია. რაღაც იმგვარი ცუდი ტენდენცია დაჰკრავს ბატონი ჭაჭიას კითხვებსაც, რომელსაც მე პასუხს გავცემ. არა მგონია, ჭყონდიდელზე მეტი თუ არა ნაკლები ღვაწლი ჰქონდეთ ქართველი ერის წინაშე ვახტანგ გორგასალს, ფარნავაზს, დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს, გიორგი ბრწყინვალეს, დავიჯერო, ლავრენტი ბერიაზე ნაკლები წვლილი მიუძღვის თბილისის წინაშე თბილისის დამაარსებელ ვახტანგ გორგასალს ან თბილისის სამასწლიანი ტყვეობიდან გამომხსნელ დავით აღმაშენებელს. არა მგონია, ზვიად გამსახურდიაზე ნაკლები წვლილი მიუძღვის ერის სულიერ ამაღლებაში მერჩულეს, მთაწმინდელებს, ილია ჭავჭავაძეს და სხვებს. ისე, ერთი პატარა შეკითხვა ჩვენც გვაქვს ბატონ ჭაჭიასთან: – სად იყო მაშინ ბატონი ჭაჭია, როცა ზვიად გამსახურდია და ეროვნული ხელისუფლება ქართული სულიერებისა და ერთიანი საქართველოს გადარჩენისათვის იბრძოდა? იქნებ წინასაარჩევნო ხმებისთვის აღვლენილ დითირამბებს ცოცხალი ზვიად გამსახურდიას გვერდით დგომა სჯობდა? ეს ისე, სხვათა შორის. ახლა კი ისევ ვუბრუნდები ძირითად სათქმელს. ცნობილია, როცა ორატორი ასახელებს გარკვეულ პიროვნებებს, ამით მიანიშნებს, რომ დასახელებული პიროვნებების მოსაზრებები უნდა ემთხვეოდეს ორატორის პრინციპებსა და მოსაზრებებს, მაგრამ ბატონ ჭაჭიასთან საოცარ პარადოქსთან გვაქვს საქმე, რაც ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს მის პოპულიზმზე, რადგანაც გიორგი ჭყონდიდელი, ლავრენტი ბერია და ზვიად გამსახურდია სრულებით არ იზიარებენ ბატონი ჭაჭიას პრინციპულ მოსაზრებებს სამეგრელოსა და მეგრული ენის შესახებ. პირიქით.

მინდა ვკითხო ბატონ ჭაჭიას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გიორგი ჭყონდიდელი რა ენაზე აღავლენდა წირვა-ლოცვას?

– ქართულად!

სრულიად საქართველოს მწიგნობართუხუცესი გიორგი ჭყონდიდელი რა ენაზე წერდა თავის ტრაქტატებს და ბრძანებებს?

– ქართულად!

რა ენაზე ელაპარაკებოდა გიორგი თავის აღსაზრდელს დავით აღმაშენებელს?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

–ქართულად!

რა ენაზე ლოცავდა საომრად მიმავალ ჯარს გიორგი ჭყონდიდელი?

–ქართულად!

ერთიანი საქართველოს ეროვნულ საქმეს როგორ აკეთებდა გიორგი ჭყონდიდელი – „მეგრული ძალის“ ფეოდალების გვერდში დგომით, ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირებით თუ ერთიანი საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლის გვერდით დგომით (კი, დღევანდელი უკანონო, არალეგიტიმური ხელისუფლება შორსაა ეროვნულობისაგან, მაგრამ ეს ხომ დროებითი მოვლენაა)? ასე რომ, გიორგი ჭყონდიდელი ბატონ ჭაჭიას თანამოაზრედ ნამდვილად არ გამოადგება და, წესით, არც უნდა ეხსენებინა. ასევე არ გამოადგება ბატონ ჭაჭიას ლავრენტი ბერია, რადგან, ჭაჭიასაგან განსხვავებით, ლ. ბერია სულაც არ უწყობდა ხელს „მეგრულ კულტურას“, „მეგრულ მწერლობას“და „ძლიერი მეგრული ძალის“ შექმნას, არც მეგრული წიგნების გამოცემისათვის უზრუნვია. პირიქით, მკაცრად ებრძოდა „მეგრულ ძალას“ (სეპარატიზმს, „მაფალუს“, ისაკ ჟვანიასა და სხვებს). რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას, ბატონი ჭაჭიას დიდ სითამამეს და „ხანგრძლივი, მქუხარე ტაშის“ მოხვეჭის სურვილს უნდ მივაწეროთ მის მიერ ზვიად გამსახურდიას ამგვარ კონტექსტში ხსენება, თორემ როგორ დავიჯეროთ, რომ განათლებულ და წიგნიერ ალექსანდრე ჭაჭიას წაკითხული არ ჰქონდეს ბატონი ზვიად გამსახურდიას ნაშრომი ისაკ ჟვანიასა და მის თანამოაზრეებზე. ბატონი ზვიად გამსახურდია ხომ მთელი თავისი მოწამეობრივი ცხოვრებით, შემოქმედებით იმის წინააღმდეგი იყო, რასაც ბატონი ჭაჭია ქადაგებს. დარწმუნებული ვარ, ეს ბატონმა ჭაჭიამაც მშვენივრად იცის, მაგრამ, როგორც ჩანს, იმედოვნებს, რომ გამსახურდიას სახელის ხსენებას „ხანგრძლივი, მქუხარე ტაშის“ გარდა თავის დროზე სამეგრელოს ამომრჩეველთა ხმებიც მოჰყვება.

ვინმეს ხომ არ ჰგონია, სამეგრელოში, მით უმეტეს ზუგდიდში პრიმიტიულად მოაზროვნე ადამიანები ცხოვრობენ და ადვილად წამოეგებიან იაფფასიან პროვოკაციაზე? თავის დროზე ზუგდიდმა გასცა ღირსეული პასუხი „ჭითა ჩხორიას“ პროვოკაციულ გამოხდომებს, ასევე ზუგდიდში დაწვეს არც ისე დიდი ხნის წინ ასევე

პროვოკაციული მიზნით მეგრულ ენაზე გამოცემული გაზეთი „ტორონჯი“ (როგორი მტრედი და ტორონჯი იყო, ამას უმალ მიხვდნენ). სამეგრელომ ბევრჯერ დაამტკიცა, რომ იგი ჭეშმარიტად საქართველოს ხერხემალია და ამ ხერხემალს ვერავინ გადატეხს, ვერც „ჭკვიანი მტერი“ და ვერც „სულელი მოყვარე“.

კიდევ ერთ საკითხს მინდა შევეხო, სადაც ბატონ ჭაჭიას ისევ შეცდომაში შეჰყავს მიმნდობი მსმენელი: მეგრული ფოლკლორის ბედით ვითომდა შეწუხებული ბატონი ჭაჭია პათეტიკური ტონით მიმართავს აუდიტორიას: „გეკითხებით თქვენ და ვეკითხები ქართველ ინტელიგენციას, ფილოლოგებს, ლიტერატორებს, ისტორიკოსებს: – რატომ უნდა დაიკარგოს ეს ზოგადქართული, ზოგადეროვნული სიმდიდრე, ვის ინტერესებში შედის ამ უმდიდრესი საუნჯის დაკარგვა?“ მე მგონი, ეს შეკითხვაც სპეციფიკური აუდიტორიის ხელში ასაყვანად არის გამიზნული, თორემ როგორ დავიჯერო, განათლებულმა ჭაჭიამ არ იცოდეს, თუ სად ინახება ეს საგანძური. ამ საუნჯის სანახავად საკმარისია ეროვნულ ბიბლიოთეკაში და ზოგიერთ სამეცნიერო დაწესებულებაში მისვლა. იქ თავმოყრილია მეგრული ფოლკლორის ნიმუშები, მეგრული სიმღერები, მეგრული ეთნოგრაფიული ნიმუშები და მათ დაკარგვას საფრთხე ნამდვილად არ ემუქრება. მკითხველს ვთავაზობ იმ წიგნების სიას, სადაც თავმოყრილია ეს სიმდიდრე (სპეციალისტებმა ალბათ უფრო მეტი სხვა წყაროებიც იციან):

1. А. Цагарели, “Мингрельские этюды“;

2. И. Кипшидзе, ”Грамматика мингрельского (иверского) азыка;

3. მ. ბერიძე, „მეგრული (ივერიული) ენა“;

4. ს. მაკალათია, „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“;

5. კ. სამუშია, „ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები (მეგრული ნიმუშები);

6. მ. ხუბუა, „მეგრული ტექსტები“;

7. ა. ცანავა, „ქართული ზეპირსიტყვიერების საკითხები“;

8. ტოგო გუდავა, „მეგრული ხალხური სიტყვიერება“ (მეგრული ლექსები თავისი ბწკარედებით)...

ამის გარდა, მეგრული ლექსების ტექსტები ინახება: თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ფოლკლორისტი-

კის კათედრის არქივში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ფოლკლორის განყოფილების არქივში. როგორც აღვნიშნე, ეს სია სრული არ არის. გარდა ამისა, დღესაც ქართველი ფოლკლორისტები და მეცნიერები იწერენ მეგრული ფოლკლორის ნიმუშებს (ამ თემაზე აქტიურად მუშაობს პროფესორი გიზო ჭელიძე). დიდ სითამამედ ნუ ჩამითვლით, თუ დავასახელებ ჩემი ლექსების კრებულსაც – „ძველი კოლხური ჰანგები". ამ კრებულზე თითქმის ათი წელი ვიმუშავე, რომ მეგრული ლექსები გასაგები ყოფილიყო არა მარტო საქართველოს „ერთი მესამედისათვის", არამედ სრულიად საქართველოსათვის. მე მეგრული ლექსები კი არ მითარგმნია, როგორც ზოგიერთები მოითხოვდნენ, არამედ გადმოვაქართულე, უფრო სწორად, მოვახდინე მათ „რეპროდუქცირება" (რამდენად კარგად შევძელი ეს, სხვა საქმეა). ასე რომ, მეგრულ ფოლკლორს დაკარგვის არავითარი საშიშროება არ ემუქრება და ბატონი ჭაჭიას შიშიც გათამაშებული სცენაა და გარკვეულ მიზანს ემსახურება.

* * *

„ახლა მინდა შევეხო ისეთ სათუთ, ასე ვთქვათ, დელიკატურ საკითხს, როგორიცაა მეგრული ენის არსებობა და გამოყენება. საწუხაროა, რომ მე, ქართველი კაცი იძულებული ვარ ერთ-ერთი ქართველური ენის შესახებ, როგორც დელიკატურ საკითხზე, ვილაპარაკო, მაგრამ ფაქტია, რომ წლების განმავლობაში ენა, რომელზედაც ქართველთა ერთი მესამედი ნაწილი ლაპარაკობს, უძველესი ენა, რომლის ლექსიკური მარაგი ერთ-ერთი უმდიდრესია მთელს მსოფლიოში, ქართველების მიერვე ხან დამახინჯებულ ქართულად იწოდება, ხან დიალექტად". რომელ ქართველებზე ლაპარაკობს ბატონი ჭაჭია? იმ დიდ ქართველ მეცნიერებზე, რომელთაც მეგრული ენის სტატუსი დიდი ხანია განსაზღვრეს? – „მეგრული ქართველურ ენათა ჯგუფის ერთი უმწერლობო ლაზური ენის დიალექტია" (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია), „ქართველური ენობრივი განშტოებაა" (აკადემიკოსი შოთა ძიძიგური), „შინაური ლაპარაკო ენაა" (აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი), „Мегри издавно пользуются грузинским литературным языком. Язык безписьменный". (Лингвистический энциклопедический словарь. 1990 г.)

ასევეა მინიშნებული ბრიტანეთის ენციკლოპედიის მასალებში: „მეგრულ ენაზე მოლაპარაკენი თავიანთ სალიტერატურო ენად ქართულს იყენებენ“.

როგორც ვხედავთ, ყველაფერია ნათელი, მაგრამ ბატონ ჭაჭიას თავისი მიზანი აქვს: სპეციფიკური აუდიტორიის ხელში აყვანა, „ხანგრძლივი, მქუხარე ტაშის“ მოხვეჭა. ამიტომ ქართველი თუ საზღვარგარეთელი მეცნიერების მოსაზრებებს არ ცნობს და აუდიტორიის გულის მოსაგებად ამბობს: „არსებობს მეგრული ენა, როგორც სრულფასოვანი ენა (მკითხველს ვთხოვ დაიმახსოვროს– „სრულფასოვანი მეგრული ენა“. – ნ. ჯ.), არსებობს მეგრული ენობრივი კულტურა, როგორც ქართული ენობრივი კულტურის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი“. ბატონი ჭაჭია აქაც ცდილობს მსმენელის დაბნევას. მეგრულს ჯერ სრულფასოვან ენად მოიხსენიებს და იქვე – ქართული ენის შემადგენელ ნაწილად. როგორ შეიძლება „შემადგენელი ნაწილი“ „სრულფასოვანი“ იყოს, მაგრამ ეს სჭირდება, რათა შემდეგ თქვას: „არსებობს და კიდევაც უნდა იქმნებოდეს ლიტერატურული ნაწარმოებები მეგრულ ენაზე“. მეგრულ ენაზე ნაწარმოებების შექმნაში ბატონი ჭაჭია გულისხმობს არა მარტო მეგრულ ლექსებს (ფოლკლორს), არამედ მეგრულ ენაზე დაწერილ რომანებს, პიესებს, მოთხრობებს, ლექსებს, სამეცნიერო ნაშრომებს და სხვა. აკი წერენ გამოჩენილი ქართველი და არა მარტო ქართველი მეცნიერები, მეგრული ენა სწორედ დიალექტი, უმწერლობო, შინაური სალაპარაკო ენაა. მაშ, რა ვქნათ, ვის დავუჯეროთ – ბატონ ჭაჭიას თუ ცნობილ მეცნიერებს? ჩემი აზრით, ბატონი ჭაჭია თავისი მცდარი მოსაზრების დასამტკიცებლად უადგილოდ და არამართებულად ახსენებს აკაკი წერეთელს: „მინდა შეგახსენოთ აკაკი წერეთლის სიტყვები: „მეგრული დღეს სალაროა ნამდვილი ქართული სიტყვებისა, აღმოსავლეთ საქართველოს დღეს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები. მათ ნაცვლად სომხურ-თათრულ-სპარსული შემოსულა, რომელიც ქართველს ყურს ცუდად ეჩხირება და გულს სწყინს და მეგრულ ენაში კი შემონახულან მარგალიტებად ის ძველი სიტყვები („სიტყვები“. – ნ. ჯ.). ჩვენ ვურჩევთ მწერალ-მწიგნობრებს, მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან მოკრებილი სიტყვებით შეივსოს დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი“. აკაკის

ნათქვამს მე დავუმატებდი იაკობ გოგებაშვილის სიტყვებს: „მეგრული ქართული სიტყვებია („სიტყვებია“. – ნ. ჯ.). მეტადრე მეგრული სვანურ ენაში ძალიან ბევრია“. როგორც ვხედავთ, აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი მხოლოდ მეგრულ სიტყვებზე ამახვილებენ ყურადღებას და, ბატონი ჭაჭიასაგან განსხვავებით, სულაც არ ურჩევენ თავიანთ თანამედროვეებს – იონა მეუნარგიას, თედო სახოკიას, დუტუ მეგრელს (ხოშტარიას) თუ სხვებს, თავიანთი რომანები, მოთხრობები, ლექსები მეგრულ ენაზე წერონ. პირიქით, აი, რას წერს იგივე გოგებაშვილი: „მეგრელებს ყოველთვის უყვარდათ გულით ქართული და ბევრმა მეგრელმა გაამდიდრა იგი შესანიშნავი თხზულებებით“. ჭეშმარიტად, განა ერთიანი საქართველოს სიმდიდრე არ არის იოანე მინჩხის, დუტუ მეგრელის, იონა მეუნარგიას, თედო სახოკიას, კონსტანტინე გამსახურდიას, ტერენტი გრანელის, შალვა დადიანის, სიმონ ჩიქოვანის, არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას და სხვათა წიგნები?

ბატონი ჭაჭიას მტკიცება, მეგრულ ენაზე შექმნილი და დაბეჭდილი ლექსები, პოემები, მოთხრობები, რომანები ქართული ლიტერატურის ნაწილი იქნებაო, აშკარად დემაგოგია და თვალში ნაცრის შეყრაა. ამ მცდარი, ანტიეროვნული, ანტიქართული მოსაზრების დასამტკიცებლად ბატონ ჭაჭიას მოჰყავს ესპანეთის მაგალითი, უფრო სწორად, ესპანეთის განუყოფელი ნაწილის – კატალონიელი მწერლების მაგალითი, რაც სრულიად უადგილოა და მსმენელი შეცდომაში შეჰყავს: „კატალონიურ ენაზე წერენ მსოფლიოში სახელგანთქმული მწერლები ესპინასი, ტორესი, პორსელი, მაგრამ ისინი გამოჩენილ ესპანელ მწერლებად ითვლებიან“. ეს არ არის სწორი. ისინი ითვლებიან ესპანეთის მწერლებად, მაგრამ არა ესპანურენოვან მწერლებად. ეს იგივეა, საქართველოში მცხოვრები აფხაზი თუ ოსი მწერალი ქართველ მწერლად მოვიხსენიოთ. კატალონიელები ჯერ კიდევ მე-12 საუკუნიდან კატალონიურ ენაზე წერენ და ბეჭდავენ თავიანთ ნაწარმოებებს. ამიტომ არის ენციკლოპედიაში იგი შეტანილი როგორც „კატალონიური ლიტერატურა“ და არა ესპანური. ესპანეთში ნამყოფი ადამიანები ერთხმად აღნიშნავენ, რომ კატალონიელებს ძალიან არ მოსწონთ, როცა მათ ესპანელებს ეძახიან და არა კატალონიელებს. სამეგრელოში კი... „მეგრელს რომ უთხრა, ქართველი არა ხარო, თავს შეგაკლავს“ (ნიკო

ლორთქიფანიძე).

ნუთუ ბატონი ჭაჭია ვერ ხვდება იმას, თუ რას ნიშნავს მეგრული ენის, კულტურის, ლიტერატურის ცალკე ფენომენად გამოცხადება (არაფერს ცვლის „ზოგადქართულის“ ყასიდად ხსენება, რომელიც უფრო კვალის დაფარვას ემსახურება)? რასაკვირველია, იცის და ეს არის სამწუხარო და სავალალო. ეს ნიშნავს, სამეგრელოს შვილებმა, ბატონი ჭაჭიას აზრით, ერთმა მესამედმა ქართველებმა“, უარი ვთქვათ მერჩულეზე, მთაწმინდელებზე, ცურტაველზე, რუსთაველზე, ბარათაშვილზე, ილიაზე, აკაკიზე, ვაჟაზე, გალაკტიონზე, აგრეთვე კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიებზე, ტერენტი გრანელზე, ლეო ქიაჩელზე, სიმონ ჩიქოვანზე, რადგან ისინი ქართულ ენაზე წერდნენ და არა მეგრულზე.

გათვითცნობიერებული აქვს „თავისუფალი მეგრული ენის“ ან „სხვა ენაზე მოლაპარაკე ერთი მესამედი ქართველების“ უკან რა პრობლემები დგას? სამწუხაროდ, იცის და მაინც ამბობს, რადგან საკითხის ასე დასმას უმალ მოჰყვება კითხვა: – რა ქნან „დანარჩენმა ქართველებმა“, „ერთი მესამედი ქართველების“ ენაზე დაწერილი წიგნი რომ წაიკითხონ? მეგრულს ვერ ისწავლის, ე. ი. მეგრული წიგნი ქართულად უნდა ითარგმნოს. თუ საქმე ისე წავა, როგორც ბატონი ჭაჭია ფიქრობს, „მეგრელი მწერლების“ წიგნები უნდა ითარგმნოს ქართულად (შემდეგ ალბათ სხვა ენებზეც); სულ მალე წიგნების მაღაზიებში რუს, აფხაზ, ოს თუ აზერბაიჯანელ მწერალთა წიგნების გვერდით გამოჩნდება მეგრელი მწერლების წიგნებიც. ალბათ უკურეაქციაც იქნება, – თუ მეგრულიდან ვთარგმნეთ, რატომ არ უნდა ითარგმნოს ქართულიდან მეგრულად? ითარგმნა კიდეც „ვეფხისტყაოსანი“, ხვალ შეიძლება ვინმეს ბიბლიის თარგმნაც მოუნდეს. ბატონ ჭაჭიას აქვს გააზრებული, რას ნიშნავს ეს? ეს უკვე აშკარად ნიშნავს ქართული მენტალიტეტის და ცნობიერების რღვევას, ქართული სულის (სულიერების) გახლეჩას, რადგან ქართული ენა და ბიბლია იყო და არის ის ღვთიური ძალა, რომელიც ადულაბებდა და ადულაბებს ქართულ სულს, ქართულ ცნობიერებას, ქართულ სახელმწიფოებრიობას.

სწორედ ამიტომ ცდილობდა რუსეთი სამეგრელოს სკოლებსა და ეკლესიებში მეგრული ენის შემოღებას. სწორედ ამიტომ ცდილობენ დღეს არძინბა დ ა მისი მიმდევრები აფხაზეთში მცხოვ-

რები მეგრელებისათვის მეგრული ენის შემოღებას. მე არავის არაფერს არ ვაბრალებ, მაგრამ მინდა ვიკითხო: რა ჰქვია იმ ადამიანის საქციელს, რომელიც დღესაც იმის გაკეთებას ცდილობს, რასაც თავის დროზე აკეთებდა და დღესაც აკეთებს იმპერია, რისი გაკეთებაც სურთ აფხაზ სეპარატისტებს? ხომ არ ფიქრობენ ზოგიერთები „სამეგრელოს რესპუბლიკის" პირველი პრეზიდენტის ან მეგრული მწერლობის ფუძემდებლის მანტია მოირგონ?

მაინც, რა სურს ბატონ ჭაჭიას?

ამისათვის საჭიროა გავიხსენოთ და ერთად მოვუყაროთ თავი ყველა იმ სიტყვას, რომელთა დამახსოვრებაც მკითხველს ვთხოვე. მაშ, ასე, ბატონი ჭაჭიას აზრით, არის:

1. მეგრელი ხალხი.
2. სრულფასოვანი მეგრული ენა.
3. მეგრული კულტურა.
4. მეგრული მწერლობა.
5. მეგრული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა.
6. სამეგრელოს დედაქალაქი.
7. ტერიტორიული მთლიანობა ხომ ისედაც არის.

მაშ, რა დარჩა? არც არაფერი და აქ ბატონი ჭაჭია, როგორც იტყვიან, დიდოსტატურ სვლას აკეთებს: „თუ ახალანდელმა ხელისუფლებამ საქართველოს ერთი კუთხე – აფხაზეთი მეგრელებისაგან გაათავისუფლა, ნუ ექნება იმის იმედი, რომ სხვა კუთხეებიდანაც განგვდევნის და რომელიღაც გამოყოფილ სამეგრელოს რესპუბლიკაში მოგვიყრის თავს".

შაბაშ, ჭაჭია! რუბიკონი გალახულია, მეფე შიშველია! ათასგვარი პოლიტიკური მანევრებით თუ სიტყვათა ეკვილიბრისტიკით ბატონმა ჭაჭიამ ბოლოს თქვა ის, რისი თქმაც სურდა: „სამეგრელოს რესპუბლიკა". კიდევ ერთხელ ვადასტურებ ბატონი ჭაჭიას ნიჭიერებას და ვწუხვარ, რომ ეს ნიჭი საქართველოს კეთილ საქმეს არ ხმარდება. თუმცა იმედს მაინც ვიტოვებ, რომ მისი ნიჭი, ცოდნა და გამოცდილება ბოლოს მაინც სწორი გზით წარიმართება და გამოადგება მის კუთხეს – სამეგრელოს და მის სამშობლოს – საქართველოს.

არის თუ არა ბატონ ჭაჭიას ქმედება „განკერძოებისაკენ" სწრაფვა, – დაე, მკითხველმა განსაჯოს.

მაშ, ასე, ბატონმა ჭაჭიამ სამეგრელოს სეპარატიზმის მთელი „სისულელე“ ახლანდელ ხელისუფლებას გადააბრალა, ხელიც შეახოცა და თვითონ მორცხვად განზე გადგა „ხანგრძლივი, მქუხარე ტაშის“ მოლოდინში. შევარდნაძეს დიახაც უნდა სამეგრელოს სეპარატისტობა. მან ეს ჯერ კიდევ მაშინ სცადა, როცა სამეგრელოს ყაჩაღ-ქურდები შეუსია და ღირსებისა და ეროვნული სულიერებისათვის ბრძოლა სეპარატიზმად მონათლა. სამეგრელო მაშინ ამ ანკესზე არ წამოეგო. შევარდნაძე სულაც არ იქნება წინააღმდეგი „სამეგრელოს პრეზიდენტის“ სახელით კიდევ ერთი კოლეგა შეიძინოს, რადგან ეს არის კრემლის სურვილი, რომელიც ცდილობს „ერთი დიდი ლუკმა“ – საქართველო პატარ-პატარა ლუკმებად დაანაწილოს, რომ ადვილად გადაყლაპოს და მოინელოს, კრემლის სურვილები კი შევარდნაძისათვის კანონია.

არც იმაში ვეთანხმები ბატონ ჭაჭიას, როცა ამბობს: „სამეგრელოს გაჭირვებულ და სავალალო მდგომარეობაზე საუბარს ბოლო ათ წელიწადში ერიდებოდნენო“. არა, არ ერიდებოდნენ. შეიძლება, ბატონი ჭაჭია და ზოგიერთი მისი დღევანდელი თანამოაზრე ერიდებოდნენ, მაგრამ არა ჭეშმარიტი პატრიოტები. დახვრეტებისა და დარბევების მიუხედავად ისინი აწყობდნენ საპროტესტო მიტინგებს როგორც თბილისში, ასევე სხვა ქალაქებში. ყველას ახსოვს ვაგზლის მოედანზე გამართული მრავალათასიანი მიტინგები, სადაც ეროვნული ხელისუფლების მხარდაჭერის გარდა მოითხოვდნენ სამეგრელოში სისხლის ღვრის შეწყვეტას. ამ მოთხოვნით მიტინგებზე გამოდიოდნენ არა მარტო სამეგრელოს კუთხის შვილები, არამედ საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლები: ენუქიძეები, ბერუაშვილები, კერესელიძეები, ლომაძეები, ჭავჭავაძეები, დოჭვირები, ძიძიგურები, ჯიშკარიანები, წერეთლები და მრავალნი სხვანი. ანალოგიური მიტინგი (სამეგრელოს დასაცავად) ჩატარდა სხვა ქალაქებში და მათ შორის ახმეტაშიც, სადაც სიტყვით ჩემს გარდა გამოვიდნენ ლია ბურუაშვილი, მამუკა წიკლაური, მაია კერესელიძე, თენგიზ კიკაჩეიშვილი, ადგილობრივი – ახმეტელებიც. მაშინდელ განუკითხაობისა და „მხედრიონის“ თარეშის პირობებში („მხედრიონი“ ფაქტობრივად მართავდა კახეთს) ასეთი მოთხოვნით გამოსვლა ფრიად სახიფათო იყო.

ბოლო ათ წელიწადში, სამეგრელოს დასაცავად ხმა აღუმაღ-

ლებიათ და დღესაც იმაღლებენ: ვახტანგ ბოჭორიშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, თამაზ ვაშაძე, ირაკლი გოცირიძე, ლია ანდღულაძე, ნოდარ წულეისკირი, ირაკლი კენჭოშვილი, გოგი ოჩიაური, ოთარ კობერიძე, რევაზ ურუშაძე, გელა ნიკურაძე, თამაზ ფიფია, ლეილა ცომაია, ბელა შალვაშვილი, დილარ ივარდავა, გივი კვირიკაძე, მიხეილ ჩაჩუა, გივი ცქიტიშვილი, ვიქტორ კახნიაშვილი, მერაბ ხასია და მრავალი სხვა. სად იყვნენ ამ დროს ბატონი ჭაჭია და მისი დღევანდელი თანამოაზრეები, ან სამეგრელოში საარჩევნო ხმებზე მონადირე პოლიტიკოსები, როგორ იცავდნენ ისინი სამეგრელოს ღირსებას მაშინ, ჩემთვის უცნობია. არც მიტინგებზე და არც პრესაში მათი გვარები არ დაფიქსირებულა.

ახლა ზოგიერთ „წვრილმან“ შეცდომებზე, რომლებიც, ჩემი აზრით, ბატონმა ჭაჭიამ დაუშვა და მისი დონის პოლიტიკოსს და პოლიტოლოგს არ უნდა მოსვლოდა: „თუ ახლანდელმა ხელისუფლებამ საქართველოს ერთი კუთხე – აფხაზეთი მეგრელებისაგან გაათავისუფლა“. რას ნიშნავს „მეგრელებისაგან გაათავისუფლა“? რა, მეგრელებს აფხაზეთი დაპყრობილი და ოკუპირებული ჰქონდათ? აფხაზი სეპარატისტებიც ხომ დღედაღამ ამას გაჰყვირიან. თუ ჭაჭია აფხაზეთიდან მეგრელების გამოყრას გულისხმობს, ეს სულ სხვა საქმეა და სხვაგვარად უნდა ითქვას. არძინბამ და მისმა ხროვამ მეგრელებთან ერთად სხვა კუთხეების წარმომადგენლებიც გამოყარა, მათ შორის – ჭეშმარიტი პატრიოტი აფხაზები. ასევე გაუგებარია ჩემთვის ბატონი ჭაჭიას სიტყვები: „დამისახელოს ვინმემ ისეთი პიროვნება ქართულ ისტორიაში, ვისაც აფხაზეთის გაქართველებისათვის მეტი გაუკეთებია, ვიდრე ლავრენტი ბერიას“. რას ნიშნავს „აფხაზეთის გაქართველება“?განა ის ძირძველი ნამდვილი აფხაზები (და არა აფსუები) ქართველები, ქართველური ტომები არ იყვნენ? აფხაზეთიც ხომ ისეთი კუთხე იყო (და არის) საქართველოსი, როგორიც საქართველოს სხვა კუთხეები. განა შეიძლება ვთქვათ: კახეთის გაქართველება, იმერეთის გაქართველება, გურიის გაქართველება, სამეგრელოს გაქართველება? რა გაქართველება სჭირდებოდათ შარვაშიძეებს, მარშანიებს, ანჩაბაძეებს, ლაკერბაიებს და სხვა ჭეშმარიტ აფხაზებს? თუ საუბარია არძინბას მსგავს ადამიანებზე, ისინი არასოდეს ყოფილან და არც იქნებიან ქართველები. ჭეშმარიტ აფხაზებთან, პატიოსან ადამიანთა ერთად ცხოვრება კი

აუცილებელია და იცხოვრებენ კიდეც, რომ არა ჩვენი საერთო მტერი – იმპერია, რომელიც ცდილობს საქართველოში მცხოვრები ეთნოსების დაპირისპირებას, ცალ-ცალკე გადაყლაპვას და მონელებას.

ბატონი ჭაჭიას კიდევ ერთი გამონათქვამი: „ჩვენ გვაერთიანებს საკუთარი ხალხის მიმართ სიყვარული“. ეს როგორ, ვინც ამ საზოგადოებაში არ არის გაერთიანებული, იმათ ჩვენი კუთხე არ გვიყვარს? უამრავი ადამიანი შეეწირა სამეგრელოს ღირსებას, ერთიანი საქართველოს დაცვის საქმეს ისე, რომ არც ერთი საზოგადოების წევრი არ ყოფილა. არც მე ვარ რომელიმე პარტიის ან საზოგადოების წევრი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, ჩემი კუთხე და ჩემი ქვეყანა ვინმეზე ნაკლებად მიყვარდეს (ეტყობა, ბატონ ჭაჭიასა და მე კუთხისა და ქვეყნის სიყვარული სხვადასხვაგვარად გვესმის). ყველა იმას ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია და მე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა იმაზე, თუ როგორ შევძელი ამ სიყვარულის გამოხატვა, მაგრამ არა თავის გამოჩენის ან თავის მართლების მიზნით. მე მონაწილე ვიყავი და ვარ თითქმის ყველა იმ საპროტესტო მიტინგისა და აქციისა, რომელიც ტარდებოდა თბილისში და სხვა ქალაქებში საქართველოს ეროვნული ხელისუფლების, კანონიერების, სამართლიანობის და, რა თქმა უნდა, სამეგრელოს დასაცავად, რისთვისაც არ დამკლებია ცემა-ტყეპა, არც სახლში თავდასხმა, არც დაპატიმრება. მონაწილე ვარ ყველა დარბეული თუ დახვრეტილი მიტინგისა. ბოლო წლებში გამოქვეყნებული მაქვს სამეგრელოს დასაცავი რვა პუბლიკაცია. მაგალითად, „კაბადონში“ (1992 წ. 28 მაისი, 1993 წ. 10 მარტი) პასუხი გავეცი ერთ-ერთ პოპულარულ პიროვნებას სამეგრელოზე შერაცხმყოფელი და დამამცირებელი წერილის გამო. პასუხი გავეცი ერთ ცნობილ პროფესორს, რომელიც პუტჩისტებსა და „დანარჩენ საქართველოს“ მოუწოდებდა სამეგრელოს დალაშქვრისაკენ. (გაზეთი „საქართველოს სამრეკლო, №12, 7 აპრილი, 1993 წელი). უპასუხოდ არ დამიტოვებია ერთი კარის პოეტის გამოხდომა, რომელმაც მეგრელ ქალებს „კაბაწამოხდილები“ უწოდა. ანალოგიური შინაარსისაა სხვა წერილებიც. თითქმის ათი წელი მოვანდომე ლექსების კრებულს „ძველი კოლხური ჰანგები“, სადაც

ვეცადე არა მარტო „ერთი მესამედი ქართველობისათვის“, არამედ სრულიად საქართველოს ყველა კუთხისათვის გასაგები ყოფილიყო მეგრული ფოლკლორი. გამოვაქვეყნე სამეგრელოსადმი მიძღვნილი ლექსების ციკლი. მეუხერხულება, მაგრამ ესეც უნდა ვთქვა: როცა სამეგრელოს სტიქიური უბედურება დაატყდა თავს და დიდმა წყალდიდობამ გადაურა, პირველი დღიდანვე იქ ვიყავი და ფიზიკური დახმარების გარდა ვწერდი გამამხნევებელ ლექსებს, წერილებს, ორი წლის განმავლობაში ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ჩემი ლექსების თუ სტატიების ჰონორარი ირიცხებოდა წყალდიდობით დაზარალებული სამეგრელოს დახმარების ფონდში.

1995 წელს იძულებული გავხდი გამეყიდა ბინა. იმ ფულის ნაწილით დავაარსე გაზეთი „ლაშარის გორი“, რომელმაც, იმედი მაქვს, თავისი მცირეოდენი წვლილი შეიტანა ეროვნული მოძრაობის საქმეში. „ლაშარის გორის“ ფურცლებზე სხვა მასალებთან ერთად სისტემატურად იბეჭდებოდა წერილები სამეგრელოს შესახებ, სადაც ყოველნაირად ვამხელდით ანტიეროვნული ხელისუფლების დანაშაულებრივ ქმედებებს სამეგრელოში, ვიცავდით სამეგრელოს შელახულ ღირსებას, ხშირად ვუთმობდით გაზეთის ფურცლებს ამ ღირსებისათვის მებრძოლებს. იმდროინდელი რეპრესიებისა და ზეწოლის მიუხედავად, გაზეთმა წელიწადნახევარს იარსება. რადგანაც გაზეთს არ გამოუჩნდა სპონსორი, „ლაშარის გორის“ გამოცემა შეჩერდა.

ვეთანხმები ბატონი ალექსანდრეს აზრს: „ნებისმიერი მეგრელისათვის საქართველოს სიყვარული სამეგრელოთი იწყებაო“. ბატონი ჭაჭიას რჩევამდე 15 წლით ადრე დავწერე და დავბეჭდე ლექსი „ჩემი კოლხეთი“, რომელსაც დღევანდელ მკითხველებსაც ვთავაზობ:

ვეფერე და ვესათუთე
საქართველოს ყველა კუთხეს.
ახლა ლექსებს, შენზე უთქმელს,
ოცნებებით ღამეს ვუთევ.
ღამეს ვუთევ ილორს, ჭყონდიდს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარტვილს, ცისკენ ხელებგაწვდილს.
მე პირველად მაშინ ვცხონდი,
შენს მიწაზე როცა გავჩნდი.

და ის მიწა, ის მზე, ის ცა,
შენ პირველად რომ მაჩვენე,
შემდეგ საქართველოდ იქცა
და აქამდე არ მასვენებს.

მინდვრები და შენი ზვრები
ავგაროზად გულს მეკიდა,
იწყებოდა ყველა გზები
შენი ვიწრო ბილიკიდან.

ყველა კოშკს და ყველა ციხეს,
მთაწმინდას და ნიკორწმინდას
ვეფერე და ველაციცე
რუხის კოშკის ქონგურიდან.

შენი მზე და შენი მთვარე
მიუძღოდა ლექსის გუთანს,
შორი გზებით მოგიარე,
რადგან ახლოს მყავდი გულთან.

ჩემო ზარო, ჩემო ლხინო,
სიმღერავ და ცრემლო ჩემო,
იცი, წლები ლექსს და ღვინოს
უფრო მატებს ფერს და გემოს.

სიტყვის ზვარში შენით შეველ,
შენი ჰანგით, ფერით, ხმებით,
ისევ შენ თუ არ მიშველე,
თიხასავით დავიშლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავიწყდები, სულო, განა,
თუკი ხშირად არ გახსენებ?
მომიყვანა შენმა „ნანამ“,
შენი „ბატა“ გამასვენებს.

დიახ, მე იმ დიდი მუხის ერთი ტოტი ვარ, რომელსაც საქართველო ჰქვია და რომლის ფესვები ნიკოფსიიდან დარუბანდამდეა გაძარღვული და განფენილი; იმ ერის შვილი ვარ, რომლის მწერლობა მე-4 საუკუნიდან იწყება. მე ჩემი თავი მიმაჩნია იმ კულტურის და მწერლობის მემკვიდრედ, ვინც დაწერა „შუშანიკის წამება“, „ვეფხისტყაოსანი“, „ბალადა ვეფხისა და მოყმისა“, ვინც დაწერა „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისა“, ვინც შექმნა ვარძია, გელათი, ყინწვისი, ბედია, ჭყონდიდი, ვინც მოიგო დიდგორისა და ბასიანის ომები. მე ვარ შთამომავალი ერთიან საქართველოზე მოფიქრალი ფარნავაზისა და ქუჯის, ცოტნე დადიანის და სამასი არაგველის, ცხრა ძმა ხერხეულიძის და ბერი თევდორესი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას გვარ-ტომის – ყველა იმათი, ვინც იბრძოდა, იბრძვის ან მომავალში იბრძოლებს ერთიანი, თავისუფალი, აყვავებული და დემოკრატიული საქართველოსათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ახალი ერა“, №67-69, სექტემბერი, 2001 წ.

ეშმაკები უპატრონო ეკლესიაში ანუ ეროვნული იდეის ფალსიფიკატორები

ამ წერილის დაწერა დიდი ხანია მინდოდა. ბატონი ვახტანგ გოგუაძის აურაცხელმა ინტერვიუებმა და განსაკუთრებით „ახალ თაობაში“ გამოქვეყნებულმა სერიალებმა ეს სურვილი გაამძაფრა და დააჩქარა. ბატონი ვახტანგი ისევ და ისევ ჯიუტად აფიქსირებს თავის ცალსახა დამოკიდებულებას რუსეთთან ურთიერთობაში. რასაკვირველია, ყველა ადამიანი თავის არჩევანში თავისუფალია, მაგრამ როცა საქმე ეხება არა კონკრეტულ პიროვნებას, არამედ ქვეყანას, საზოგადოებას, გაჩუმება არ შეიძლება, რადგან ის ქვეყანა, რომელსაც ბატონი ვახტანგ გოგუაძე და მისი კომპანია სარუსეთოდ ამზადებენ, ჩემი სამშობლოცაა, ის ხალხი, რომელსაც ისინი ისევ რუსეთის მონობისათვის აქეზებენ, ჩვენი ხალხიცაა და მეც ამ ხალხის ნაწილი ვარ, ე. ი. მეც მეხება. ამიტომ გადავწყვიტე ამ წერილის დაწერა.

ბატონ ვახტანგს და მის კომპანიას (ავთანდილ მარგიანი, ვალერი კვარაცხელია და სხვ.) შეუძლია ვინც უნდა ის უყვარდეს, თუნდაც „მისი რუსეთი“, პუტინი, ზიუგანოვი თუ ბალტინი, მაგრამ რა უფლებით გამოდიან ხალხის სახელით, თავიანთ პირად მოსაზრებას რა უფლებით აცხადებენ ქართველი ხალხის სურვილად და, რაც მთავარია (რამაც ეს წერილი დამაწერინა), რა უფლებით აცხადებენ თავიანთ თანამოაზრეებად დავით აღმაშენებელს, ილია ჭავჭავაძეს და თვით ერეკლე მეორესაც კი?! რა უფლებით აცხადებენ, რომ ისინი სწორედ იმათ გზას მიჰყვებიან და სწორედ ამ გზით უნდა წავიდეს (უნდა წაიყვანონ) საქართველო?! მათი ამგვარი თამამი განცხადების საფუძველი ჩვენი დღევანდელი სამშობლოა, დაბეჩავებული ეკონომიკურად და მორალურად განადგურებული საქართველო, რაშიც შევარდნაძესთან ერთად ლომის წილი ვახტანგ გოგუაძესა და მის კომპანიასაც მიუძღვის. დღეს კი იქედნურად ეუბნებიან ხალხს: „რუსეთთან ყოფნა და საბჭოთა ცხოვრება ხომ სჯობდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელ ყოფასო“. კი, სჯობდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო ამ დღემდე ეროვნული დამოუკიდებლობის იდეამ და თავისუფლების სურვილმა მიიყვანა. იქნებ ყველაფერი ეს დღეს ხელისუფლებაში მოკალათებული კორუმპირებული (სახეშეცვლილი) კომუნისტების ქვეშქვეშა, ფარული და ვერაგული პოლიტიკაა, რომ ხალხს ამგვარი გაუსაძლისი ცხოვრებით ეროვნული იდეოლოგია შეაძულონ, თავისუფლების იდეას სახელი გაუტეხონ და ისევ მონობა და რუსეთის ჩექმა მოანატრონ, აქაოდა, ხომ ხედავთ, ეროვნული დამოუკიდებლობით არაფერი გამოდის, არ გაამართლა და ისევ ძველ გზას და ბატონებს დავუბრუნდეთო, და ამით შეინარჩუნონ ის მილიონები, რაც ქვეყანას და ხალხს წაჰღლიტეს. ამგვარი ვერაგული პოლიტიკა გაცილებით უარესია, ვიდრე ეროვნული დამოუკიდებლობის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლა და რეპრესიები. ასე რომ, შევარდნაძისტებისა და გოგუაძისტების პოლიტიკა ერთი მედლის ორი მხარეა, ერთ მიზანს ემსახურება: მზე ისევ ჩრდილოეთიდან ამოიყვანონ. გოგუაძე და მისი კომპანია ამის გაკეთებას სიტყვებით ცდილობს, დღევანდელი ხელისუფლება შევარდნაძის მეთაურობით – ხალხის ამ გაუბედურებულ მდგომარეობამდე მიყვანით. ასე რომ, ერთ არც თუ ისე მშვენიერ დღეს ვითომ ერთმანეთთან დაპირისპირებული ეს ძველი კომუნისტური ნომეკლატურა შეიძლება ისევ ერთად ვიხილოთ.

კიდევ ერთმა ფაქტმა მაიძულა ამ წერილის დაწერა – ვახტანგ გოგუაძის მტკიცებამ, რომ მან „სამეგრელო განადგურებისაგან გადაარჩინა“. გაოცებული ვარ, ენა როგორ მოუბრუნდა ამის სათქმელად ვახტანგ გოგუაძეს, რადგან სამეგრელოს შესეული ყაჩაღქურდები სწორედ მისი სპიკერობის დროს იყვნენ „დაკვალიანებულნი“, ხოლო მისი და მისი კომპანიის მიერ მოწვეული ბალტინის ჯარისკაცები სწორედ იმ ყაჩაღებს ამოუდგნენ გვერდით და არა კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებიც სამეგრელოსა და სრულიად საქართველოს გადარჩენას ცდილობდნენ. სამეგრელოში წინააღმდეგობა შეწყდა არა ვახტანგ გოგუაძის მცდელობით, არამედ იმიტომ, რომ კანონიერი ხელისუფლების დამცველები მიხვდნენ, ვახტანგ გოგუაძის და მისი კომპანიის რუსეთის უზარმაზარ და, რაც მთავარია, უზნეო არმიასთან ბრძოლა უაზრობა და ზედმეტი სისხლის ღვრა იქნებოდა. ქართველების სი-

სხლის დაღვრას საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა საკუთარი სისხლის დაღვრა არჩია და შეეწირა კიდევ თავისი ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლას. ასე რომ, ვახტანგ გოგუაძის მცდელობა, ტანზე მოირგოს „სამეგრელოს გადამრჩენის“ მანტია, მხოლოდ უზნეობაა და მეტი არაფერი.

* * *

ახლა თანმიმდევრობით მივყვეთ იმ „არგუმენტებს და ფაქტებს“, რომლებსაც ვახტანგ გოგუაძე და მის კომპანია იყენებს.

პირველი: ეს არის იმის მტკიცება, თითქოს საქართველო რუსეთთან შეერთებამ გადაარჩინა ფიზიკურ განადგურებას. რამდენად სწორია ეს? დავიწყებ იმით, რომ ვახტანგ გოგუაძე თავიდანვე არასწორ ინფორმაციას აწვდის მკითხველს თუ მსმენელს, როცა აცხადებს (და ალბათ არა შემთხვევით), საქათველოს მოსახლეობა რუსეთთან შეერთების დროს 500 ათასი იყოო. ამგვარი ციფრი თვით საბჭოთა დემოგრაფიულ წიგნებშიც იშვიათად არის დაფიქსირებული. რეალურად 650 ათასიდან 700 ათასამდე ასახელებენ. ზოგიერთ მკვლევარს იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობა 800 ათასამდეც აჰყავს. აზრთა ეს სხვადასხვაობა და ეს არარეალური ციფრები გამოიწვია იმან, რომ აღწერის დროს რუსები „გრუზინებად“ არ წერდნენ იმერლებს, მეგრელებს, აჭარლებს, გურულებს, ფშაველებს, ხევსურებს, თუშებს, სვანებს. ხედავთ, საიდან მოდის საქართველოს დაშლისა და დანაწილების იმპერიულ ვერაგობა, რომლის ნაყოფს დღესაც ვიმკით? მაგრამ... დავუშვათ და იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობა მართლაც 650 ათასი იყო, რასაც უმეტესობა იზიარებს, რატომ წერს ბატონი ვახტანგი 500 ათასს? იმიტომ, რომ საქართველოს იმდროინდელი სიტუაცია უფრო გაამძაფროს და ამ ფონზე რუსეთის კეთილშობილება და საქართველოზე მზრუნველობა უფრო გამოაჩინოს, აქაოდა, ნახევარმილიონიანი საქართველო რუსეთის წყალობით გამრავლდა და ფიზიკურ განადგურებას გადაურჩაო. ესაა იაფფასიანი ფანდი...

ისტორიულად ცნობილია, რომ არც ერთი დამპყრობელი არ ზრუნავს დაპყრობილი ერის გამრავლებაზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ადგილობრივ იაფ სამუშაო ძალას, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში დამპყრობელს დაპყრობილ ქვეყანაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჭირდება. ჯერ კიდევ ძველ რომში ხელისუფლება მონებს გარკვეულ თანხას აძლევდა, რომ მათ ოჯახები შეექმნათ, შვილები გაეჩინათ და თავიანთი შემცვლელები დაეტოვებინათ. ყველა დამპყრობლის სურვილი იყო და არის დაპყრობილი ქვეყნის (ერების) ეროვნული და ენობრივი ასიმილაცია, ურჩების ამოწყვეტა. ამას აკეთებდა და აკეთებს ყველა კოლონიზატორი და მათ შორის რუსეთიც.

დავუბრუნდეთ ისევ ძირითად სათქმელს.

ვთქვათ, საქართველოს მოსახლეობა 1800 წელს შეადგენდა 650 ათასს, როგორც ამას დემოგრაფთა უმრავლესობა მიიჩნევს. ამ 650 ათასიდან ქართველი იყო 89 პროცენტი. ასი წლის შემდეგ, ე.ი. 1900 წელს, როცა იწერებოდა ილია ჭავჭავაძის „ასი წლის შემდეგ" (რომელიც ასე ეიმედება ბატონ ვახტანგს და რომელზედაც ქვემოთ დაწვრილებით ვილაპარაკებ), საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა დაახლოებით მილიონ ცხრაას ათასს, მაგრამ ქართველთა რაოდენობა 89-ის ნაცვლად 67 პროცენტი იყო; ისიც ცნობილია, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში არაქართველთა ჩამოსახლების ინიციატორები ყოველთვის იმპერიის ჩინოვნიკები იყვნენ.

კიდევ ერთი ცნობა. 1801 წლს, როცა რუსეთმა მიიერთა საქართველო, ამიერკავკასიაში ქართველების რაოდენობა 43 პროცენტი იყო. ასი წლის შემდეგ, ე. ი. 1900 წელს – 28 პროცენტი. არის თუ არა ეს ციფრები იმის დამადასტურებელი, რომ რუსეთი ამიერკავკასიაში „ერთმორმწუნე" საქართველოს მიმართ განსაკუთრებულ „სიყვარულს" და ყურადღებას იჩენდა, რის დამტკიცებაც სურთ ბატონ ვახტანგს და მის კომპანიას?!

რატომ არიან დარწმუნებული ბატონი ვახტანგი და მისი თანამოაზრეები, რომ საქართველო ურუსეთოდ ამოწყდებოდა და გადაშენდებოდა? ჩაატარა ბატონმა ვახტანგმა და მისმა კომპანიამ მეცნიერული კვლევა-ძიება იმისა, თუ რამ გადაარჩინა სხვა იმპერიების (დიდი ბრიტანეთი, ოსმალეთი, ესპანეთი, საფრანგეთი). შემადგენლობაში მყოფი ერები ფიზიკურ განადგურებას? თითოეროლა მაგალითი იყო, როცა სუსტმა ერებმა ვერ გაუძლეს ზეწოლას, მაგრამ რატომ ჰგონიათ ბატონ ვახტანგსა და მის ამყოლებს, რომ 3000-წლიანი სახელმწიფოებრიობის მქონე, ათასჭირგამოვლილი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი რუსეთზე იყო დამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდებული?! დემოგრაფიის სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ერის (ადამიანების) გადარჩენა და გამრავლება ბევრ რამეზეა დამოკიდებული. მაგალითად, მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ ამოუხსნელია ის ფაქტი, რომ ომის შემდეგ გაცილებით მეტი იბადებიან ბიჭები, ვიდრე გოგონები(ამ თემას ეძღვნება ილიას ერთ-ერთი წერილი და არა მგონია, ესეც შემთხვევითი იყოს). ასე რომ, ერის გადარჩენა უპირველესად ღვთის ნებაა და შემდეგ ერის გამძლეობაზეცაა დამოკიდებული. როგორც ჩანს, მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ღმერთმა არ გაწირა და არც მომავალში გაწირავს. რაც შეეხება გამძლეობას, ალბათ ანგარიშგასაწევია ადამ სმიტის სიტყვებიც: „ნახევრად დამშეული ზემო შოტლანდიელი დედაკაცი ხშირად ოცზე მეტ ბავშვს აჩენს, მაშინ როცა კარგად ნაკვებ ნარნარა ქალბატონს ერთის გაჩენაც არ ძალუძს და, ჩვეულებრივ, იგი ორი და სამი ბავშვის შემდეგ გამოფიტულია“. როგორც აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი წერს: „ადამიანის, როგორც მშობლის, მოქალაქის ფორმირებაზე გავლენას ახდენს თვით მისი, როგორც ინდივიდის და მისი ხალხის, როგორც საზოგადოების წარსული, ასევე მუდამ ცვალებადი თანამედროვე ყოფიერება“. „წარსულისა და ყოფიერების“ სწორად აღქმის უნარი ქართველ კაცს არასოდეს დაუკარგავს. საქართველოს ისტორია იყო გამუდმებული ბრძოლა თვითგადარჩენისათვის. ყოველდღიური ყოფიერება კი ქართველი კაცის დაუღალავი ზრუნვაა თვითდამკვიდრებისათვის, რასაკვირველია, ღვთისა და მომავლის იმედით, რომელიც მას არასოდეს დაუკარგავს. ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ არა მარტო დამშეული, არამედ კარგად ნაკვები ნარნარა თავადის ქალბატონებიც არ გაურბოდნენ მრავალშვილიანობას, მათ შორის საქართველოს სამეფო კარზეც. მაგალითად მეფე ერეკლეც კმარა. ნიკოლოზ ბარათაშვილის მშობლებმა 14 შვილი გააჩინეს. ზაქარია ფალიაშვილი თავისი მშობლების 16 შვილიდან რიგით მეთოთხმეტე იყო. ეს ტრადიცია საქართველოში გრძელდებოდა. ირაკლი აბაშიძის მშობლებს 11 შვილი ჰყავდათ. „ცუდად ნაკვებმა“ ზარანდიებმა 17 შვილი მოუვლინეს ქვეყანას. ასე რომ, არა მგონია, საქართველოს და ქართველი ერის გადარჩენასა და გამრავლებაში დიდი წვლილი რუსეთის იმპერიას მიუძღოდეს. ეს ჩემი მოსაზრებაა, საერთოდ, ეს ისეთი დიდი თემაა, რომელიც მომავალში თავის სერიოზულ მკვლევარს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერულად დასაბუთებულ პასუხს ელის.

ბატონი ვახტანგი და მისი თანამოაზრეები ასევე ხშირად წერენ, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებამ ქართველ ხალხს გარეშე მტრები ჩამოაცილა და მშვიდობა მოუტანა. ამგვარ მშვიდობაზე კარგად ამბობს ილია ჭავჭავაძე მისივე ლელთ ღუნიას სიტყვებით:

„აწინა?... ერთობა სადა არნ? რუსობაჩი ვარნ. აწინა ყველაი გაცუდდის...

– მაშ, უწინდელი დაწყობა და დრო უკეთესი იყო?

– რაიდ არა?

– რით იყო უკეთესი?

– ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ...

– ახლა მშვიდობიანობა არის?

– რაის ვაქნევ ცარიალ მშვიდობას ცარიელ სტომაქით. რაი არნ მშვიდობა? უხმარ სიტყვას ჟანგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჭია-ჭუანი, ქვემძრომი გამრავლდის, უდეგარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცის! რაი არნ მშვიდობა ცოცხალ კაცთათვის? რა არნ მტერობა თუ ერი ერობს? ცარიელ მშვიდობა მიწაჩიც გვყოფნის“.

არც ლელთ ღუნიას მიერ დაწუნებული „მშვიდობა“ მოუტანიათ რუსებს უანგაროდ და „ერთმორმწუნე“ საქართველოს სიყვარულით. მისი საქციელი ჰგავდა იმ ქოფაკს, თავის ლუკმას სხვას რომ არ უთმობს.

საქართველომ გარეშე მტრებისაგან კი „დაისვენა“ მაგრამ ქართველის სისხლი მაინც იღვრებოდა და უკვე არა საქართველოს თავისუფლებისათვის, არამედ იმპერიის გასაძლიერებლად გაჩაღებულ ომებში. ეს სისხლი იღვრებოდა მაშინაც, როცა თავისუფლებისათვის აჯანყებულ ქართველებს საკუთარ სისხლში ახრჩობდნენ ველიამინოვები, ალიხანოვ-ავარსკები, როდიონოვები... რით სჯობდა სახრჩობელები და რუსული ხიშტი ასკერის ხმალს? არც იმაში ვეთანხმები ბატონ ვახტანგს, რუსმა ჯარისკაცებმა საქართველოსათვის სისხლი დაღვარესო რომ ბრძანებს. პატივი მივაგოთ რუსი ჯარისკაცების სისხლს, მაგრამ ეს სისხლი რუსეთის ხელისუფლებამ, უპირველესად, რუსეთის იმპერიისათვის დაღვარა და არა საქართველოსათვის, რადგან საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო. მაგრამ საკითხავია: რისთვის ან ვისთვის დაიღვარა

350 ათასი ქართველის სისხლი სტალინგრადში თუ ქერჩში? შაბ-
აბასმა საქართველოდან 80 ათასი ოჯახი გაასახლა და ამას დღემდე
მივსტირით. ვინ გამოყარა ქართველები აფხაზეთიდან და სამაჩაბ-
ლოდან? ვინ აქცია საკუთარ სამშობლოში 300 ათასი ქართველი
ლტოლვილად? ვისმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ბლოკადამ
გააქცია საქართველოდან მილიონზე მეტი ქართველი? ბატონი ვახ-
ტანგის „რკინისებური ლოგიკის" ძალით, ამაში ბრალი მიუძღვის
დასავლეთს და „ცეერუს" აგენტებს ანუ „ცუდ რუსებს". „კარგ და
ცუდ" რუსებზე ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ, ოღონდ ერთი მინდა
ვკითხო ბატონ ვახტანგს: იმდროინდელი „ცუდი რუსების" საქცი-
ელი ვის დავაბრალოთ, როცა ამ ქვეყნად არა თუ „ცეერუ", თვით
ამერიკის სახელმწიფოც არ არსებობდა?

კიდევ ერთ სტატისტიკურ ცნობას შევთავაზებ ბატონ ვახტა-
ნგს. 30 -37 წლების რეპრესიებმა საქართველოში 150 ათასამდე
ადამიანი (საუკეთესო ნაწილი) შეიწირა. მეორე მსოფლიო ომს,
როგორც ცნობილია, 350 ათასი. თუ მათ შევაჯამებთ, ნახევარი მი-
ლიონია, ე. ი. იმდენი, რამდენიც ვახტანგ გოგუაძის დაანგარიშებით
საქართველოს მოსახლეობა იყო რუსეთთან შეერთების დროს. არ
ვიცი, არსებობს თუ არა სტატისტიკური მონაცემები მაგრამ არა
მგონია, საქართველოს მრავალსაუკუნოვანი არსებობის პერიოდში
წარმოებულ ომებში საქართველოს მეფეებს, ყველას ერთად, ამაზე
მეტი ადამიანი დაჰხოცოდათ. ეს ნახევარი მილიონი ადამიანი დაი-
ხოცა 30-წლიან მონაკვეთში. ნუთუ ეს არაფერს ეუბნება ვახტანგ
გოგუაძეს და მის კოლეგებს? ხომ იბადება ძალიან მარტივი კითხვა:
რომ არ ყოფილიყო საქართველო რუსეთზე მიბმული (რაშიც ვახ-
ტანგ გოგუაძის სულიერ წინაპრებს დიდი წვლილი მიუძღვით), ხომ
ასცდებოდა ამ გოლგოთას საქართველო და ქართველი ხალხი?

* * *

მივადექით ძირითად სათქმელს.
დავით აღმაშენებელი!
ილია ჭავჭავაძე!
მეფე ერეკლე!

აი, ის პიროვნებები, რომელთა მიტაცებას და გამოყენებას
ცდილობს ვახტანგ გოგუაძე და მისი ამქარი. ამ დიდებული ადამი-

ანების სახელებს დროშებივით აფრიალებენ და ქართველ ხალხს ურცხვად უმტკიცებენ: ჩვენ მათი მიმდევრები ვართ და მათ გზას მივყვებითო.

ეს არის სიცრუე და დემაგოგია.

არც დავით აღმაშენებელი, არც ილია ჭავჭავაძე, არც საქართველოს თავისუფლებისათვის უამრავი ჭრილობით ტანდასერილი (და რუსეთისაგან ვერაგულად მოტყუებული) მეფე ერეკლე არ იქნება მათი დროშა და მეგზური. თავიანთი დროშა და სულიერი წინაპრები მათ სხვაგან უნდა ეძებონ...

შადიმანებში, ყორღანოვებში, ბერბიჭაშვილებში, ორჯონიკიძეებში...

ისევ მინდა გავიმეორო: ვახტანგ გოგუაძეს და მის კომპანიას უფლება აქვთ პიროვნულად ვინც უნდათ ის შეიყვარონ, მაგრამ ქართველი ხალხის სალოცავ სახელებს სასპეკულანტოდ, სამასხარაოდ და საჯაყოდ არ დავუთმობთ. მათი მცდელობა და სურვილი, ეს წმინდა სახელები ამოშალონ თავისუფლებისმოყვარე ქართველი კაცის ცნობიერებიდან და მონობისა და მორჩილების აპოლოგეტებად აქციონ, უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე დროებით დაკარგული აფხაზეთი და სამაჩაბლო. რადგან სწორედ მათი სახელებითა და მათი მოძღვრებით გაჯერებულმა ეროვნულმა ცნობიერებამ უნდა დაგვაბრუნებინოს აფხაზეთიც და სამაჩაბლოც. სწორედ დავით აღმაშენებლისა და ილია ჭავჭავაძის სახელითა და დროშით უნდა დაიცვას ჭეშმარიტმა საქართველომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ხოლო რასაც ვახტანგ გოგუაძე და მისი თანამოაზრეები ქადაგებენ, ეს მათი საკუთარი გზაა და არა იმ დიდი წინაპრების, რომელთა მიტაცებას, მისაკუთრებას და გამოყენებას ისინი ცდილობენ.

* * *

დავით აღმაშენებელი!

თავისუფალი, დამოუკიდებელი, ძლიერი და ამაყი საქართველოს სიმბოლო როგორ შეიძლება ხელმოცარულმა პოლიტიკოსებმა მონობის და მორჩილების სიმბოლოდ აქციონ?! ამაზე ლაპარაკი კი არა, გაფიქრებაც სამარცხვინოა და სიტყვას არც მე გავაგრძელებ.

რაც შეეხება მეფე ერკელეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ ჰგონიათ ვახტანგ გოგუაძეს და მის კომპანიას, რომ ესენი ერეკლეს გზას მიჰყვებიან? ერეკლემ „გეორგიევსკის ტრაქტატს“ რომ მოაწერა ხელი, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ერეკლეს გზა მხოლოდ რუსეთისკენ მიდიოდა (ანალოგიური გარიგება მას, თავის დროზე, სპარსეთთანაც ჰქონდა), ერეკლე პოლიტიკოსი იყო, პოლიტიკოსისათვის კი, როგორც ამბობენ, მუდმივი მტრები და მეგობრები არ არსებობენ. არის მუდმივი ინტერესები, რომლის დაცვას პოლიტიკოსი სხვადსხვა ფორმებით და საშუალებით ცდილობს. საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, მეფე ერეკლემ იმ დროისათვის, ხაზს ვუსვამ, იმ დროისათვის ნამდვილად საჭირო და სწორი კურსი აირჩია, ანუ როგორც ისტორიკოსები წერენ, „დიდ ბოროტებას მცირე ბოროტება არჩია“. „გეორგიევსკის ტრაქტატის“ თანახმად, რუსეთი საქართველოს მოკავშირე და მფარველი უნდა ყოფილიყო და არა დამპყრობელი. რუსეთს საქართველო უნდა დაეცვა გარეშე მტრებისაგან, არ უნდა ჩარეულიყო საქართველოს შინაურ საქმეებში, ასევე, საეკლესიო ცხოვრებაში, ერთად უნდა ებრძოლათ საერთო მტრის წინააღმდეგ. სამეფო ტახტზე აუცილებლად უნდა დაემტკიცებინათ ერეკლეს მემკვიდრეები. საქართველოს საზღვრების ხელშეუხლებლობის გარანტად, სიმბოლურად, საქართველოში უნდა მდგარიყო რუსეთის ორი ბატალიონი.

ეს იყო „ერეკლეს გზა“.

ამგვარ ხელშეკრულებაზე არც დღევანდელი საქართველო იტყოდა უარს. მითუმეტეს, ანალოგიური ხელშეკრულებები საქართველოს მეფეებს სხვა დროსაც ჰქონდათ დადებული სხვა სახელმწიფოებთან (ბიზანტია, სპარსეთი, ოსმალეთი). კიდევ ვიმეორებ: ეს იყო ერეკლეს გზა და ეს გზა ერეკლეს სიკვდილთან ერთად დამთავრდა. შემდეგ რაც მოხდა, ეს იყო არა ერეკლეს, არამედ „გულკეთილი, მაგრამ სუსტი მეფე გიორგის გზა“ (ილია ჭავჭავაძე), რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს ერეკლეს გზასთან.

ტახტის მოცილე ძმებისა და დედინაცვლისაგან შეწუხებულმა მეფე გიორგიმ თვითონ მიმართა რუსებს თხოვნით, დაერღვიათ ერეკლეს მიერ ხელმოწერილი ტრაქტატის პირობები და საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარეულიყვნენ.

სად არის აქ ერეკლეს გზა?

გიორგი ტახტზე უარს ამბობდა თავისი მემკვიდრის სასარგებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ და სანაცლოდ რუსეთში სოფლების მიცემას ითხოვდა.

სად არის აქ ერეკლეს გზა?

რომ მომხდარიყო სასწაული და ერეკლე გაცოცხლებულიყო, ამგვარი ქმედებისათვის თავის „ზაქიჭამია“ შვილს კარგ ალიყურსაც აჭმევდა, პოტიომკინს კი იმ ხელშეკრულებას თავზე გადაახევდა. სწორედ „სუსტი მეფის“ – გიორგის (და არა ერეკლეს) ამგვარმა საქციელმა გაათამამა მეფის რუსეთი, 1801 წლის აპრილში საქართველოს სამეფო გააუქმა და იგი რუსეთის გუბერნიად გამოაცხადა.

სად არის აქ ერეკლეს გზა?

ერეკლეს საქართველოს სამეფოს გაუქმებისათვის არ მოუწერია ხელი. ერეკლეს რუსეთის მოკავშირეობა და მფარველობა სურდა და არა მონობა. ასე რომ, რუსეთის ვერაგობის გამო საქართველოსათვის დამაშვრალ, უამრავი ჭრილობით ტანდასერილ მეფეს ვერ დავადანაშაულებთ და ვერც მის სახელს დავუთმობთ დროშად ვახტანგ გოგუაძეს და მის კომპანიას. ვახტანგ გოგუაძე და მისი თანამოაზრეები „კეთილი, მაგრამ სუსტი“ მეფე გიორგის მიმდევრები არიან და არა მეფე ერეკლესი.

აქვე მინდა შევახსენო მკითხველებს და ვახტანგ გოგუაძეს ილია ჭავჭავაძის წერილი –„ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან“, რომელიც, ჩემი აზრით, თავისი პათოსით, წერის მანერით (ქვეტექსტებითა და სათაურითაც კი) ჰგავს ილიას წერილს „ასი წლის წინათ“. ბატონი ვახტანგი მეცნიერი კაცია და ალბათ დამეთანხმება, რომ ამგვარი ხასიათის წერილში („ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან“), წესით და რიგით (ლოგიკის ძალით), ილიას აუცილებლად უნდა დაესახელებინა ერეკლე მეფის უმთავრესი დამსახურება – „გეორგიევსკის ტრაქტატი“. მსგავსი რამ ამწერილში არაფერია. ილია ამ წერილში წერს ერეკლეს სიმამაცეზე, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულზე, ჩამოთვლის მის დამსახურებას ერისა და ქვეყნის წინაშე, მაგრამ არ ახსენებს გოგუაძისა და მისი თანამოაზრეებისათვის ესოდენ სანუკვარ „ერეკლეს გზას“. ილიას შემთხვევით გამორჩა ერეკლე მეფის ეს „დამსახურება“ სამშობლოს წინაშე? არავითარ შემთხვევაში! ჩემი აზრით, ხელშეკრულების შედეგებით უკმაყოფილო ილიამ შეგნებულად აუარა გვერდი „გეორგიევსკის ტრაქტატს“, არ ახსენა და არც შეიტანა ერეკლეს დამსახურების ნუსხაში. წერილის შინაარსი და

პათოსი გაჟღენთილია არსებული ხელისუფლებისადმი პროტესტითა და საყვედურით, რომ ერეკლეს მიცვალების დღეს საკადრისი პატივი არ მიაგეს „ქალაქის მამებმა“.

ილიას ეს წერილი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ „ერეკლეს გზის“ გაგებაში ილიასა და გოგუაძის თანამოაზრეთა შეხედულებები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ილია ჭავჭავაძე!

როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძე ზოგიერთებს სასკოლო ასაკში და ისიც ალაგ-ალაგ აქვთ წაკითხული. ალბათ ამიტომ გაუთამამდა ზოგიერთი ახალგაზრდა მის სახელს, მაგრამ ბატონი ვახტანგი ხომ პროფესორია და მეტი დაფიქრება და წინდახედულობა სჭირდება. როგორ შეიძლება წმინდანად შერაცხული, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღიარებული ბელადი შორჩილებისა და მონობისკენ მოუწოდებდეს ქართველ ხალხს?! როგორ შეიძლება, სამშობლოს თავისუფლებისათვის შეწირული კაცი სამშობლოს თავისუფალი სულის დამთრგუნველად გამოიყვანო?! როგორ შეიძლება დაუდეგარი, მოუსვენარი და უშიშარი თერგის მეხოტბე დამყაყებული, მშვიდი და უსარგებლო ჭაობის ქომაგად აქციო?! რატომ ბედავენ, რისი იმედით აკეთებენ ისინი ამას?! ამ სითამამის ერთ-ერთი საფუძველი, როგორც ვახტანგ გოგუაძე და მისი მიმდევრები აცხადებენ, არის ილია ჭავჭავაძის წერილი „ასი წლის წინათ“, რომელსაც ისინი წარამარა ახსენებენ. ამ წერილს გაზეთ „ახალ ერაში“ ზოგადად შეეხო ბატონი მიხეილ მჭედლიშვილი. მე კი მინდა მასზე ვრცლად ვისაუბრო, რადგან ეს წერილი ბევრს (და მათ შორის ბატონ ვახტანგ გოგუაძესაც), ჩემი აზრით, არასწორად აქვს გაგებული. სანამ უშუალოდ ამ წერილზე ვისაუბრებდე, მოვიყვან ილიას რამდენიმე მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კარგ დაწერილს ასევე სჭირდება კარგი წამკითხველი, როგორც კარგ მთქმელს – კარგი გამგონე.

აი, რას წერდა ილია:

„განა არ შეიძლება თქმაშიც ოსტატობა იყოს! განა არ შეიძლება ფიცი იყოს და ბოლო გვაკვირვებდეს?“

„აი, ამას ჰქვიან ოსტატობა, ხერხი ლაპარაკისა. აი, ამას ჰქვიან – ერთსა და იმავე დროსა კაცმა თვალი უყოს მგმობელსა და მოსარჩლესაც, მტერსაც და მოყვარესაც“.

„შესაძლოა კაცი კაცს სულელურადაც გამოესარჩლოს და ჭკვიანურადაც, ეგ ჭკუამახვილობაზე და ცოდნაზეა დამოკიდებული“.

ილიას ზემოთ აღნიშნული წერილიც, როგორც სხვა პუბლიკაციები, სწორედ ილია ჭავჭავაძის დიდ „ჭკუამახვილობასა და ცოდნაზე“ მეტყველებს.

ილია ჭავჭავაძე არა მარტო დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, გამოჩენილი პოლიტიკოსიც იყო. ასე მოიხსენიებდნენ მას მისი თანამედროვე პოლიტიკოსები. 1913 წელს, პეტერბურგში ილიას ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებაზე მ. კოვალევსკიმ თავის სიტყვაში აღნიშნა: “Мы собрались чествовать память крупного общественного и политического деятелья“. ამიტომ ილიას ზემოთ ნახსენებ წერილს არც პოლიტიკური სიფხიზლე და წინდახედულობა აკლია.

ამ წერილს ქვესათაურიც აქვს – „პირველი შემოსვლა რუსის ჯარისა ტფილისში“. რისთვის დასჭირდა ილია ჭავჭავაძეს ეს ქვესათაური? რა მიზანი აქვს მას? სწორედ ეს ქვესათაური არის ამ წერილის გასაღები, ამოსავალი წერტილი. იგი, უპირველესად, მიანიშნებს, რომ ეს სათარიღო წერილია და ასი წლის წინანდელ ამბებს ეხება. ამიტომ იყენებს ილია ამ წერილში ასი წლის წინანდელ დოკუმენტებს, ასი წლის წინანდელი ადამიანების მოგონებებს. ამ წერილში არსად არ არის ნახსენები მისი თანამედროვე საქართველო და ქართველები. თხრობის ეს ფორმა ილიას შემთხვევით არ გამოუყენებია. ასი წლის წინანდელი (1799) საქართველო სულაც არ ჰგავს ილიასდროინდელ (1899) საქართველოს. თუ პირველი იმედისა და სიხარულის თარიღი იყო, მეორე – გულგატეხილობისა და იმედის გაცრუების წელი იყო. რუსეთმა საქართველოს ბედნიერების და სიხარულის ნაცვლად მონობა და უბედურება მოუტანა. ამიტომ ავტონომიაზე მეოცნებე პოლიტიკოსი ილია ჭავჭავაძე გარკვეულ სიფრთხილეს იჩენს და აქცენტი გადატანილი აქვს ასი წლის წინანდელ ამბებზე. ეს არის ერთგვარი „პარალელური ბიოგრაფიების“ პრინციპზე აგებული წერილი, სადაც ავტორი ასი წლის წინანდელი ფაქტების შეხსენებით აიძულებს მის თანამედროვე მკითხველს პარალელი გაავლოს ასი წლის წინანდელ ფაქტებსა და არსებულ ვითარებას შორის, შეადაროს ისინი ერთმანეთს, იფიქროს, თვითონვე გააანალიზოს

სიტუაცია და დასკვნაც თვითონვე გამოიტანოს: – რას ჰპირდებოდა რუსეთი საქართველოს ასი წლის წინათ და რა დარჩა დაპირებიდან ასი წლის შემდეგ. ილია ჭავჭავაძე ამ წერილში მართლაც საოცარი ოსტატობით, ქვეტექსტებით, ე. წ. რიკოშეტით აწვდის მის თანამედროვე მკითხველს თავის სათქმელს და ამით ცდილობს მისი მიძინებული გონების, ეროვნული გრძნობების გაღვიძებას, ისტორიულ პროცესში ჩართვას და ამით პროტესტის გრძნობის გაღვივებას. ილიამ მწარე გამოცდილებით იცის, რომ (ასეთი შემთხვევა ბერჯერ ჰქონია) ცენზურა პირდაპირ ნათქვამ სიტყვას მაინც ამოშლის, ამიტომ ცდილობს ისეთი ფორმა მონახოს, მკითხველს სათქმელიც უთხრას და არც ცენზურა გააღიზიანოს. „ამ წერილს თირკმლები განგებ ამოვაცალეთ და შუაწელი გამოვსჭერით, რომ თავსა და ბოლოს მაინც ნება ჰქონოდა ქვეყანაში გამოსვლისა“, – წერდა ილია ერთ წერილში. ამიტომ აქვს ამ წერილსაც ორი სათაური, ამიტომ არის ამ წერილში ქვეტექსტები და თარიღები, რომელსაც გაშიფვრა და ახსნა სჭირდება. ილია ჭავჭავაძეს გონიერი მკითხველის იმედი აქვს.

ვახტანგ გოგუაძისაგან განსხვავებით, ილია ჭავჭავაძე ფიქრობს, რომ რუსეთის საქართველოთი დაინტერესება სულაც არ იყო „ერთმორწმუნეობით“ გამოწვეული. ამას ხომ პირდაპირ ვერ იტყოდა და ამიტომ წერს: „როგორც სპარსეთმა, ისე ოსმალეთმა კარგად იცოდნენ, რა დიდი საქმეა საქართველოს ხელში ჩაგდება მისთვის, ვინც დაასწრებს, ვინც საქართველოში ფეხს მოიმაგრებდა: „ᲘᲒᲘ ᲓᲘᲓ ᲬᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ ᲘᲥᲝᲜᲘᲔᲑᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲓᲐ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲐᲬᲘᲐᲨᲘ“. ამით ილია მკითხველს მიანიშნებს, რომ რუსეთის საქართველოთი დაინტერესება იყო წმინდა წყლის იმპერიული განზრახვა, „მთელს დასავლეთ და მცირე აზიაში სვე-ბედის ხელში ჩაგდების სურვილი“ და არა ქრისტიანული საქართველოს სიყვარულით გულაჩუყებული რუსეთის ნაბიჯი. ერთმორწმუნეობის როგორი დამცველი იყო რუსეთი, ეს მალე გამოჩნდა და ილიამ შესანიშნავად იცოდა. გააუქმეს საქართველოს ავტოკეფალია, გადაღებეს ქართული ფრესკები, საქართველოდან გაიტანეს ძვირფასი ხატები (ვახტანგ გოგუაძის გაგებით, რასაკვირველია, დასავლეთის სპეცსამსახურების აგენტებმა, „ცუდმა რუსებმა“).

უნდა აღინიშნოს რუსეთის იმპერიის სამი კლასიკური ფორმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც იყენებდა და იყენებს უცხო ქვეყნების საექსპანსიოდ: მეფის რუსეთის დროს ეს იყო – ვითომ ერთმორწმუნე ქრისტიანობის მფარველობა; საბჭოთა იმპერიის დროს – ინტერნაციონალიზმი, დღევანდელი მეთოდია – რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვა.

დავუბრუნდეთ ისევ ძირითად სათქმელს.

ილია წერს: „როცა გამოღვიძებულმა რუსეთმა ფეხი მოაბჯინა ჩრდილო-კავკასიის მთებს და წამებულმა საქართველომ რუსეთისკენ მიიხედა და გული მოიბრუნა (დაიმახსოვრეთ ბოლო ორი სიტყვა –„გული მოიბრუნა“. – ნ. ჯ.), მაშინ უფრო გაუმძვინვარდნენ მტრები და ნამეტნავად სპარსეთი. აღა-მაჰმად-ხანის მოსევა და თავდასხმა 1795 წელს რუსეთთან საუბრის გამართვამ გამოიწვია“. მეტი რა უთხრას წერილის ავტორმა მკითხველს. პირდაპირ მიანიშნა იმ უბედურების მიზეზზე, რამაც აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა გამოიწვია. როცა ამას წერდა, ილიას ისევ გონიერი მკითხველის იმედი ჰქონდა: თუ ასი წლის წინანდელმა ქართველმა არ იცოდა ამ შემოსევის მიზეზი, მისმა თანამედროვე მკითხველმა ხომ იცოდა (ხომ უნდა სცოდნოდა), რომ აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა რუსეთის ვერაგული პოლიტიკის შედეგი იყო. ერეკლემ რამდენჯერმე გააფრთხილა და აცნობა რუსეთს, რომ სპარსეთი საქართველოში შემოჭრას აპირებდა. ერეკლეს ეს გაფრთხილება რუსეთმა ყურად არ იღო, არავითარი ზომები არ მიიღო. ამით წაქეზებულ სპარსეთს პირისპირ შეატოვა საქართველო, როგორც ეს მოხდა ასპინძის ომის დროს. ილია წერს: „ღვთისმოსავმა და ღვთისმოყვარე მეფე გიორგიმ (და არა რუსეთმა. – ნ. ჯ.), რა თქმა უნდა, ერთმორწმუნე რუსეთი ირჩია, ამას ეუბნებოდა წინაპართა ანდერძიც, რადგანაც მისთა მეფობის წინათაც, ჯერ კიდევ 1576 წლითგან, საქართველოს მეფენი ბევრჯერ გამოლაპარაკებიან რუსეთს და მისგან ხელის შეწყობასა და ხელის გამართვას მოჰლოდებიან“. დიახ, „მოჰლოდებიან“, მაგრამ ხელშეწყობა არ მიუღიათ. უფრო მეტიც, ამ „მოლოდინით“ წაქეზებული საქართველო ბევრჯერ მარტოდმარტო შეუტოვებიათ გამძინვარებული მტრებისათვის. აი, სწორედ „ცუდი რუსების“ ამგვარი საქციელით გულგატეხილი საქართველოს „გულის მობრუნებაზე“ წერს ილია და ამიტომ ახსენებს 1576 წელს. მაინც რა მოხდა 1576 წელს? იგივე, რაც მოხდა1483, 1564, 1586 წლებში, როცა რუსეთის (მოსკოვის) მთავრებთან „გამოლაპარა-

კებამ“ ქართველ მეფეებს დაუტოვა მხოლოდ იმედის გაცრუება-სინანული და პრობლემები. ხოლო ვახტანგ მეექვსის „გამოლაპარაკება“ პეტრე პირველთან ქართლის სამეფოსა და ვახტანგ მეფის ტრაგედიით დამთავრდა. პეტრე პირველისაგან გაწბილებული (მოტყუებული) ვახტანგი იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა და რუსეთში გადახვეწილიყო. ვახტანგ მეფეს თან გაჰყვა 1500 რჩეული ქართველი და ქართლი უპატრონოდ დარჩა. აი, რუსეთის მეფეების ამგვარი საქციელით გულგატეხილი ქართველი მეფეების „გულის მობრუნებაზე“ წერს ილია.

კიდევ ერთი მაგალითი ხარისხიანი ლაპარაკისა, ისევ ასი წლის წინანდელი დოკუმენტით მისი თანამედროვე ქართველებისათვის თვალის ახელის მცდელობისა: „იმპერატორმა პავლემ კავალევსკის გამოატანა დამამტკიცებელი გრამოტა მეფე გიორგის სახელზე. გრამოტა იგი არის დაწერილი 18 პრილს 1799 წელს (ეს თარიღიცა და თვეც ილიას შეგნებულად აქვს დასახელებული, რადგან სამი წლის შემდეგ, სწორედ აპრილის თვეში მოხდა საქართველოს სამეფოს გაუქმება. – ნ. ჯ.). იმპერატორი პავლე იწერებოდა, მივიღე რა მადლობით თქვენი თხოვნა, ტრაქტატის მესამე მუხლის ძალით გამტკიცებთ დღეს თქვენ საქართველოს მეფედ და ძესა თქვენსა დავითს თქვენს მემკვიდრედ თქვენს შემდეგ. ამასთან იმპერატორმა პავლემ გამოატანა კავალევსკის სამეფო სამკაულები და სამეფო ნიშნები: 1. ოქროს სამეფო გვირგვინი, შიგა-და-შიგ ძვირფასი თვლებით შემკული; 2. სკიპტრა, ძვირფასი ქვებითვე მოჭედილი; 3. ხმალი, ოქროთი და ძვირფასი თვლებით შემოსილი; 4. სამეფო პორფირი ყარაყუმის ბეწვისა შვინდისფერ ხავერდის საპირეთი, მასზედ ქარგით გერბი რუსეთის და საქართველოსი; 5. თეთრი დროშა ორთავიანი არწივითა. შუაგულში რუსეთის გერბი ჰქონდა...“

რისთვის დასჭირდა ილიას ყოველივე ამის ჩამოთვლა? იმისთვის, რომ თანამედროვე მკითხველის მიძინებული გონება გააღვიძოს, გააღიზიანოს, თუ კიდევ შერჩენია ღირსება და გონება; ჩააფიქროს და გაუჩნდეს კითხვა: სად გაქრა ასი წლის შემდეგ ყოველი ის, რაც ილიას წერილში აქვს ჩამოთვლილი? გიორგის სიკვდილის შემდეგ რუსებმა (რასაკვირელია, „ცუდმა რუსებმა“) გიორგის მემკვიდრე დავითი ბრანწზე დასვეს და ყინულოვან რუსეთში გააგზავნეს. საქართველოს „ოქროს სამეფო გვირგვინს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ძვირფასი ქვებით მოჭედილ“ სკიპტრას ოქრო და ძვირფასი თვლები გამოაცალეს და სადღაც სანაგვეში მოისროლეს. „სამეფო პორფირი“ ჩრჩილების ლუკმა გახდა, ქარქაშში ჩარჩენილ ხმალს კი ჟანგი ედებოდა, ხანდახან თუ გაიელვებდა და ისიც მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ გაჩაღებულ ბრძოლაში. „დროშა“ კი საცირკოდ და სამასხარაოდ აქციეს.

კიდევ ერთი მაგალითი „ჭკვიანურად გამოსარჩლებისა“: ილია თავის წერილში ახსენებს იმპერატორის ბრძანებას, ისევ ასი წლის წინათ დაწერილს: „ლაზარევის პოლკი მივა თუ არა თბილისში, მეფე გიორგის იმისთანა პატივით უნდა შეეგებოს, როგორც წესდებით მე, იმპერატორს მეკუთვნის. იმავე წესით სასახლის მცველნი დაუყენოს“. ხომ არ ნიშნავდა ეს გიორგის შინაპატიმრობას? თურმე ნიშნავდა. თუ ამას ასი წლის წინანდელი ქართველი ვერ ხვდებოდა (და ვერ მიხვდა), ასი წლის შემდეგ ილიამ და მისმა თანამედროვეებმა ხომ იცოდნენ, რაც მოხდა. გიორგის არათუ პატივი მიაგეს, რუსებმა მის ცხედარს გაცივება არ აცალეს, ისე გააუქმეს სამეფო. მისი მეუღლე კი სწორედ შინაპატიმრობაში აიყვანეს და მცველად სწორედ ის ლაზარევი დაუნიშნეს, რომელიც შემდეგ ხმლით აკუწა მარიამ დედოფლის პირადმა მცველმა ხიმშიაშვილმა. ნუთუ საქართველოს ისტორიის ეს მტკივნეული ფაქტები შემთხვევით, ქაღალდის ფურცლების შესავსებად მოჰყავს ილიას? არავითარ შემთხვევაში. ის ამგვარი მაგალითების მოხმობით ცდილობს მისი თანამედროვეობის იმ ჭრილობას შეეხოს, ასი წლის შემდეგაც რომ სტკივა ყველა ჭეშმარიტ ქართველს, გამოაფხიზლოს და დააფიქროს.

კიდევ ერთი ამონაწერი ილიას ზემოთ ნახსენები წერილიდან: „მეფე მთელის თავის წარჩინებულ საერო და სამღდელო დიდკაცებით შეეგება ჯარს. სახლის ბანები სულ მთლად სავსე იყო თეთრჩადრიანი ქალებით, კაცს ეგონებოდა მთელს ქალაქში მოფენილია კარვები ბანაკისაო. ზარბაზნების სროლა, ზარების რეკვა ამ დღესასწაულს აძლიერებდა. სიხარულის ყიჟინა ერისა, მოძრაობა და თვით ცრემლიანი, ნამეტნავად დედაკაცობისა აგვირგვინებდა იმ ტკბილად საგრძნობელ სურათსა და უტყუარს ერთგულებას ჩვენდამი ერისა“. ხომ კარგი და დიდებული სიტყვებია. მაგრამ არც ეს სიტყვები ეკუთვნის ილიას ან მის თანამედროვეს. ეს სიტყვებიც ასი წლის წინათ უთქვამს იმპერატორ პავლეს რწმუნებულ-მინისტრს საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოში კოვალენსკის. რატომ მოჰყავს კოვალენსკის ეს სიტყვები ილიას? იმიტომ, რომ „შეიძლება ფიცი იყოს და ბოლო გვაკვირვებდეს“. კოვალენსკის სიტყვების მოყვანით ილია თითქოს ერთგვარ კითხვას უსვამს თავის თანამედროვეს: – რით უპასუხა „ერთმორწმუნე“ რუსეთმა ჩვენს ერთგულებას? ილიას და მისი თანამედროვეებისათვის კარგად იყო ცნობილი ამ კითხვის პასუხი. სადღა იყვნენ მეფის წარჩინებულები. მათ ძვლებს უცხო მიწა ჭამდა, მათი შთამომავლები ხელგაწვდილნი იდგნენ რუსეთის სამეფო კარის წინ. „ქართველი სამღვდელოების“ ნაცვლად რუსი ეგზარხოსები ქართულ ეკლესიებში ქართულ ენას ებრძოდნენ. „თეთრჩადრიანი“ ქალები ძაძით შემოსილნი დადიოდნენ თბილისის ქუჩებში, რადგან არც ისე დიდი ხნის წინ, თბილისის მოქალაქეების ამბოხი დიდი სისასტიკით იქნა ჩახშობილი რუსების მიერ. ყველაფერი ამის მომსწრე და მნახველი ილია და მისი თანამედროვეები იყვნენ. ამიტომ წერილში კოვალენსკის სიტყვების ციტირება მკითხველში მხოლოდ და მხოლოდ აღშფოთებას და ნეგატიურ რეაქციას გამოიწვევდა რუსეთის მიმართ. აი კიდევ ერთი მაგალითი, როცა „შეიძლება ფიცი იყოს, ბოლო გაკვირვებდეს“.

დავუშვათ წუთით, რომ ჩვენც ეს წერილი ისე გავიგოთ, როგორც ბატონ ვახტანგს სურს. ეს სულაც არ გვაძლევს იმის საბაბს, ეს წერილი ილიას ცხოვრების კრედოდ და მარადიულ ჭეშმარიტებად მივიჩნიოთ. თვითონ ილია წერს: „ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალზე ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განათლება ყოველიფერისა, წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათი გამომხატველია, ყველაფერი იცვლება მისი ძლიერი გავლენისაგან. რაც გუშინ კაცს ჰგონებია დაურღვეველი ჯეშმარიტება, რისთვისაც უცია პატივი, როგორც მოუცილებელი საჯიროებისათვის, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ის დღე გვლილი, შეცდომად მიგვაჩნია!“ ილიას ამ სიტყვების შემდეგ ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ ერთ დროს საქართველოს ავტონომიაზე მეოცნებე ილია დღევანდელი საქართველოს დე-იურე თავისუფლებაზე უარს იტყოდა და ისევ რუსეთის მონობისაკენ მოგვიწოდებდა ქართველებს: მით უმეტეს, თუ საქართველოს ხელისუფლებაში მართლაც ეროვნული ადამიანები მოვ-

ლენ, დე-იურე საქართველოც დე-ფაქტო საქართველოდ გადაიქ-ცევა, რაც ქართველი ერის სამარადისო ოცნებაა.

როგორც ვხედავთ, ამ წერილში ილიას „საგოგუაძოდ“ არაფერი აქვს ნათქვამი, მაგრამ დავუშვათ და ასეთი რამ კიდეც რომ იყოს, ილიას ხომ წერილების გარდა აქვს უამრავი პროზაული ნაწარმოებები, ლექსები, პოემები, პიესები, სტატიები, საპოლიტიკო თუ შინაური მიმოხილვანი. რატომ უნდა ვაქციოთ მისი ერთი წერილი მისი მსოფლმხედველობის და ცხოვრების კრედოდ? ამიტომ ერთხელ კიდევ გულდასმით გადავიკითხე ყველაფერი (თითქმის ყველაფერი), რაც ილია ჭავჭავაძეს დაუწერია, ამოვიწერე ყველა მისი მოსაზრება და მისი მხატვრული ნაწარმოებების პასაჟებიც კი, რომელიც „რუსეთს და რუსს“ ეხება. მინდოდა ეს საზოგადოებისათვის მთლიანად მიმეწოდებინა და თან ბატონი ვახტანგისა და მისი თანამოაზრეებისათვის მეჩვენებინა, რომ ილია ჭავჭავაძე მათი თანამოაზრე (რუსეთთან დამოკიდებულებაში) არასოდეს არ ყოფილა და არ შეიძლება იყოს. სამწუხაროდ, საგაზეთო სტატიაში ამის გაკეთება ძნელია, რადგან იმდენად უხვი აღმოჩნდა ეს ამონაწერები, რომ მისი პატარა წიგნად გამოცემა უფრო უპრიანია. ერთი რამ ცხადია, ილია ჭავჭავაძის ნაწერებში „ცუდი რუსებისადმი“ ნეგატიური დამოკიდებულება (გამონათქვამები) ძალიან ბევრად სჭარბობს პოზიტიურსა და დადებითს. ზოგიერთ მათგანს მაინც შევახსენებ მკითხველს. დავიწყოთ მხატვრული ნაწარმოებებით.

„რა გინდა რომ ცარი ღრინავდეს,
ჩვენი სისხლისთვის გრგვინავდეს,
ვერ შეგვაშინებს ჩვენ ცარი,
თუ გულში ძმობა ბრწყინავდეს“.

„მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
დასთრგუნველად მონობისა.

აღმიტაცებს ხოლმე ეს ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამაგონე ჩემს მამულში“.

მინდა მივმართო ბატონ ვახტანგს და მის თანამოაზრეებს, რომელი ქვეყნის „ცარზეა“ ლაპარაკი? ვისი უღელი ედგა საქართველოს და რომელი უღლის დამტვრევას ნატრობს ილია?

„მერე, როცა დაქსაქსულნი
უცხო ხალხმა ხელთა გვიგდო,
ქართვლის ბედი ბურთსავითა
სათამაშოდ წინ გაიგდო.
მერე, როცა გაგვიჭირდა
ყოფნა უცხო ხალხის ხელში,
რომ საშველად მოწვეულმა
წაგვიჭირა თოკი ყელში“.

ვინ ათმაშებდა ქართვლის ბედს ბურთივთ, ვინ იყო ის, ვინც საშველად მოვიწვიეთ და შემდეგ თოკი ყელში წაგვიჭირა? – რუსი, ბატონებო, რუსი (რასაკვირველია, „ცუდი რუსი“)!

ილია მიმართავს უფროს თაობას:

„იქიდან ვკნავით,
სად თქვენის მადლით
ხაფანგებ-ქვეშე დამწყვდეული ვართ“.

თუ ილიას რუსეთთან შეერთება კარგ საქმედ მიაჩნდა, რატომ საყვედურობს უფროს თაობას რუსეთთან შეერთებას? რატომ უწოდებს მას ხაფანგს, სადაც დამწყვდეულია ქართველი ერი?

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!..
აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია“.

არის ეს საქართველოს აწმყოთი (რუსეთთან შეერთებით) კმაყოფილი ილიას სიტყვები?

„რას ვეძებდი მე? ჩემი ქვეყნის წარსულს,
წინ-წინ დაღუპულს ჩემს ძველსა მამულს“.

რომელ დაღუპულ მამულზე წერს ილია? ვინ დაღუპა მისი ძველი მამული? – რუსმა, ბატონო ვახტანგ (რასაკვირველია, „ცუდმა რუსმა“)!

„თავისუფლების მშვენიერის სხივთ მხურვალება
როდის დაადნობს დაჟანგებულს დიდ ხნის ბორკილსა“.

რომელ ბორკილზე წუხს ილია და ვისი ბორკილი ედო საქართველოს, ბატონო ვახტანგ (რუსის, რასაკვირველია „ცუდი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსის“)?

„კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთ ფიქრსა ჰფიქრობს, –
და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება“.

ვისგან ცდილობდა კავკასია განთავისუფლებას, ბატონო ვახტანგ? – რუსეთისაგან. დღესაც ამას ცდილობს, თქვენ და თქვენი კომპანია კი კავკასიას და მათ შორის საქართველოს ისევ რუსების მონობისკენ უბიძგებთ.

„თავისუფლების მშოვნელი
ამ ქვეყნად მხოლოდ თოფია,
შინ უღლით გაქნილ მშვიდობას
ომში სისხლის ღვრა სჯობია“.

არ არის ილიას ეს სიტყვები პასუხი იმ დემაგოგებისათვის, რომლებიც იძახიან, რუსებმა მშვიდობა მოგვიტანაო?

„მოდით, შვილნო, აქ მოგროვდით,
გეტყვით გულის გასართობსა, –
ვინ ვიყავით, რა ვიყავით
ჩვენ, ქართველნი, წინა დროსა,
იმ დროს, როცა ქართვლის ბედი
ჩვენ, ქართველთა, გვეპყრა ხელში.
ახლა რა ვართ? საწველ ფურად
თავი ჩვენი გადვიქციეთ,
ის სახელი, ის დიდება,
ის ოჯახი დავაქციეთ“.

არის ეს საქართველოს რუსეთთან მიერთებით კმაყოფილი ადამიანის სიტყვები? რომელ დაქცეულ ოჯახსა და დანგრეულ დიდებაზეა ლაპარაკი? ქართველებს საკუთარი ქვეყნის ბედი ვინ გამოგვაცალა ხელიდან? – ილიას აზრით, რუსებმა, ბატონო ვახტანგ, და არა მგონია თქვენც არ დაეთანხმოთ.

„– ეგ ეტლი ვისი მოგონილია? – მკითხა მან და მიმიშვირა ხელი ფოშტის პოვოსკაზედ, რომელზედაც ჯერ არ გამოფხიზლებული „იამშიკი“ უგემურად სთვლემდა.

– რუსისა! – ვუპასუხე მე.

– მგონი, არა ხალხი მაგაში არ შეეცილოს, მებრალებით, რომ თქვენ იძულებული ხართ მაგას გალააყებინოთ ტვინი და გაადღვებინოთ გულ-მუცელი.

– არა უშავს-რა. მთელი რუსეთი მაგით დადის და მე რაღა ღმერთი გამიწყრება, რომ დამიშავდეს რამე.

– მაგით დადის?! იმიტომაც შორს არის წასული...

რუსის პირ-დაუბანელმა და თავდაუვარცხნელმა იამშიკმა ფოშტის პოვოსკა მოაყენა. – საკვირველია, რუსის მხატვრების სურათებზე რა ლამაზად არის გამოყვანილი ამ სქელკისერა „იამშიკის“ ბრიყვული სახე, იმისი ოყრაყული სანახაობა, იმისი მიდუნ-მოდუნებული ზლაზვნა, უადამიანო და პირუტყვული მიხრა-მოხრა“.

ხომ, „ლამაზად“ არის რუსი „იამშიკი“ დახატული? ახლა, სოციალური მდგომარეობის თვალსაზრისით, ცოტა „მაღლა“ ავიწიოთ.

„რუსის აფიცერმა შემოყო თავი, იმისი სახის მეტყველება ამჟღავნებდა, რომ ღვინოს და არაყს ძალიან დაახლოებით იცნობდა.

– ნება მომეცით, – მითხრა მან რუსულად, – გაგაცნოთ ჩემი თავი. მე გახლავართ პოდპორუჩიკი №. ლარსში ვდგავარ, როტა მაბარია.

– ძალიან მოხარული ვარ, – ვუპასუხე მე, წამოვდეგ ფეხზედ და ჩამოვართვი გამოწვდილი ხელი... მე ჩაი დავისხი და ერთი ჭიქა იმას დავუდგი. ჩაი რომ მოსვა, გამოაბოლა პაპიროსი და მოჰყვა ლაპარაკსა. – თქვენი ქვეყანა, მეცნიერების ენით რომ ვთქვათ, განათლებული არ არის. ესე იგი, მდაბიურის ენით რომ ვთქვათ, გაუნათლებელია. ხომ გესმით?

– ძალიან კარგად.

– ახლა რაკი იქედან დავიწყეთ, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის, ისიც უნდა ვთქვათ, რომ განათლება რა არის. – მე ამას მაგალითებით აგიხსნით: წარმოიდგინეთ ბნელი ოთახი. წარმოიდგინეთ თუ არა?

– წარმოვიდგინე.

– არა, იქნება სადმე ერთი ფანჯარა ღიად დაგრჩათ, ისიც დაკეტეთ.

– დავკეტე, –ვუპასუხე კი და სიცილი მომივიდა.

– ძალიან კარგი, რაკი ის ფანჯარა დაკეტეთ, ფარდაც ჩამოაფარეთ.

– ჩამოვაფარე.

– რაკი ფარდაც ჩამოაფარეთ, ოთახიც დაბნელდება, ვერაფერს დაინახავთ. უცებ შემოიტანეს სანთელი, განათდა ოთახი, განათლე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაც ეს არის“.

ამ დიალოგიდან გამოვტოვებ „განათლებული რუსი აფიცრის“ იმ გენიალურ „აღმოჩენას“, ბუზის წყალობით რომ მოახდინა და სხვა დიალოგზე გავამახვილებ ბატონი ვახტანგისა და მისი კოლეგების ყურადღებას.

„– რამდენი გენერალი გეყოლებათ ქართველებს?

– იქნებ ერთი ოციოდ მოგროვდეს.

– რაო, ოციოდეო! ო, ო, ეგ დიდი საქმეა, – წარმოსთქვა დიდის ყოფით ჩვენმა მეცნიერმა აფიცერმა, – ოციოდეო!... ამ ერთ მუჭა ხალხში და ოცი გენერალი!... ეგ, ბატონებო, დიდი ცივილიზაცია გქონიათ... ოციოდე მართალი გენერალი! ბარაქალა მართლმადიდებელ რუსეთს! სახელი და დიდება! სადაც ფეხს შედგამს, დაამყარებს ხოლმე ცივილიზაციას“.

„რაკი ქართველმა რუსული შლიაპკა დაიხურა, მისი საქმე წასულია“. ესეც ილიას სიტყვებია.

საინტერესოა, ატარებენ თუ არა ბატონი ვახტანგი და მისი თანამოაზრეები „რუსულ შლიაპკას“?

„სიავეს შეჩვეულს, რუსების სიკეთე გამიკვირდა“. ესეც ილიას ნაწერებიდან არის.

„ეგ დროშა, რომელიც წინ დახვედრია მოზღვავებულს თათრობას და მუსულმანობას და ქრისტეს ჯვარი წინ წარუმძღვარებია, ძლევამოსილობით ომიდან გამოუტანია და დაუმკვიდრებია კავკასიაში. ეგ დროშა, რომელსაც აწინდელი ქართველი იმავე ვაჟკაცობით და თავგამეტებით თან გაჰყოლია და რუსებთან ერთად სისხლი უნთხევია მამულისათვის, – დღეს ეგ დროშა საცირკოდ გაგვიხადა ერთმა ვიღაც კორესპონდენტმა, ბ-ნმა კატკოვმა ბანი მისცა... თვით ბარბაროსიც კი არ იკადრებდა ეგრეთ გაუპატიურებას მთელი ერისას! მაშ ბარაქალა კატკოვს და მის მომხრეებსა, რომ იკადრეს ის, რასაც თვით ბარბაროსიც კი ითაკილებდა“.

ეს ბარბაროსებზე ურაესი კატკოვები, იანოვსკები, თუმანოვები, სენკოვსკები, ერმოლოვები, პატკანოვები და სხვები სულაც არ არიან „პირდაუბანელი რუსი იამშიკის“ თუ „ღვინოსა და არაყთან ძალიან დაახლოებული რუსი აფიცრის“ დონის ადამიანები. ისინი ბატონი ვახტანგის კოლეგები ანუ პროფესორები და მეცნიერები არიან, მაგრამ მათი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფრით განსხვავება „ღვინოსა და არაყთან ძალიან დაახლოებული რუსი აფიცრის“ დამოკიდებულებისაგან, რასაც ილია ჭავჭავაძე ხშირად აფიქსირებს თავის წერილებში.

„რუსეთს არა ჰქონია და არც დღეის-აქომამდე აქვს გამორკვეული და დადგენილი დედააზრი მასზედ, – თუ სად თავდება უფლება ეროვნებისა და სად იწყება სახელმწიფოსი“.

„მაგდენმა გაცუდებამ იმედისამ და ნატვრისამ იქამდე მიგვიყვანა, რომ ჩვენს თვალწინ ერთი წელიწადი მეორეზედ მიდის და მოდის და არც ნაღველი გვრჩება წარსული სიკეთისა და არც ნუგეში მომავლის იმედისა“.

„მათი მოქმედების შედეგი ის იყო, რომ (რუსის მოხელეზეა საუბარი. – ნ. ჯ.) რუსეთის სახელი შეაძულეს მათ, ვის საერთო სიყვარულზედაც უნდა აგებულიყო სახელმწიფოს ძალ-ღონე, კეთილდღეობა და წარმატება“.

„აჭარა და ქობულეთი ომის მოედნად გახადა ბედმა. იქ იდგა ცალკე რუსის ჯარი და ცალკე ოსმალოსი... ამიტომაც, აშკარაა, არც რუსი გაუფრთხილდებოდა ხალხის სიკეთესა და არც ოსმალო, არც რუსი მოექცეოდა გულმტკივნეულად და არც თათარი“.

„მეთვრამეტე საუკუნის ვაი-ვაგლახმა და მეცხრამეტის პირველი წლების წეწვა-გლეჯვამ ჩვენი ერი მოჰღალა, ქანცი გასწყვიტა, თავისი თავის იმედი დააკარგვინა“.

იქნებ კმარა.

ილია თავის წერილებში ხშირად ახსენებს „პირდაუბანელი რუსი „იამშიკის“ და „ღვინოსა და არაყთან ძალიან დაახლოებული „რუსი აფიცრის“ დონემდე დასულ რუსულ ჟურნალ-გაზეთებს და მათ რედაქტორებს, მაგრამ არც ნათელ წერტილზე ხუჭავს თვალს. აი, მაგალითად, რას წერს „Петербургские Ведомости“-ზე: „ეს გაზეთი ისეთი გაზეთია რუსეთში, რომელიც ესარჩლება ყოველ დაჩაგრულ ერსა და ამისთანა მართლა პატიოსნურს მიმართულებას გაზეთისას არ შეიძლება სრული სიამოვნებით არ მიეგებოს ყოველი ჭკუათმყოფელი და გულთმყოფელი კაცი, რა თესლისაც გინდა იყოს“.

არც ილიას დროს და არც შემდეგაც ერთ მერცხალს გაზაფხულის მოყვანა არ შეეძლო და ვერც მოიყვანა. დღევანდელ რუსულ მასმედიაში კი, სამწუხაროდ, ის ერთი მერცხალიც საძებარია.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ილია თავის წერილებში არასდროს შეურაცხყოფას არ აყენებს რუს ერს. ის თავის სტატიებში ხშირად ახსენებს პროგრესულად მოაზროვნე რუს მწერლებს და მეცნიერებს (ისევე, როგორც ინგლისელს, ფრანგს, გერმანელს და სხვა). იგი თავისი შეხედულებების დასამტკიცებლად ხშირად იშველიებს მათ მოსაზრებებს, მაგრამ უშინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის თუ პისარევის ხათრით სულაც „არ ინდობს" რუსეთის იმპერიას და მის ჩინოვნიკებს.

ილია თავგამოდებული ქომაგია თავისი ქვეყნისა, ქართული ენისა და მწერლობისა. ამავე დროს იგი მზად არის პატივი მიაგოს რუსულ ლიტერატურას: „მისი ლიტერატურა ეხლა იმდენად ძლიერია, რომ შეუძლიან გონებაგახსნილ კაცს სულის საზრდო მისცეს". მაგრამ იგი არც ნაკლზე ხუჭავს თვალს: „რუსული ლიტერატურის ძალმომრეობამ ჩაგვითრია წინდაუხედავად, უკრიტიკოდ და ამ გზით რუსეთის აზრთა და მიმართულებათა ბრძოლა ჩვენში გადმოვიტანეთ და ვლამობდით ჩვენი ცხოვრებისათვის ძალად მოგვეხვია თავზე".

როგორც ჩანს, ნელ-ნელა მივადექით ბატონი ვახტანგის „კარგი და ცუდი" რუსის, „კარგი და ცუდი" ერის ანუ „ორი რუსეთის" თემას.

საერთოდ, არ არსებობს „ცუდი" და „კარგი" ერი, არის ცუდი და კარგი ხელისუფლება, ცუდი და კარგი იდეოლოგია, ცუდი და კარგი ადამიანი. სისულელეა რომელიმე ერის (მათ შორის რუსი ერის) „სიცუდეზე" ლაპარაკი. ფაშისტებმა დიდი უბედურება მოუტანეს მსოფლიოს ხალხებს, მაგრამ ამის გამო გერმანელი ერი კაცობრიობას არ მოუძულებია. არავისზე ნაკლები იმპერიები არ იყვნენ თავის დროზე, ინგლისი, საფრანგეთი, ესპანეთი და სხვები. დე გოლს რამდენჯერმე მოუწყვეს თავდასხმა თვითონ ფრანგებმა კოლონიების განთავისუფლების გამო. დე გოლი ამბობდა: – ფრანგი ხალხის საუკეთესო სისხლი კოლონიებთან ბრძოლას შეეწირა. საფრანგეთი დიდი ერია და კოლონიების გარეშეც დიდი ერი იქნებაო, – და სწორიც აღმოჩნდა. რისთვის იღვრებოდა თავის დროზე კავკასიაში რუსი ჯარისკაცის სისხლი, ან ავღანეთში, ან დღეს ჩეჩნეთში? რუსი ერი ისედაც დიდი ერია, კოლონიების გარეშეც დიდ ერად დარჩება, მაგრამ, სამწუხაროდ, თავისი დე გოლი არ ჰყავს.... მანამდე კი, როგორი ხელისუფლებაც არ უნდა იყოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუცილებელია ნორმალური (და არა მონური) ურთიერთობა, როგორც რუსეთთან, ისე სხვა ქვეყნებთანაც.

რომელიმე ერის სიძულვილი „ცუდი ხელისუფლების“ გამო შეცდომა და დანაშაულია და არც უნდა მოხდეს. ამისათვის საქართველოს მაგალითიც კმარა, სადაც ყოველთვის არჩევდნენ ერთმანეთისაგან ხალხსა და ხელისუფლებას. თავის დროზე ქართველებს დიახაც უყვარდათ ქრისტიანული და ცივილიზებული ბიზანტია, ეთაყვანებოდნენ მის კულტურას, ხელოვნებას, მწერლობას, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა წინ აღსდგომოდნენ (შესაძლებლობის ფარგლებში) ბიზანტიის იმპერატორების აგრესიულ და დამპყრობლურ პოლიტიკას. თუნდაც ვახტანგ გორგასლის მაგალითი ავიღოთ. თავის დედულეთში, სპარსეთში გაზრდილმა ვახტანგ გორგასალმა, როცა საჭირო შეიქმნა, საქართველოს, სამშობლოს ინტერესები ყველაზე მაღლა დააყენა და უყოყმანოდ ჩაება სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში. „განა სპარსული ენის მუსიკალობით“ და პოეზიით მოხიბლულ ქართველ მეფეებს არ უბრძოლიათ სპარსელი შაჰების წინააღმდეგ? ერეკლე მეფე შაჰის კარზე აღიზარდა და დავაჟკაცდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, როცა ქვეყნის საჭიროებამ მოითხოვა, ორიენტაცია შეეცვალა. არ შეიძლება არ დაეთანხმო ბატონ მელორ სტურუას სიტყვებს: „ბევრი საუბარი მქონია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ექსპერტებთან და რუსეთის ლიდერებთან. ყველა საუბრისას, განსაკუთრებით რუსების მხრიდან თქმული ქართულ-რუსული ისტორიული მეგობრობის შესახებ, იმაზე, თუ როგორი ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ჩვენს დიდ წინაპრებს, ეს, რა თქმა უნდა, მართალია, მაგრამ საქმე ის არის, რომ თავად დიდი რუსი მწერლები ხომ ებრძოდნენ ცარიზმს, კომუნიზმს! ბევრი მათგანი დახოცილ-რეპრესირებულია. ასე რომ, არ შეიძლება პუშკინის სიყვარულის გამო შეიყვარო და დაინდო რუსული იმპერიალიზმი! ისევე, როგორც არ შეიძლება ჰემინგუეის სიყვარულის გამო აშშ-ს მმართველი წრეების მონად იქცე! ჩვენ შეგვიძლია გვიყვარდეს პუშკინი, გვიყვარდეს ჰემინგუეი, მაგრამ ყველაზე მეტად საკუთარი ქვეყანა და ხალხი უნდა გვიყვარდეს! ამ ინტერესებით უნდა ვხელმძღვანელობდეთ“.

სრული სიმართლეა.

რატომ უნდა სძულდეს ვინმეს რუსული ლიტერატურა,

ხელოვნება, კულტურა, რომელიც მსოფლიო კულტურის ნაწილია– ისევე, როგორც გერმანული, ფრანგული, ინგლისური, იტალიური და სხვა. ყველამ კარგად იცის, არც ჩერნიშევსკის, არც დობროლიუბოვს, არც გერცენს, არც რეპინს არ გამოუგზავნიათ საქართველოს ასაოხრებლად პასკევიჩები და ალიხანოვ-ავარსკები, ველიამინოვები. არც სოლჟენიცინის გამოგზავნილი იყო გენერალი როდიონოვი და ბალტინის ტანკები, რომლებშიც ბატონი ვახტანგი და მისი მეგობრები ისხდნენ და საქართველოს „გადასარჩენად“ მოიჩქაროდნენ. მთელი უბედურება ის არის, რომ ვახტანგ გოგუაძის და მისი მეგობრების „რუსეთი“ ჯერჯერობით, „კარგი რუსების“ (ანუ ხელისუფლების) დეფიციტს განიცდის, თორემ ვინ არის რუსეთთან მეგობრობის და მეზობლობის წინააღმდეგი? მაგრამ მეგობრობა და მეზობლობა ცალმხრივი მოძრაობის ქუჩა არ არის. მეგობრობა და მეზობლობა ორივე მხარის სურვილი უნდა იყოს. ვახტანგ გოგუაძის „რუსეთს“ კი, სამწუხაროდ, ჩვენთან, ჯერჯერობით, მეგობრობა და მეზობლობა კი არა, ჩვენზე ბატონობა სურს, საუკეთესო ვარიანტში – ჩვენთან „უფროსუმცროსობაზე“ აგებული ძმობა. ღმერთმა ჰქნას, ვითარება შეიცვალოს, იმპერიული და „დერჟავული“ სულისკვეთება დემოკრატიამ შეცვალოს. ეს დიდი ბედნიერება იქნება მთელი მსოფლიოსათვის, და განსაკუთრებით რუსეთის მეზობლებისათვის და უპირველესად თვით რუსეთისა და მისი ხალხისათვის, რომელიც მშვიდი, ნორმალური ცხოვრებით იცხოვრებს, არც სხვას შეაწუხებს და არც თვითონ შეწუხდება მესიანური ფანატიზმიდან გამომდინარე ომებითა და სიღატაკით. ასეთი „კარგი რუსეთის“ მოლოდინშია მთელი მსოფლო და ჩვენც იმედი უნდა ვიქონიოთ (ოცნებას კაცი არ მოუკლავს).

ჯერჯერობით კი „ცუდ რუსებზე“ გვიხდება საუბარი, მაგალითიც უამრავი გვაქვს: რომელი და რამდენი „კარგი რუსი“ აღუდგა წინ საქართველოს სამეფოსა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას? რომელი და რამდენი „კარგი რუსი“ აღუდგა წინ თავისუფლების მოსურნე, აჯანყებული ქართველების ხოცვა-ჟლეტას? რომელი და რამდენი „კარგი რუსი“ აღუდგა წინ 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას? 9 მარტისა და 9 აპრილის რეპრესიებს?რამდენი „კარგი რუსი“ უცხადებს პროტესტს დღეს, პრესითა და საჯარო გამოსვლებით, თავის „ცუდ

ხელისუფლებას“ აფხაზეთში ქართველების გენოციდის გამო? რომელი რუსი უშლის ხელს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემების მოწესრიგებას?რატომ მოახერხეს „ცუდმა რუსებმა“ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღება? კი, იყვნენ და არიან ალბათ „კარგი რუსებიც“, მაგრამ თითო-ოროლა მერცხალს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაზაფხულის მოყვანა არ შეეძლო და ვერც შეძლო, ვერც მოიყვანა. საუკუნეების მანძილზე ამ „კარგ რუსებს“ თვით რუსეთის „ცუდი ხელისუფლება“ ან ციხეებში ამოამწყვდევდა ან თავზე წკეპლებს ამტვრევდა. ეს არის მიზეზი უნდობლობისა და გულისწყრომისა, თორემ რუსეთთან კარგი მეზობლური (უფრო მეტიც, მოყვრული) ურთიერთობის დამყარება საქართველომ ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში სცადა, მაგრამ არც ის „გიორგი რუსი“ აღმოჩნდა „კარგი რუსი“.

არ შემიძლია არ ვახსენო ბატონი ვახტანგ გოგუაძის წიგნი – „დამიბრუნეთ ჩემი რუსეთი“ და მისი თხოვნა თუ მიმართვა რუსეთისადმი, მისცენ თავშესაფარი და სამუშაო. ამგვარ წიგნსა და თხოვნას რომ წერდა, ნუთუ არ გაახსენდა გარსევან ჭავჭავაძის ტრაგიკული ბედი? – გარსევან ჭავჭავაძისა, რომელმაც ვახტანგ გოგუაძეზე ასჯერ და უფრო მეტადაც გამოიდო თავი რუსეთთან დაახლოებისათვის და როცა „ამ დაახლოებამ“ საქართველო რუსეთის გუბერნიად და ქართველი ხალხი რუსების მონად აქცია, მთელი ქართველი ხალხისაგან შერისხულმა და გარიყულმა თევშესაფარი და სამუშაო რუსეთს სთხოვა, იქ ყველასაგან, მათ შორის საკუთარი ცოლ-შვილისაგან მიტოვებულმა მარტოობაში დალია სული, და არა მგონია, მის საფლავს დღეს პეტერბურგში პატრონი და მომვლელი ჰყავდეს.

ნუთუ გენერალ პეტრე ბაგრატიონის საფლავიდან ამოყრილი ძვლებიც არაფერს ნიშავნს მისთვის? ბატონ ვახტანგს ჯვარი სწერია, ღმერთმა დიდხანს ამყოფოს საკუთარ ოჯახში და ცოლ-შვილში, მაგრამ ნუთუ არც თავის დროზე თავგამოდებული კომუნისტის – ბუდუ მდივანის სიტყვები გაახსენდა, დახვრეტის წინ რომ თქვა: „არა თუ დასახვრეტი, ძელზე ვარ გასაკრავი მე-11 არმიის საქართველოში შემოყვანისთვისო“? არც იმ მე-11არმიის წინაძღოლის, თეთრ ცხენზე ამხედრებული სერგო ორჯონიკიძის ხვედრია სახარბიელო, თვითონვე რომ დაიხალა შუბლზე ტყვია. ამათი ბედიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთმა აშოროს ბატონ ვახტანგს, მაგრამ ნუთუ, შიშს თუ არა, უხერხულობას მაინც არ გრძნობდა, როცა სნგ-ში შესვლაზე აწერდა ხელს, ან როცა თავის მეგობრებთან ერთად „კარგი რუსების" ტანკში იჯდა და „სამეგრელოს გადასარჩენად" მოიჩქაროდა? ჩემი აზრით, არავითარი განსხვავება არ არის, რით შემოუძღვება ქართველი კაცი საქართველოს დამპყრობლებს: თეთრი ცხენით, პოლიტბიუროს დადგენილებით, ტანკით თუ ავტომანქანით. დღევანდელი საქართველოს შემყურეთ, ალბათ არც ბატონი ვახტანგის ნათქვამი და საქციელი უნდა გაგვიკვირდეს, როცა ზოგიერთები ზარ-ზეიმით აღნიშნავენ საქართველოს დამონების თარიღს, წარა-მარა საჩივლელად მოსკოვში დარბიან, ანდა რუსეთის საელჩოს წინ ტრანსპარანტებითა და წითელი დროშების ფრიალით ერთგულებას ეფიცებიან რუსეთს. თან ისე უნდა მოგვაჩვენონ თავი, რომ ამას სამშობლოსა და ხალხის სიყვარულით აკეთებენ: „იგი ცალი ყბით, რომელიც ჩვენკენ აქვს მოქცეული, ვითომ ჩვენთვის სტირის და წუხს და მეორე ყბით, რომელიც თავის ამქრისათვის მიუშვერია, იცინის და ჰხარობს, მითამ ნუ გეშინიათ, სულელებს ვაბრიყვებო!" ისევ ილიას სიტყვებით გავაგრძელებ, ვახტანგ გოგუაძეს თავისი კაცი რომ ჰგონია: „მერე ვისგან არის შემდგარი ეს მაბეზღართა რაზმი? რა ჯურის კაცნი არიან? ეგენი არიან მოხელენი, რომელთაც რუსთა სიყვარული კი არ ამოქმედებს, არამედ მათი დამშეული კუჭი, ეგ იმისთანა მოხელენი არიან, რომელთაც თავისი ბოროტი ქმედებით იმდენად შეურცხვენიათ თავიანთი თავი, რომ თვით ყოვლად-შემწყნარებელს ამ-გვარებში მთავრობას ვეღარ შეუწყნარია იმათ სამსახურში ყოფნა და გამოუყრია. ან კიდევ იმისთანანი, რომელნიც ჯერ კიდევ თავის ადგილს სხედან და საღერღელი კი აშლიათ მაღლა აცოცვისათვის, ვერას გზით კი ვერ აცოცვილან, ან კიდევ მისთანანი, რომელნიც თავის უხეირობით და უნიჭობით ვერას გამხდარან და უნდათ თავი როგორმე გამოიჩინონ, თვალი ჩვენ უფრო გვიჭრისო და შორს ჩვენ უფრო ვიხედებითო... მაბეზღარას უთუოდ უფიქრნია: – იქნებ ღმერთმა მიპირიანოს და ახალმა მმართველმა მომიკითხოსო, ვინ არის ასეთი ერთგული რუსეთისაო და კუჭის გასაძღომი ადგილი მომცეს რამეო".

ღმერთმა დალოცოს ილია ჭავჭავაძის კალამი! განა ვინმე ამაზე უკეთესად დახატავდა დღევანდელ რუსეთუმეებს და ვაი-პატრიოტებს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინჯარის პოლიტიკოსები

არასამთავრობო ორგანიზაციების გაზეთ „ალიანსში“ (№15, 26 ივნისი, 2000 წელი) დაიბეჭდა პროფესორ ზურაბ კიკნაძის ინტერვიუ „წვეთი სისხლი სარ არის ჩემში არაქართული“, რომელიც ეხება პირადობის დამადასტურებელ მოწმობებში ეროვნების რეკვიზიტის შეტანა-არშეტანის საკითხს. პიროვნულად ბატონ ზურაბს დიდ პატივს ვცემ როგორც მეცნიერს, მკვლევარს. მისთვის განკუთვნილ სფეროში როგორ შევედავები, მაგრამ ინტერვიუში გამოთქმულ ზოგიერთ მის მოსაზრებას არ ვეთანხმები. ბატონი ზურაბის გარდა სხვების დასახელებაც მომიწევს, რომლებიც ამ საკითხს ეხებიან. ცოტა უცნაური ფორმითაც მომიხდება ჩემი თვალსაზრისის გამოხატვა. მკითხველს ჯერ კორესპონდენტისა და რესპონდენტის კითხვა-პასუხს მივაწვდი, რომ საქმის კურსში იყოს, თუ რაზეა საუბარი და შემდეგ ვიტყვი ჩემს სათქმელს.

„კორ.: – *საზოგადოების აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით რადიკალურად გაიხლიჩა როგორც ხელისუფლებაში, ასევე რიგითი მოქალაქეების დონეზე. რამდენად არგუმენტირებულად გეჩვენებათ როგორც ერთი, ასევე მეორე მხარის პოზიცია?*

ზ. კიკნაძე: – ეროვნული რეკვიზიტის მომხრეებს, ვფიქრობ, არანაირი არგუმენტი არ გააჩნიათ, გარდა ემოციებისა. როცა ქუჩაში გამვლელს ეკითხებიან, სურს თუ არა მას პირადობის მოწმობაში „ქართველი“ ეწეროს, იგი, რა თქმა უნდა, დაეთანხმება, მაგრამ ეს ილუზიაა, ეროვნება სხვა აპარეზია, იგი არავითარ კავშირში არ არის რაიმე რეკვიზიტთან, გრაფასთან ან ჩანაწერთან. ჩვენ უამრავი ქართველი ვიცით, რომლებიც საბჭოთა წყობილებისას რუსულ სკოლებში იზრდებოდნენ და შემდეგ საერთოდ კარგავდნენ ეროვნებას“.

დავიწყებ იმით, რომ პირადობის მოწმობაში ეროვნების ჩაწერის მოწინააღმდეგეთა მტკიცება, თითქოს, ადრინდელი საუკუნეების საქართველოში რადგან პასპორტები არ არსებობდა, არც ეროვნების დაფიქსირება ხდებოდაო, მცდარია, ტყუილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საეკლესიო ჩანაწერებში აღინიშნებოდა ახალდაბადებულის მისი მშობლების ეროვნება. სწორედ ეს არის ერთ-ერთი არგუმენტი ეროვნების ჩაწერის სასარგებლოდ. ისე, საინტერესოა, რატომ ფიქრობს ბატონი ზურაბი, რომ „რეკვიზიტის აღდგენის მომხრეებს არავითარი არგუმენტი არ გააჩნიათ", ან რატომ ჰგონია, რასაც თვითონ ამბობს, ის „არგუმენტია, რასაც ოპონენტი იტყვის, ის – ილუზია"? მაშინ გამოდის, რომ საქართველოს მოსახლეობის 90 % „ილუზიის" ტყვეობაშია, მათ შორის მისი კოლეგები, ის ქართველი მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ეროვნული რეკვიზიტის აღდგენას; რატომ არის ამ ადამიანების მოსაზრება „ილუზია" და ბატონი ზურაბის ნათქვამი „არგუმენტი"? ან თვითონ რა არგუმენტები მოჰყავს? მის მიერ დასახელებული „რუსული სკოლის" მაგალითი „არგუმენტი" კი არა, იმ ადამიანების პირადი უბედურებაა. ჩვენც შეგვიძლია უამრავი პიროვნების დასახელება, რომლებიც არა თუ „რუსულ სკოლებში" სწავლობდნენ, მთელი ცხოვრება რუსეთსა და სხვა ქვეყნებში გაატარეს, მაგრამ ეროვნება არ დაუკარგავთ. როგორც ჩანს, ბატონ ზურაბს ხანდახან საკუთარი მოსაზრება „არგუმენტი" ჰგონია.

სანამ ეროვნებაზე ვიტყოდე, მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა მამის სახელის ჩაწერის თაობაზეც. ეროვნების ამოღების მომხრეები ასევე ეწინააღმდეგებიან პირადობის მოწმობაში მამის სახელის ჩაწერას, რაც ჩემთვის გაუგებარია. რატომ არ უნდა ეწეროს მამის სახელი პირადობის მოწმობაში? რას ისახავს მიზნად მამის სახელის ამოღება? ქართული გვარების უმეტესობა ხომ მამის სახელიდან არის შექმნილი. ზოგიერთ ქვეყანაში, მამის კი არა, ორი თუ სამი წინაპრის სახელსაც იტოვებენ გვარში. რუსულ მიმართვაში მამის სახელი მუდამ დომინირებს. ჩვენმა მამებმა რა დააშავეს? თუ ეროვნების ამოღებას ცრუ პოლიტიკურ მოტივაციას უძებნიან, რით არის მამის სახელის ამოღება გამართლებული? ჩემი აზრით, არაფრით გარდა ერთისა – ეროვნების, მამისა და წინაპრების სახელის წართმევით სურთ ქართველი კაცი მოაცალიჯონ საკუთარ ეროვნულ ფესვებს, წინაპრებს, ტრადიციებს, საკუთარ ისტორიას და ნელ-ნელა მოამზადონ მსოფლიო ინტეგრაციისათვის, რომელიც შორეულ მიზანს ისახავს. რაც შეეხება „რუსულ სკოლაში სწავლებას", საინტერესოა, რუსულ სკოლებში აღზრდილები ვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასარგებლოდ ტოვებდნენ ეროვნებას? რასაკვირველია, იმპერიის ანუ რუსეთის სასარგებლოდ. იმპერია ყოველთვის ცდილობდა ასეთი ადამიანების წაქეზება-წახალისებას, მაგრამ... არასოდეს საკუთარი ერის (ეროვნების) საზიანოდ. ამიტომ მოიხსენიებდნენ ენციკლოპედიაში რუს ნიკოლოზ ტიხონოვს რუს პოეტად, ებრაელ ედუარდ ბაგრიცკის – საბჭოთა პოეტად, ამიტომ არქმევდნენ მიკლუხო-მაკლაის რუს მეცნიერს, პეტრე ბაგრატიონს – რუს გენერალს. მაგრამ ეს სულაც არ უშლიდა ხელს რუსეთში ებრაელების „პოგრომების" მოწყობას, არც დღეს უშლის ხელს „კავკასიური ნაციონალობის" პიროვნებების რეპრესიებს. ისე, არც ჩვენ ვართ წინააღმდეგი დავაფასოთ და პატივი მივაგოთ იმ არაქართველებს, ვინც ქართული საქმე გააკეთა, დღეს აკეთებს ან მომავალში გააკეთებს. ამის დასტურია თბილისსა თუ საქართველოს სხვა ქალაქებში მათ პატივსაცემად დადგმული ძეგლები, მათ უკდავსაყოფად გახსნილი სახლ-მუზეუმები, მემორიალური დაფები, ქუჩების სახელწოდებები.

როგორც ჩანს, ბატონ ზურაბს და მის თანამოაზრეებს „რუსული სკოლის" მაგალითი „ოქროს გასაღები" ჰგონიათ. მათი აზრით, პირადობის მოწმობაში ეროვნებას თუ არ ჩავწერთ და „უფლება-მოვალეობა-ვალდებულებით" გავათანაბრეთ საქართველოში მცხოვრებ ყველა ერვონებას, „გათანაბრებულ" არაქართველებს უმალ ამნეზია დაეწყებათ, დაივიწყებენ საკუთარ ეროვნებას, ისტორიას, შევლენ ქართულ სკოლებში... და საქართველოში მოისპობა სეპარატიზმის საშიშროება. აი, ასეთი ფიქრი არის არა მარტო „ილუზია", არამედ დიდი შეცდომაც. ცნობილია, თურქეთის ყველა მოქალაქეს პასპორტში „თურქი" უწერია, მათ შორის ქურთებსაც, მაგრამ ამას ქურთებისთვის ხელი არ შეუშლია ებრძოლათ (და იბრძოლონ) თავიანთი ეროვნულობისა და დამოუკიდებლობისათვის. არც ესპანეთისა და საფრანგეთის ბასკები და კანადაში მცხოვრები ზოგიერთი ეთნოსის წარმომადგენლები ემორჩილებიან თურმე ამ „თეორიას". ებრაელების მაგალითი კი მართლაც სამაგალითოა მთელს მსოფლიოში. ქართველმა ებრაელებმა გვარიც და ენაც გაიქართულეს, მაგრამ ეროვნება და სარწმუნოება არ დათმეს. 26 საუკუნის შედეგ ებრაელებმა ისევ შექმნეს თავიანთი ეროვნული სახელმწიფო და დღესაც ყველაზე მაღლა ეროვნულობას აყენებენ. რატომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიყვანე ეს მაგალითები? იმიტომ, რომ თავი დავანებოთ საკუთარი თავის (თუ ხალხის) მოტყუებას. „ერების ინტეგრაციით“ და „ხალხთა ერთობით“ სახელმწიფოს შექმნა დიდმა, ასეულმილიონიანმა ერებმაც ვერ შეძლეს. ამიტომ, თუ ჩვენ ერი და ქვეყანა გვქვია, ჩვენს თავს თვითონ უნდა მოვუაროთ, არც მსოფლიო პოლიტიკის მიღმა უნდა დავრჩეთ, მაგრამ არც მარტო სხვების ჭკუითა და კარნახით უნდა ვიცხოვროთ. ტოლერანტობას ქართველ ხალხს ვერავინ ასწავლის, მაგრამ არც ზედმეტობა ვარგა. საქართველოში როგორც ადამიანების, ასევე ეთნოსების ურთიერთობა უნდა დაარეგულიროს სამართლიანმა კანონმა. კანონით უნდა დაისაჯოს როგორც შოვინისტური გამოვლინება (თუ ასეთი რამ იქნება), ასევე სეპარატისტული გამოხდომებიც. არც ერთის და არც მეორის სისრულეში მოსაყვანად სხვებისაგან არ უნდა ვიღებდეთ ნებართვას, რა ორგანიზაციაც არ უნდა იყოს და რა სახელიც არ უნდა ერქვას მას.

გვახსოვს, ერთ დროს საბჭოთა კავშირში ერთიანი პასპორტების შემოღებას აპირებდნენ, სადაც „ამერიკის მოქალაქის“ (მოქალაქის!) ანალოგიურად ჩაიწერებოდა „საბჭოთა მოქალაქე“ (მოქალაქე!). საბჭოთა იმპერიის ბელადებმა მაშინ ამ გადაწყვეტილების შესრულება ნაადრევად მიიჩნიეს, საჭიროდ ჩათვალეს თანდათანობით, ეტაპობრივად განეხორციელებინათ იგი. პირველ რიგში ე. წ. „მოკავშირე რესპუბლიკებში“ შეუტიეს ეროვნულობის უპირველეს ციხესიმაგრეს – ენას. ბევრ „მოკავშირე რესპუბლიკაში“ სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა-განათლება რუსულ ენაზე მიდიოდა. რომ არა „ბოროტების იმპერიის“ დაშლა, მშობლიური ენის წართმევის შემდეგ ენის გარეშე დარჩენილი ერების (ეროვნებების) ჯერი დადგებოდა. ასე მგონია, ღღევანდელი „მოქალაქეობის“ მსურველნი ამ სიტყვის ხშირ-ხშირად ხმარებით ყურებს გვიხედნიან, გვაჩვევენ ამ სიტყვას, რომელიც, ძალაუნებურად იწვევს „საბჭოთა მოქალაქის“, „ამერიკის მოქალაქის“, „მსოფლიო მოქალაქის“ ასოციაციას. „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ მესვეურნი და უცხოური გრანტებით დაფინანსებული „არასამთავრობო“ ორგანიზაციები ხომ არ გვამზადებენ საქართველოს „პატარა მოქალაქეებს“ მსოფლიოს „დიდი მოქალაქეობისათვის“? იქნებ ეს გაწამაწია და „დემოკრატობანას“ თამაში მხოლოდ ფასადია, რომლის უკან დგანან „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ანუ ახალი

„მსოფლიო იმპერიის“ მესვეურნი (სამწუხაროდ, ასეთი ძალები და პიროვნებები მსოფლიოში დღესაც არიან), სადაც საქართველოს „დერეფნის“ გარდა სხვა ფუნქცია არ ექნება. „ქართველი“ როგორც ერი, როგორც ეთნოსი არავის დასჭირდება; ასევე არავის დასჭირდება „დიდი პოლიტიკოსი“, რომელსაც, იმ მავრისა არ იყოს, საქმის გაკეთების შემდეგ სცენის მიღმა დატოვებენ, ხოლო იმ სცენაზე, სადაც მსოფლიო პოლიტიკის სპექტაკლები დაიდგმება, ქართველებს მასიურ სცენებშიც არ მიაღებინებენ მონაწილეობას. აი, ჩემი აზრით, რისთვის სჭირდებათ და სად იგეგმება „ეთნოსების ინტეგრაცია“ საქართველოში. ინტეგრაციით შექმნილი „სახელმწიფო ერი“, საბოლოო ჯამში, ერთიანი ლუკა იქნება „მსოფლიო სახელმწიფოს“ მამებისათვის, რომელთაც პატარ-პატარა ეთნოსების ღეჭვით არ სურთ ყბების ატკივება. სამწუხაროდ, საქართველოში, ზოგნი შეგნებულად, ზოგნი შეუგნებლად, იმათ ფეხის ხმას არიან აყოლილნი.

„ᲙᲝᲠ.: – *ფაქტობრივად, გამოდის, რომ ეროვნების რეკვიზიტის მომხრეთათვის იგივე ბერბიჭაშვილები თუ ორჯონიკიძეები მათი ქართველობით უფრო აღმატებულ ხარისხში დგანან, ვიდრე თუნდაც ნიკო მარი ან პოლტორაცკები.*

Ზ. ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ: – დიახ, ასე გამოდის.. გამოდის, რომ პატიოსნება და საქმის, სახელმწიფოს სამსახური სისხლზეა დამოკიდებული. ბაგრატიონები ჩვენი სახელმწიფოს შემქმნელები არიან, თუმცა მათში შეიძლება, მინიმალური იყოს ქართული სისხლი, მაგრამ პოლიტიკურად, იდეურად, მენტალურად ისინი ხომ ქართველები იყვნენ. იგივე შეიძლება ითქვას რუსეთის იმპერატორებზე, რომლებიც, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, წარმოშობით გერმანელები იყვნენ. ასევეა თითქმის ყველა ევროპელი სახელმწიფოს შემთხვევაში, მათი მეფეები ძალიან იშვიათად იყვნენ იმ ხალხის წარმომადგენლები, რომელსაც მართავდნენ“.

როგორც ჩანს („რუსული სკოლის“ არ იყოს), კორესპონდენტის კითხვაზე გაცემული პასუხი ბატონ ზურაბს „არგუმენტი“ ჰგონია, არადა, რა საერთო აქვს ერთმანეთთან „სისხლს“ და „პატიოსნებას“?

სისხლი ბიოლოგიური ცნებაა.

პატიოსნება – ზნეობრივი.

უპატიოსნო და უზნეო შეიძლება ნებისმიერი ადამიანი იყოს, ქართველიც და არაქართველიც, საქართველოშიც და საქართველოს გარეთაც. ისე, დღეს რომ საქართველოში უზნეო და უპატიოსნო ქართველია, იმდენი პატიოსანი რომ იყოს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. მაგრამ საქართველო არც მარტო „პატიოსანი არაქართველების“ იმედად ყოფილა. ასე რომ იყოს, აქამდე ვერც მოაღწევდა და არც ამდენი ეროვნული გმირი ეყოლებოდა.

რაც შეეხება ბერბიჭაშვილებს და ორჯონიკიძეებს.

გააჩნია, ვის მიაჩნია ბერბიჭაშვილი და ორჯონიკიძე (და არა მარტო ისინი) „ქართველობით უფრო აღმატებულ ხარისხში მდგომად“, ვიდრე ნიკო მარი ან პოლტორაცკები. თუ ქართველ ხალხზეა ლაპარაკი, მაშინ ჭეშმარიტმა საქართველომ და ქართველმა ხალხმა არ შეიძლება ილიას მკვლელი ან სამშობლოს მოღალატე ქართველი რაიმე „ხარისხში“ აიყვანოს. თუ ილიას მკვლელი გადიდებულ პენსიას იღებდა და თბილისში ორჯონიკიძის ძეგლი იდგა, ამაში საქართველოს და ქართველ ხალხს არავითარი ბრალი არ მიუძღვის. ეს იმ დროის უბედურება და ტრაგედია იყო. ნიკო მარისა და პოლტორაცკის ხსენება ამ კონტექსტში ჟურნალისტის ნასროლი ბადე იყო, რომელშიც ბატონი პროფესორი „გაება“. ათქმევინა ისეთი რამ, რაც, ჩემი აზრით, არ უნდა ეთქვა. მის ღირსებასა და განსწავლულობას არაფერს მატებს იმის მტკიცება, რომ „ბაგრატიონებში მინიმალური იყო ქართული სისხლი“ და ისინი მხოლოდ „პოლიტიკურად, იდეურად და მენტალურად იყვნენ ქართველები“. ბატონმა ზურაბმა ჩემზე უკეთ იცის, რომ საქართველოს მეფეების (და არა მარტო საქართველოს მეფეების) დაქორწინება მეფეთა სურვილზე არ იყო დამოკიდებული. ეს საკითხი წყდებოდა ქვეყნის ბედისა და მომავლის გათვალისწინებით. ისე, საინტერესოა, სხვა ქვეყნების სწავლულებს თავიანთ მეფეებზე ანალოგიური აზრი თუ აქვთ გამოთქმული! ბიზანტიის იმპერატორების თუ სპარსეთის შაჰების ძარღვებშიც ჩქეფდა ქართული სისხლი, მაგრამ არა მგონია, ბიზანტიელებს და სპარსელებს თავიანთი მეფეების ღირსება „იდეურ-პოლიტიკურ“ დონემდე დაეყვანათ. ისიც უნდა ითქვას, რომ არც ფრანგებისათვის, არც რუსებისათვის, არც გერმანელებისათვის და არც სხვებისათვის თავიანთი მეფეების ამ „ნაკლს“ ხელი არ შეუშლია თავიანთი პირადობის დამადასტურებელ საბუთებში

ეროვნული რეკვიზიტი შეეტანათ.

„კორ.: – საბჭოთა რეკვიზიტის ძალაში დატოვებით ჩვენ, ფაქტობივად, ისევ ძალაში ვტოვებთ ეროვნებათა შორის იმავე საბჭოთა ურთიერთობებს. გამოდის, თუ მაშინ რუსი ერი იდგა აღმატებულ ხარისხში, ახლა ქართველი იდგება?

ზ. კიკნაძე: – თქვენ სწორად თქვით, ქართველი ამ შემთხვევაში „დიდი" რუსის პოზიციაში მოევლინება საზოგადოებას. რუსეთი იყო „დიდი იმპერია". სადაც რუსი ბატონობდა, ახალ კი, როგორც სახაროვმა გვიწოდა, ჩვენ აღმოვჩნდებით „მცირე იმპერიის" როლში".

ვაი ჩვენს დღეს უბედურს! ამას წერს ქართველი ინტელიგენტი, რომლის ძარღვებში, მჯერა, „წვეთი სისხლი" არ არის არაქართული". საქართველოს რა „იმპერიაზეა" საუბარი. ეს ხომ „დიდი იმპერიის" და მისი იდეოლოგების მიერ „გათიშე და იბატონეს" მოტივით შემოგდებული ტერმინია. კორესპონდენტმა თუ არა, ბატონმა ზურაბმა ხომ იცის, რომ ასეთი შედარება მკრეხელობაა. რუსეთის„დიდ იმპერიაში" „რუსი აღმატებულ ხარისხში" იყო არა მარტო რუსეთში, თავის ქვეყანაში, არამედ უკრაინაშიც, ბელორუსიაშიც, საქართველოშიც, ტაჯიკეთშიც, ლიტვაშიც, სომხეთშიც – ყველა იმ „მოკავშირე რესპუბლიკაში", რომლებიც დამონებული ჰყავდა. რა საერთო აქვს ამას ე. წ. საქართველოს „მცირე იმპერიასთან", განა საქართველოს სხვისი ტერიტორიები აქვს დაპყრობილი და იქ ცდილობს თვისი „აღმატებულების" დამკვიდრებას? განა საქართველოში შემავალი რომელიმე კუთხე არაქართული მიწაა? განა საქართველოში მცხოვრები რომელიმე ერის წარმომადგენელი გრძნობს თავს დაჩაგრულად? განა ვინმეს (ქართველის გარდა) უკრძალავენ საკუთარ ენაზე ლაპარაკს, სწავლას, განათლებას? განა ვინმეს ართმევენ საკუთარ ეროვნულ კულტურას, ლიტერატურას, ხელოვნებას? ამის დასტურია საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა სკოლები, ჟურნალ-გაზეთები, უმაღლესი სასწავლებლები, თეატრები, ტელე-რადიოგადაცემები, ფოლკლორული ანსამბლები. თუ საერთოდ საქართველოში ქართველის „აღმატებულ ხარისხზეა" ლაპარაკი, ეს „აღმატებული ხარისხი" ყველა ავთენტიკურ ერს გააჩნია, რუსეთში – რუსებს, სომხეთში –

სომხებს, გერმანიაში – გერმანელებს. ეს „აღმატებულება“ ყველა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში კონსტიტუციით არის გარანტირებული და დაკანონებული. ნუთუ მას უწოდებს ბატონი ზურაბი „მცირე იმპერიას“? მაშინ რა ვუყოთ დიდი ილიას სიტყვებს: „რა საკვირველია, რომ მე ჩემი უფრო მიყვარდეს, ჩემსას უფრო შევხაროდე, ჩემი უფრო მიამებოდეს და ჩემსას უფრო ხელს ვუწყობდე. გული ადამიანისა ფიცარი ხომ არ არის, რომ ერთი წაშალო და მის მაგიერ სხვა რამ დასწერო. გრძნობა თავისიანის სიყვარულისა ისეთივე ძლიერია, ისეთივე მკვიდრია, ისეთივე ბუნებრივია, მაშასადამე, ისეთივე სამართლიანი და პატივსაცემი, როგორც სიყვარული მამა-შვილური, დედა-შვილური, ვერა ძალი მაგ სიყვარულს ვერ ამოჰკვეთს ადამიანის გულიდამ! ყოველივე იარაღი მის წინაშე უქმია!“

ბატონ ზურაბს პატივს ვცემ, მაგრამ ილია ჭავჭავაძის უფრო მჯერა.

„კორ.: – *ეროვნების რეკვიზიტის აღდგენა ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობაში ფსიქოლოგიურ-მენტალურ დონეზე უკურეაქციას ხომ არ გამოიწვევს?*

ზ. ძიკნაძე: –საბჭოთა კავშირის დროს ამ გრაფამ, შესაძლოა, რესპუბლიკების შიგნით გარკვეულად დადებითი როლი ითამაშა. გახსოვთ ალბათ, როგორ დაიცვა ქართველმა ხალხმა საბჭოთა კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები, რომელიც ეროვნულ საკითხს შეეხებოდა, მაგრამ ეს აქტუალური იყო მაშინ, როცა ჩვენ სახელმწიფოებრიობა არ გვქონდა და იმპერიის ნაწილი ვიყავით. ახლა საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა, აქვს სახელმწიფო ენა – ქართული, გვყავს პარლამენტი. ვისაც სახელმწიფო ასპარეზზე მოღვაწეობა სურს, ქართულიც უნდა იცოდეს... ასეთ ვითარებაში ეროვნების დაწერა, ჩემი აზრით, მხოლოდ პროვინციალიზმის გამოვლინებაა. ეს ქართველის სხვა ეროვნებასთან შედარებით აღმატებულებას აფიქსირებს“.

„აღმატებულობაზე“ უკვე ვილაპარაკე. რაც შეეხება დამოუკიდებლობას, ერთი შეხედვით, თითქოს ასეა, მაგრამ გაგვაჩნია კი რეალური, დე-იურე და დე-ფაქტო დამოუკიდებლობა? განა საქართველოს დღევანდელი, ფაქტობრივი ხელისუფლება დამოუკიდებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად წარმართავს ქვეყნის საშინაო, საგარეო თუ ეკონომიკურ პოლიტიკას? რასაკვირველია, არა. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია, ჩვენს ტერიტორიებს და საზღვრებს უცხო ქვეყნის ჯარი აკონტროლებს, ჩვენს ეკონომიკას სავალუტო ფონდი წარმართავს, მართლმადიდებელ ეკლესიას სექტები ძიძგნიან, მილიონამდე ადამიანი ისედაც გადახვეწილია საქართველოდან, მოშლილია ეროვნული მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, არ გაგვაჩნია ეროვნული იდეოლოგია, თუ ადრე მზე ჩრდილოეთიდან ამოგვყავდა, ახლა დასავლეთიდან ამოგვყავს. თვალი ხან მოსკოვისკენ გაგვირბის, ხან ვაშინგტონისკენ. ასეთ დროს ამგვარი კანონის მიღება ეროვნულ პრიორიტეტზე უარის თქმა, ეროვნული თვითმკვლელობის ტოლფასია. ყველა ნორმალური ქვეყნის ნორმალური ხელისუფლება ისეთ კანონებს ქმნის და იღებს, რომელიც მიესადაგება ერის ყოფას, ისტორიას, კულტურას, რაც მთავარია, ქვეყნის ფაქტობრივ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას; ხელს უწყობს ქვეყნის წინსვლას და არა ქვეყნის და ხალხის გაღატაკებას (როგორც ჩვენში ხდება). არ შეიძლება ჩინეთის, ამერიკის თუ საფრანგეთის მოდელი, წესი და კანონი მოერგოს პატარა ერების ცხოვრებასა და ყოფას. არ შეიძლება ამერიკის, საფრანგეთის და საქართველოს პრობლემები, საფიქრალი და საზრუნავი ერთნაირი იყოს.

რაც შეეხება ენას.

დიახ, ქართული ენა დღეს (ხაზს ვუსვამ, დღეს) „აღმატებულ მდგომარეობაშია", თუმცა არა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. არის ზოგიერთი კუთხე, სადაც ქართული ენა არ დომინირებს. ეს „აღმატებულება", როგორც ადრე აღვნიშნე, ქართულ ენას დაკანონებული აქვს კონსტიტუციით. მაგრამ რა იქნება მომავალში? მკითხველს ვთავაზობ პატარა სტატისტიკას. 1800 წელს საქართველოში ქართველი მოსახლეობა შეადგენდა 89 პროცენტს. ასი წლის შემდეგ, ე. ი. 1900 წელს – 67 პროცენტს. კიდევ ასი წლის შემდეგ, ე. ი. 2000 წელს 55-60 პროცენტი თუ იქნება. კიდევ ერთი სტატისტიკური მონაცემები, სადაც კარგად ჩანს, თუ როგორ იცვლება ამიერკავკასიის ძირითად ეროვნებათა მოსახლეობა ნახევარი საუკუნის მანძილზე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

	1926 წ.	1970 წ.
ქართველები	1,821 ათასი	3,245 ათასი
აზერბაიჯანელები	1,713	4,380
სომხები	1,568	3,559

ორმოცდაათი წლის ნამატი დაახლოებით ასეთია: ქართველი მოსახლეობა გაიზარდა მილიონ-ნახევრით, აზერბაიჯანელი– ორმილიონ-ნახევრით, სომხები – ორი მილიონით.

ახლა შედარებით ახალი სტატისტიკური მონაცემები: 1989 წელს საქართველოში ყოველ ათას ქართველზე 16,1 ბავშვი დაიბადა, ყოველ ათას აზერბაიჯანელზე – 8,6, ყოველ ათას ქურთზე 30,0 ბავშვია.

რა იქნება 100-200 წლის შემდეგ? რა მოელის ქართველ ერს, ქართულ ენას, ქართულ სახელმწიფოებრიობას, თუ მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური, განსაკუთრებით დემოგრაფიული ცხოვრება ასე გაგრძელდება?თუ სტატისტიკის ლოგიკით ვიმსჯელებთ, 200 წლის შემდეგ საქართველოში ქართველი მოსახლეობის რაოდენობა 30-40 პროცენტი თუ იქნება. მაშინ... მაშინ ერთ არცთუ ისე მშვენიერ დღეს თბილისში შეიკრიბება საქართველოს პარლამენტი... მაგრამ არაქართული პარლამენტი, რადგან ქართველები უმრავლესობაში არ იქნებიან, გამოვა ვინმე „უფლება-მოვალეობით“ ქართველებთან გათანაბრებული არაქართველი პარლამენტარი და იმ დროისათვის „სრულიად სამართლიან“ კითხვას დასვამს: რატომ არის სავალდებულო საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობისათვის ქართული ენის, ისტორიის, კონსიტუტუციის ცოდნა, როცა არც პარლამენტში და არც საქართველოში ქართველები უმრავლესობას არ წარმოდგენენო. მინდა ვკითხო დავითაშვილებს, მაღლაფერიძეებს და სხვებსაც, რა პასუხს გასცემენ მათი შთამომავლები ამ სამართლიან შეკითხვას? ან რა პასუხს გასცემენ, თუ ამავე „ლოგიკით“ არაქართველი პარლამენტარები საქართველოსათვის სახელის შეცვლასაც მოითხოვენ? ისტორიამ ასეთი მაგალითებიც იცის. სტამბულს ადრე კონსანტინეპოლი ერქვა და იქ თურქები კი არა, ბერძნები ცხოვრობდნენ. იქნებ ასეთი შეკითხვაც დაისვას „იმ პარლამენტში“, რატომ უნდა იყოს სახელმწიფო ენა ქართული და არა რომელიმე სხვა, „უფლება-მოვალეობით გათანაბრებული“ ერის ენა? რატომ არ უნდა იცოდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

„უფლებით“ სხვა ერებთან „გათანაბრებულმა“ ქართველმა „გათანაბრებული“ ერების ენა და ისტორია? აი, მაშინ ბატონი ზურაბის მიერ ნახსენები „სახელმწიფო მშენებლობის აგური“ თავში საცემად თუ გამოადგებათ დავითაშვილების, მაღლაფერიძეების და ბატონი ზურაბის შთამომავალთ.

ეროვნების ჩაწერის მოწინააღმდეგენი ხშირად ახსენებენ დავით აღმაშენებელს, რომელსაც თურმე პასპორტი არ ჰქონია. პასპორტები არც იმათ ჰქონდათ, ვინც დავით აღმაშენებელს ებრძოდნენ, მაგრამ ამ ფაქტს მათი შთამომავლებისათვის (დღევანდელი თურქებისათვის) ხელი არ შეუშლია თავიანთ პასპორტში ეროვნება – „თურქი“ ჩაეწერათ. არც დავით აღმაშენებლის მიერ ჩამოსახლებული 40 ათასი ყივჩაღია ის „არგუმენტი“, ასე რომ ეიმედებათ ოპონენტებს. იმდროინდელ საქართველოში ყივჩაღები 10 პროცენტის მეტი არ იქნებოდნენ. დავით აღმაშენებლის მრავალმილიონიან საქართველოს, პოლიტიკურად და ეკონომიკურად უძლიერეს სახელმწიფოს, რომელმაც დიდგორის ომში ნახევარმილიონიანი არმია დაამარცხა, არ გაუჭირდებოდა 100 თუ 200 ათასი ყივჩაღის „შერწყმა“ და მოვლა-პატრონობა. თუმცა, ყივჩაღების პრობლემას არც იმდროინდელი საქართველოსათვის ჩაუვლია უმტკივნეულოდ (ყივჩაღების მიერ შეთქმულების და ამბოხების მცდელობით). დღევანდელ საქართველოში არაქართველი მოსახლეობა 40 პროცენტზე მეტია. საინტერესოა, დღევანდელი გაღატაკებული, პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაუძლურებული, საზღვრებმორღვეული, მართლაც „დერეფნად“ ქცეული სამმილიონ-ნახევრიანი საქართველო როგორ მოუვლის მილიონნახევარი არაქართველის პრობლემას?

ეროვნების ჩაწერის მოწინააღმდეგეები ხშირად იშველიებენ შუშანიკს, აბოს და ევსტათი მცხეთელს. მაგალითად, ბატონი კობა დავითაშვილი წერს (გაზეთი „დრო“, №23 (239), 2000 წელი, 4-11 ივლისი): „ჩავუღრმავდი ისტორიას, ლიტერატურას და დავადგინე, ისინი სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ ქართველებად მოიხსენიებოდნენ“.

ისე, კარგი იქნებოდა დაესახელებინა ის წყაროები, სადაც შუშანიკი, აბო და ევსტათი მცხეთელი ქართველებად არიან მოხსენიებულნი. ამგვარი რამ არსად არ არის ნათქვამი. შუშანიკის, აბოს და

ევსტათი მცხეთელის თანამედროვე მემატიანეთა ნაწერებში შუშანიკიც, აბოც და ევსტათი მცხეთელიც ქრისტიანული სარწმუნოებისათვის წამებული პიროვნებები არიან, ამიტომ შერაცხა ქართულმა ეკლესიამ წმინდანებად და არა იმიტომ, რომ თითქოს ისინი „გაქართველდნენ“, როგორც ამტკიცებს ბატონი კობა. საქართველოს ძნელბედობის ჟამს ხშირად ქრისტიანული სარწმუნოება აყვანილი იყო ეროვნულობამდე (აღიქმებოდა როგორც ეროვნული იდეოლოგია). ამ დროს მათ ქმედებას მართლაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, მით უმეტეს, მაშინ, როცა მტრისაგან შეჭირვებული ქართველები„ირხევიან ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა“ (იოანე საბანისძე). ალბათ ამ თვალსაზრისით არის დაწერილი მიქაელ მოდრეკილის იამბიკო „დღესასაწულობა ნათლისღებისათვის და ხსენებაი ჰაბო ისმაიტელ ყოფილისა ქართველისაი“, რომელიც, ჩემი აზრით, ბატონი კობასათვის მცხეთელის „გაქართველების“ უმთავრესი არგუმენტია. ახლა ვნახოთ, რას ამბობენ თვითონ წმინდანებად შერაცხული ადამიანები. ევსტათი მცხეთელი: „აწ მე ქრისტე მწამს და ქრისტეს მსახურებასა შინა ვარ“; „ვერვინ განმაშოროს ქრისტესგან ვიდრე სულისა ჩემისა ამოსვლად“; „რაითა გუამი ჩემი დაემარხონ მცხეთას სადაცა იგი ნათელი მივიღე“.

ახლა მოვისმინოთ აბოს სიტყვებიც: „სადაღა შემიწყნარა მე ქრისტემან და განმაშორა ჩემგან ბნელი იგი პირველისა მის უმეცრობასა ჩემისა და ღირს მყო მე ნათელსა მას მისსა. არასადა უვარვყო მე სახელი მისი“; „მე არა ხოლო ტანჯვად განმზადებული ვარ ქრისტესთვის, არამედ სიკუდილცა“, „მე განვიზრახე და ქრისტეანე ვარ“. ასე რომ, არსად ლაპარაკი არ არის მათ „გაქართველებაზე“, ეროვნულობაზე.

ახლა რაც შეეხება შუშანიკს: იაკობ ცურტაველი იმას კი წერს: „აგინებდა ვარსქენი თესლ-ტომსა მისსა“, მაგრამ არსად უწერია, თვითონ შუშანიკს უარი ეთქა თავის „თესლტომობაზე“, ე. ი. ეროვნებაზე. მისი „გაქართველებით“ შეურაცხყოფას ხომ არ ვაყენებთ მის წმინდა სახელს, როცა მას საკუთარი ეროვნების უარყოფას ვაბრალებთ? თუ ბატონი კობა მაინცდამაინც დაიჩემებს მათ „გაქართველებას“, ცოტა უხერხულად ხომ არ გამოსდით ჩვენს ოპონენტებს, მოუწონებენ კი ქართველობისათვის წამებულთა სულები ეროვნების გრაფაში „ქართველის“ არჩაწერას? ჩემი

აზრით, ბატონი კობას მიერ მათი „გაქართველება“, დღევანდელი სიტუაციის შესაბამისად, წმინდა წყლის პოლიტიკური ტრიუკი იყო, გულუბრყვილო მკითხველებისათვის გათვლილი, თორემ ეროვნება არც ერთს არ შეუცვლია, არც მეორეს და არც მესამეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავუშვათ, ბატონმა კობამ მართლაც „მიაგნო“ ისეთ ისტორიულ წყაროს, სადაც შუშანიკის, აბოს, და ევსტათის „ქართველობაზეა“ საუბარი, დიდება და პატივი მათ წმინდა სულებს, მაგრამ ამით რა შეიცვლება? განა საქართველოს ისტორიიდან გაგიჭირდება იმ არაქართველების დასახელება, რომლებმაც საქართველოს უღალატეს? რამდენიც გნებავთ, იმდენია, მაგრამ არც ერთი, არც მეორე მაგალითი არ შეიძლება პოლიტიკის მაღალ დონეზე ავიყვანოთ. ცალკეული, კონკრეტული პიროვნების ნამოქმედარი საფუძველი და საბაბი არ უნდა გახდეს ქვეყანაში მნიშვნელოვანი კანონის მიღება-არმიღებისა. ასე რომ, „გაქართველების“ მაგალითი არც ერთ ვარიანტში „არგუმენტად“ არ გამოადგებათ ეროვნების ამოღების მომხრეებს. ერთ „პატარა არგუმენტს“ მეც მოვიშველიებ შუშანიკის სომხობა, აბოს არაბობა და ევსტათის სპარსელობა ზეპირსიტყვიერებით და ფოლკლორით არ მოსულა დღემდე, ისტორიულ წყაროებში არის დაფიქსირებული (ე. ი. ჩაწერილი). ბარემ აქვე მოვიყვან ბატონი კობას მიერ „ისტორიასა და ლიტერატურაში ჩაღრმავების“ შედეგად მიღებულ მის ერთ „საინტერესო“ მოსაზრებას. ბატონი კობა ამბობს: „არ შეიძლება ერთ სახელმწიფოში ორი ან მეტი ერი არსებობდეს. ყველა სახელმწიფოში უნდა არსებობდეს ერთი ერი და იგი უნდა იყოს ამ სახელმწიფოს მოქალაქეთა ერთობა“. საინტერესოა „ჩაღრმავების“ შედეგად აღმოჩენილი „ერთ სახელმწიფოში ერთი ერის“ არსებობის კონცეფცია, რომელიც ძალიან ჰგავს „ერთი ერი, ერთი იმპერია, ერთი ფიურერის“ ავად სახსნებელ ფაშისტურ მოწოდებას. ახლა მინდა ვიკითხო: ვისთვის უფრო უპრიანია „ფაშისტის“ იარლიყი, ვინც სახელმწიფოში ერთი ერის არსებობას ქადაგებს თუ ვისაც სახელმწიფოში ყველა ერის თანაცხოვრება სურს? ასევე, „ჩაღრმავების“შემდეგ აღმოაჩინა ბატონმა კობამ კიდევ ერთი „სიახლე“. ბატონი კობა ამბობს: „სახელმწიფო, რომელიც მის წიაღში არსებული ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციის პოლიტიკას არ ატარებს, დასანგრევადაა განწირული, სსრკ და იუგოსლავია ამიტომ არ არსებობენ დღეს“. ხედავთ, ბატონი კობა,

საიდან სად მივიდა, რას ნიშნავს „ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციის პოლიტიკა“? პირდაპირ რომ ვთქვათ, ეს არის ერების, ეთნოსების მოსპობა, განადგურება ანუ „ერების შერწყმა“, რომელსაც თავის დროზე ქადაგებდნენ კონუნისტები და მღეროდნენ კიდეც ჰიმნში „ხალხთა ერთიანი, ძმური კავშირის“ შესახებ, სწორედ ამგვარი შერწყმით აპირებდნენ შედგომში „საბჭოთა მოქალაქის“ შექმნას. და ამას ამბობს ადამიანი, რომელიც თავის თავს დემოკრატს უწოდებს. წუხს ბატონი კობა, რომ სსრკ-მ ეთნოსების „ინტეგრაცია“ არ გაატარა და დაიშალა. როგორც სხვა დროის იმპერიებმა, „ბოროტების იმპერიამაც“ ეთნოსების ინტეგრაცია „არ გაატარა“ კი არა, „ვერ გაატარა“, რადგან ეს იყო ღვთისა და ბუნების კანონების წინააღმდეგ წასვლა, რომელმაც ჩვენი პლანეტა მრავალსახეობითა და მრავალფეროვნებით აღავსო („გვაქვს უთვალავი ფერითა“. რუსთაველი), რომელშიც, რასაკვირველია, ერების, ეთნოსების მრავალფეროვნება და მრავალსახეობაც იგულისხმება. „პეტრემ გახსნა პირი და უთხრა: – ჭეშმარიტად ვრწმუნდები, რომ ღმერთი მიკერძოებული არ არის, არამედ ყოველ ერში მისი მოშიში და სიმართლის მქონე მოსაწონია მისთვის“ (მოციქულთა საქმენი, 10. 35). და აი, დღეს საქართველოს თავს ახვევენ იმ პოლიტიკას, რამაც თავის დროზე დიდ ერებსაც სირცხვილისა და პრობლემების მეტი არაფერი მოუტანა. რუსეთი დიდი ქვეყანაა, ამ ბოროტი ექსპერიმენტის შემდეგაც დიდ სახელმწიფოდ დარჩა, მაგრამ რას მოუტანს პატარა საქართველოს ამდენი „ექსპერიმენტები“? რა მოელის მას, თუ ბატონი დავითაშვილის და მისი თანამოაზრეების ექსპერიმენტი არ გაამართლებს?

საბოლოო ჯამში, როგორც ჩანს, „ისტორიასა და ლიტერატურაში ჩაღრმავებამ“ თავისი ნაყოფი მაინც გამოიღო. ბატონმა კობამ, საქართველოში ეთნოსების „შერწყმა“ თუ ვერა, ფაშისტური და კომუნისტური იდეოლოგიების „ინტეგრაცია“ მაინც მოახერხა. რაც შეეხება „მოქალაქეთა ერთობით“ შექმნილ სახელმწიფოს, დღეს მსოფლიოში ასეთი ერთადერთი სახელმწიფო არსებობს – აშშ, თავისი უპრეცედენტო და უნიკალური ისტორიით, რომლის განზოგადება არც ზნეობრივად და არც იურიდიულად არ შეიძლება. ეტყობა, ქართველმა „ოკეანედალეულებმა“ ქართული ანდაზის პერიფრაზირებაც მოახდინეს: სადაც სწავლა-განათლება მიიღეს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იქაური ქუდი დაიხურეს.

„კორ.: – არაქართული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში კი დიდ ეთნიკურ და, შესაბამისად, პოლიტიკურ ნაღმს მოამზადებს.

ზ. კიკნაძე: – რა თქმა უნდა, ასევე ათეული წლებით შეაფერხებს საქართველოში სახელმწიფო ერის შექმნის პროცესს. პირადობის მოწმობაში ეროვნების გრაფის არარსებობა კი ქართველს და არაქართველს ერთმანეთთან გაათანაბრებს როგორც უფლებით, ასევე ქვეყნის მიმართ მოვალეობა-ვალდებულებით".

საინტერესოა, რომელ „სახელმწიფო ერზეა" ლაპარაკი? რას ნიშნავს, საერთოდ, სახელმწიფო ერი? ვინ იგულისხმება ამ სახელწოდების ერში? ალბათ ბატონი კობა დავითაშვილის მიერ ნახსენები „მოქალაქეთა ერთობა", რომელსაც „ერის"კლასიკურ განმარტებასთან საერთო არაფერი აქვს და ზოგიერთების ფანტაზიის ნაყოფია. „სახელმწიფო ერის" ხსენებამ მომაგონა 1976 წელი, როცა კონსტიტუციიდან ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის ამოღება უნდოდათ და მის ნაცვლად უნდა ჩაეწერათ –„რესპუბლიკის ენა". „სახელმწიფო ერი" და „რესპუბლიკის ენა" საეჭვოდ ჰგავს ერთმანეთს. საბჭოთა კონსტიტუციაში ჩაწერილმა ეროვნულობის გრაფამ მაშინ დადებითი როლი ითამაშაო, ამბობს ბატონი ზურაბი, მოსწონს, რომ „ქართული ენა" „რესპუბლიკის ენად" არ იქცა. მაშ, რა ხდება დღეს? „საბჭოთა" კი არა, საქართველოს კონსტიტუციით ხდება გაცილებით უარესი – გვართმევენ ეროვნებას. ასევე გაუგებარია ჩემთვის ბატონი ზურაბის „ნაღმებისადმი" დამოკიდებულება. არ ვიცი, კორესპონდენტი რა ასაკისაა, მაგრამ ბატონი ზურაბის ინტელექტი და ცხოვრებისეული გამოცდილება მაიმედებდა, რომ იგი საკადრის პასუხს გასცემდა ამ პროვოკაციულ კითხვას და „ნაღმების ჩამწყობთა" მისამართებსაც დაასახელებდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ყველა ჯურის იმპერიას საქართველოში „ნაღმების ჩაწყობის" დიდი გამოცდილება აქვს. ნაღმებს უწყობდნენ საქართველოს „უპასპორტო" მეფეებს და უმეფოდ დარჩენილ საქართველოსაც. იმპერიის ნაღმები ხშირად ქართველების ხელით იდებოდა. ზოგის გვარი ბაღვაში იყო, ზოგის სახელი –შადიმანი, ზოგს სერგო ორჯონიკიძე ერქვა, ზოგს – ფილიპე მახარაძე... ბოლო ორ საუკუნეში საქართველოში „ნაღმების ჩამწყობი"ჯერ მეფის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთი იყო, შემდეგ – საბჭოთა იმპერია. დღეს მათ სხვებიც ეამატნენ. მეფის რუსეთმა „დაგვინაღმა“ სამცხე-ჯავახეთი, საბჭოთა იმპერიამ – სამაჩაბლო (ე. წ. სამხრეთ ოსეთი), აფხაზეთი, აჭარა. მომავლისათვის ახალი ნაღმებია ჩაწყობილი სამეგრელოში, იმერეთში, გურიაში, ქართლში, კახეთში, სვანეთში. ოღონდ ამ ნაღმებს „საქართველოს რეგიონებად დაყოფა“ ჰქვია და მისი ჩამწყობი დღევანდელი დე-ფაქტო ხელისუფლებაა. მე დარწმუნებული ვარ, ეს„ნაღმებიც“ ვიღაცის მითითებით და სურვილით არის ჩადებული, რომელიც, ჩამწყობთა აზრით, ხვალ თუ ზეგ უნდა აფეთქდეს. ამიტომ ვეკითხები ბატონ ზურაბს: იმპერიის, არაეროვნული ხელისუფლების თუ კონკრეტული პოლიტიკოსის დანაშაული შეიძლება ხალხს გადააბრალო? სამაჩაბლოსა თუ აფხაზეთში მომხდარ უბედურებაში ქართველი ერი დაადანაშაულო?

„კორ.: – *ამ სიტუაციაში ყველაზე ოპტიმალურ გამოსავალს რაში ხედავთ, როგორ ფიქრობთ, რეფერენდუმის საშუალებით შესაძლებელია პრობლემის მოგვარება?*

ზ. კიკნაძე: – ეს არ არის რეფერენდუმის, საჯარო განხილვის საკითხი. ეს სპეციალისტების, კომპეტენტური ადამიანების გადასაწყვეტია, პრეზიდენტის საქმეა. მან უნდა გადაწყვიტოს, თუ როგორ, რა გზით გადაჭრას პრობლემა“.

სანამ რეფერენდუმზე ვიტყოდე, მინდა მივმართო პარლამენტის იმ დეპუტატებს, რომლებიც დაბადების მოწმობაში ეროვნების ჩაწერის წინააღმდეგი არიან: – ბატონებო და ქალბატონებო, თქვენ ხომ ხალხმა აგირჩიათ, მათ წარგადგინათ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, რათა მათი ინტერესები და უფლებები დაგეცვათ. სანამ პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან ეროვნებაზე თქვენს მოსაზრებას დააფიქსირებდეთ, შეხვდით თქვენს ამომრჩევლებს, მოისმინეთ მათი აზრი ამ საკითხზე. იზიარებენ თუ არა ისინი თქვენს პოზიციებს? დარწმუნებული ვარ, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა (ქართველებიც და არაქართველებიც) თქვენს შეხედულებას არ იზიარებს. მაშ, ვის ინტერესებს და პოზიციებს იცავთ თქვენ პარლამენტის ტრიბუნიდან? რაც შეეხება რეფერენდუმს, დიახ, რეფერენდუმი უნდა მოეწყოს, თუ პარლამენტში საქმე სამართლიანად არ დამთავრდება. რატომ უნდა გადაწყვიტოს მილიონობით ადამიანის ბედი „ვიწრო სპეციალისტთა წრემ“ და არა

ხალხის ნება-სურვილმა.

საქართველო მარტო დღევანდელ თაობებს (ცოცხლებს), მით უმეტეს, ერთი მოწვევის პარლამენტს არ ეკუთვნის. საქართველო იმათიცაა, ვინც ჩვენამდე ცხოვრობდა, საქართველო იმათიცაა, ვინც ჩვენს შემდეგ დაიბადება და იცხოვრებს. საქართველო იმათიცაა, ვინც დაწერა „ვეფხისტყაოსანი“, ვინც მოიგო დიდგორის ომი, ვინც ააგო სვეტიცხოველი და ვარძია. მაშ, რა უფლებით ართმევენ ზოგიერთი დღევანდელი პარლამენტარები ცოცხლებსა და მკვდრებს იმას, რაც მათ არ მოუციათ?!

ამას წინათ პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია „სინჯარის ბავშვებზე“. თავდაპირველად ინფორმაციამ საზოგადოებაში გაუგებრობა და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მალე ყველაფერი გაირკვა. ექიმ-სპეციალისტების განმარტებით, „სინჯარის ბავშვებს“ პირობითად ეძახიან, თორემ მათ დედაცა ჰყავთ და მამაც, სამშობლოც გააჩნიათ და ეროვნებაც. მაგრამ რა ექიმი და სპეციალისტი უშველის სულიერ სინჯარებში გამოჩეკილ ადამიანებს, რომელთაც არც ეროვნების ხსენება სურთ და არც მამის სახელის გაგონება.

საკითხავი აი, ეს არის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უქართველებო საქართველო

ეს იყო,
ეს არის,
ეს იქნება

მახვილით, ტკბილი სიტყვით, საწამლავით, ბანგით თუ სამსალით მოსული ყველა დროის „საქართველოს უკვდავი მტრების“ ფიქრი და ოცნება.

უქართველებო საქართველოს გეგმას ადგენდნენ – კონსტანტინეპოლში, ისპაჰანში, სანკტ-პეტერბურგში, სტამბულში, მოსკოვში, თეირანში.

„უქართველებო საქართველოზე“ ფიქრით ღამეს ათენებდნენ რეაქციონერი კატკოვები და „დემოკრატი“ დეკაბრისტებიც.

„უქართველებო საქართველოსთვის“ იბრძოდნენ „საქართველოს სიძეები“ თუ სახელი და გვარ-გამოცვლილი, მამლუქებად ქცეულნი ჩვენივე თვისტომნი.

და ბოლოს, ყველაზე საშინელი – „უქართველებო საქართველოსათვის“ იღვწოდნენ და იღვწიან სისხლით და ხორცით, სახელითა და გვარით ქართველნი, მაგრამ სულით, გონებით და რწმენით გამანქურთებული, კონკვისტადორი ორჯონიკიძეები.

ასე დავკარგეთ ტაო-კლარჯეთი, საინგილო, სოჭი, ახლახან–აფხაზეთი და სამაჩაბლო.

ხვალ კიდევ, ვინ იცის, რა გველის! – მაგრამ, „ღმერთი არ გასწირავსო“, გვაიმედებს რუსთაველი და გვჯერა, ღმერთი მართლა არ გასწირავს ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას – საქართველოს. მართალია, გვყვანდნენ ვარსქენები, შადიმანები, ყორღანაშვილები, ბერბიჭაშვილები, ორჯონიკიძეები მაგრამ ასევე, ღვთის წყალობით, გვყოლია და მომავალშიც გვეყოლება აღმაშენებლები, არაგველები, ხერხეულიძეები, ბერი თევდორეები, ილიები, ჩოლოყაშვილები, ზვიადები, მერაბები...

ქართველი კაცისათვის ყველაზე დიდი უბედურება იყო საკუთარი ფუძიდან აყრა. ამიტომ არის საქართველოდან ფერეიდნამდე მიმავალი გზა ქართველი ქალებისა და ბავშვების ცრემლებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკირწყული, ხელებშებორკილი მამაკაცების ოხვრით და გმინვით დანალმული; ამიტომ გაჩნდა ირანის შორეულ კუთხეში ქართული სოფლების სახელები: მარტყოფი, უდე, ბოინი, ვაშლოვანი, ჩუღურეთი, რუსთავი, სიბათი, აკი... ჩიტიც არსებულა ისეთი, უცხოეთში მიმავალ ქართველებს რომ გასძახოდა: „ნუ გათათრდებით“... დღეს კი უცხო ქვეყნების საელჩოების წინ საზღვარგარეთ წასვლის მთხოვნელ ქართველთა უშველებელი რიგები დგას.

ეს ერის ტრაგედიაა.

არავინ იცის, რა უფრო დიდი უბედურებაა ქვეყნისათვის – დროებით დათმობილი ტერიტორიები თუ სამუდამოდ დაკარგული ქართველები. „სამუდამოდ დაკარგულს“ იმიტომ ვამბობ, რომ მილიონი ქართველიდან, რომელმაც სამშობლო დატოვა, სხვადახვა მიზეზის გამო, ბევრი უკან არ დაბრუნდება.

მიზეზები კი შემდეგი გახლავთ:

1. სამშობლოს უმეტესად ტოვებენ ახალგაზრდები – ქართველი ჭაბუკები და გოგონები. ბევრი იქ დაქორწინდება, გაჰყვება ან შეირთავს უცხოელს. უცხო მიწაზე ოჯახით მიჯაჭვულ კაცს გაუჭირდება სამშობლოში დაბრუნება, რადგან ის მიწა, სადაც ისინი ამჟამად ცხოვრობენ, სანახევროდ მათი შვილების სამშობლოც იქნება.

2. ნორმალურ ცხოვრებას შეჩვეულ კაცს გაუჭირდება ისევ სიღარიბესა და სიდუხჭირეში დაბრუნება.

3. უცხოეთში წასული და დამკვიდრებულ ბიზნესმენები და საქმიანი ადამიანები არ გარისკავენ, აწყობილ საქმეს არ დაშლიან და თავიანთ ქონებას არ ანდობენ ქაოსითა და კრიმინალებით გაჟღენთილ ქვეყანას. გარდა ამისა, ასეთი „ენერგიული ადამიანებისათვის“ ყველა ის ქვეყანა, სადაც ფულის გაკეთება შეიძლება, მათი სამშობლოა.

4. არც ინტელექტუალები მოიკლავენ თავს სამშობლოში დაბრუნებისათვის, რამეთუ მათ ნიჭს, მათ შესაძლებლობებს გაცილებით მეტი ასპარეზი და პერსპექტივა უცხოეთში ექნება, ვიდრე იმ ქვეყანაში, სადაც პროფესორის ხელფასი 30-40 ლარია.

5. არის სხვა მიზეზებიც: პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კრიმინალური ტერორი აიძულებს ბევრს უკან არ დაბრუნდეს.

ასე რომ, ინტელექტი, ძალა და ენერგია, რომელიც სამშობლოს

უნდა მოხმარდეს, უცხო ქვეყანაში მიედინება. საქართველოს მოხუცების, პენსიონერების, შეირაღებული ადამიანებისა და კრიმინალების ამარა რჩება.

ისე, ბატონ შევარდნაძეს თუ დავუჯერებთ, ამაში ცუდი არაფერია. პირიქით, მისი აზრით, მისასალმებელიც კია, რომ ქართველმა ლუკმაპური უცხოეთში იშოვოს.

მწარეა ეს ლუკმა.

მონური შრომით, სხვისი მოჯამაგირეობით, საკუთარი სხეულის ფასად ნაშოვნი ლუკმა.

იმ ადამიანებს ვერ დაადანაშაულებ. ისინი შებრალებას უფრო იმსახურებენ, რადგან მათ საზღვარგარეთ ერეკება საქართველოში შექმნილი რეჟიმი, პოლიციური ტერორი, ეკონომიკური კრიზისი, შიმშილი, სიღარიბე და სიღატაკე. საყვედურისა და გაკიცხვის ღირსია ის ხელისუფლება, ის ადამიანები, ვინც ამ დღეში ჩააგდო ქვეყანა, ვინც ხალხი გააუბედურა, ვინც ისინი აქამდე მიიყვანა.

და მაინც, საზღვარგარეთ გადახვეწილ ქართველებს მინდა შევახსენო ჩეჩნების მაგალითი. ჩეჩნები ამ მხრივაც სამაგალითო ერია. მხედველობაში მაქვს გენოციდი, რუსეთმა ორჯერ რომ მოუწყო ჩეჩნეთს. დიახ, ორჯერ საკუთარი ფუძიდან აყრილმა ხალხმა მოახერხა სამშობლოში დაბრუნება და თავგანწირული ბრძოლით აიძულა დამპყრობელი ჩეჩნეთიდან წასულიყო. ჩვენი „ელიტარების“ მსგავსად მრავალსართულიანი „ქოხები“ არ უყიდიათ. პირიქით, გადასახლებაში მყოფთ, კაპიტალური სახლებიც არ აუშენებიათ, მიწურებში ცხოვრობდნენ, სამშობლო რომ არ დავიწყებოდათ, უცხო მიწას რომ არ მიჩვეოდნენ, არ მიჯაჭვულიყვნენ, სამშობლოში დაბრუნების სურვილი რომ არ დაჰკარგოდათ. რადგან „ქოხი“ ვახსენე, ბარემ აქვე ვიტყვი, არიან კიდევ ერთი კატეგორიის ადამიანები, რომლებიც სამშობლოს ტოვებენ არა შიმშილისა და გაჭირვების გამო. საეჭვო გზით გამდიდრებულნი, საზღვარგარეთ მიდიან საკაიფოდ, სალაღობოდ, დროის გასატარებლად. მათი სამშობლო იქ არის, სადაც კარგი ცხოვრებაა, სასმელ-საჭმელია, გაზია, სინათლეა, ცხელი წყალია, სადაც „გრიალი“ შეიძლება, სადაც ხორცს მეტი პატივი აქვს, ვიდრე სულს.

არ შეიძლება კაცს ორი სამშობლო ჰქონდეს, ისე როგორც არ შეიძლება ჰყავდეს ორი დედა. დედაც და სამშობლოც ერთადერთია.

ერთადერთი კი ისეთი უნდა გიყვარდეს, როგორიც არის – კეთილიც და მკაცრიც, მდიდარიც და ღარიბიც, ლამაზიც და უშნოც. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ არ შეიძლება დამონებული სამშობლო კეთილი, ლამაზი და მდიდარი იყოს. ამიტომ ყველა ჭეშმარიტი ქართველის ვალია იბრძოლოს თავისი სამშობლოს თავისუფლებისათვის, რამეთუ თავისუფალი სამშობლოს სალი კლდეც ლამაზია, თავისუფალი სამშობლოს ხრიოკი ველიც – სიკეთით სავსე! თავისუფალი სამშობლოს ჰაერით სუნთქვა ყველაზე დიდი სიმდიდრეა.

სანამ ამას ვერ შევიგნებთ, ჩვენც უბედურნი ვიქნებით და ჩვენი სამშობლოც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის სჭირდებოდა აფხაზეთის ომი

ყველას აინტერესებდა, – ვინ წამოიწყო ომი? რა იყო მიზეზი? ვის აძლევდა ხელს, ვინ დარჩა მოგებული? აფხაზეთის ომის ინსპირატორი რომ კრემლია და მოგებულიც რომ იმპერია დარჩა, სადავო არ არის. მაგრამ, როგორც დრომ გვიჩვენა, ეს ომი ხელს აძლევდა არა მარტო კრემლს, მოგებული დარჩა არა მარტო იმპერია. აფხაზეთის ომს წინ უძღოდა 1991-1992 წლების პუტჩი, რომლის მიზანი იყო საქართველოს ეროვნული ხელისუფლების და მისი პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დამხობა, რომელიც, როგორც ახლა გაირკვა (ელცინის აღიარებით), იმპერიას უკარგავდა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ კავკასიას.

კრემლის მიზანი მიღწეულ იქნა მოღალატე ქართველების ხელით. ხელისუფლების სათავეში მოვიდა უკანონო ხუნტა ედ. შევარდნაძის მეთაურობით. როგორც ამბობენ, ხელისუფლების აღებაზე გაცილებით ძნელია მისი შენარჩუნება. ხალხმა მოძალადეები არ მიიღო, რადგან უკანონო ხელისუფლებამ ვერაფერი დაუპირისპირა იმ იდეასა და იდეოლოგიას, ეროვნულმა ხელისუფლებამ რომ მისცა ხალხს.

ქართველმა ხალხმა ეროვნული ხელისუფლების მეშვეობით მიიღო საუკუნეობით ნაოცნებარი – თავისუფლება (იმ დროის შესაძლებლობის ფარგლებში). ხალხს ჰქონდა პური, წყალი, გაზი, სინათლე და, რაც მთავარია, რწმენა და იმედი უკეთესი მომავლისა. ძალადობით მოსულმა ედ. შევარდნაძის ხელისუფლებამ ვერც პოლიტიკურად და ვერც ეკონომიკურად უკეთესი ვერაფერი შესთავაზა ხალხს. პირიქით, ქვეყანა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ქაოსმა მოიცვა. არ ჩანდა (აფხაზეთის ომის წინა პერიოდს ვგულისხმობ) და არც ახლა ჩანს უკეთესი პერსპექტივა. ამიტომ საჭირო იყო ისეთი პოლიტიკური სიტუაციის შექმნა, რომელიც ხალხს აიყოლებდა და დაავიწყებდა შიმშილს, წყურვილს, უგაზობას, უშუქობას, პოლიტიკურ უუფლებობას. ასეთი ლოზუნგი უნდა ყოფილიყო საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლა. პუტჩისტების სამწუხაროდ, მათ „პროვინციული ფაშიზმისაგან“ მემკვიდრეობით ერთიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო მიიღეს. აი, სწორედ ამ ერთიანი საქართველოს დაშლა იყო საჭირო, რომ შემდეგ ამ დაშლილი საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის დროშა აეფრიალებინათ, რომ საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლის საბაბით ხალხს უარი ეთქვა პოლიტიკურ მოთხოვნებზე, მიტინგებზე, დემონსტრაციებზე, პიროვნულ თავისუფლებაზე, პურზე, წყალზე.

პირველ საცდელ პოლიგონად სამაჩაბლო აირჩიეს. ხუნტის პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ, „რჩეულმა ელიტამ“ ისროლა ლოზუნგი – „რა დროს მიტინგები და დემონსტრაციებია, რა დროს პოლიტიკური და სოციალური მოთხოვნებია, რა დროს პურზე და წყალზე წუწუნია, როცა საქართველოს ერთიანობას საფრთხე ემუქრება, საქართველო ხელიდან გვეცლება“.

დემაგოგიამ გაამართლა, ხალხი ამ პროვოკაციაზე წამოეგო, მაგრამ სამაჩაბლოს არეალი მაინც არ იყო მასშტაბური, თვისობრივად არ იძლეოდა დიდი პოლიტიკის გაკეთების პერსპექტივებს, მას მხოლოდ საცდელ პოლიგონის როლი ეკისრებოდა. დღის წესრიგში დადგა კრემლში შედგენილი გეგმის მეორე ეტაპი – აფხაზეთი (ალბათ არსებობს მომდევნო ეტაპებიც). მაგრამ მანამდე საჭირო იყო სამეგრელოს საკითხის მოგვარებაც, რადგან სამეგრელოს აფხაზეთის პოლიტიკური კლიმატის შექმნაში ყოველთვის დიდი წვლილი შეჰქონდა. მაგრამ ცოტნე დადიანისა და ჭყონდიდელის კუთხე სეპარატიზმის ანკესზე ვერ წამოაგეს. მაშინ საქართველოს ამ ულამაზესკუთხეს უკვე აშკარად შეუსიეს ჭორებით, ცილისწამებით და დეზინფორმაციით დაბანგული ურდოები.

სამეგრელოს გატეხვით აფხაზეთის ავანტიურისკენ გზა გახსნილი იყო. აფხაზეთის პრობლემებით კრემლს გავლენა უნდა მოეხდინა შევარდნაძეზე (რასაკვირველია, მასთან შეთანხმებით), შევარდნაძეს – ქართველ ხალხზე. აფხაზეთის პრობლემა უნდა გამხდარიყო ქვეყნის სამართავი ბერკეტი, შევარდნაძის პოლიტიკური მიზნების მიღწევის გზა და საშუალება, ხელისუფლებაში მისი დარჩენის გარანტი.

ასეც მოხდა.

1. აფხაზეთის ომი და პრობლემა რომ არ ყოფილიყო, შევარდნაძე ვერ მოამზადებდა ხალხს სნგ-ში შესაყვანად.

2. აფხაზეთის ომი და პრობლემა რომ არ ყოფილიყო, შევარ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დნაძე ვერაფერს შესთავაზებდა რუსებს თავისი ტახტის შენარჩუნების სანაცვლოდ.

3. აფხაზეთის ომი რომ არ ყოფილიყო, ვერ ჩამოიტყუებდნენ ზვიად გამსახურდიას საქართველოში აფხაზეთისათვის ერთიანი ბრძოლის საბაბით.

4. აფხაზეთის ომი და პრობლემა რომ არ ყოფილიყო, შევარდნაძე ვერ მოახერხებდა რუსეთისათვის სამხედრო ბაზების გადაცემას.

5. აფხაზეთის ომი და პრობლემა რომ არ ყოფილიყო, ედ. შევრადნაძეს არ ექნებოდა საქართველოს კუთხეებად დანაწევრების საბაბი.

6. აფხაზეთის ომი რომ არ ყოფილიყო, ედ. შევარდნაძე ვერ მოიცილებდა იმ 30 ათას ჭეშმარიტად ქართველ ვაჟკაცს, რომლებიც მართლაც გულწრფელად შეეწირნენ აფხაზეთის უაზრო ომს, რადგან ისინი მომავალში აუცილებლად წინ აღუდგებოდნენ ედ. შევარდნაძის ანტიეროვნულ საქმიანობას.

7. აფხაზეთის ომი რომ არ ყოფილიყო, თბილისში და მთელ საქართველოში აბობოქრებული მიტინგები და დემონსტრაციები მშვიდობიანი გზით დაამხობდა შევარდნაძის უკანონო ხელისუფლებას.

8. აფხაზეთის ომი რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა ლტოლვილებისათვის ჰუმანიტარული დახმარება და მაფიოზური კლანები ვერ მიიტაცებდნენ ასეულმილიონობით დოლარს, ომით ვერ გამდიდრდებოდნენ.

9. აფხაზეთის ომი და პრობლემა რომ არ ყოფილიყო, ედ. შევარდნაძე ხელმეორედ ვერ დაბრუნდებოდა დიდ პოლიტიკაში. როგორც ყარაბახმა სომხეთი და აზერბაიჯანი და მათი ხელმძღვანელები გაიყვანა დიდი პოლიტიკურ არენაზე, ასევე აფხაზეთმა საქართველო და შევარდნაძე მოაქცია მსოფლიო პოლიტიკის ფოკუსში (გაერო, მის გენერალურ მდივანთან ხშირი ურთიერთობა, ევროგაერთიანება, აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში მონაწილეობა). მაღალ ტრიბუნაზე გამოსული ედ. შევარდანაძე აფხაზეთის პრობლემას ფონად იყენებს, „ეროვნულ გრძნობებზე“ მაღლა მდგომი, უფრო ფართო, გლობალურ საკითხებზე „საუბრობს“, იძლევა საერთა-

შორისო მასშტაბის რჩევებს და პროგნოზებს. ამით ის მიანიშნებს, რომ მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკოსია და მზად არის ემსახუროს კაცობრიობას.

10. აფხაზეთის ომი და პრობლემა რომ არ ყოფილიყო...

„კორესპონდენტის შეკითხვა: როდის დავიბრუნებთ აფხაზეთს, პრეზიდენტის არჩევნებამდე თუ მის შემდეგ?

ედ. შევარდნაძის პასუხი: გთხოვთ, ნუ დამასახელებინებთ ზუსტ თარიღს, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ეს მოხდება მალე. მაგრამ ვიტყვი, რომ აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ ვის ავირჩევთ პრეზიდენტად“.

ყველაფერი ნათელია. ედ. შევარდნაძე ამით მიანიშნებს ქართველ ხალხს (მომავალ ამომრჩევლებს), რომ თუ მას აირჩევენ პრეზიდენტად, საქართველოს ერთიანობა აღდგება. აფხაზეთიდან ლტოლვილებს აშკარად ეუბნება: მათი აფხაზეთში დაბრუნების ერთადერთი გარანტი მისი პრეზიდენტად არჩევაა.

ასე რომ, აფხაზეთის კარტის (ანუ პრობლემის) გათამაშება ისევ გრძელდება. ამიტომ არა მგონია, ეს პრობლემა, როგორც შევარდნაძე ჰპირდება ხალხს, მალე გადაწყდეს. შეიძლება, ნაწილობრივ გადაწყდეს გალის რაიონისა და მისი ლტოლვილების ბედი (ორთქლის გამოშვების პრინციპი), რადგან გალი არასოდეს არ იყო აფხაზეთში შემავალი ნაწილი.

დაველოდოთ, მომავალი დაგვანახვებს, სწორია თუ არა ჩემი მოსაზრებები და ჩემ მიერ მოყვანილი არგუმენტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი პოლიტიკოსობა სამშობლოს მტრების მოტყუება, დაჩოქება, დამარცხებაა და არა – საკუთარი ხალხის

„არაფერია დაფარული, რომელიც არ გაცხადდეს“...
მათე

გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა ბატონი ნუგზარ ფოფხაძის ინტერვიუების სერიალი. ჩვენი მიზანი არ არის მთლიანად შევეხოთ მას. ჩვენ გვაინტერესებს ის ნაწილი, რომელიც ეხება საქართველოს პირველ პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას.

ნუგზარ ფოფხაძე წერს:

1. „1987 წლის სექტემბრის დამლევს „კომუნისტის“ რედაქტორს შემეხმიანა სუკის ხელმძღვანელი ალექსი ინაური. მაცნობა, რომ ცენტრიდან შეთანხმებით საჭიროდ თვლის იდეოლოგიური აქციების ჩატარებას, ზოგადად – არაფორმალთა და კონკრეტულად ზვიად გამსახურდიაის დისკრედიტაციის მიზნით“.

2. „სულ მალე სუკიდან გადმოგზავნლი „მასალები“ პუბლიკაციის მოსამზადებლად გადავეცი დემურ იოსელიანს“.

3. „დილით ატყდა „აურზაური“. დემურ იოსელიანი ცკ-ში გამოიძახეს. მოგვიანებით მაცნობა, რომ ენუქიძესთან, ალ. იოსელიანთან (მაშინდელი პროპაგანდის განყოფილების გამგე) და სხვა „მწერლებთან“ ერთად მობილიზებულია ამ მასალის მოსამზადებლად“.

4. „საღამოს 11 საათსა და 20 წუთზე დემურ იოსელიანი ბრუნდება რედაქციაში და მოაქვს ცკ-ში მომზადებული ვეებერთელა წერილი“.

5. „უშიშროების თანამშრომელი მამშვიდებს: ჩვენს ფაქტებს შემოწმება არ სჭირდებაო“.

6. „დაახლოებით 9 საათზე გაისმის ტელეფონის ზარი. პატიაშვილია... ეს რა მიყავიო, – თავს ვერ იკავებს, – ეს სისულელე რამ დაგაბეჭდვინაო“.

7. „იქაური“ და „აქაური“ „კა-გე-ბეს“ კედლებში იშვა ბინა დისკრედიტაციის მორიგი იდეა“.

საკმარისია.

მაინც რა „სისულელეზე“ და „დისკრედიტაციაზეა“ საუბარი? საუბარია იმ წერილზე, რომელიც ზვიად გამსახურდიას დისკრედიტაციის მიზნით 1987 წლის „კომუნისტში“ დაიბეჭდა სათაურით: „შეიცან თავი შენი“.

ახლა ვნახოთ, თვითონ ნუგზარ ფოფხაძე როგორ აფასებს მისივე რედაქტორობით გამოცემულ გაზეთში გამოქვეყნებულ მასალას: „მინდა გულწრფელი სინანული გამოვთქვა და ბოდიში მოვუხადო ზ. გამსახურდიას ოჯახს, უწინარესად მის შვილებს და მაშინდელ მკითხველ საზოგადოებას. ბოდიში იმის გამო, რომ გაზეთის იმ ნომერს, რომელშიც პოლიტიკური კრეტინიზმის და უზნეობის ქრესტომატიული ნიმუში დაიბეჭდა (ნუგზარ ფოფხაძის აზრით, ამ კრეტინიზმის ავტორი გურამ ენუქიძეა – ნ. ჯ.), როგორც რედაქტორი, მე ვაწერდი ხელს... იძულებული ვარ, ბოდიში მოვიხადო ამ „აქციის“ ჭეშმარიტი ავტორების ნაცვლად... რადგან ქარს გავატანე იმის იმედი, რომ ისინი ამ ნაბიჯს ან საკუთარ „ვაჟკაცობას“ თვითკრიტიკულად აღიარებენ“.

ახლა ვნახოთ, კომუნისტური იდეოლოგიის თავკაცების შეფასებით, რას წარმოადგენს უფრო ადრე, 1956 წელს იმავე „კომუნისტში“ დაბეჭდილი წერილი. მოვუსმინოთ ისევ ნუგზარ ფოფხაძეს:

„ახლა კი გავიგე, რას მისაყვედურებენ: თურმე 1956 წელს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა სტატია „სარეველა“, რომელშიც ზ. გამსახურდია თავის მეგობრებთან ერთად ყოფილა „მოთხრილი“ და იგივე ნომერში, რომელშიც ენუქიძის „მარგალიტი“ (ე. ი. ნ. ფოფხაძე თვლის, რომ ეს წერილი ენუქიძის დაწერილია – ნ. ჯ.) იძულებით დამაბეჭდვინეს, თურმე უნდა გამომექვეყნებინა სამი ათეული წლის წინათ ალბათ იმავე სტილით შექმნილი „შედევრი“...

კიდევ:

„ვიქექეთ მტვერში, მაგრამ რა ვიქექეთ და კიდევაც აღმოვაჩინეთ „სარეველა“. წავიკითხეთ და... ნეტავი არ გვეპოვნა და არ წაგვეკითხა?! 50-იანი წლების პარტიული ჟურნალისტიკის „კლასიკა“, თანაც როგორი?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კიდევ:

„ენუქიძემ გადაიკითხა და... ალალად წამოსცდა: ეს რა უბედურებაა!“

ყოველივე ზემოთ თქმული, მოკლედ, ასე უნდა გავიგოთ: 1956-1987 წლებში ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ დაწერილი პასკვილები იყო ცეკას და სუკის მიერ წინასწარ დაგეგმილი ცილისწამება, დეზინფორმაცია, შეთითხნილი ბრალდება, თითიდან გამოწოვილი ტყუილი. ამავე ციკლს უნდა მივაკუთვნოთ „იმავე სტილით“ შექმნილი „შედევრი“, ე. ი. ზვიად გამსახურდიას სატელევიზიო „აღიარება“, რომელიც, დარწმუნებული ვარ, იმავე საკავშირო სუკის ნამუშევარია და მათი ავტორების „გაცხადების“ დროც მოვა.

მე არ ვაპირებ არც ცეკას, არც სუკის და არც ფოფხაძისათვის საყვედურის თქმას. ისინი იმას აკეთებდნენ, რაც ევალებოდათ, რისთვისაც ხელფასს ღებულობდნენ. მე მინდა მივმართო „ელიტარულ ინტელიგენციას“, „ეროვნული“ მოძრაობის იმ „ლიდერებს“, რომლებმაც ისე აიტაცეს ეს სიბინძურე, თითქოს იგი საღვთო მცნება ყოფილიყოს, ღმერთმა მოსეს რომ უკარნახა.

აი, ამგვარი დეზინფორმაციების გამო აცვეს ჯვარს ზოგიერთმა „თანამოაზრემ“ და „ელიტარულმა ინტელიგენციამ“ ჯერ დისიდენტი და შემდეგ საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. მე არ ვაპირებ იმ ადამიანთა გვარების დასახელებას, მაშინ აქტიურად რომ მონაწილეობდნენ ზვიად გამსახურდიას „მხილებაში“ მწერალთა კავშირში თუ სხვაგან. ლაფში რომ სვრიდნენ მის სახელს (მათი გვარები ისედაც გაცხადებულია), არც იმათი, ვისთანაც მიკამათია, ვინც ცხვირწინ მიფრიალებდა ამ სიბინძურეს და ყოველნაირად ცდილობდა დავერწმუნებინე ზვიად გამსახურდიას ცუდკაცობაში. როცა ამას ვერ ახერხებდა, „კერპთაყვანისმცემელს“ მეძახდა.

მინდა ვკითხო იმ:

მწერლებს,

რეჟისორებს,

მსახიობებს,

მომღერლებს,

მეცნიერებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ეროვნული“ მოძრაობის „ლიდერებს“,

ინტელიგენციის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც მაშინ გვერდით ედგნენ კომუნისტურ ხელისუფლებას და მათთან ერთად ქვებს და ტალახს ესროდნენ ზვიად გამსახურდიას და მის ოჯახს.

მინდა ვკითხო:

დღეს, როცა საქართველო დაქცევის პირასაა მისული;

დღეს, როცა ბევრი „დაფარული გაცხადდა“,

დღეს, როცა ბევრ რამეს თავისი სახელი ეწოდა,

დღეს, როცა გავიგეთ ვინ ვინ არის, – განიცდით სინდისის ქენჯნას?! გაწუხებთ სირცხვილის გრძნობა? მზად ხართ მიბაძოთ ნუგზარ ფოფხაძეს, უპირველესად, ბოდიში მოუხადოთ ქართველ ხალხს, შემდეგ – ზვიად გამსახურდიას ოჯახს და შვილებს?

* * *

მართალი კაცის იარაღი სიმართლეა.

ამ იარაღით ებრძოდა ზვიად გამსახურდია (პირადს კი არა) საქართველოს მტრებს. ტყუილი, ჭორი, ცილისწამება იმ ადამიანების ფარია, რომელთაც სიმართლე არ გააჩნიათ.

სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულ ზვიად გამსახურდიას დევნა და წამება დისიდენტობასთან ერთად არ დამთავრებულა. ხალხის მიერ პრეზიდენტად არჩეულ ზვიად გამსახურდიას სიმართლეს იმპერიამ – სკამს გადაყოლილმა ადამიანებმა ისევ დაუპირისპირეს:

ცილისწამება,

დეზინფორმაცია,

ტყუილი,

ჭორი,

ზვიად გამსახურდია დიქტატორია;

ზვიად გამსახურდიას სურს საქართველო სნგ-ში შეიყვანოს;

ზვიად გამსახურდიას სურდა სამაჩაბლოში ჩაეკლა გვარდიელები;

ზვიად გამსახურდიამ ჩახოცა 60 გვარდიელი;

ზვიად გამსახურდიას ჩამოყვანილი ჰყავს ჩეჩენი ბოევიკები;

ზვიად გამსახურდია ფულს უხდის რაიონებიდან ჩამოსულ თავის მომხრეებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზვიად გამსახურდიამ გაიტაცა ოქრო და ძვირფასეულობა;

ზვიად გამსახურდიამ მიითვისა სახელმწიფო თანხა;

ზვიად გამსახურდიამ ზოოპარკიდან წაიყვანა ეგზოტიკური ცხოველები;

ზუგდიდში ჩასულმა ზვიად გამსახურდიამ ხალხს მოუწოდა თბილისზე გასალაშქრებლად!...

ტყუილი...

ტყუილი...

ტყუილი...

განა ამგვარმა ტყუილებმა არ დააპირისპირა ქართველი ხალხი?!

განა ამგვარმა ტყუილებმა არ დაანგრია და არ გადაწვა თბილისი?!

განა ამგვარმა ტყუილებმა არ გაუღო ციხის კარები კრიმინალებს და არ შუესია სამეგრელოს?!

განა ამგვარმა ტყუილებმა არ დაღუპა საქართველო?!

ვინ აგო ამაზე პასუხი? ჯერჯერობით –არავინ.

ამიტომ მივმართავ იმ:

მწერლებს,

რეჟისორებს,

მსახიობებს,

მომღერლებს,

მეცნიერებს,

„ეროვნული“ მოძრაობის „ლიდერებს“,

ინტელიგენციის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც მაშინ გვერდით ედგნენ პუტჩისტებს, მათთან ერთად ქვებსა და ტალახს ესროდნენ ზვიად გამსახურდიას და ეროვნულ ხელისუფლებას.

ვეკითხები მათ:

დღეს, როცა ბევრი რამ დაფარული გაცხადდა,

დღეს, როცა მავანთა ღალატით, ღორმუცელობით, სიცრუითა და ტყუილით საქართველო დაღუპვის კარამდე მივიდა.

დღეს, როცა კიდევ ერთხელ გავიგეთ ვინ ვინ არის,

გეყოფათ იმდენი ჭკუა და ვაჟკაცობა, აღიაროთ თქვენი შეცდომა (სხვა სიტყვა არ მინდა ვიხმარო), პატიება სთხოვოთ ქართველ ხალხს, დანგრეულ თბილისს, გადამწვარ და გაძარცულ „კოლხურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოშკს“, ზვიად გამსახურდიას სულს, ქუჩაში უპატრონოდ მიყრილ მის ცოლ-შვილს?!

* * *

ნუგზარ ფოფხაძის ეს საქციელი მისაბაძია. არა აქვს მნიშვნელობა, რისთვის ან რატომ გააკეთა მან ეს, „წარსულის გასარეცხად“ თუ სხვა რამის გამო. ეს სხვა თემაა.... მაგრამ მიბაძავენ კი მას ათასნაირი ტიტულებით, ჩინ-მედლებით, ამბიციებით და ცოდვებით დახუნძლული „წმინდა“ გვამები?

ეჭვი მეპარება. ისე, ღმერთმა ქნას, ვცდებოდე.

ბევრი პარადოქსის მოწმე გახდა ჩვენი დრო.

ვინც ხალს სიმართლე უქადაგა – ის ჯვარს აცვეს.

ვინც ხალხს დიდი სიცრუე და ტყუილი უთხრა – იმას დაუჩოქეს და „დიდი“ უწოდეს.

ხომ შეჰპირდა ხალხს „დიდი პოლიტიკოსი“–საქართველოს ესენგეში არ შევიყვანო, –მოატყუა.

სამაჩაბლო არ დაიკარგებაო, – მოატყუა.

სოხუმში ჩიტი ვერ შეფრინდებაო, – მოატყუა.

სოხუმიდან ბოლო გავალო, – მოატყუა.

აფხაზეთი არ დაიკარგებაო, – მოატყუა.

თუ აფხაზეთი დაიკარგება, თავს არ ვიცოცხლებო, – მოატყუა.

ლტოლვილებს აფხაზეთში ღირსეულად დავაბრუნებო, – მოატყუა.

შემნახველ სალაროებში შენახულ ფულს ხალხს დავუბრენებო, – მოატყუა.

„დიდი პოლიტიკოსობა“ სამშობლოს მტრების მოტყუება, დაჩოქება და დამარცხებაა და არა – საკუთარი ხალხის. ჯერჯერობით მოტყუებული, დაჩოქებული და დამარცხებული საქართველო და ქართველი ხალხია, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ შეიძლება თანამედროვეობა მოატყუო, მაგრამ, ისტორიას ვერავინ მოატყუებს.

* * *

გაზეთში – „სრულიად არასაიდუმლოდ“ – ხშირად იბეჭდება სტატიები, სადაცა ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ უშიშროების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო კომიტეტი, მისი სპეცდანიშნულების რაზმები უსაზღვროდ ერთგულნი არიან ედ. შევარდნაძის და მზად არიან ნებისმიერ დროს, უყოყმანოდ შეასრულონ მისი ყოველგვარი დავალება (ანალოგიურ ფიცს შევარდნაძეს პოლიციელებიც ხშირად აძლევენ).

რა არის ეს, თუ არა ასევე წარსულში დაბრუნება, კომუნისტური მენტალიტეტის აღზევება, ვარლამ არავიძეობის ზეიმი? ასეთი რამ ხდება ჭეშმარიტად დემოკრატიულ და ცივილიზებულ ქვეყანაში?

არა მგონია.

არა მგონია, ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის თუ სხვა ქვეყნების პოლიცია და სპეცსამსახურები ყოველ კვირას ერთგულებას ეფიცებოდნენ თავიანთ პრეზიდენტებს. მათ ერთგულების ფიცი მიცემული აქთ თავიანთი ხალხისათვის, კონსტიტუციისათვის და თავიანთ პრეზიდენტებს და პრემიერ-მინისტრებს იმდენად ერთგულად ემსახურებიან და უჯერებენ, რამდენადაც იცავენ ისინი კონსტიტუციას, კანონებს, სამშობლოსა და ხალხის ინტერესებს. პრეზიდენტი, როდესაც დაარღვევს კონსტიტუციას, კანონს, არ დაიცავს ხალხისა და ქვეყნის ინტერესებს, მის დასაცავად არ გამოვლენ არც არმია, არც პოლიცია და არც სპეცრაზმები. მათი უპირველესი მოვალეობა კანონიერებისა და ქვეყნის დაცვაა და არა რომელიმე პიროვნებისა (პრეზიდენტს ჰყავს თავისი პირადი დაცვა). ცივილიზებულ ქვეყანაში კანონიერებისა და კონსტიტუციის დამრღვევ პრეზიდენტებს რომ არ იცავენ, ამის მაგალითია თავის დროზე ნიქსონის გადაყენება, შემდეგ – სამხრეთ კორეის ორი ყოფილი პრეზიდენტის დაპატიმრება და დასჯა.

ვეთანხმები ნუგზარ ფოფხაძეს, რომ სუკი იდეალურად მომართული მექანიზმი იყო. მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ „იდეალურად მომართული მექანიზმი“ ემორჩილებოდა და ემსახურებოდა ერთ ადამიანს (ან ადამიანთა ჯგუფს) და არა ხალხს და სახელმწიფოს. ამან გამოიწვია 37 წლის ტრაგედია, მილიონობით ადამიანების განადგურება, „ბოროტების იმპერიის“ შექმნა.

„იდეალურად მომართულ მექანიზმს“ შეუძლია დიდი უბედურება მოუტანოს ხალხს, თუ ქვეყანას პიროვნებები მართავენ და არა კანონები...

გაგიხარია, თუ საქართველოში ჭეშმარიტად ეროვნული ხელისუფლება მოვა, კანონიერება გაიმარჯვებს, მაშინ არათუ საჭირო, აუცილებელიცაა უშიშროებაც, პოლიციაც, არმიაც მართლაც „იდეალურად მომართული“ მექანიზმი“ იყოს (როგორც დავით აღმაშენებლის დროს), რადგან მათი ერთადერთი მიზანი იქნება სამშობლოსა და ხალხის სამსახური, ერთიანი, თავისუფალი საქართველოსათვის ბრძოლა და არა კორუმპირებული ჩინოვნიკების დაცვა...

„ლაშარის გორი“, №20, 19-26 ივნისი, 1997 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით აღმაშენებლის სტალინთან შედარება მკრეხელობაა

დაგვიანებული გამოხმაურება ბატონ აკაკი ბაქრაძის ერთ წერილზე

იყო დრო, ბატონი აკაკი ბაქრაძის სიტყვებს ხალხი მოუთმენლად ელოდა, ისმენდა და... იჯერებდა. დრო შეიცვალა, ბატონი აკაკის ნათქვამს, მეტ-ნაკლები ინტერესით, ახლაც ელიან, ისმენენ, კითხულობენ, მაგრამ... უმრავლესობა აღარ იჯერებს. ამის მიზეზი გახლავთ ბატონი აკაკის მიერ ბოლო წლებში დაშვებული შეცდომები, რაც ბევრისათვის და მათ შორის ჩემთვისაც, თავის დროზე მისი ერთ-ერთი პატივისმცემლისთვის, ფრიად გულსატკენია. დღესაც მინდა იმ შეცდომებზე ვილაპარაკო, რომელიც, ჩემი აზრით, ბატონმა აკაკიმ დაუშვა თავის წერილში (თუ საუბარში) – „თავად“ კორუმპირებულები გაჰკივიან, –არიქა, დასცხეთო კორუფციას (გაზეთი „საქართველო“, 22-24 თებერვალი, 1997 წელი).

ბატონი აკაკი იმ კატეგორიის ადამიანებს განეკუთვნება, რომელთაც არც ცოდნა აკლიათ და არც ნიჭი, არც თქმისა და წერის უნარი და მკითხველი ფხიზლად თუ არ იქნება, შეგნებულად თუ შეუგნებლად, შეიძლება სიმართლესთან ერთად ისეთი რამე შემოაპარონ, რომ ადრე ნათქვამ სიმართლეს ფასი დაუკარგონ.

ბატონი აკაკი ზემოთ დასახელებულ წერილში კორუფციაზე საუბრობს, საუბრობს ძალიან სწორად, ჭკვიანურად, ლოგიკურად; უცებ საუბარს იწყებს დავით აღმაშენებელზე, ნაპოლეონზე, სტალინზე, შევარდნაძეზე. არა, შევარდნაძეს არ ახსენებს, მაგრამ ისე მიჰყავს საუბარი, ისეთ კალაპოტს და მიმართულებას აძლევს სათქმელს, ისეთი მაგალითებ მოჰყავს, რომ მკითხველის გონებაში აუცილებლად უნდა ამოტივტივდეს ედუარდ შევარდნაძის სახელი და გვარი. მაინც რაზეა საუბარი? – პატარა ერის „დიდი შვილების“ ტრაგედიაზე, თავიანთი ქვეყნის სიპატარავე რომ არ აძლევთ დიდი საქმეების გაკეთების საშუალებას, ანუ „დასმულია პრობლემა

ქვეყნის ძალისა და პიროვნების ძალის შეუსაბამობისა". ორმაგად უკეთესია თვითონ ბატონ აკაკის მოვუსმინოთ:

„რაც შეეხება სტალინს.

ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა შეამჩნია საქართველოს ისტორიის ერთი კანონზომიერება, რომელიც მან ასე გამოთქვა: „თუ არა ქართველთა ოდენ სპათა ვერცარას ალექსანდრე იქმოდა კარგსა და თუმცა დავითს სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინამცა გვენახეს ნაქნარნი მისნი, უაღრესნი სხუათა ქებულთანი".

როგორც ხედავთ, დავით აღმაშენებელს პიროვნულად, როგორც პოლიტიკოსსა და მხედართმთავარს, გაცილებით მეტი შესაძლებლობა ჰქონდაო, ამბობს მემატიანე, ვიდრე საქართველო, როგორც ქვეყანა და სახელმწიფო, მას აძლევდაო. მაშასადამე, დასმულია პრობლემა ქვეყნის ძალისა და პიროვნების ძალის შეუსაბამობისა.

ეს პრობლემა ალექსანდრე მაკედონელის წინაშეც იდგა. პლუტარქეს სიტყვით, ყმაწვილ ალექსანდრეში როცა მამამ, მეფე ფილიპემ, შეამჩნია მსოფლიო დამპყრობელი, შვილს უთხრა თურმე: „შენი შესაფერისი საბძრანებელი უნდა მოძებნო, შვილო, მაკედონია შენ ვერ დაგიტევს!" აქაც ქვეყნის ძალისა და პიროვნების ძალის შეუსაბამობის პრობლემა დგას. ალექსანდრესაც მძლავრი ქვეყანა სჭირდება, ის საქმე რომ გააკეთოს, რისი გაკეთებაც უფალმა დაავალა. ნაპოლეონიც დგას ამ პრობლემის წინაშე. პატარა კორსიკა ვერ მისცემს მას იმ ძალას, რაც მას სჭირდება ევროპის დასაპყრობად. ამისათვის იგი საფრანგეთის იმპერატორი უნდა გახდეს.

ხედავთ, რომ ალექსანდრე მაკედონელს, დავით აღმაშენებელს, ნაპოლეონს ერთნაირად აქვთ გადასაწყვეტი ის პრობლემა, რასაც პიროვნების ძალისა და ქვეყნის ძალის შეუსაბამობა ვუწოდეთ. სტალინიც ამ პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. ბესო ჯუღაშვილი მეფე რომ ყოფილიყო, ალბათ ისიც ფილიპე მაკედონელივით ეტყოდა შვილს: შენი შესაფერისი საბრძანებელი უნდა მოძებნო, შვილო, საქართველო შენ ვერ დაგიტევს.

სტალინი მსოფლიო იმპერატორად გააჩინა უფალმა, ამიტომ მას ისეთი ქვეყანა სჭირდებოდა, რომელიც მსოფლიო იმპერატო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის საშუალებას მისცემდა. ასეთი ქვეყანა რუსეთი იყო. სტალინი რუსეთის იმპერიის მბრძანებელი გახდა. იგი საქართველოში ვერ დარჩებოდა, იცით კარგად, ვეშაპები შავ ზღვაში არ არიან. პატარაა მათთვის შავი ზღვა და იმიტომ. ვეშაპს ოკეანე სჭირდება, რომ იცოცხლოს. ასევე სჭირდებოდათ ოკეანე ალექსანდრე მაკედონელს, ნაპოლეონს, სტალინს, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მათ თავიანთი პატარა სამშობლო არ უყვარდათ; მაგრამ უყვარდათ იმდენად, რამდენადაც ამის უფლებას და საშუალებას დიდი ქვეყნის მბრძანებლობა აძლევდა. ნაპოლეონს კორსიკა იმდენად უყვარდა, რამდენადაც ამის უფლებას საფრანგეთის იმპერატორობა აძლევდა. სტალინსაც იმდენად უყვარდა საქართველო, რამდენადაც ამის უფლებას რუსეთის ხელმწიფეობა აძლევდა. ეს ურთიერთობა ტრაგიკულია. ტრაგიკულია ქვეყანაც, რომლის შვილი თავის ძალასა და ნიჭიერებას სხვა ქვეყნის საკეთილდღეოდ ხარჯავს. ტრაგიკულია ადამიანიც, რომელიც სამშობლოს ნაცვლად სხვა ქვეყანას ემსახურება. მაგრამ ამ ტრაგიზმს ვერავინ ვერსად გაექცევა, რადგან უზენაესმა ინება ასე. ტრაგიკული იყო, როგორც პიროვნება, დავით აღმაშენებელი, რადგან საქართველოს სიმცირემ არ მისცა საშუალება მისი კოლოსალური შესაძლებლობის განხორციელებისა. ამას დასტირის კიდეც მემატიანე.

ასე რომ, სტალინიც და საქართველოც მსხვერპლია იმ შეუსაბამობისა, რომელიც ეგზომ ბრძნულად ამოიცნო დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა".

მგონი, ყველაფერი ნათელია. თურმე პატარა ქვეყნის „დიდ შვილებს" იმდენად უყვართ თავიანთი „პატარა სამშობლო", რამდენადაც ამის საშუალებას სამსახურებრივი მდგომარეობა აძლევთ. „ნაპოლეონს კორსიკა იმდენად უყვარდა, რამდენადაც ამის უფლებას საფრანგეთის იმპერატორობა აძლევდა. სტალინსაც იმდენად უყვარდა საქართველო, რამდენადაც ამის უფლებას რუსეთის ხელმწიფეობა აძლევდა". ამ ფრიად საეჭვო ლოგიკით შეიძლება გავაგრძელოთ და... ორჯონიკიძეს იმდენად უყვარდა საქართველო, რამდენადაც ამის უფლებას „სახალხო კომისრობა" აძლევდა; ბერიას იმდენად უყვარდა სამშობლო, რამდენადაც ამის საშუალებას იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრობა აძლევდა; რაც

მთავარია და, ჩემი აზრით, რისთვისაც ბატონმა აკაკიმ ეს საჭირო კონცეფცია წამოაყენა, – ედ. შევარდნაძეს იმდენად უყვარდა საქართველო, რამდენადაც ამის საშუალებას პოლიტბიუროს წევრობა და იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრობა აძლევდა (საინტერესოა, დღევანდელი დაქცეული და დაქუცმაცებული „პატარა სამშობლო“ „დიდი პოლიტიკოსის“ რანაირ სიყვარულს ეფუძნება?). როგორც ბატონი აკაკი წერს, „ეს ურთიერთობა ტრაგიკულია, ტრაგიკულია ქვეყანაც, რომლის შვილი თავის ძალასა და ნიჭს სხვა ქვეყნის საკეთილდღეოდ ხარჯავს... მაგრამ ამ ტრაგიზმს ვერავინ გაექცევა, რადგან უზენაესმა ასე ინება. ტრაგიკული იყო, როგორც პიროვნება, დავით აღმაშენებელიც, რადგან საქართველოს სიმცირემ მას არ მისცა საშუალება მისი კოლოსალური შესაძლებლობების განხორციელებისა“.

ჩემი აზრით, აქ იმდენი მცდარი აზრია, რამდენი წინადადებაც არის.

პირველი: თუ ყველაფერი „უზენაესის ნებით“ ხდება, მაშინ რას ვერჩით ჩინგისხანს. მურვან-ყრუს, შაჰ-აბასს, ჰიტლერს, ლენინს და ყველა იმ ტირანს, რომლებმაც უდანაშაულო ადამიანების სისხლის ზღვა დააყენეს, ქვეყნები და ქალაქები ნაცარტუტად აქციეს. მათ საქციელს, როგორც „უზენაესის ნების“ აღსრულებას, მხოლოდ უნდა მივესალმოთ? ქება ვუძღვნათ? ეს ხომ აბსურდია... მეორე: ისიც ვიკითხოთ, „ტრაგიკულ ადამიანებს“ მიაჩნიათ კი ტრაგედიად ის, რაზეც ასე წუხს ბატონი აკაკი? არა მგონია. მათთვის ეს ტრაგედია კი არა, კარიერისკენ მიმავალი გზაა, კარგი და ლაღი ცხოვრების საშუალებაა, რომელიც შიგადაშიგ საზეიმო ფეიერ-ვერკებით და ჩინ-მედლებით მშვენდება. თუ ვინმეს კარიერისკენ მიმავალი კიბის საფეხურები ჩაუტყდება, ამაში „პატარა სამშობ-ლოს“ ნუ დავადანაშაულებთ. ასეთი „დიდი შვილების“ „პატარა სამშობლო“ კი ნამდვილად ტრაგიკულია, რადგან მათი „დიდი კაცობა“ უპირველესად „პატარა სამშობლოს“ ჩაწიხვლით და საკუთარი ხალხის სისხლის და ცრემლის საფასურით იწყება (უპი-რველესად სწორედ ამას მოითხოვენ „დიდი სივრცის“ ანუ იმპერიის პატრონები „პატარა ქვეყნის“ „დიდი შვილებისაგან“).

მესამე: რა უნდა გაეკეთებინა დავით აღმაშენებელს იმაზე მეტი, რაც გააკეთა? ჩემი აზრით, მან გააკეთა სწორედ ის, რაც „უზენაესის

ნებით“ ჰქონდა დაკისრებული – დამპყრობლებისაგან გაათავი-
სუფლა სამშობლო, საქართველოს დაუბრუნა თავისი დედაქალაქი
– თბილისი, ეკლესია გაწმინდა უწმინდურებისაგან და ფარისევ-
ლებისაგან, ააღორძინა და განავითარა თავისი ქვეყნის ეკონომიკა,
კულტურა, ხელი შეუწყო რუსთაველის მოსვლას... მას არ
გაუკეთებია და ვერც გააკეთებინებდი იმას, რაც გააკეთეს მაკედო-
ნელმა, ნაპოლეონმა, სტალინმა (შემდეგში სხვა გვარების მმართ-
ველებმა); თავისი კარიერისა და სახელის გამო მას არ დაუპყრია და
არ დაუნგრევია სხვათა ქვეყნები; ცეცხლით, მახვილით და შიმში-
ლით არ გაუწყვეტია ხალხი (მით უმეტეს, საკუთარი ხალხი); უდა-
ნაშაულო ადამიანები არ ჩაუყრია ციხეებსა და გულაგებში. თუ ვინ-
მესი სისხლი დაღვარა, ისიც სამშობლოსათვის, სიმართლისათვის
და არა პირადი კარიერისათვის. ამიტომ უწოდეს „აღმაშენებელი“
„ქრისტეს მახვილი“ და არა „დამანგრეველი“, „დამპყრობელი“ ან
„შემმუსვრელი“. ამიტომ, არა მგონია, სწორი იყოს დავით აღმაშე-
ნებლის იმ ადამიანების გვერდით მოხსენიება, რომელთაც ბატონი
აკაკი გვთავაზობს. ასევე ვერ გავიზიარებ დავით აღმაშენებლის
მემატიანის სიტყვების მისეულ განმარტებას. ჩემი აზრით, მემა-
ტიანე პირველ რიგში დავით აღმაშენებლის ნიჭიერებასა და ვა-
ჟკაცობას უსვამს ხაზს და არა „სამშობლოს სივრცის უკმარისობა-
ს“. ასევე მის სიტყვებში აშკარად ჩანს მაკედონელის მემატიანეს-
თან გაჯიბრების ფარული სურვილი და, რაც მთავარია, პლუტარქეს
მიბაძვა და გავლენა (ამ გავლენის შესახებ ქართველი მეცნიერებიც
მიანიშნებენ). რაც მთავარია, არა მგონია, დავით აღმაშენებელს
თავის მემატიანეზე ნაკლებად სცოდნოდა საკუთარი შესაძლებლ-
ობა. მაგრამ მას არ დაჰბადებია სურვილი უფრო დიდი სახელის მო-
ხვეჭის და თავისი ნიჭი და ძალა უცხო ქვეყნის სამსახურში
დაეხარჯა. „უფრო დიდი და შესაფერისი საბრძანებლის“ სურვი-
ლით ბიზანტიის და თურქ-სელჯუკთა იმპერიის სამსახურში არ
ჩამდგარა, ზოგიერთებივით არც შაჰ-აბასის ჯარს შემოჰყოლია
მეგზურად და არც მე-11 არმიას, არც ფოთის პორტში შემოსულ
ჯალათებს და დამპყრობლებს შეხვედრია ხელგაშლითა და ღიმილ-
სიცილით, რადგან მისი ერთადერთი საფიქრალ-საზრუნავი
საქართველო იყო და არა საკუთარი ტახტის გადარჩენა.

განა საქართველოს „პატარა სივრცემ“ ხელი შეუშალა დავით

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმაშენებელს დიდი საკაცობრიო საქმე გაეკეთებინა? განა „პატარა საქართველომ“ არ ააცდინა ბნელი ძალების შემოსევა ბიზანტიას, ქრისტიანულ სამყაროს და, საერთოდ, ცივილიზებულ ევროპას? საქართველო და დიდგორის ომი რომ არა, ვინ იცის, შუა საუკუნეების ისტორია რა გზით წავიდოდა. ასევე მკრეხელობად მიმაჩნია დავით აღმაშენებლის სტალინთან შედარება. დავით აღმაშენებლის ნიჭი, უნარი მთელი სიცოცხლე საქართველოს და ქართველ ხალხს მოხმარდა და არა – უცხო იმპერიებს.

დავით აღმაშენებელს თავისი კარიერისათვის საქართველო „წალმა-უკუღმა“ არ გადაუხნავს, არც გვარი და რწმენა გამოუცვლია, არც თავისი „პატარა სამშობლო“ მიუტანია „დიდი სამშობლოს“ სამსხვერპლოზე. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს – გვარისა და რწმენის გამოცვლა სტალინის მოგონილი არ არის, ეს რენეგატების და სამშობლოს მოღალატეების საერთო სენია. ბოლშევიკი ბელადების უმეტესობას რჯული და გვარ-სახელი გამოცვლილი ჰქონდათ, რათა მათი ეროვნული წარმომავლობა რუსი ხალხისათვის თვალში საცემი არ ყოფილიყო და მათი კარიერისათვის ხელი არ შეეშალა. ასე იქცა ჯუღაშვილი სტალინად, ბრონშტეინი – ტროცკიდ, ულიანოვი – ლენინად (გვარის გამოცვლით, ვინ იცის, ილიჩი რა წარსულსა და წარმომავლობას უმალავდა რუს ხალხს); ამიტომ იბრძოდნენ ჯუღაშვილი – ორჯონიკიძები საქართველოს რუსეთთან შესაერთებლად (ანუ დასამონებლად), რომ „დიდი სივრცის“ ანუ იმპერიის მოქალაქეები ყოფილიყვნენ და არა „პატარა სამშობლოს“ შვილები. ეს იყო დიდი კარიერისკენ მიმავალი გზა, რომელსაც ისინი „ინტერნაციონალიზმს“ ეძახდნენ, ბატონი აკაკი კი, ჩვენდა სამწუხაროდ, „სივრცის უკმარისობას“ არქმევს. არა, ბატონო აკაკი, რასაც მსოფლიო ტირანები და დიქტატორები აკეთებენ, არ შეიძლება „ღვთის ნება“ იყოს. მათ საქციელში სატანის ხელი ურევია და ნუ ისურვებთ მათი სისხლიანი საქმეების „ღვთის“სახელით გამართლებას.

ახლა რაც შეეხება „დიდ საქმეებს“ და „დიდ პიროვნებებს“. იმ კაცს, რომელმაც ისტორიაში შესვლის სურვილით ტაძარი დაწვა, გიჟი და მანიაკი უწოდეს, ხოლო იმ ადამიანს, რომელიც იმავე სურვილით ათასობით ქალაქს ანგრევს და მილიონობით ადამიანს კლავს, რატომ უნდა ერქვას „დიდი პიროვნება“, „გამოჩენილი

ადამიანი“? თავიანთი „სიდიდით“ რა შემატეს კაცობრიობას მაკედონელმა, ჩინგისხანმა, ნაპოლეონმა, ჰიტლერმა, ლენინმა და თუ გნებავთ სტალინმა?მათი „დიდი“ სახელი მილიონობით ადამიანის სისხლსა და ძვლებზე დგას. ვინ უფრო დიდი საქმე გააკეთა, – ვინც ქალაქები დაანგრია თუ ვინც კირი და ცემენტი გამოიგონა?ვინც რკინა გამოადნო თუ ვინც რკინის მახვილით ადამიანები გაჟლიტა? ვინც ატომი გახლიჩა თუ ვინც ატომური ბომბი შექმნა და ხიროსიმაში ჩამოაგდო?! მთავარია, რომელი „დიდი“ ემსახურება ღმერთს და რომელი - სატანას. აკი თქვა ერთმა ბრძენმა: გენიალურ აღმოჩენებს დიდი ადამიანები აკეთებენ და მეორეხარისხოვანი და მესამეხარისხოვანი პიროვნებები ისაკუთრებენო. დიდი პიროვნებაა, ვინც დაწერა „ოდისეა“, „ღვთაებრივი კომედია“, „ვეფხისტყაოსანი“, „ნიკორწმინდა“, „დავით აღმაშენებელი“... ვინც გამოაქანდაკა „მოსე“, „დიდი პიროვნებაა ჯორდანო ბრუნო, პასტერი, რომელმაც პირველი საექსპერიმენტო ცდები საკუთარ თავზე ჩაატარა. დიდი პიროვნებაა, ვინც აღმოაჩინა დედამიწის მიზიდულობის კანონი, „ფარდობითობის თეორია“. დიდი პიროვნება იქნება ის, ვინც დაამარცხებს კიბოს, შიდსს, ვინც ადამიანებს მოუტანს სიკეთეს, ბედნიერებას, შეებრძოლება უსამართლობას, შიმშილს და სიღატაკეს, ვინც ღვთის სამსახურში ჩადგება და არა სატანისა, ხოლო იმათ, ვინც თავისი სახელისა და დიდებისათვის მილიონობით ადამიანს ხოცავს, ათასობით ქალაქსა და სოფელს ანადგურებს,, შეიძლება ვუწოდოთ „დიდი დამპყრობელი“, „დიდი დიქტატორი“, „დიდი ინკვიზიტორი“, „დიდი ჯალათი“, მაგრამ არამც და არამც – „დიდი ადამიანი“, „დიდი პიროვნება“. კი, ნამდვილად არ ჰყოფნით „საკუთარი ქვეყნის სივრცე“ ჰომეროსს, შექსპირს, რუსთაველს, ბეთჰოვენს, გოეთეს, მათაც „დაიპყრეს“ სხვა ქვეყნები, მაგრამ არა მახვილით, არამედ, ნიჭით, ჭკუით, ცოდნით, განათლებით. არც არავინ ცდილობს მათი „უღლიდან“ განთავისუფლებას, პირიქით, მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნების რაოდენობა უფრო და უფრო მატულობს მაშინ, როცა იშლებოდა და იშლება ცეცხლითა და მახვილით დაპყრობილი „დიდი პიროვნებების“ „დიდი იმპერიები“. ვისაც საქართველოს სივრცე არ ყოფნის, ვინც საქართველოში ვერ ეტევა, ის არც არის საქართველოს ღირსი. ასეთი ადამიანები არც საქართველოს სჭირდება. ისე, ურიგო არ იქნება, საქართველოში

„დაუტევარი“ ადამიანების ბედიც გავიხსენოთ. პეტრე ბაგრატიონმა მთელი ცხოვრება და სიცოცხლე რუსეთის იმპერიას შესწირა. უცხო მიწამ და ქვეყანამ მაინც არ დაუფასა და არ იგუა. უმადურმა „დიდმა სამშობლომ“ მისი ძვლები საფლავიდან ამოყარა და ყვავ-ყორნებს მიუგდო. „დიდი სამშობლოს“ სამსახურში ჩამდგარი უნდილაძის უპატრონო ცხედარი დიდხანს ეგდო ისპანეთის ერთ-ერთ მოედანზე. არც „საქართველოში დაუტევარ“ გიორგი საკაძეს დასდგომია კარგი დღე. რაღა შორს წავიდეთ, იგივე ბედი არ ეწიათ ორჯონიკიძეს და ბერიას? რაც შეეხება ჯუღაშვილი-სტალინს, რომელმაც „კავის რუსეთი ჩაიბარა და ატომური დატოვა“, ალბათ სულ მალე პეტრე ბაგრატიონის ბედს გაიზიარებს და ისევ „პატარა სამშობლოს“ საპატრონებელი გახდება. თვითონ ედ. შევარდნაძე, რომელიც მთელი სიცოცხლე დიდი სივრცეებისკენ ილტვოდა და თავისი ცხოვრება „დიდი სამშობლოს“ სამსახურს შეალია, როგორც ჩანს, ბოლოს რაღაცას მიხვდა და განაცხადა, – კაცს ცალი ფეხი მაინც სამშობლოს მიწაზე უნდა ედგასო. არა, ბატონებო! ცალ ფეხზე დგომა სამშობლოს არ შველის, ცალ ფეხზე ბატებიც დგანან. ცალ ფეხზე კი არა, შეიძლება კაცი ორივე ფეხით მშობლიურ მიწაზე იდგეს და მაინც სამშობლოს მტრების საქმეს აკეთებდეს. ამის მაგალითი საქართველოს ისტორიაში ბევრი იყო და არც დღეს გვაკლია. რა გააკეთა შაჰ-აბასი სამსახურში ჩამდგარმა კონსტანტინემ, ორივე ფეხი კახეთის მიწას რომ დაადგა? რა გააკეთეს საქართველოში ორივე ფეხით მდგომმა კომუნისტებმა? ორჯონიკიძეებმა, მახარაძეებმა, მამულიებმა, ღოღობერიძეებმა (მე კონკრეტულ პიროვნებებს ვგულისხმობ, თორემ ამ გვარის ადამიანებთან სადავო არაფერი მაქვს)? რა გააკეთეს თბილისში ორივე ფეხით მდგომმა სიგუამ, იოსელიანმა, კიტოვანმა და მათმა თანამოძმეებმა – „ნაღდმა თბილისელებმა“? – დაამხეს კანონიერი ხელისუფლება, დააკანონეს უკანონობა და ამით დაღუპვის პირას მიიყვანეს საქართველო.

სამშობლო გულით და გონებით უნდა უყვარდეს კაცს და არა ფეხებით. დრომ და ისტორიამ ბევრჯერ დაამტკიცა: ვისაც სამშობლო მარტო ფეხებით უყვარს, იმას სამშობლო ფეხებზე ჰკიდია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

სწორად აღნიშნავს ბატონი აკაკი: ფილიპე მაკედონელმა, მართალია, უთხრა ალექსანდრეს, –სხვა ქვეყანა მოძებნე, შენ მაკედონია ვერ დაგიტევსო, მაგრამ ის კი არ უთქვამს, სხვა ქვეყნის ძებნაში საკუთარი პატარა მაკედონია“ დაანგრიე, წამღა-უკუღმა გადახანი და სხვა ქვეყნების მონად აქციეო. ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთი მიზანი, როგორც მისი მეისტორიეები აღნიშნავენ, საკუთარ სახელთან ერთად სამშობლოს – მაკედონიის სახელის განდიდებაც იყო. პლუტარქე წერს: „ალექსანდრემ დაიმოწმა ყველა ღმერთი, რომ იგი მაკედონელთათვის სამყაროს დაპყრობის ჟამს“... დააკვირდით: „მაკედონელთათვის სამყაროს დაპყრობის ჟამს...“ ე. ი. პირველ რიგში იგი ფიქრობდა მაკედონიასა და მაკედონელებზე.

არც ნაპოლეონს უფიქრია „პატარა კორსიკის“ მსხვერპლად მიტანა „დიდი საფრანგეთისათვის“, რამეთუ კორსიკელობა არ ნიშნავს „არაფრანგობას“ ისე, როგორც გურულობა, მეგრელობა და კახელობა –„არაქართველობას“. „კორსიკელობა“ კუთხურობის მიმანიშნებელია და არა ეროვნების. და რაც მთავარია, სულით და რწმენით ფრანგი იყო და საფრანგეთის საქმეს აკეთებდა. აკი თვითონაც თქვა, – მართალია, ბევრი ფრანგის სისხლი დავღვარე, მაგრამ ეს სისხლი საფრანგეთის სახელს და დიდებას შეეწირაო.

ახლა ვნახოთ, რას შეეწირა 1921-24-37 წლებში ქართველი ბოლშევიკების მიერ დაღვრილი ქართველის სისხლი. საქართველოს სახელს და დიდებას? – არამც და არამც ! ეს სისხლი შეეწირა ქართველი რენეგატების კარიერას. ანდა რას შეეწირა ფაშისტურ გერმანიასთან ომში დაღვრილი ქართველთა სისხლი? – არამც და არამც – საქართველოს სახელსა და ღირსებას. ეს სისხლი შეეწირა რუსეთის იმპერიას, ერთი ერისა და ერთი ადამიანის გამარჯვებასა და განდიდებას.

შეიძლება ვინმე შემომედავოს, ფაშიზმთან ომი ყველას ვალი იყოო. დიახ, იყო, მაგრამ ნურც იმ ისტორიკოსებისა და პოლიტიკოსების აზრს ავუვლით გვერდს, რომლებიც სერიოზული არგუმენტებით და ისტორიული ფაქტებით ამტკიცებენ – რომ არ ყოფილიყო ბოლშევიკური რუსეთი, არც ფაშისტური გერმანია იქნებოდაო. ისინი მაინცდამაინც დიდ სხვაობას ვერ ხედავენ ორ იმპერიასა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორ ბოროტებას შორის.

კი, დავით აღმაშენებლის დროსაც დაიღვარა სისხლი. სწორედ სამშობლოსათვის დაღვრილმა იმ სისხლმა გადაარჩინა და გააერთიანა დაშლილ-დაქუცმაცებული საქართველო (შეადარეთ დღევანდელი „აღმაშენებლებს", საქართველოს კუთხეებად რომ შლიან და თბილისი ლამის ცალკე საამიროდ გამოაცხადონ). ასევე დაიღვარა დავითის მიერ მოღალატე ქართველების სისხლიც. ეს ის გაფუჭებული სისხლი იყო, დასტაქარი ავადმყოფის სხეულიდან რომ გამოუშვებს ხოლმე, ავადმყოფი რომ გადაარჩინოს. დღეს კი სასამართლოში „სამშობლოს მოღალატის" სახელით ასამართლებენ ჭეშმარიტ მამულიშვილებს, ხალხის მიერ კანონიერად არჩეული კანონიერი ხელისუფლების დამცველებს. ასამართლებენ ისინი, ვინც თვითონ უღალატა სამშობლოს, კანონიერებას, კონსტიტუციას, ვინც დაანგრია თბილისი და წესით, თვითონ უნდა იჯდეს განსასჯელის სკამზე (ალბათ ეს დროც მოვა).

ერთი საყურადღებო ფაქტიც: დავითმა ყივჩაღები ჩამოასახლა საქართველოში და ამით უამრავი ქართველის სისხლი გადაურჩა დაღვრას. დღევანდელი „აღმაშენებლის" მიერ მოწვეულმა „ყივჩაღებმა" კი დასავლეთ საქართველოში თავიანთი ტანკების მუხლუხები ქართველების სისხლით შეღებეს.

* * *

ამ ბოლო დროს ხშირად წერენ: ედ. შევარდნაძე ისეთი დიდი, იმხელა პოლიტიკოსია, რომ მის ჩანაფიქრს, მის პოლიტიკურ სვლებს ჩვეულებრივი მოკვდავი, რიგითი ადამიანები ვერაფერს გავუგებთ, უმჯობესია მის გამოცდილებას და ალღოს ვენდოთ. თვითონ ედ. შევარდნაძეც ხშირად ითხოვს ამ ნდობის მანდატს.

კი, ბატონო, ვენდოთ, მაგრამ...

ვენდეთ და დაიკარგა სამაჩაბლო.

ვენდეთ და დაიკარგა აფხაზეთი.

ვენდეთ და საქართველოს საზღვარი ენგურამდე მოვიდა.

ვენდეთ და ქართველი კაცი სამშობლოში ლტოლვილად იქცა.

ვენდეთ და საქართველო დაიცალა ქართველებისაგან.

ვენდეთ და ყოველწლიურად ათასობით ადამიანი იხოცება

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიმშილით და სიცივით.

სანამდე, ხალხნო, სანამდე?!

ედ. შევარდნაძის არტისტული შემართებით და ვითომ ტრაგიკული ხმით ნათქვამი სიტვები – „მომატყუეს, მომატყუეს“ – უშველის დაქცეულ საქართველოს?! ანდა ის უნივერსალური, ყოვლისმომცველი „ფრთიანი გამოთქმა“ – მაშინ, ასე იყო საჭირო“, – რომლითაც ცდილობს იგი ყოველგვარი ზნეობრივ თუ იურიდიული პასუხისმგებლობისაგან თავის დახსნას, დააპურებს მშიერ ხალხს? რა გარანტია გვაქვს, რასაც დღეს ამბობს, იმაზეც ხვალ და ზეგ კი იტყვის: „მაშინ ასე იყო საჭიროო“ და ისევ ყველაფერს სხვას არ გადააბრალებს? ბოლოს და ბოლოს, სანამდე უნდა ვიყოთ „ბელადომანიის“ ტყვეობაში? არ უნდა მოვრჩეთ პიროვნებების გაფეტიშებას? სხვებსაც ჰყოლიათ „დიდი და გამოჩენილი“ პიროვნებები, მაგრამ სალოცავ ხატად არ უქცევიათ.

რაღა შორს წავიდეთ, დღევანდელი მაგალითი ავიღოთ.

კრემლი შეეცადა ჩეჩნეთში ხაზბულატოვის კარტის „გათამაშებას“, მაგრამ ვერ შეძლო. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ხაზბულატოვმა, ქართველი რენეგატებისაგან განსხვავებით, დიდი აზარტით არ ითამაშა კრემლის სასარგებლოდ და, რაც მთავარია, მიუხედავად იმისა, რომ ხაზბულატოვს იმპერიაში ედ. შევარდნაძეზე დიდი თანამდებობა ეჭირა (რუსეთში მეორე კაცად ითვლებოდა), ჩეჩნებს მისგან ხატი და „დიდი პოლიტიკოსის“ სახე არ შეუქმნიათ და არ უთქვამთ: „თუ ხაზბულატოვი არა, მაშ, ვინ..“ შეიძლება, სწორედ ამან იხსნა ჩეჩნეთი იმ სირცხვილისა და უბედურებისაგან, რაც საქართველოს დაემართა. ჩეჩნები გაჰყვნენ სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ და თავდადებულ დუდაევს და არა უცხო მიწაზე მონობით გადიდკაცებულ რენეგატ ხაზბულატოვს.

ჩვენ რა გვემართება?!

ძველ ბერძნებსა და რომაელებს მრავალი გამოჩენილი პოლიტიკოსი და სარდალი ჰყოლიათ, მაგრამ მათი ყველაზე დიდი სიამაყე ჰომეროსი და დანტე ალიგიერია.

ფრანგებს ნაპოლეონი კი ჰყავდათ, მაგრამ ისინი მაინც ბალზაკითა და ჰიუგოთი ამაყობენ.

კონსერვატორი ინგლისელებიც რიჩარდ ლომგულზე მაღლა შექსპირს აყენებენ.

არც ნახევარი ევროპის დამპყრობი ჰიტლერია გერმანელებისათვის გოეთეზე დიდი პიროვნება.

ჩვენ რა გვემართება, რა მოგვდის?

რუსთაველის პატრონმა ერმა შეიძლება სტალინისა და შევარდნაძის „სიდიადით“ იამაყოს? ეს სირცხვილია! ამიტომ მინდა ჩემი წერილი დავამთავრო პოეტის სიტყვებით:

„ჯანდაბას მათი დიდი კაცობა,
ჯანდაბას მათი დიდი სახელი!“

„იბერია-სპექტრი“, №88, 1-7 სექტემბერი, 1993 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღეისო ფიქრები

ტერმინი „დიდი ქართველი“

ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილი დაბეჯითებით მოითხოვდა იოსებ ჯუღაშვილის – სტალინის ნეშტის საქართველოში გადმოსვენებას, როგორც დიდი ქართველის, მსოფლიო ისტორიაში შესული დიდი პიროვნების. მის პიროვნულ სიდიადეზე საუბარი ჩემი საქმე არ არის. ისტორიას რომ ეკუთვნის, არც ეს არის სადავო, მაგრამ რამდენად მიზანშეწონილი და სამართლიანია მას „დიდი ქართველი“ ვუწოდოთ? შეიძლება ვინმე შემომედავოს და მითხრას: თუ კაცი დიდი ისტორიული პიროვნებაა და ეროვნებით ქართველი, – ე. ი. დიდი ქართველია, აბა, სხვა ვინ უნდა იყოსო. სწორედ დიდ ქართველობაზე მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა და ამ აზრს თავზე არავის არ ვახვევ.

პირველ რიგში, ალბათ უნდა განვმარტოთ, რა უნდა იყოს „დიდი ქართველის“ განმსაზღვრელი ნიშნები. ჩემი აზრით, ერთადერთი – თავისი ერის, სამშობლოს, ხალხის სამსახური. ამიტომ ვამბობთ ჩვენ: დიდი დავითი, დიდი ვაჟა, დიდი იაკობ გოგებაშვილი, დიდი ივანე ჯავახიშვილი. შეიძლება კაცი დიდი პოლიტიკოსი, დიდი სარდალიც იყოს, მაგრამ სამშობლოსათვის ზიანის მეტი არაფერი მოეტანოს. რატომ უნდა ვუწოდოთ ასეთ ადამიანს „დიდი ქართველი“? თავის დროზე ბევრი ქართველი და არა მარტო ქართველი მემატიანე დავით აღმაშენებელს „მესიის მახვილს“ უწოდებდა, რაც ყველა დროის ქართველისათვის საამაყოა. ასევე საამაყოა ფრიდრიხ მეორის სიტყვები: – დასავლეთში მე ვარ, აღმოსავლეთში – მეფე ერეკლე (ნუ დავადანაშაულებთ მეფე ერეკლეს იმ მუხანათობისათვის, რაც რუსეთმა და მისმა მთავრობამ გაშოიჩინა). მეამაყება მათი ქართველობა, შორს გატყორცნილი მათი სახელი იმიტომ, რომ ერთიც და მეორეც თავისი ერის და სამშობლოს კეთილდღეობისათვის იღვწოდა. მეამაყება ეგვიპტესა თუ არაბეთში ქართველი მა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მლუქების ცხოვრება, ბოროდინოს გმირის პეტრე ბაგრატიონის სიმამაცე, მეამაყება თურქეთში ქართველების მეჯლისში და მთავრობაში ყოფნა. დიდ პატივისცემასა და აღფრთოვანებას იწვევს ჯონ შალიკაშვილის „ნატოს“ არმიის მთავარსარდლობა და აშშ შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსობა. ასევე სიამაყეს მგვრის საფრანგეთის ეროვნულ გმირად აღიარებული პოლკოვნიკ ამილახვრის სახელი. მართალია, ამ ადამიანებს (საქართველოს გარეთ მცხოვრებ ქართველებს ვგულისხმობ) კონკრეტულად საქართველოსათვის დიდი არაფერი გაუკეთებიათ, მაგრამ არც არაფერი დაუშავებიათ, მათ თავიანთი ნიჭით, გარჯით, შრომით, სიმამაცით უცხო ქვეყანაში, უცხოთა შორის სახელი და დიდება მოიპოვეს და ამით ასახელეს ქართული გენი და სისხლი, თავიანთი პიროვნული არსებობით შორს გაიტანეს საქართველოსა და ქართველი კაცის სახელი. ამიტომ, ჩემი აზრით, სწორედ ამგვარი გამოჩენილი ქართველობით უნდა იამაყოს ქართველობამ (რასაკვირველია, ეროვნულ გმირებზე და გმირობაზე არაა ლაპარაკი), მაგრამ არიან სხვა „ჯურის“ – უნდილაძეების, ჯუღაშვილი-სტალინების, ორჯონიკიძეების ტიპის „დიდი“ და „გამოჩენილი“ ქართველებიც. რა განსხვავებაა ამ „გამოჩენილ“ ქართველებსა და ჩემ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ იმ „გამოჩენილ ქართველებს“ შორის“? მე აღვნიშნე, იმ „გამოჩენილ ქართველებს“ საქართველოსათვის არაფერი გაუკეთებიათ-მეთქი, მაგრამ მათ საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის არც არაფერი დაუშავებიათ. მათ არ უთქვამთ: – საქართველო წაღმა-უკუღმა უნდა გადაიხნასო, ქართველი თავად-აზნაურების რაოდენობა მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთო, თანამემამულეებს არ დამუქრებიან: ჭკვიანად იყავით, თორემ საქართველოს საზღვარს თბილისში, გოგირდის აბანოებთან გავავლებთო. თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის არ გაუსაჩუქრებიათ ქართული მიწები, თავიანთი კარიერისათვის არ დაუხვრეტიათ და ციხეებსა და გადასახლებებში არ ამოულპიათ ასიათასობით ქართველი. ამ „დიდებმა“ კი ყველაფერი იკადრეს და გააკეთეს მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ იქ, კრემლში მათთვის ნაციონალისტობა (ე. ი. სამშობლოს სიყვარული) არ დაებრალებინათ, მათ ერთგულებაში (ე. ი. სამშობლოს ღალატში) ეჭვი არავის შეჰპარვოდა. რა მოუტა-

ნეს ამ „დიდებმა“ და „გამოჩენილებმა“ თავიანთი სიცოცხლითა და ცხოვრებით საქართველოსა და ქართველ ხალხს? – მხოლოდ მონობა, სისხლი, ნგრევა და უბედურება, მეტი არაფერი. მაშ, რატომ არიან ისინი „დიდი“ ქართველები და საქართველოს „გამოჩენილი“ შვილები, მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველებად დაიბადნენ? კი, ბატონო, იყვნენ ქართველები, მაგრამ რა საჭიროა „დიდისა“ და „გამოჩენილის“ ტიტულის მიკერება? ამით მომავალში სხვებსაც წავაქეზებთ იმგვარი უზნეო და უკუღმართი გზებითა და მეთოდებით მოიპოვონ ისტორიაში „დიდისა“ და „გამოჩენილის“ სახელი (თუმცა ისტორიის ფურცლებზე მოხვედრა ყოველთვის როდი ნიშნავს „გამოჩენილობას“, „სიდიადეს“. პირიქით, შეიძლება სამარცხვინო და მარადიული წამებაც იყოს მათთვისაც და მათი შთამომავლობისთვისაც). ის კაცი, ვინც თავის ტახტს, თავის კარიერას საკუთარი ხალხის სისხლსა და ძვლებზე აშენებს, არ შეიძლება დიდი პიროვნება, დიდი პოლიტიკოსი, დიდი სარდალი იყოს. შეიძლება ვინმემ დავით აღმაშენებლის დასჯილი ქართველები შემახსენოს. ეს ის ქართველებია, ღვთისა და ერის დასტურით ხელდასმულ მეფეს რომ განუდგნენ, აუჯანყდნენ საქართველოს ჭეშმარიტი თავისუფლებისა და ერთიანობისათვის მებრძოლ დავით აღმაშენებელს და ტახტიდან გადაგდება მოუნდომეს. ალბათ მეცნიერები დ სპეციალისტები სხვა აზრისანი არიან, მაგრამ მე მგონია, „გალობანი სინანულისანი“ სწორედ სატანის მიერ შეცდენილ იმ ქართველთა დაღვრილმა სისხლმა დააწერინა დავით აღმაშენებელს. იქნებ მისი საფლავის ქვის უცნაური ეპიტაფიაც ერთგვარი მონანიება და თვითგვემა იყო ძელზე გასმული ქართველობის გამო.

არ ვიცი, „მსოფლიო ისტორია“ რა კატეგორიებით აფასებს ადამიანებს, მაგრამ „საქართველოს ისტორიაში“ პიროვნების სიდიადე მხოლოდ სამშობლოსათვის დაღვრილი სისხლითა და ოფლით იზომება. პირტიტველა პაატა სააკაძის სისხლმა ადვილად გადაწონა მამამისის, გიორგი სააკაძის მიერ დაღვრილი სისხლის ზღვა, რადგან იმ სისხლის ზღვაში საქართველოს მტრების სისხლის გარდა მის მიერ დაღვრილი ქართველების სისხლიც ერია. ამიტომ ვერ გაითავისა იგი ბოლომდე ქართველმა ხალხმა. კიდევ ერთი ისტორიული ფაქტი მინდა მოვიშველიო. შაჰ-აბასის ირანში, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს იმპერიად ითვლებოდა, კაშ-
კაშებდა წარმოშობით ქართველის, სპარსეთში ალავერდი-ხანად
წოდებული უნდილაძის სახელი. შაჰ-აბასის უახლოესი კაცი, ფაქ-
ტობრივად მეორე პიროვნებად ითვლებოდა ირანის იმპერიაში. და
აი, ამ უზარმაზარი იმპერიისა და შაჰ-აბასის სურვილს წინ აღუდგა
ფიზიკურად სუსტი, მაგრამ სულიერად უდრეკი ქეთევან დედო-
ფალი, ცბიერმა, ვერაგმა შაჰმა სცადა თავისი მიზნის მისაღწევად
გამოეყენებინა ალავერდი-ხანის ქართული წარმომავლობა და მისი
ხელით გაეტეხა ქეთევან დედოფლის სიმტკიცე. ამაო ამოჩნდა ალ-
ავერდი-ხანი უნდილაძის მცდელობა, მან ვერც მოთაფლული სიტ-
ყვებით, ვერც მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრით ვერ შეძლო
ქეთევან დედოფლის სულიერი სიმტკიცის გატეხვა, ვერ შეაცვლე-
ვინა რწმენა, რჯული, რაც, თავისთავად, იმ დროს საქართველოს
ღალატის ტოლფასი იქნებოდა. გაცოფებულმა შაჰ-აბასმა ქეთევან
დედოფლის წამებით დასჯა გადაწყვიტა და ამ საძრახისი საქმის
აღსრულება ისევ ალავერდი-ხან უნდილაძეს დაავალა. ქართველის
დამარცხება და დასჯა ისევ ქართველის ხელით, – ეს ის ბასრი
იარაღია, რომელსაც საქართველოს მტრები ყოველთვის წარმატე-
ბით იყენებდნენ და დღესაც იყენებენ. ქეთევან დედოფალი მოწამე-
ობრივი სიკვდილით მოკვდა და მისი სახელი ლეგენდასავით მოედო
მთელ საქრისტიანოს. სამშობლოსა და რწმენას შეწირული ქეთე-
ვან დედოფალი უკვდავებამ გაითავისა. მოკვდა სხვისი სამშობლ-
ოსა და ერის სამსახურში ჩამდგარი უნდილაძეც. მოკვდა ისე უსახ-
ელოდ, რომ მისი დაუმარხავი გვამი დიდხანს ეგდო ქალაქის მთავარ
მოედანზე. ასევე უსახელოდ მოკვდა სამშობლოდან გადახვეწილი
გიორგი სააკაძეც. უცხო მიწაზე დამარხული პეტრე ბაგრატიონის
ძვლები ამოყარეს და ყვავ-ყორნებს მიუგდეს საჯიჯგნად. არ დაუ-
ფასა უცხო მიწამ და ტომმა ერთგულება და თავდადება. არც კრემ-
ლის მოედანზე დამარხულ და კრემლის კედლებში ჩამარხულ ურ-
ნებს ელით უკეთესი დღე. მიხეილ თამარაშვილის ნეშტი მადლიე-
რმა ერმა იტალიიდან საქართველოში გადმოასვენა და პანთეონს
მიაბარა, ხოლო პანთეონში დამარხული ფილიპე მახარაძე და ძმანი
მისნი მალულად ამოთხარეს საფლავებიდან, ძირს ჩამოიტანეს და
ახლა ძალიან ცოტამ იცის მათი საფლავების ადგილსამყოფელი. გი-

ორგი სააკაძის სურათს არაქართულად აწერია, „ამ კაცს ორი გული ჰქონდაო“, არც ვიცი, ეს ქარაგმული მინაწერი ვის ეკუთვნის, მაგრამ ერთი რამ ცხადია: კაცურ კაცს ერთი გული, ერთი გვარი და ერთი სამშობლო უნდა ჰქონდეს. ზოგიერთები კი აგერ გუშინ და გუშინწინ იძახდნენ, ორი სამშობლო გვაქვსო – დიდი და პატარა (პატარა სამშობლოში, რასაკვირველია, საქართველოს გულისხმობდნენ). მათ უნდა გავახსენოთ ისტორიის მწარე გამოცდილება: ორგულიანი, ორგვარიანი, ორსამშობლოიანი ბოლოს უგვაროდ, უსამშობლოდ და უპატრონოდ რჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ ვაქეზებთ კაენის სულს

ერთი ძველი ფილოსოფოსი წერდა, – ქვეყნის მმართველი იმით განსხვავდება მოქალაქეებისაგან, რომ მას შეცდომის უფლება არა აქვსო. ჩვენში გახშირდა დაშვებული შეცდომების აღიარება. ეს, თავისთავად, სჯობია იმ დროს, როცა შეცდომებს (და არა მარტო შეცდომებს) უშვებდნენ და არ აღიარებდნენ. დღეს ხშრად გაისმის: „შევცდით“... „ვერ გავითვალისწინეთ“... „არ მოველოდით“... „გვიმუხთლეს“... „არ უნდა გაგვეკეთებინა“ და ა. შ.

შევარდნაძის ერთ-ერთი „აღიარებული“ შეცდომა იყო სამეგრელოში დამსჯელი ჯარების შეყვანა. ახლა შექმნილია საპარლამენტო კომისია, რომელიც იძიებს ამ „შეცდომის“ მიზეზებსა და შედეგებს. ამიტომ დღეს პრესა, რადიო-ტელევიზია უნდა ცდილობდნენ ამ ჩადენილი შეცდომის გასწორებას, იმ იარის მოშუშებას, რომელიც საქართველოს უმშვენიერეს კუთხეს მიაყენეს ზოგიერთებმა თავიანთი უგუნური პოლიტიკით და საქციელით. სამწუხაროდ, ეს ასე არ ხდება. პირიქით, ზოგიერთები, ნებსით თუ უნებლიეთ, ჭრილობაზე მარილს აყრიან. უფრო მეტიც, ისევ გაისმის მოუზომავი სიტყვები, მოწოდებები ახალი რბევისა და ლაშქრობისაკენ. სამწუხაროდ, ასეთი შთაბეჭდილება დატოვა პროფესორის, ბატონ ალექსანდრე ფოცხიშვილის წერილმა, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (17 მარტი, 1993 წ.) სათაურით „თქვენ მოგმართავთ, ცოტნე დადიანის შთამომავალნო!“ ამგვარი წერილების გამოქვეყნება კიდევ უფრო ამძიმებს სამეგრელოში შექმნილ სიტუაციას. როგორც ბატონი პროფესორი გვარწმუნებს, თურმე ის „ხმამაღლა ყვიროდა“, როცა „ამბოხებული“ სამეგრელოსკენ სადამსჯელო ექსპედიციას აგზავნიდნენ: „სათავემდე ხმა ვერ მივაწვდინეო“, წუხს ბატონი ალექსანდრე, მაგრამ, ჩვენთვის მთავარია, დღეს რას წერს ბატონი ალექსანდრე ფოცხიშვილი: „სხვა კუთხის ქართველებით დაკომპლექტებული ნაწილების შემოსვლამ, ვერ ვიტყვი, კანონიერი, მაგრამ არც მთლად უსაფუძვლოდ, მტრობა ჩამოაგდო ამ კუთხის მცხოვრებთა ერთი ნაწილის მხრიდან დანარჩენი საქართველოს

მიმართ, რადგან, იყვნენ მომხდური „ქართველები“ და დამხვდურები – ადგილობრივი „მეგრელები“. ცდებით , ბატონო პროფესორო, ეს შემოსევა სამეგრელოს მკვიდრთ „ქართველების“ შემოსევად არ აღუთქვამთ. გაძარცული სახლების პატრონები, მოკლულთა ჭირისუფლები მომხდურებს „ქართველებს“ კი არ უწოდებდნენ, არამედ იმას, რასაც ისინი თავიანთი საქციელით იმსახურებდნენ. ანდა, რომელ „ამბოხებულებზე“ ლაპარაკობთ, ბატონო ალექსანდრე, იმ ხალხზე, ვინც კანონიერად არჩეულ პრეზიდენტს უერთგულა, ვინც თავისი კონსტიტუციური უფლებები დაიცვა? ასეთ „ამბოხებულები“ განა მარტო სამეგრელოში იყვნენ და არიან? ასეთი „ამბოხებულთა“ ასიათასიანი მშვიდობიანი მიტინგი დახვრიტეს გასული წლის ორ თებერვალს თბილისში და არა მარტო ორ თებერვალს და არა მარტო თბილისში. ისე, რომ თქვენს მიერ „ქართველ-მეგრელის“ ამ კონტექსტში ხმარება, არა მგონია, მართალი და, რაც მთავარია, დღევანდელი საქართველოსათვის სასარგებლო იყოს. „მომხდურებიც“ და „დამხვდურებიც“ ქართველები იყვნენ. უბრალოდ, ერთმა ქართველმა გაძარცვა, დაარბია და მოკლა მეორე ქართველი.

თქვენ წერთ: „დღესავით ნათელია, რომ არძინბას გარუსებული „მხედრობა“ თოფის გასროლასაც ვერ გაბედავდა, მეგრელთა შიში რომ ჰქონოდა და იმის მაგივრად, თქვენ დამდგარიყავით ჭყონდიდელების, ცოტნე დადიანის, დუტუ მეგრელის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ქიაჩელის, აკაკი ხორავას, ნიკოლოზ შენგელაიას და სხვათა და სხვათა, თქვენი კუთხის სახელოვან შვილთა დედა-სამშობლოს – საქართველოს დასაცავად, თქვენი შვილების ერთი ჯგუფი ძარცვავს იმ ვაგონებს, რომლებითაც ჩვენი დანარჩენი საქართველო (ისევ „დანარჩენი საქართველო“. – ნ.ჯ.) პირიდან გამოღებული ლუკმის ფასად შეძენილ იარაღს და სურსათს ვუგზავნით თქვენი და ჩვენი ისტორიის, კულტურისა და წარსულის დამცველებს“. ჯერ ერთი, მძარცველები და ქურდები, მათ შორის გამტაცებლებიც, საქართველოს ყველა კუთხეში არიან. სულ ახლახან პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ გაძარცვეს თელავში ხორბლით დატვირთული ვაგონი. რაც შეეხება მეგრელებით დაშინებულ არძინბას, მეგრელებისადმი ამ იაფფასიან ქათინაურში უფრო შენიღბული ბრალდება იმალება. თქვენ შესანიშნავად იცით, რომ მეგრელების „შიში“ ვერ შეაჩერებდა არძინბას გარუსებულ „მხედრობას“

და იმ პროცესებს, რაც დღეს აფხაზეთში ხდება, რადგან ის უბედურება, რაც დღეს ხდება აფხაზეთში, საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეში, ისეთ დონეზე და ისეთ ადგილზე იყო დაგეგმილი... ისე კი, თქვენც და სხვებსაც უფრო „ხმამაღლა რომ გეყვირათ“ და ხმა მიგეწვდინათ „უმაღლეს ეშელონამდე“, რომ ზარ-ზეიმით არ „აეღოთ“ აბაშა, სენაკი, ხობი, წალენჯიხა, ზუგდიდი, იქნებ პროცესები სხვაგვარად წარმართულიყო და შეიძლება უბედურებაც ნაკლები ყოფილიყო. მაგრამ მისი შეჩერება არავის შეეძლო, რადგან ამ პროცესების უკან დგას რეაქციული რუსეთი. ახლა, რაც შეეხება ქათინაურით შენიღბულ ბრალდებას, რომ თითქოს მეგრელები არ ადგანან ჭყონდიდელების, ცოტნე დადიანის, დუტუ მეგრელის და სხვათა და სხვათა გზას დედასამშობლოს დასაცავად და თითქოს ეს არის მიზეზი იმ უბედურებისა, რაც დღეს აფხაზეთში ხდება. ბატონო ალექსანდრე, ეს თქვენ შესანიშნავად იცით, ამიტომ მიკვირს, რამ დაგაწერინათ ეს ცილისწამება და ტყუილი, რომელსაც საქმისათვის არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია. რას ისახავთ მიზნად? ერთის გაფუჭებული საქმე მეორეს გადააბრალოთ?

თქვენ წერთ: „დრო დადგა, განმდგარმა მეგრელებმა გაისიგრძეგანონ ის გარემოება, რომ თქვენი კულტურა და ისტორია ქართული კულტურა და ისტორიაა. თქვენი განდგომით სწორედ საკუთარ წარსულზე ამბობთ უარს: ნებსით თუ უნებლიეთ, უარს ამბობთ ოპიზარების და რუსთაველის, სულხან-საბასა და გურამიშვილის, ილიასა და აკაკის, კაკაბაძისა და გუდიაშვილის ნაღვაწზე. უფრო მეტიც, უარს ამბობთ თქვენივე კუთხის საამაყო შვილების ნამოღვაწარზე, ვინაიდან ისინიც სწორედ ქართულ კულტურას ქმნიდნენ“. მე არ ვიცი რა ვუწოლო ამგვარ მსჯელობას, საკითხის ასე დასმას, ეს ვინმე სხვას რომ დაეწერა, პროვოკატორად ჩავთვლიდი, მაგრამ ვიცი, თქვენ ვინც ბრძანდებით და ამას როგორ გაკადრებთ. მინდა ვირწმუნო, რომ თქვენ, უბრალოდ, ვერ „გაისიგრძეგანეთ“ ის, რაც დაწერეთ. სამეგრელოში (და სხვა რეგიონებშიც) არიან ადამიანები, რომლებიც არ იზიარებენ დღევანდელი ფაქტობრივი ხელისუფლების მოსაზრებას, პოზიციას, პოლიტიკას. განა ეს გაძლევთ თქვენ მორალურ თუ იურიდიულ უფლებას ხელისუფლებისაგან „განდგომილებს“ საქართველოსაგან განდგომილი უწოდოთ? რა საერთო აქვს პოლიტიკურ შეხედულებათა სხვადასხვაობას

ოპიზართან და შოთა რუსთაველთან, „საქართველოსაგან განდგომასთან“? კახელები, ქეთევან დედოფლის ხელმძღვანელობით, „განუდგნენ“ და „აუჯანყდნენ“ უკანონოდ და ძალით გამეფებულ კონსტანტინეს, მაგრამ ეს ნიშნავს, რომ ისინი „განუდგნენ“ საქართველოს? ალექსანდრე ბატონიშვილი ერეკლეს რუსიფიკატორულ პოლიტიკას ებრძოდა. ეს როდი ნიშნავს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი თანამებრძოლები საქართველოს ებრძოდნენ.

„თქვენ შეიძლება მითხრათ: „ზვიადისტები“ მხოლოდ მეგრელები ხომ არ არიან, საქართველოს მთლიანობის წინააღმდეგ მხოლოდ განდგომილი მეგრელები არ იბრძვიან. დიახ, ეს მართლაც ასეა, მაგრამ იმ ერთ მუჭა ე. წ. ქართველებს ჩვენ კარგად მოვუვლით“. წავიკითხე ეს და გავოგნდი, საკუთარ თვალებს არ დავუჯერე. ნუთუ ამას წერს ბატონი ალექსანდრე ფოცხიშვილი, რომელმაც ამგვარი „მოვლა-პატრონობის“ მთელი საშინელება საკუთარ თავზე გამოსცადა? – ადამიანი, რომელიც თავის დროზე მთელი პრინციპულობით იცავდა საკუთარ აზრს, პოზიციას, შეხედულებებს. რით ავხსნათ ეს მოულოდნელი მეტამორფოზა, ნუთუ ახლა ბატონი ალექსანდრე სხვაგვარად მოაზროვნეთა და მოფიქრალთა ჭკუაზე მოყვანას და „მოვლას“ თვითონ კისრულობს? ბიბლიიდან ცნობილია სავლეს პავლედ გარდასახვა. ნუთუ ახლა საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე, პავლე აპირებს სავლედ გარდაქცევას? ეს აზრი, სამწუხაროდ, განმიმტკიცა წერილის მომდევნო სტრიქონებმა: „ჩვენ არაფერი დაგვრჩენია, ან იარაღი დავყაროთ და საქართველო რუსეთის კოლონიად გამოვაცხადოთ, ან არძინბას და მისი ძმადშეფიცულების ბატონობა ვაღიაროთ, ანდა შევკრიბოთ ლაშქარი და ვებრძოლოთ ჯერ განმდგარ მეგრელებს, მერე კი აფხაზ სეპარატისტებს“. ცუდ პარალელს ავლებთ, ბატონო პროფესორო, როცა აფხაზებსა და მეგრელებს ერთ სიბრტყეზე აყენებთ. ასეთ რამეს თავის დროზე ცარიზმის მოხელეები აკეთებდნენ გარკვეული მიზნით. ვის წისქვილზე ასხამთ წყალს და რა იმალება ამ მკრეხელური აზრის უკან? კონკრეტულად არავისზე მინდა ვთქვა, მაგრამ ამ ბოლო ხანს ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ზოგიერთები საეჭვო, კუთხური საზოგადოების შექმნით, ორჭოფული წერილებით, პროვოკაციული გაზეთებისა და კრებულების გამოცემით („ტორონჯი“ და სხვა) აქეზებენ და უბიძგებენ კოლხეთის მკვიდრთ სეპარატიზმისაკენ, რომ შემდეგ

„დანარჩენი საქართველო“ „ფაქტის“ წინაშე დააყენონ და ზოგიერთი პროვოკატორის ნამოქმედარი მთელ სამეგრელოს გადააბრალონ. მაგრამ მჯერა, საქართველოს ძირძველი მიწის მკვიდრნი ამ პროვოკაციაზე არ წამოეგებიან. მათ შესანიშნავად იციან, ვისი გორისანი არიან. გიორგი ჭყონდიდელისა და ცოტნე დადიანის შთამომავალთ სეპარატისტებად ვერ აქცევენ. არც იმის შეხსენება სჭირდებათ, რომ მათი ერთადერთი სამშობლო საქართველოა. ისე, ძალიან მაინტერესებს, ბატონო პროფესორო, პირადად თქვენ რა იარაღს აირჩევთ „განმდგარი მეგრელების“ დასახოცად – კალაშნიკოვის ავტომატს თუ სნაიპერის შაშხანას? ერთი შეკითხვაც მაქვს თქვენთან, ბატონო ალექსანდრე: საიდან დაასკვენით, რომ „ე. წ. ქართველები“ ერთი მუჭაა? მე მინახავს ამ „ერთი მუჭა „ე. წ. ქართველების“ გრანდიოზული დემონსტრაციები, რომლის წინა რიგები გმირთა მოედანს რომ გასცდა, ბოლო ჯერ კიდევ ვაგზლის მოედანზე ბობოქრობდა. ანდა, რატომ არიან ბატონები აკაკი გაწერელია და მუხრან მაჭავარიანი“ „ე. წ. ქართველები“ და თქვენ – ჭეშმარიტი ქართველი?! ძალიან საეჭვო ელფერს იღებს თქვენი ამგვარი „რჩევაც“: – „თქვენ, ჩემო მეგრელო თანამემამულენო, უნდა გადაწყვიტოთ ბედი იმ შეიარაღებული რაზმებისა, ვინც აფხაზეთსა და სამეგრელოს შორის ჩამდგარა“ ეს რჩევა, ჩვეულებრივი ენით რომ ვთქვათ, მოწოდებაა ერთმანეთს დაერიონ სამეგრელოს მკვიდრნი. ნუთუ დღეს კიდევ ერთმანეთის წინააღმდეგ წაქეზება და სისხლის ღვრა სჭირდება ისედაც სისხლისაგან დაცლილ საქართველოს? როგორც ჩანს, ამ წერილის, და არა მარტო ამ წერილის, მიზანია, „თეორიული გამართლება“ მოუძებნონ სამეგრელოს მომავალ დალაშქვრას. ადრინდელმა, როგორც ჩანს, ეფექტურობა დაკარგა (პირველი ლაშქრობის საბაბი იყო ის გავრცელებული ჭორი, თითქოს ზუგდიდის მიტინგზე გამოსულმა პრეზიდენტმა მეგრელებს მოუწოდა თბილისზე გაელაშქრათ). როგორც ჩანს, სამეგრელოს მომავალი დალაშქვრის საბაბი უნდა გახდეს“ აფხაზეთსა და საქართველოს შორის ჩამდგარი შეიარაღებული რაზმების განადგურება“. თუ პროფესორის რჩევას არ მიიღებს სამეგრელოს მოსახლეობა, მაშინ „ჩვენ მეტი არაფერი დაგვრჩენია, ავისხათ იარაღი და მათ წინააღმდეგ წავიდეთ, რასაც თქვენ, სამწუხაროდ, სამეგრელოს წინააღმდეგ წამოსვლად მიიჩნევთ“. დღეს, როდესაც პოლიტიკო-

სებიც და სამხდროებიც საქართველოს ნამდვილ მტრებთანაც ვი-
დიალოგისა და მოლაპარაკების გზას ადგანან, ჰუმანისტი პროფეს-
ორი თავისი თანამემამულეების განადგურებასა და მოსპობას მოი-
თხოვს. ასეთი აზროვნება იმ „ბოევიკის“ ავტომატზე უარესია, აფ-
ხაზეთში ქართველებს რომ კლავს. ისე, თუ არ გვიწყენს, ერთ პატარა
„რჩევას“ მივაწვდით ბატონ პროფესორს: როგორც თვითონ წუხს,
თავის დროზე ვერ მოახერხა „განაწყენებულ მეგრელებთან საუბა-
რი“; იქნებ მანამ, სანამ იარაღს აიღებდეს ხელში, ჩავიდეს „ამბოხ-
ებულ სამეგრელოში“, ჰკითხოს ძაძებით მოსილ, მიცვალებულთა
სურათებით მკერდაჭრელებულ „განდგომილ“ მეგრელებს, რამ
ააღებინათ ხელში იარაღი. ნახოს გადამწვარი, განადგურებული,
გაძარცული ზუგდიდი, წალენჯიხა, სენაკი. ჰკითხოს ვერაგულად
მოკლული გოჩა ჯიქიას დედას, რამ ჩააცმევინა რკინის ქალამნები
სიმართლის საძებნელად. რასაკვირველია, ამის გაკეთება მას „მი-
მართვის“ დაწერამდეც შეეძლო, მაგრამ არც ახლაა გვიან. იქნებ
მუქარისა და იარაღის ენით ლაპარაკს ადამიანური ენით ლაპარაკი
სჯობდეს..

არ შემიძლია უპასუხოდ დავტოვო პროფესორის აშკარად
პროვოკაციული შეკითხვა-მოწოდება: „ერთხელ და სამუდამოდ
უნდა გადავწყვიტოთ, ვისთან ხართ, საქართველოსთან თუ ზვიად
გამსახურდიასთან“. მინდა პირადად ჩემი სახელით ვუპასუხო: სამე-
გრელო, საქართველოს სახელმწიფოებრიობის ბალავარი, კოლ-
ხეთის და ეგრისის ფესვებზე ამოზრდილი, ყოველთვის იყო, არის
და იქნება თავის ერთან, რომელსაც საქართველო ჰქვია. ზვიად გამ-
სახურდია კი ის პიროვნებაა, რომელიც ქართველმა ხალხმა თავის
პრეზიდენტად აირჩია ხუთი წლის ვადით; შემდეგ კი იმასთან იქნება,
ვისაც ისევ ქართველი ხალხი აირჩევს.

სამშობლოსათვის თავისი წილი სისხლის გაღებას ცოტნე
დადიანის შთამომავალთ ვერავინ ასწავლის. იქნებ სჯობდა ბატონ
პროფესორს „გამოეძია, დაედგინა“ და იმ სისხლზე ელაპარაკა, „სხვა
კუთხის ქართველებით დაკომპლექტებულმა“ მოლაშქრეებმა რომ
დაღვარეს წალენჯიხაში, ზუგდიდში, ჩხოროწყუში, სენაკში...

მომავალში კიდევ ერთი შეცდომის აღიარებას დღეს შეცდო-
მის არდაშვება სჯობია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვმართებს მეტი სიფრთხილე

რამდენიმე შენიშვნა ბატონი აკაკი ბაქრაძის ერთი მოსაზრების გამო

გაზეთ „კახეთის" 1991 (შეცდომაა, უნდა ეწეროს 1992) წლის აპრილ-მაისის ნომერში (№2) დაიბეჭდა ბატონ აკაკი ბაქრაძის საუბარი (თუ ინტერვიუ) – „კახელი კაცი ლომა ხარივით გამრჯეა". ბატონი აკაკი ბაქრაძე ის პიროვნებაა, რომლის ყოველ სიტყვას ქართველი კაცი ელოდება და რომელიც ხშირად წარმართავს საზოგადოებრივ აზრს. მიუხედავად ამისა, ზემოთ დასახელებულ წერილში გამოთქმულ მის ერთ მოსაზრებას ვერ დავეთანხმები. ბატონი აკაკი ბაქრაძე წერს: „მე ადმინისტრაციულად საქართველოს ისტორიული პროვინციების მიხედვით დაყოფის მომხრე ვარ (ეს ნ. გელაშვილმაც გაიხსენა თქვენს გაზეთში. – ნ. ჯ.). რატომ ვარ ამის მომხრე? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს დაყოფა ბუნებრივია. ასეა იმ დღიდან, რაც საქართველო გაჩნდა დედამიწის ზურგზე. ეს დაყოფა ადამიანს არ მოუგონია. თავად უფალმა ინება ასე. მეორეც, იმიტომ, რომ ყოველ კუთხეს თავისი განუმეორებელი თავისებურება ახასიათებს, ფერი და კოლორიტი ამკობს. ეს ქართველი ხალხის სიმდიდრეა. იგი არამც და არამც არ უნდა დაიკარგოს.

მესამეც, ეს ხელს შეუწყობს ყოველი კუთხის თანაბარ ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას. დღეს, სამწუხაროდ, ასე არ არის. მდიდარი კუთხეების გვერდით არსებობს ეკონომიკურად ძალზე ღარიბი კუთხეებიც. სანამ ასე იქნება, საქართველო ღატაკ ქვეყნად დარჩება. მთელი ძალა და გულისხმევა იქითკენ უნდა წარიმართოს, რომ საქართველო თანაბრად აღორძინებული ქვეყანა იყოს ეკონომიკურადაც და კულტურულადაც.

მეოთხეც, ყოველ ქართულ ისტორიულ კუთხეში უნდა იყოს მძლავრი კულტურული კერები. დღეს, თუ რაიმე გვაქვს, ყველაფერი თბილისშია თავმოყრილი. ასე არ არის არც ერთ ცივილიზებულ და განვითარებულ ქვეყნებში. რით არის, მაგალითად, რომზე ნაკლები ან მილანი, ან ვენეცია, ან ფლორენცია? რით სჯობს ბერლინი ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუნხენს, ან ჰამბურგს, ან ფრანკფურტს? საქართველოშიც ასევე უნდა იყოს, თბილისს არაფრით არ უნდა ჩამოუვარდებოდეს არც ახალქალაქი და არც ახალციხე, არც ზუგდიდი, არც თელავი, არც გორი და არც ოზურგეთი. მართალია, ეს დონე შორეული ოცნებაა, მაგრამ საფუძველი მას დღეს უნდა ჩაეყაროს".

მეც ამავე თანმიმდევრობით შევეცდები გამოვთქვა ჩემი მოსაზრება ამ საკითხზე. რასაკვირველია, სულაც არა მაქვს პრეტენზია მაინც და მაინც მართალი ვიყო, მაგრამ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება ყველას აქვს.

ჯერ ერთი, არ მიმაჩნია სწორად, რომ თითქოს, საქართველო თავიდანვე იყო დაყოფილი პროვინციებად (ქართლი, კახეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, აჭარა, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, ფშავ-ხევსურეთი და სხვა). ეს სახელწოდებები საქართველოს ისტორიაში თანდათანობით ჩნდება. ეს ისტორიულ-პოლიტიკური პროცესია). ვიღაცები დღესაც ცდილობენ შიდა ქართლს ოსეთი (ცხინვალს) უწოდონ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს და არც ცვლის. ბატონმა აკაკიმ ჩემზე ათასჯერ უკეთ იცის, რომელ საუკუნეებში, რომელ წლებში მოხდა საქართველოს დაქუცმაცება ცალკეულ სამეფოებად თუ სამთავროებად. დიახაც, რომ სწორედ ადამიანების, შინაური თუ გარეშე ძალების მიერ ხდებოდა საქართველოს დაყოფა სამეფოებად, სამთავროებად თუ საათაბაგოებად.

მეორეც, განა XV-XVI საუკუნეებში საქართველოს დანაწევრებამ ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად, სამცხის, ოდიშის (სამეგრელოს), გურიის, აფხაზეთის სამთავროებად, შეცვალა ის მიწა, ის ცა, რომელსაც ადრე საერთო სახელი – საქართველო ერქვა? განა ალაზანს ფერი შეეცვალა, როცა ის საქართველოში კი არა, კახეთის სამეფოში მოედინებოდა? განა ქუთაისი უფრო მზიანი ან ულრუბლო გახდა, როცა ის საქართველოს კი არა, „იმერეთის სამეფოს" დედაქალაქი იყო?

მესამეც, არა მგონია სწორი იყოს, თითქოს კუთხეებად, პროვინციებად დანაწევრებული საქართველო პოლიტიკურად და ეკონომიკურად წინ წავიდეს, თითქოს ეს ქართველი ხალხისათვის სასარგებლო იყოს (შეიძლება ეს სასარგებლო იყოს ხელისუფლებისათვის, რომელსაც მეტი პოლიტიკური მანევრირების საშუალება ექნება). ჩემთვის პირადად გაუგებარია, როგორ დააწინაურებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდიდარი კახეთი მცირე და მწირმიწიან რაჭას მხოლოდ იმით, რომ ერთს ოფიციალურად ერქმევა „კახეთის პროვინცია“, მეორეს – „რაჭის პროვინცია“. თუ ვინმეს ვისიმე დახმარება სურს, რა უშლის ხელს დღეს გააკეთოს ეს (ან ხვალ), ნუთუ ამისათვის აუცილებლად საქართველო ოფიციალურად უნდა დაიყოს „გურიად“, „სამეგრელოდ“, „ქართლად“, „კახეთად“და ა. შ. ნუთუ „ქართველი ეხმარება ქართველს“ ცუდად ისმის და უკეთესად აჟღერდება –„კახელი ეხმარება ქართლელს“, „მეგრელი სტუმრად ეწვია აჭარელს“, „რაჭა მასპინძლობს იმერეთს“... ამაში მე სასიკეთოს ვერაფერს ვხედავ, საზიანოს – კი.

მეოთხეც, ვინ იქნება იმის წინააღმდეგი, რომ ახალქალაქი, ზუგდიდი თუ თელავი ისეთივე იყოს, როგორიც თბილისია, მაგრამ ამისათვის რატომაა აუცილებელი საქართველოს კუთხეებად და პროვინციებად დაქუცმაცება? განა ქუთაისში ან თელავში მეტი უმაღლესი სასწავლებლები, მეტი თეატრები, მეტი ჟურნალ-გაზეთები რომ იყოს, ამისათვის უცილებელია მათი „იმერეთის“ ან „კახეთის“ პროვინციებად გამოცხადება?! არ ვიცი, რით სჯობია ბერლინი მიუნხენს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: გერმანელმა ხალხმა თავის დედაქალაქად ბონს ისევ ბერლინი არჩია და ალბათ ამას აქვს გამართლება. ყოველი ქვეყანა, ყოველი კუთხე, ქალაქი თუ სოფელი უკეთესი და უფრო ცნობილი რომ გახდეს, ამას მარტო სახელის, სტატუსის შეცვლა ვერ უშველის. ამისათვის საჭიროა ამა თუ იმ ქვეყნის, კუთხის თუ ქალაქის მცხოვრებთა უფრო მეტი შრომა, ეკონომიკურად გაძლიერება, რაც აამაღლებს განათლების და კულტურის დონესაც და კიდევ, ამ ქვეყანაში, ამ კუთხეში თუ ქალაქში უნდა დაიბადოს გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ნიკო მუსხელიშვილი... გელათისა და იყალთოს აკადემიები საქართველოს აკადემიები იყო და არა კახეთისა და იმერეთის.

არა მგონია, მონღოლებს თავის დროზე საქართველოს საკეთილდღეოდ გაეყოთ ერთიანი საქართველო ორად – აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ. მართალია ივანე ჯავახიშვილის აზრი ორ დავითზე (დავით ულუ და დავით ნარინი): „ორი სამეფოს შექმნის მაგიერ ირჩიეს ორთა მეფობა განეხორციელებინათ: ორივე დავითი საქართველოს დედაქალაქ თბილისში მოვიდნენ და ერთად დაიწყეს მეფობა“. ეს მრავლისმეტყველი ფაქტია. არც ცარიზმის მიერ

საქართველოს ორ გუბერნიად გაყოფა იყო შემთხვევითი. რასაკვირველია, მე მჯერა, ბატონი აკაკი ბაქრაძე „საქართველოს ისტორიულ პროვინციებად დაყოფაში“ სულაც არ გულისხმობს საქართველოს პოლიტიკურ დანაწევრებას, მაგრამ ხომ ცნობილია, საქართველოს მტრები როგორც იყენებდნენ ამ კუთხურობას და განსაკუთრებით, როგორ გამოიყენებენ დღეს. რაღა შორს წავიდეთ, განა კომუნისტურმა იმპერიამ ამისათვის არ შექმნა საქართველოს მართვის სტრუქტურებში ნელად მოქმედი ნაღმები – აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები, ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი? განა ასევე არ ცდილობდა რუსეთი (ადრეც და უფრო ახლო პერიოდშიც) შეექმნა სამეგრელოს ოლქი, რომ შემდეგ სკოლებსა და ეკლესიებში აეკრძალათ ქართული ენა? რათა „შეამცირონ ქართველთა რიცხვი, ერთი დიდი ლუკმა ორ პატარა ლუკმად აქციონ, ადვილად გადაყლაპონ და ადვილად მოინელონ“ (იაკობ გოგებაშვილი), ამის მოსურნე შინაური და გარეშე მტრები საქართველოს არც დღეს აკლია.

საქართველოს ისტორია „ქართლის ცხოვრებიდან“ მოყოლებული ერთსულოვნად ანიშნავს საქართველოს „წახდენის“ უმთავრეს მიზეზს – „ეროვნულ დაქსაქსულობას“. იმერელი, გურული, მეგრელი, ქართლელი, კახელი – დიდი ილია ამ სიტყვებს საქართველოს „განმაყოფელ“ სახელებად თვლის და წუხს, რომ არ მოხერხდა „ერთობის გრძნობის გაღვივება საქართველოს სხვადასხვა პროვინციის მცხოვრებთა შორის“. შეიძლება ვინმე შემომედავოს: – ხომ ხედავ, საქართველოს პროვინციების არსებობას ილიაც აღიარებსო. დიახ, არა მარტო აღიარებს ამ ფაქტს, არამედ – ამ ფაქტიდან გამომდინარე შედეგსაც. ამიტომ, საჭიროა „განმაყოფელი“ სტრუქტურების შექმნა კი არა, მათი დაძლევა, საქართველოს სხვა გზით წაყვანა. ასევე წუხდა ამაზე გრიგოლ რობაქიძეც: „ჩვენში საშინელი სიმძაფრით იჩენს თავს თემური პარტიკულარიზმი, იმერელი, ქართლელი, კახელი, გურული, მეგრელი და სხვა... ჩვენში არსებული პარტიკულარიზმი დამაფიქრებელია მეტად“.

მართლაც რომ დამაფიქრებელია.

დამაფიქრებელია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ბატონი ლევარდ ტუხაშვილის გაზეთის ამავე ნომერში დაბეჭდილი ინტერვიუც, რადგან ეს ინტერვიუც არ უწყობს ხელს „ერთობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობის“ გაღვივებას საქართველოს სხვადასხვა პროვინციის მცხოვრებთა შორის“. კითხვაზე – კახელების პასიურობას პოლიტიკურ ბრძოლაში რით ხსნითო – ბატონი ლოვარდი პასუხობს: „ჯერ დავადასტურებ ამ სამწუხარო ფაქტს. კახელები მართლაც პასიურები გავხდით... მაგრამ როდესაც გამოფხიზლდებიან, ახასიათებთ დაუნდობლობამდე მისული რადიკალიზმი“. ჩემთვის გაუგებარია, რას ნიშნავს „დაუნდობლობამდე მისული რადიკალიზმი“. სიტყვა „დაუნდობელი“ სულხან-საბას თავის ლექსიკონში განმარტებული აქვს როგორც „ცრუ და მოღალატე“. როგორც შეიძლება ასეთი რამ დააბრალო იმ კუთხის ხალხს, რომელსაც ლომის წილი მიუძღვის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და, რაც მთავარია, რატომ ჰგონია ბატონ ლოვარდს, რომ დღეს კახელებს „სძინავთ“. კახელებს რომ არ სძინავთ, ამის დასტურია გაზეთ „იბერია-სპექტრში“ გამოქვეყნებული შოთა ქიტიაშვილის „წერილი კახეთის რეგიონიდან“. ამ წერილიდან ჩანს, რომ დინჯ, ბრძენ და ძალგულოვან კახელებს არ სძინავთ, ისინი ყველაფრის კურსში არიან. ბატონ ლოვარდს თუ დავუჯერებთ, „კახელების ძილი“ და სოციალურ ბრძოლაში ჩაურევლობა, არც მეტი, არც ნაკლები, თურმე კახელების სიმაძღრის ბრალი ყოფილა. ბატონი ლოვარდი ამბობს: „ზაქარია ჭიჭინაძე წერდა, რომ ერთი გამართული კახელი გლეხი ქონებით აღემატებოდა შვიდ თავად ფაღავას, ჰოდა, ამ გამაძღარ კახელ გლეხს არ ენაღვლებოდა სოციალური ბრძოლები“. მართალია, საქართველოში ცნობილი პიროვნება – ბატონი ლოვარდ ტუხაშვილი წარმოშობით კახეთიდანაა, მაგრამ მის ამ დასკვნას ნამდვილად ვერ დავეთამხმები. ბატონი ლოვარდი უფრო შორს მიდის: „ – კულაკი, როგორც სალანძღავი ტერმინი, რუსულიდან შემოვიდა. სინამდვილეში კულაკი ნიშნავდა მშრომელ, გამრჯე და ჭკვიან მეურნეს, ეს იყო ნამდვილი ფერმერი. აი, ასეთი ხალხი 10-ჯერ მეტი იყო კახეთში, ვიდრე იმერეთში, 15-ჯერ და 20-ჯერ მეტი, ვიდრე სამეგრელოში“. როგორც გავიგოთ ეს? თუ უბრალო არითმეტიკას მოვიშველიებთ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ კახეთში რიცხობრივად 10-ჯერ, 20-ჯერ მეტი კაცი ცხოვრობს, ვიდრე იმერეთსა და სამეგრელოში. ეს სინამდვილეს არ შეეფერება და ალბათ არც ბატონი ლოვარდი გულისხმობდა ამ სტატისტიკაში მოსახლეობის რაოდენობას. როგორც ჩანს, ბატონ ლოვარდს სურს თქვას, რომ

კახეთში 10-ჯერ და 20-ჯერ უფრო მეტად გამრჯე ხალხი ცხოვრობს, ვიდრე სამეგრელოსა და იმერეთში.

ვის სჭირდება ასეთი სტატისტიკა და ლოგიკა. ნუთუ კახელი გლეხის სიბეჯითე და სიჭკვიანე რომ დაემტკიცებინა, ამისათვის აუცილებელი იყო სხვა კუთხის ადამიანების დამცირება? ხშირად გამიგონია, „მთიან დასავლეთ საქართველოში სიმინდს შურდულით თესავენო". შურდულით თესვას არ შევსწრებივარ, მაგრამ მე თვითონ მინახავს, წელზე თოკმობმული კაცი ყანას რომ თოხნიდა. ჩვენდა საბედნიეროდ, კახეთის მიწა მართლაც ნოყიერი და ბარაქიანია, კახელი გლეხი მართლაც გამრჯე და ჭკვიანია, ამის წარმომჩენად არ იყო საჭირო არც ფაღავების გვარის გალანძღვა და არც იმერელი გლეხის აბუჩად აგდება.

ეს არც საქმეს სჭირდება და არც საქართველოს.

ბატონი ლოვარდ ტუხაშვილის ზემოთ მოყვანილმა სიტყვებმა თუ ჩემში სინანულის გრძნობა გამოიწვია, მისი ინტერვიუს ფინალმა გამაოცა. კორესპონდენტმა ასეთი შეკითხვა მისცა ისტორიკოსსა და პოლიტოლოგს: „ – როგორია თქვენი პროგნოზი, რა გვეშველება?" ბატონ ლოვარდის პასუხი: „ – მე შემიძლია განვსაზღვრო მომავალი როგორც ისტორიკოსმა და როგორც პოლიტიკოსმა... როგორც ისტორიკოსმა შეიძლება გითხრათ, რომ გვეშველება, მაგრამ როდის, ამას ვერ გეტყვით. ამის თქმა შემიძლია როგორც პოლიტიკოსს. აქაც აუცილებელია რამდენიმე პირობა, რომელთა მთლიანი განსჯა ამჯერად არ მსურს".

რა არის ეს, ხუმრობა? გვაქვს კი დღეს სახუმაროდ საქმე ?თუ ხუმრობა არ არის, ხომ გასაოცარია, კაცმა იცოდეს დღევანდელი, კატასტროფამდე მისული საქართველოს ხსნის გზა და არ ამბობდეს.

და ბოლოს: ასევე, არა მგონია, ერთიანი, ძლიერი საქართველოს შექმნას ხელი შეუწყოს პროვინციებად დანაწევრებულ საქართველოში გამოცემულმა ჟურნალ-გაზეთებმა – „სამეგრელომ", „კახეთმა", „ქართლმა", „სვანეთმა", „იმერეთმა", „აჭარამ", „რაჭამ"და სხვა. გაზეთების და ჟურნალების გამოცემა ყველა ქალაქს და პიროვნებას შეუძლია, ვისაც ამის საშუალება აქვს. არც ლამაზი სიტყვები და სახელწოდებები გვაკლია ქართველებს, ოღონდ საქართველოს „განმაყოფელი" კი არა, გამაერთიანებელი სიტყვები უნდა მოვძებნოთ. სწორად ამბობს პოეტი:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„რა გინდა, რომ აქ არ იყოს,
ენა იტყვის რას!
სიტყვა გინდა?!
მარტო წვიმას
აქვს სახელი ცხრა“.

P.S. კარგი იქნება, თუ ბატონი აკაკი ბაქრაძე და ქალბატონი ნაირა გელაშვილი უფრო დაწვრილებით, უფრო ვრცლად გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებას „საქართველოს ისტორიულ პროვინციებად დაყოფის“ საკითხებზე.

ეს ერთიანი საქართველოს, მთელი ქართველი ხალხის საფიქრალი და გადასაჭრელი საკითხია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ დაყოფთ საქართველოს კუთხეებად

ბატონო ლევარდ, მეგონა, ჩემი კეთილი სურვილებით გამოთქმული მოკრძალებული შენიშვნები, ჩემი წერილის უპრეტენზიო ტონი დამიცავდა პიროვნული შეურაცხყოფისაგან (და არა კრიტიკისაგან). მეგონა, თუ ვინმე მოისურვებდა კამათს, საუბარი იქნებოდა საქმიანი და საქმეზე, წერილში დასმულ საკითხებზე. შევცდი. ამაში დამარწმუნა გაზეთ „კაბადონში“ (1992 წ. ივნისი, №14) გამოქვეყნებულმა თქვენმა წერილმა – „ბატონ ნოდარ ჯალაღონიასადმი“. წერილი გამოირჩევა საოცარი თავდაჯერებულობით, ქედმაღლობით, ამბიციურობით. მე არ მოვიყვან დასამტკიცებლად დაწვრილებით ამონაწერს თქვენი წერილიდან (ამისათვის დამჭირდებოდა თქვენი წერილის ნახევარზე მეტის გადმოწერა, თუმცა არც მთლად უამისობა იქნება). ზოგადად ვიტყვი, დაე, მეცნიერებათა კანდიდატმა ბატონმა ლევარდ ტუხაშვილმა თავად განსაჯოს, რამდენად აუცილებელი და საჭირო იყო მის მიერ მოხმობილი „ბაგრატ რეგვენის“ მაგალითი, ანდა, სიტყვა „მედგარის“ განსამარტავად, – „ეროვნულ მოძრაობაში ჩემი მედგრად დგომა“ და „ხუთ ხმაში“ „განყოფილების გამგედ“ ჩემი „დაწინაურება“. ალბათ თავმდაბლობამ შეგიშალათ ხელი, ბატონო ლევარდ, თორემ თავის დროზე რამდენიმე განყოფილების გამგისათვის ეს „განყოფილების გამგეობაც“ უფრო უპრიანი იქნებოდა.

მე არ მიფიქრია და არც ახლა ვაპირებ გეკამათოთ ისტორიისა და ენათმეცნიერების საკითხებზე. ჩემი წერილის მიზანი უფრო მოკრძალებული იყო – ამ არეულობის ჟამს ქართველებს მეტი სიახლოვე, მეტი ურთიერთგაგება გამოგვემჟღავნებინა, არ წამოვგებოდით იმპერიის „გათიშე და იბატონეს“ ლოზუნგს, კუთხურობის სენს უფრო არ დაეძაბუნებინა ისედაც დასუსტებული საქართველო. მეორეც, მე თქვენს ერთ ინტერვიუში ნახსენებ მოსაზრებებზე გამოვთქვი შენიშვნა და არა „საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიასა“ და ენათმეცნიერების საკითხებზე. აქვე უნდა აღვნიშნო კამათის თქვენეული, უცნაური მეთოდიც. რატომ ვიყავი მე ვალდ-

ებული წამეკითხა თქვენი „სხვა წერილებიც“, მაშინ როდესაც საუბარი გვქონდა თქვენს ერთ, კონკრეტულ ინტერვიუზე, კონკრეტულ საკითხზე. თუ თქვენ ამ საკითხებზე სხვაგანაც გქონდათ აზრი გამოთქმული, ეს თქვენ თავად უნდა მიგეთითებინათ თქვენს ინტერვიუში და საქმის კურსში ჩაგეყენებინათ მკითხველი. მე გაგებით ვეკიდები თქვენს განცხადებას, რომ არ იცნობთ ჩემს შემოქმედებას. ნამდვილად ვერ მოიცლიდით. თქვენგან განსხვავებით, მე არასოდეს არავითარი თანამდებობა არ მჭერია (არც კომუნისტურ და არც ეროვნულ ხელისუფლებაში), ამიტომ, დროც მეტი მქონდა და კარგად ვიცნობ თქვენს ნაწერებს – კომუნისტურსაც, ანტიკომუნისტურსაც, ეროვნული მთავრობის პოზიციურსაც და უკვე ყოფილი ეროვნული მთავრობის ანტიპოზიციურსაც.

ამ არასასიამოვნო შესავლის შემდეგ ძირითად სათქმელზე გადავალ. თქვენ, ბატონო ლოვარდ, ფაქტობრივად, თითქმის არც ერთ ჩემს შენიშვნაზე პასუხი არ გაგიციათ. თქვენ კამათი „სხვა სიბრტყეზე“ გადაიტანეთ, სადაც უფრო თავისუფლად გრძნობთ თავს, უხეშად რომ ვთქვათ, წყალი აამღვრიეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, თევზი ვერ დაიჭირეთ. შევეცდები ეს ფაქტებით დავამტკიცო (მანამდე ერთ „წვრილმან დეტალს“ შევასწორებ თქვენს წერილში: თავისი აზრის გამოთქმა ბატონ აკაკი ბაქრაძეს მე ვთხოვე და არა რედაქციამ).

ჩემი პირველი შენიშვნა ეხებოდა თქვენს მოსაზრებას, – რომ თითქოს კახელები დღეს პოლიტიკურად პასიურობენ. მე ამაში არ დაგეთანხმეთ და მაგალითიც მოგიყვანეთ (შემეძლო სხვა მაგალითის მოყვანაც). ჩემი ეს შენიშვნა თქვენ საერთოდ უპასუხოდ დატოვეთ და კამათის მთელი „სიმძიმე“ „გადაიტანეთ“ „დასავლეთ -ქართული არისტოკრატიის“ გაპოლიტიკოსების საეჭვო კონცეფციაზე.

თქვენ წერთ: „დასავლეთ-ქართულმა არისტოკრატიამ აიტაცა სოციალურ-დემოკრატიული სინდრომი. რანაირად მოერგო ძირძველი ქართული თავადაზნაურობის არისტოკრატიული ამბიციები პროლეტარიატის იდეალებს? რატომ მაინცდამაინც დასავლეთ-ქართულ არისტოკრატიას მოერია მარქსის, ენგელსის, ლენინის იდეალების სენი?“ თქვენს დასმულ კითხვას თვითონვე პასუხობთ: „აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალების მსგავსი მამულები რომ ჰქონოდათ, ნაკლებად მოეკიდებოდათ პროლეტარიატის სიყვარუ-

ლი“. როგორც წელან აღვნიშნე, „დასავლეთ-ქართული არისტოკრატიის“ გაპოლიტიკოსების თეორიაზე კამათს არ დავიწყებ, მაგრამ, თუ ცოდვად არ ჩამითვლით, როგორც რიგითი მოქალაქე, ჩვეულებრივი მოკვდავი, ვიტყვი: სანამ მარქსიზმი და „სოციალ-დემოკრატიის სინდრომი“ კახეთის გვერდის ავლით ხონსა და სენაკში შევიდოდა, მოიარა მთელი ევროპა, მათ შორის რუსეთიც და ბოლოს პეტერბურგისა და თბილისის გავლით სამეგრელოსა და იმერეთის გაღატაკებული თავად-აზნაურების ეზო-კარს მიადგა. ბატონო ლოვარდ, ამ თეორიის თანახმად, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ვერც ევროპა და მათ შორის რუსეთიც დიდი სიმდიდრით ვერ დაიკვეხნიან. ნამდვილად არ ვიცი, რა ქონების პატრონები იყვნენ „დასავლეთ-ქართული არისტოკრატიის“ გაპოლიტიკოსებული თავად-აზნაურები, მაგრამ, ამ თეორიიდან გამომდინარე, მაინტერესებს სიღარიბის რა ზღვარზე იყვნენ ევროპისა და მათ შორის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერები – პლეხანოვი, ლაფარგი, ლიბკნეხტი, ლენინი, ლასალი, კაუცკი და სხვები. დიდი მადლობელი დაგირჩებით, თუ ამიხსნით, რამ მიიყვანა ფაბრიკანტი ენგელსი მარქსთან და სოციალიზმთან. ანდა რამ აიძულა რუსი მილიონერი გვერდში ამოსდგომოდა სოციალისტებს და, რაც მთავარია, მარქსიზმის მამა კარლ მარქსი ისეთი „ღარიბი ოჯახიდან“ ყოფილა, რომ სტუდენტობის პერიოდში ყოველწლიურად 700 ტალერს ხარჯავდა. თუ რას ნიშნავს ეს თანხა, იქიდან ჩანს, რომ მაშინდელი გერმანიის მთელი მოსახლეობის 95 პროცენტის ყოველწლიური შემოსავალი ამ თანხის ნახევარიც არ ყოფილა. ამის შემდეგ როგორ დავიჯერო, რომ ლუარსაბ თათქარიძის „გასოციალისტებას“ და „გაპოლიტიკოსებას“ ხელი შეუშალა იმან, რომ ჰყავდა „ოცი კარგად გაკეთებული კომლი კაცი. ცხვარი ბლომად, ასიოდ ცხენი“... და ჰქონდა „ორი მოზრდილი ვენახი და ასორმოცდაათი დღის სახნავ-სათესი“..

ჩემი მეორე შენიშვნა ის გახლავთ, რომ ქართველი გლეხი, კახეთში იქნება ის, იმერეთში, რაჭაში თუ სამეგრელოში, შრომისმოყვარე და გამრჯეა, თუ კახელი უკეთესად ცხოვრობს, ეს იმ გლეხის შრომისმოყვარეობის გარდა კახეთის მიწის ბარაქაც არისმეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ ცოდნასა და ნიჭიერებასთან ერთად, ალბათ სხვა რამეებიც საჭირო მოახერხო კაცმა, – შენი ნათქვამი სხვას გადააბრალო, სხვისი კი შენად გაასაღო, თან ეს ისე გააკეთო, – იქითაც შეედავო.

ბატონო ლოვარდ, თქვენ ზემოთ დასახელებულ ინტერვიუში რომ გეთქვათ, კახეთში ბუნებრივი პირობების გამო შრომის ნაყოფიერება უფრო მაღალი იყოო, მაშინ არც მე მომიწევდა შენიშვნების გამოთქმა. ეს თქვენ იმ ინტერვიუში არ გითქვამთ. ეს მე ვთქვი ჩემს წერილში: „ჩვენდა საბედნიეროდ, კახეთის მიწა მართლაც ნოყიერი და ბარაქიანია, კახელი გლეხი კი – მართლაც. გამრჯე და ჭკვიანი“. ახლა ძალიან გთხოვთ, ნუ შეაწუხებთ ნურც ინგლისს, ნურც ინდოეთს და ნურც მექსიკას. კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ თქვენი ინტერვიუ გაზეთ „კახეთში“. თუ თქვენ იქ ნამდვილად გაქვთ ნათქამი ის, რასაც იბრალებთ, მე საჯაროდ მოგიხდით ბოდიშს. სამწუხაროდ, იმ ინტერვიუში თქვენ ეს არ გითქვამთ. ეტყობა, ჩემი წერილის წაკითხვის შემდეგ თქვენს შეცდომას მიხვდით და შეეცადეთ მის გასწორებას, შეცდომის აღიარება ადამიანის ღირსებაა, მაგრამ რატომ იყო ამისათვის აუცილებელი ჩემი განქიქება და გალანძღვა? უდავოდ, თქვენს ღირსებაზე მეტყველებს ფაღავების საგვარეულოს წინაშე თქვენი სამართლიანი ბოდიშის მოხდა, მაგრამ არც გლეხური წარმოშობისათვის უნდა დაისაჯოს ადამიანი.

თქვენ გაზეთ „კაბადონში“ წერთ: „რატომ არ გინდათ გაიგოთ (მე მომმართავთ. – ნ. ჯ.) ისე, როგორც წერია: „კახეთში შრომის ნაყოფიერება ბუნებრივი პირობების გამო უფრო მაღალი იყო. ეს არაფრით არ ნიშნავს, რომ იმერელი, გურული, მეგრელი ან რაჭველი, ან ლეჩხუმელი უფრო ზარმაცია. პირიქით, მკაცრი ბუნებრივი (მცირემიწიანობა, ჭაობი, მთაგორიანი სავარგულები) აიძულებდა დასავლეთ-ქართველ გლეხკაცს უფრო მეტი ეშრომა“. წავიკითხე გაზეთ „კაბადონში“ თქვენი ეს სიტყვები და დავრმწუნდი, – გაზეთ „კახეთში“ გამოქვეყნებული თქვენი ინტერვიუ თქვენ არ წაგიკითხავთ. კიდევ ერთხელ გთხოვთ, ბაგრატ მეორის სულის შეწუხების გარეშე, წაიკითხოთ გაზეთ „კახეთში“ გამოქვეყნებული თქვენი ინტერვიუ. თუ იქ მსგავსი რამ გიწერიათ, მე უკვე სნგ-ს მასშტაბით მოგიხდით ბოდიშს. თქვენდა სამწუხაროდ, რასაც თქვენ იბრალებდით, ის აზრიც მე გამოვთქი ჩემს წერილში: „ხშირად გამიგონია

მთიან დასავლეთში სიმინდს შურდულით თესავენო. შურდულით თესვის რა მოგახსენოთ, მაგრამ მე თვითონ მინახავს წელზე თოკ-მობმული კაცი როგორ თოხნიდა ყანას". ყოველივე ამის შემდეგ მინდა გკითხოთ, რა ჰქვია ამგვარ საქციელს? ღმერთმა დამიფაროს – დემაგოგი, მით უმეტეს, მატყუარა გიწოდოთ, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ისტორიკოსს, ისიც პროფესიონალს, როდესაც ერთიორჯერ სიცრუეში ამხელენ, მერე სიმართლესაც არ დაუჯერებენ.

ჩემი მესამე შენიშვნა უფრო გასაგები რომ გახდეს, სჯობს ჩემი და თქვენი ნათქვამი პირდაპირ მივაწოდოთ მკითხველს, თორემ თქვენ ისე „ჩახლართულად" გაქვთ დაწერილი, უცებ გარკვევა ჭირს. გაზეთ „კახეთში" თქვენ წერთ: „კულაკი", როგორც სალანძღავი ტერმინი, რუსეთიდან შემოვიდა. სინამდვილეში კულაკი ნიშნავდა მშრომელ, გამრჯე, ჭკვიან მეურნეს. ეს იყო ნამდვილი ფერმერი. აი, ასეთი ხალხი 10-ჯერ მეტი იყო კახეთში, ვიდრე იმერეთში, 15-ჯერ და 20-ჯერ მეტი, ვიდრე სამეგრელოში". ამაზე გაზეთ „კაბადონში" ასეთი შენიშვნა გამოვთქვი: „როგორ გავიგოთ ეს? თუ უბრალო არითმეტიკას მოვიშველიებთ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ კახეთში რიცხობრივად 10-ჯერ და 20-ჯერ მეტი კაცი ცხოვრობს, ვიდრე იმერეთსა და სამეგრელოში, ეს სინამდვილეს არ შეეფერება და ალბათ არც ბატონი ლოვარდი გულისხმობს ამ სტატისტიკაში მოსახლეობის რაოდენობას. როგორც ჩანს, ბატონ ლოვარდს სურს თქვას, რომ კახეთში 10-ჯერ და 20-ჯერ უფრო მეტად გამრჯე ხალხი ცხოვრობს, ვიდრე სამეგრელოში და იმერეთში. ვის სჭირდება ასეთი სტატისტიკა და ლოგიკა". როგორც ჩანს, ბატონო ლოვარდ, თქვენ მიხვდით, რომ ასეთი ლოგიკა და სტატისტიკა დღეს მართლაც არავის სჭირდება და იმის მაგივრად, გეთქვათ, –შემეშალაო, აქეთ შემომიტიეთ: „ბატონი ნოდარ ჯალაღონია უეცრად სვამს კითხვას. მისი აზრით, „კულაკთა" სიმრავლე ან მოსახლეობის სიმრავლეს ნიშნავს, ან უფრო მეტ შრომისმოყვარეობას („კულაკი" რომ გამრჯესა და შრომისმოყვარეს ნიშნავს, თქვენ თვითონ არ ბრძანეთ? – ნ. ჯ), რატომ? ბატონო ნოდარ, რის საფუძველზე აკეთებთ ასეთ დასკვნას? მაგალითად, ინგლისში უფრო მეტი მდიდარი ადამიანია, ვიდრე ინდოეთში. განა ეს ნიშნავს, რომ ინგლისის მოსახლეობა ინდოეთისას აღემატება? მაგალითად, ახალ ზელანდიაში მეტი მარ-

ცვალი მოჰყავთ, ვიდრე მექსიკაში. განა ეს ნიშნავს, რომ მექსიკელი მშრომელი არ არის“.

ბატონო ლოვარდ, არ შემიძლია არ გამოვხატო აღტაცება თქვენ მიერ სიტყვების ბრწყინვალე ეკვილიბრისტიკისათვის. მაგრამ, ვაი, რომ თქვენისთანა განათლებულ ადამიანსაც არ ძალუძს აქლემი ნემსად გადააქციოს. რადგან თქვენდამი ნდობა შემერყა, მინდა მკითხველს მივმართო: – პატივცემულო მკითხველო, ნიშნავს კი ჩემი ზემოთ ნათქვამი იმას, რასაც ბატონი ლოვარდი მაბრალებს?

ჩემი მეოთხე შენიშვნა ეხებოდა სიტყვა „დაუნდობელს“. კაცმა რომ თქვას, დიდი მნიშვნელობა არ მიმიცია ამ სიტყვის ძველი ან ახალ გაგებისათვის. უბრალოდ, უხერხულად ჩავთვალე საკუთარი ხალხისათვის გეწოდებინათ „დაუნდობელი“, თუნდაც თქვენეული „სისასტიკისა“ და „შეუბრალებლის“ მნიშვნელობით. თუ რატომ, ამას ქვემოთ მოგახსენებთ.

რასაკვირველია, თქვენ შეგეძლოთ დაგეწერათ, რომ სიტყვა „დაუნდობელი“ დღევანდელი გაგებით იხმარეთ და ამით ნათელი იქნებოდა ყველაფერი. გარკვეული მოსაზრებით, უფრო „შორი“ გზა აირჩიეთ. ამ გზაზე მოასწარით არა მარტო ენათმეცნიერებაში თქვენი განსწავლულობის დემონსტრირება, არამედ „სითამამისათვის“ ჩემი დასჯაც (ეს იყო მთავარი). ჩემს პიროვნებას და პოეტობას დაუწყვილეთ სიტყვები: „ზარმაცი“, „მზაკვარი“; მოასწარით „განყოფილების გამგედ“ ჩემი დაწინაურებაც. ჩემდამი „პატივისცემის დადასტურების“ მიზნით უადგილოდ მოუხმეთ სიტყვა „რეგვენს“. ჩემი „სირეგვნის“ დასამტკიცებლად მეფე ბაგრატ მეორე შეაწუხეთ საფლავში და ბოლოს ასეთი „მკაცრი დასკვნაც“ გააკეთეთ: „ზოგიერთმა ლიტერატორმა ძალიან ცუდად იცის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორია, თვით ლიტერატურაც კი“. იმ „ზოგიერთ ლიტერატორში“, დარწმუნებული ვარ, მე მგულისხმობთ. ფრიად მადლობელი ვიქნებოდი მიგეთითებინათ, ჩემი წერილის რომელმა მოსაზრებამ, რომელმა სტრიქონმა მიგიყვანათ ჩემთვის ფრიად არასასიამოვნო დასკვნამდე, თორემ ასე „უპრაგონოდ“ ლაპარაკმა შეიძლება შორს წაგვიყვანოს. თქვენი მეთოდით, მეც შემიძლია განვაცხადო: ზოგიერთმა ისტორიკოსმა არ იცის ლიტერატურა და ისტორიაც კი... თუ მე არ მგულისხმობთ, კეთილი ინებეთ, დაასახელეთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელ ლიტერატორზეა ლაპარაკი. თუ არც ერთია და არც მეორე, მაშინ ვინ მოგცათ ქართველი ლიტერატორების გალანძღვის უფლება?

ძალიან გიადვილდებათ სხვებისათვის ჭკუის სწავლება. თქვენ წერთ: „პროფესიონალ ისტორიკოსებთან პაექრობისას, შეიძლება არ დაეთანხმოთ მის რომელიმე მოსაზრებას, მაგრამ შესაბამისი არგუმენტაციის წარმოდგენისას აუცილებელია მეტი სიფრთხილე". მერედა, თქვენ რატომ რა იჩენთ ამ სიფრთხილეს? თქვენ, „პროფესონალი ისტორიკოსი", ახსენებთ „სტამბულში გამოცემულ წიგნს" და არ ასახელებთ ამ წიგნის არც ავტორს და არც სახელწოდებას. უფრო უცნაურია ამ უავტორო წიგნიდან მოყვანილი მაგალითი. „მე-11 არმიის კომისარ ჟლობას დივიზია კახელებმა მარშით გაატარეს იმიტომ, რომ თბილისში მჯდომი მთავრობა თავისად არ ჩათვალეს". ბატონო ლოვარდ, თქვენ, პროფესიონალმა ისტორიკოსმა, გააანალიზეთ ეს მაგალითი და მისი ყველა ასპექტი? არა მგონია.

ამ მაგალითით უხერხულ მდგომარეობაში ხომ არ აყენებთ კახელებს? თუ კახელებმა თბილისში მჯდომი მენშევიკური მთავრობა თავის მთავრობად არ ჩათვალეს და „ჟლობას დივიზია მარშით გაატარეს", უნდა ვიგულისხმოთ, რომ ისინი თანაუგრძნობდნენ ჟლობას და მის მოყვანილ ბოლშევიკურ მთავრობას, ეს მთავრობა თავისი მთავრობად ჩათვალეს და მხოლოდ 1924 წელს მიხვდნენ, რომ ეს მთავრობაც „მათი მთავრობა" არ იყო. ძალიან ბევრს ხომ არ იღებთ თქვენს თავზე, როცა მთელი კუთხის სახელით ლაპარაკობთ? ჩვენთვის გასაგებია, რატომ მოიყვანეთ ეს მაგალითი, ამით მიანიშნეთ, რომ კახელებს არც გამსახურდიას ეროვნული მთავრობა მიაჩნდათ თავისად და ამიტომ პასიურობენო (მინდა ისევ გავიმეორო ჩემს წინა წერილში ნათქვამი: კახელებს არც ადრე „ეძინათ" და არც ახლა „სძინავთ"). მაინც, თქვენი აზრით, კახელები რომელ მთავრობას ჩათვლიან „თავიანთ მთავრობად" – იმ მთავრობას, სადაც „პოლიტიკურ ინსტანციებში" მეტი კახელები იქნებიან? ამის გაფიქრებაც ხომ სირცხვილია. ეს ხომ შეურაცხყოფა იქნება იმ კუთხის ხალხისათვის რომელიც ყოველთვის ერთიანი საქართველოსთვის მებრძოლი და მედროშე იყო. იქნებ სწორედ ამგვარ შეფარულ აზრს დაჰკრავს „კუთხურ-თემობრივი", „ლობისტური ელფერი".

ჩემი მეხუთე შენიშვნა – თხოვნა იყო, გაგემხილათ ქართველი საზოგადოებისათვის საქართველოს ხსნის გზა, რომელიც, თქვენი თქმით, იცით და გარკვეულ დრომდე საიდუმლოდ ინახავთ. თქვენმა ამ საიდუმლოს არგამხელამ ტალეირანის ცხოვრების ერთი ეპიზოდი გამახსენა: ეს იმ დროის ამბავია, როდესაც საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრება არასტაბილური იყო. ტალეირანი თავის სასახლეში ზარბაზნების ქუხილმა გამოაღვიძა. „ჩვენები მოდიანო", – უთქვამს თავისიანებისათვის. „რომელი ჩვენებიო", – ჩასძიებიან ოჯახის წევრები. „ამას ხვალ დილით, როცა მოვლენ, მაშინ გეტყვითო", – უპასუხია დიდ პოლიტიკოსს.

ახლა იმ შეცდომებზე, რომელიც უკვე „კაბადონში" დაუშვით.

პირველი შეცდომა: თქვენ ისე წერთ კახეთზე და კახელებზე, თითქოს კახეთი და საქართველო სხვადასხვა ცნებები იყოს. ალბათ ანალოგიური აზროვნების შედეგი იყო სატელევიზიო გამოსვლაში კახეთის რეგიონის ერთი წარმომადგენლის განცხადება: –ექსპრეზიდენტის მომხრეები ვერც კახეთის მხრიდან შემოვიდნენ საქართველოში და ვერც საქართველოს მხრიდან კახეთშიო. როგორც თქვენ გიყვართ კოლხეთი, ისე მიყვარს მეც კახეთი, საქართველოს ყველა კუთხე. კახეთის ღირსება ჩემი ღირსებაა, კახეთის ტკივილი ჩემი ტკივილია. აქედან გამომდინარე, ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია საქართველოს პროვინციების ერთმანეთან დაპირისპირება. ეს კი, უდავოდ, ჩანს საკითხის ასე დასმაში: „რატომ ეხამუშება პატრიოტ პოეტს, რომ კახელებს საერთოდ არ ვხედავთ უმაღლეს პოლიტიკურ ინსტანციებში". ჩვენი უბედურება და „ეროვნული დაქსაქსულობა" (ილია) მანამდე არ შეწყდება, სანამ არ მოვიშლით საქართველოს ხელისუფლებაში (სულერთია, რანაირი ხელისუფლება იქნება) კახელის, მეგრელის, იმერლის, ქართლელის თითებზე ჩამოთვლას და ანგარიშს.

მეორე შეცდომაა თქვენ მიერ მოყვანილი იმერეთის მეფის სოლომონ მეორის მაგალითი. აბა, დაფიქრდით, გაუხარდებათ „დასავლეთ-ქართულ არისტოკრატიულ" იმერლებს მათი ყველაზე გამოჩენილი მეფის ბოგანოობა და ყაჩაღობა? ან აჭარელს სიამაყეს მოჰგვრის იმის გახსენება, თუ როგორც უჩაჩქუნებდნენ თავში იმერლები და როგორ ართმევდნენ პირიდან ლუკმას?

სწორი ბრძანდებით, „თანამედროვეობის პოზიციიდან ისტორიის გაყალბება არ შეიძლება“, მაგრამ ასევე არ შეიძლება საკუთარი ცოდნის უადგილო რეკლამირებით ავნოთ საქმესაც და ქვეყანასაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ის მიმაჩნია სწორად, „საქართველო და ქართველობა რაღაც დიდი რასის მოდელს ჰგავსო“, რომ წერთ. არც თქვენს იმ მოსაზრებას ვიზიარებ, თითქოს საქართველოს „ეთნოგრაფიული სიჭრელე „ერთობის ამოუწურავ რეზერვს“ წარმოადგენდეს. დიდი ილია ამაზე სხვა აზრისაა, ამ „სიჭრელეს“ საქართველოს „განმაყოფლად“ თვლის და არა „ერთობის ამოუწურავ რეზერვად“, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობა სულაც არ მაძლევს უფლებას თქვენ რეგვენი ან უცოდინარი გიწოდოთ.

დასასრულ მინდა შეგკადროთ: რასაკვირველია, კარგია, როცა კაცმა საკუთარი ოჯახივით იცის ინგლისი, ინდოეთი, ახალი ზელანდია, მექსიკა, იცის აინშტაინის „ფარდობითობის თეორია“, ჰუმბოლტის „ენის ენერგეტიკული ძალის თეორიაც“. ცოდნა დიდი განძია, მაგრამ ეს თქვენი მრავალმხრივი განსწავლულობა მარტო თქვენ არ გეკუთვნით, ის მთელი ხალხის კუთვნილებაა და გაფრთხილება სჭირდება. ჩემი აზრით, არ იყო საჭირო ჩემი შენიშვნის გასაბათილებლად ამხელა ქვეყნებისა და ამდენი ადამიანის შეწუხება.

კიდევ ერთხელ გიცხადებთ პატივისცემას.

P. S. სანამ ჩემი წერილი დაიბეჭდებოდა, ბატონმა ლოვარდ ტუხაშვილმა კიდევ ერთი „ისტორიული ფაქტი“ გამოამზეურა: „ავღანეთში (ლაპარაკია წინა საუკუნეების ავღანეთზე. – ნ. ჯ.) ქართველებმა არნახული სისასტიკე გამოამჟღავნეს, მეამბოხეებს კბილებს აძრობდნენ და ჩაქუჩით თავში ლურსმნებს ურჭობდნენ. ამოწყვიტეს მთელი ტომები, შეურაცხყოფდნენ ქალებს“(გაზეთი „შანსი“, 5-12 მარტი, 1993 წ.).

ისტორიკოს ლოვარდ ტუხაშვილს ნუთუ არ ურჩია პოლიტოლოგმა ლოვარდ ტუხაშვილმა, რომ ასეთი რამის დაწერა დღეს არ შეიძლება. ოსი და აფსუა სეპარატისტები ათასგვარ დეზინფორმაციულ დოკუმენტს ქმნიან და ავრცელებენ დღეს მსოფლიოში, სადაც დაახლოებით იგივე ბრალდებებია წაყენებული დღევანდელი ქართველებისადმი. სწორედ ასეთი შეთითხნილი დოკუმენტების

ტომი დაუდეს წინ ბატონ ალექსანდრე ჩიკვაიძეს საზღვარგარეთ ერთ-ერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში.

„თანამედროვე პოზიციებიდან ისტორიის გაყალბებას“ ბატონ ლოვარდს არავინ სთხოვს, მაგრამ დღეს, როცა ასეთი ძნელი და მძიმე დღეები უდგას საქართველოს იქნებ ჯობდეს მოზღვავებული ცოდნის გამომჟღავნებისაგან დროებით თავი შეიკავოს, ისეთი რამ არ თქვას და არ დაწეროს, რაც დღევანდელ საქართველოს სასიკეთოდ არ წაადგება და თუ მაინც „ცოდნამ თავი არ დამალა“, ისეთი ფაქტები და საბუთები მიაწოდოს მკითხველებს, მტერს რომ ეწყინება და მოყვარეს გაეხარდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭირსა შიგან გამაგრება...

„კარგი რამ გჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“ – ეს სიტყვები შეიძლება ეთქვა მხოლოდ ჩვენი ერის შვილს. მართლაც, ძნელია სიავით და სიდუხჭირით გააკვირვო საქართველო, ქართველი ხალხი.

ამის დასტურია სისხლით და ცრემლით დაწერილი ჩვენი ისტორია.

ამის დასტურია 1989 წლის 9 აპრილი.

ამის დასტურია საქართველოს დათესილი სიკეთე, ეკლად ამოსული სოხუმში, ცხინვალში, შუა თუ ქვემო ქართლში. ამის დასტური შეიძლება გახდეს ყრილობის ბოლო დღეც და თუ ჩვენი წინათგრძნობა გამართლდა, კიდევ ერთ საკვირველ სიავეს ქართველი ხალხი უნდა შეხვდეს სულიერად აღზევებული, შინაგანად მტკიცე და გაუტეხელი.

არა წუწუნი.

არა უიმედობა.

მაგრამ, – არც უადგილო და უმართავი ემოციები.

ქართველი ხალხისათვის სულიერი სიმტკიცე იყო ის ციხესიმაგრე, რომელსაც ვერ ერეოდა მრავალრიცხოვანი და კბილებამდე შეიარაღებული მტერი.

დიდგორის ბრძოლის გარდა ჩვენ სულიერი დიდგორიც გვქონდა.

ქეთევან დედოფლის გაუტეხელმა სულმა დაამარცხა სისხლისმსმელი შაჰ-აბასი.

ცოტნე დადიანის შინაგანმა სიმტკიცემ აიძულა ჯალათები ბორკილები აეხსნათ ქართველთათვის.

ლექსებმა, სიმღერებმა და ცეკვებმა სძლიეს ტანკებს.

დგება მომენტი, როცა ერის სულიერი სიმტკიცე ხდება მისი ყველაზე ბასრი იარაღი, ყველაზე მტკიცე ციხესიმაგრე.

ვიყოთ მობილიზებულნი, მაგრამ არასასოწარკვეთილნი.

ვიყოთ მომთმენნი მაგრამ არა მორჩილნი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიყოთ წინდახედულნი, მაგრამ არა წინ მორბენალნი.

დროშასავით ავწიოთ საუკუნეების ქარცეცხლში გამოვლილი წინაპართა სიბრძნე–„ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვიტკირსა“.

სხვა ნიჭიერებასთან ერთად კიდევ ერთხელ წარმოვაჩინოთ ჩვენი უპირველესი და უძველესი ნიჭი – ნიჭი გაძლებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთიანი საქართველოსათვის

გრძელდება ძმათა აშლილობა საქართველოში. რა გვაქვს გასაყოფი? ერთი ენა გვაქვს, ერთი სამშობლო, ერთი სარწმუნოება და ბოლოს, ბარიკადს იქით ვიქნებით თუ აქეთ, ყველას ერთი საფლავი გვექნება – საქართველოს მიწა. მაშ რისთვის? ნუთუ სავარძლებისათვის, ნუთუ ტკბილი ცხოვრებისათვის? მაგრამ შეიძლება მონობაში მყოფ ადამიანს ტკბილი ცხოვრება ჰქონდეს? მაშ, რისთვის ვლვრით ერთმანეთის სისხლს?

ის, რაც წიგნებში წამიკითხავს, ის, რაც უსწავლებიათ ჩემთვის, ბევრი რამ მემატიანის მოგონილი მეგონა. ვაგლახ, რომ ასე არ ყოფილა. ქართველების მიერ ერთმანეთის გაუტანლობა, ღალატი, ერთმანეთის პირისპირ დგომა, ყველაფერი ეს სინამდვილეა. თურმე არ ტყუოდნენ ის ჩვენი სულმნათი მემატიანეები. მე რომ გურამიშვილის გოდება, „ქართლის ჭირი“ პოეტის ფანტაზიის ნაყოფი მეგონა, ესეც მწარე სიმართლე ყოფილა. ჩემი თვალით ვხედავ ცოცხალ ყორლანოვებს, ბერბიჭაშვილებს, ორჯონიკიძეებს. თუ თავის დროზე საქართველოს ორგულნი თავიანთი მიზნების მისაღწევად სტამბულში ან ისპაჰანში გარბოდნენ, დღეს სხვა მარშრუტი და სხვა ქალაქი აურჩევიათ. მაგრამ მიზანი ხომ იგივეა, რაც მაშინ იყო – ქართველი ერის გათიშვა, საქართველოს დამარცხება. მაგრამ სანამდე, სანამდე უნდა ვიყოთ, ჩემო დებო და ძმებო, ასე?! სანამდე უნდა ვეძიძგილავოთ ერთმანეთს? იქნებ მანამ, სანამ ახლა განზე მდგომი, ჩუმად მოქირქილე, თავისი დროის მომლოდინე „საქართველოს უკვდავი“ მტერი ბარიკადს იქით თუ აქეთ მდგომთ, ერთმანეთის ქიშპით დაქანცულებს, ისევ პირს დაგვავლებს და მიგვახრჩობს... არ არსებობს ცალკე ადამიანების, ცალკე პარტიების საქართველო. საქართველო ერთია, მიწიერიც და ზეციურიც. ცოცხლებს თუ მკვდრებს ერთი სამშობლო, ერთი საქართველო გაგვაჩნია და გავუფრთხილდეთ მას. ნუთუ ჩვენ შევურიგდებით ქართველის მიერ მოკლული ქართველის საფლავის არსებობას? ნუთუ ჩვენ შევურიგდებით ქართველის მიერ დამარცხებულ საქართველოში ცხოვრ-

ებას? ეს ჩვენი სამარადჟამო სირცხვილი იქნება. დაე, დღეს ბარიკადების სხვადასხვა მხარეს მდგომი ადამიანების დაღვრილი სისხლი, ქართული სისხლი იყოს სანთელ-საკმეველი, მათი სული კი – იმ ზარის ხმა, რომელიც ყურიდან ცვილს გამოგვაღებინებს და თვალიდან ლიბრს გადაგვაცილებს ჩვენი სულიდან ეშმაკს განდევნის და გვაბრძოლებს, საერთო მტრის წინააღმდეგ, ერთიანი საქართველოსათვის. ნუ გავახარებთ ჩვენს მტრებს, ძვირფასო თანამემამულენო! ისე ვიცხოვროთ, რომ არ შეგვრცხვეს ერთმანეთის თვალებში ჩახედვის არც აქ და არც იქ – მარადიულ საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკი ამბობდი, ხელმწიფის ნავში ნუ ჩაჯდებიო!

ბატონო მურმან!

სანამ ძირითად სათქმელს გეტყოდეთ, მინდა ორიოდ ფაქტი გავიხსენო. არც ისე დიდი ხნის წინათ ერთ გაზეთს ვრედაქტორობდი. მახსოვს, ერთმა ჩემმა კოლეგამ თქვენზე ძალიან მწვავე და კრიტიკული წერილი მომიტანა. მაშინ პოეტი მურმან ლებანიძე უფრო მაღლა დავაყენე, ვიდრე მოქალაქე მურმან ლებანიძე, ის წერილი არ დავბეჭდე, მეგობარი გავანაწყენე, მაგრამ, მაინც ჩავთვალე, რომ სწორად მოვიქეცი (ის წერილი შემდეგ სხვა გაზეთში დაიბეჭდა). იყო კიდევ ერთი შემთხვევა. ერთმა კარგმა ქართველმა, მწერლობაში კარგად ჩახედულმა და, რაც მთავარია, თქვენს პოეზიაზე უზომოდ შეყვარებულმა კაცმა ასევე თქვენს წინააღმდეგ დაწერილი სტატია წამაკითხა. თქვენს ლექსებს კი არა, თქვენს მოქალაქეობრივ პოზიციას იწუნებდა და, ჩემი აზრით, სამართლიანადაც. რჩევა მკითხა, დაებეჭდა თუ არა ის წერილი, ვურჩიე კი არა, ვთხოვე, პატივი ეცა პოეტ მურმან ლებანიძისათვის და ის წერილი არ დაებეჭდა. დამიჯერა, წერილი არ დაბეჭდილა.

ამას მიტომ კი არ ვწერ, რომ თავი მოგაწონოთ, დაგამადლოთ ან სამაგიერო ვითხოვო. არა, ბატონო მურმან. მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ყოველთვის პატივს ვცემდი თქვენს პოეზიას. დღეს კი იძულებული ვარ თვითონ ვთქვა ის, რასაც სხვებს ვუშლიდი. თქვენ კი ალბათ იმ „ასი მუტრუკის“ სიაში შემიყვანთ, რომლებიც „ნამდვილ პოეტს ებრძვიან“.

არავინ არ ებრძვის პოეტ მურმან ლებანიძეს, მის ჭეშმარიტად ნიჭიერ ლექსებს. „ებრძვიან“ (უფრო სწორად, აკრიტიკებენ) პიროვნებას, მოქალაქე მურმან ლებანიძეს, რომელმაც ზოგიერთ სხვა „მოქალაქეებთან“ ერთად ქართველი ხალხისათვის საზიანო ნაბიჯი გადადგა, რალაც-რალაცები შეეშალა, არ დადგა იქ, სადაც უნდა მდგარიყო და ამით ჩრდილი მიაყენა პოეტ მურმან ლებანიძეს, მის პოეზ-

ია. მეც იმათ რიგებს მივემატე. ამაში თავისი წვლილი შეიტანა იმ ლექსმა, რომელიც თქვენ ამ ბოლო დროს „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდეთ. თქვენი ლექსი კონკრეტულ პიროვნებაზე რომ ყოფილიყო დაწერილი, ხმას არ ამოვიღებდი, მაგრამ საქმე სხვაგვარადაა.

„თქვენ დუშმანს სიტყვა უქციეთ საქმედ,
თქვენ სხვა აღძარით თქვენს მარტივ გლეხში.
ვაი, სირცხვილო, რუსთველი თარგმნეთ,
მიჯღარკ-მოჯღარკეთ ქართული ლექსი“.

ამ „თქვენობით“ ვის მიმართვით, ბატონო მურმან, სამეგრელოს? მის მოსახლეობას? ვინმე აშორდიამ ან ჟვანიამ რაღაც სისულელე რომ ჩაიდინოს, ამაში მთელ კუთხეს რატომ ადანაშაულებთ? თქვენს მიერ „მარტივ გლეხებად“ მონათლულებს არ „უთარგმნიათ“ „ვეფხისტყაოსანი“, არც „მიჯღარკულ-მოჯღარკული“ სტრიქონების ავტორები არიან ისინი. მათ შექმნეს ბრწყინვალე ხალხური ლექსები და სიმღერები: „ჩელა“, „მახა“, „დიდოუ-ნანა“, „სისა-ტურა“, „ჰარირა“ და სხვა მრავალი, რომლებიც ქართული სიმღერების დიდოსტატის ნოკო ხურციასა და სხვების შესრულებითაც ალბათ თქვენც ბევრჯერ მოგისმენიათ და დამტკბარხართ კიდეც. ზედმეტი სითამამე ხომ არ არის თქვენგან, „მიჯღარკულ-მოჯღარკული“ უწოდოთ იმ სიტყვებს, რომლითაც „დიდოუ-ნანას“ უმღეროდნენ გიორგი ჭყონდიდელსა და ცოტნე დადიანს. ასე რომ, „მიჯღარკულ-მოჯღარკულ“ სტრიქონებზე მის დამწერს მოვსთხოვოთ პასუხი და არა კონსტანტინე გამსახურდიას, სიმონ ჩიქოვანისა ლა ტერენტი გრანელის შვილებს. „მიჯღარკულ-მოჯღარკული“ ლექსების ავტორი შეიძლება ნებისმიერი კაცი იყოს. ეს პიროვნების ნიჭზე არის დამოკიდებული და არა რომელიმე ენაზე ან ეროვნებაზე. რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ მეგრულად „თარგმნას“, რასაკვირველია, ეს დიდი სისულელეა ისევე, როგორც „მეგრულიდან ქართულად თარგმნა“, რის პროვოცირებასაც ცდილობდნენ და დღესაც ცდილობენ ერთიანი საქართველოს მოძულე, იმპერიის მიერ წაქეზებული „ჭკვიანი მტრები და სულელი მოყვრები“ (თქვენი სიტყვებია). სწორედ ამგვარი ადამიანების მცდელობით გამოვიდა ოცდაათიან წლებში გაზეთი „ჭითა ჩხორია“(წითელი სხივი), რაზედაც

ბატონი კონსტანტინე გამსახურდია წერდა, „ასეთი ანტიქრისტია-ნული, ქართული ენისათვის სამარცხვინო ამბავი საქართველოში არ მომხდარაო“.

ამავე პოზიციაზე იდგნენ ქართველი ერისკაცები: იაკობ გოგებაშვილი, ნიკო დადიანი, დუტუ მეგრელი (ხოშტარია) და სხვ. ეს თქვენ ჩემზე კარგად იცით და მიკვირს, „ჭკვიანი მტრისა და სულელი მოყვრის“ ნამოქმედარს მთელ კუთხეს რატომ აბრალებთ. სულ ახლახან ზუგდიდში საჯაროდ დაწვეს თბილისში მეგრულ ენაზე გამოცემული გაზეთი „ტორონჯი“ (მტრედი). „ტორონჯის“ მსგავს რეციდივებში არავითარი ბრალი არ მიუძღვის იმ კუთხეს, რომელმაც დედასამშობლოს აღუზარდა გიორგი ჭყონდიდელი, იოანე მინჩხი, ცოტნე დადიანი, დუტუ მეგრელი, ილია ვეკუა, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიები, შალვა დადიანი, აკაკი ხორავა, ვერიკო ანჯაფარიძე, ლეო ქიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი, ტერენტი გრანელი, მერაბ კოსტავა, ჟიული შარტავა, დღესაც სამშობლოს სამსახურში ჩამდგარი ანდრია აფაქიძე, ნობელის პრემიაზე წარდგენილი იური მალაშხია...

„ვაი, სირცხვილოს“ ადრესატები ზოგიერთი ქართველი ინტელიგენტი და მწერალი უფროა, ვიდრე თქვენ მიერ შეურაცხყოფილი „მარტივად მოაზროვნე გლეხები“. რამდენიმე ფაქტს შეგახსენებთ. არც ისე დიდი ხნის წინათ, „ქართულად ითარგმნა“ სვანური ლექსები, რაც თავისთავად გზას უხსნიდა ქართულიდან სვანურად თარგმნის მავნე ტენდენციას (შედეგმა არ დააყოვნა, როგორც ამბობენ, სვანურად ითარგმნა ბიბლია). მაშინ არც თქვენ და არც სხვებს ამ არასასიამოვნო ფაქტზე ხმა არ ამოგიღიათ. ამგვარი წაყრუების ბრალი იყო ალბათ „ლიტერატურულ საქართველოში“ (1982 წ. 28 მაისი) გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომ ქართველმა პოეტებმა ლექსები თარგმნეს: ინგლისურიდან, ესპანურიდან, ლიტვურიდან, მეგრულიდან. ამაზე ცოტა ადრე მწერალთა კავშირთან არსებულმა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ ხელშეკრულება გააფორმა ერთ-ერთ პოეტთან მეგრული ხალხური ლექსების ქართულად თარგმნის თაობაზე. ამაზე თქვენც და სხვებმაც თვალები დახუჭეთ. რატომ? ისევ „მარტივი გლეხების“ შვილებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოთქვეს მაშინ პროტესტი ერთიანი საქართველოსათვის საზიანო ტენდენციის გამო. თქვენ კი, ბატონო მურმან, „ჭკვიანი მტრისა“ და „სულელი მოყვრის“ ნამოქმედარი ცუდ დროს და ცუდი ფორმით გაუხსენეთ საქართველოს, რაც დადარაჯებული კაცის პოზიციას უფრო ჰგავს. დღეს, როცა საქართველოში ასეთი დაძაბული ვითარებაა, რა აუცილებელი იყო ორმოცდაათი წლის წინათ მომხდარ ფაქტზე ლექსის დაწერა და დაბეჭდვა? რა პოლიტიკური, იდეური თუ საზოგადოებრივი დატვირთვა აკისრია მას? რა მიზანს ისახავს, ვის ან რას ემსახურება – დღევანდელი გაუბედურებული საქართველოს გამთლიანებას თუ „ჭკვიან მტერს“ ან „სულელ მოყვარეს“?

თქვენი ეს ლექსი ამ ბოლო წლებში მრავალგზის უსამართლოდ გადათელილი სამეგრელოსათვის კიდევ ერთი წიხლის ჩარტყმაა. პოეტ მურმან ლებანიძისაგან წიხლი უფრო საწყენია, ვიდრე სატკენი.

ახლა, რაც შეეხება იმას, „მეგრულ ენას ქართულთან ხმა რომ არ ამოეღება“. მაინც რატომ? ისეთი რა დანაშაული აქვს ჩადენილი შვილს დედის წინაშე, რომ ხმის ამოღებას უკრძალავთ? „მეგრული ხომ ქართველურ ენათა დიალექტია“ (ქართული ენციკლოპედია), „ქართველური ენობრივი განშტოებაა“(აკადემიკოსი შოთა ძიძიგური). მოკლედ, სვანურთან ერთად ის უხვი შენაკადია, რომელიც ამდიდრებს ქართულ ენას. პოეტ ვახტანგ ხარჩილავას თქმისა არ იყოს, რა დაშავდება იმით, რომ საქართველოს ყველა კუთხის შვილებმა იცოდნენ, რომ „დედას“ მეგრულად „დიდა“ ჰქვია, სვანურად –„დი“, მამას“ მეგრულად – „მუმა“, სვანურად – „მუ“. რასაკვირველია, მე სკოლებში მეგრულისა და სვანურის შემოღებას არ ვითხოვ, მაგრამ ქართველმა ბავშვებმა რომ იცოდნენ „ქართველური ენობრივი განშტოების“ ისტორია, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ... ისე, როგორც ამის სწავლება ხდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

„ქართველური ენობრივი განშტოების“ მცოდნე არ იმღერებდა:

„ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და რაჭა,
ყველა ჩემი სამშობლოა,
სამეგრელოს გარდა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, ეს არის პრიმიტიულობის ნიმუში, ბატონო მურმან. აი, რომ წინააღმდეგ უნდა ამოგეღოთ ხმა თქვენც და სხებსაც და არა იმ კუთხის სალანძღავად, რომელიც მღეროდა:

„ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო,
ყველა ჩემი სამშობლოა,
საყვარელი საქართველო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველამ თავის... მეფეს მიხედოს

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (30 დეკემბერი, 1999 წ. – 7 იანვარი, 2000 წ.) დაიბეჭდა ბატონი ტარიელ ჭანტურიას ნაფიქრ-ნააზრევი–„დინოზავრიდან დიზაინამდე“, სადაც ორიოდ სიტყვა ჩემზეცაა ნათქვამი „სამეფო რეპლიკის“ სახელწოდებით, აღნიშნულ, „რეპლიკას“ მთლიანად ვთავაზობ მკითხველს:

„გაზეთ „თვალთაიში“ (23-30 ივნისი, 1999 წ.) დაიბეჭდა ნოდარ ჯალაღონიას „ასი სტრიქონი“ ამ სტრიქონებიდან ამჯერად მე გამოვყოფ ათ სტრიქონს (სათაურიანად).

პაიკი

მეფე კიდევ კაი,
კი,
ვიცი რაცხა შვილია,
მეფედ გამსვლელ პაიკის
მე უფრო მეშინია.
კი, ბატონო, გავიგე
მეფის კარგიც, აუგიც,
გამეფებულ პაიკებს
ვერაფერი გავუგე.

ამის დამწერს ჰგონია, თუ პაიკმა მერვე პორიზონტალს მიაღწია, იგი, მოთამაშის სურვილის შემთხვევაში, გახდება მეფე! ბატონ ნოდარს არ სცოდნია, რომ ეს არ შეიძლება – ორმეფობა. ჭადრაკის წესების მიხედვით დაუშვებელია (მეორე მეფე მხოლოდ მოწინააღმდეგისა გახლავთ). ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, უნდა ვთქვა მთავარი: ბატონ ნოდარ ჯალაღონიას არ სცოდნია ჭადრაკის თამაში. არადა, მაინცდამაინც ამ თემაზე სურს წეროს. გამოირკვა ისიც, რომ ჭადრაკის თამაში არ სცოდნია „თვალთაის“ რედაქციაში არავის!

ეს არ უნდა მოუვიდეთ ადამიანებს, მეფეებს რომ საფლავში მიჰყვებიან!“

ტარიელ ჭანტურიას ამ „რეპლიკაში“, ერთი შეხედვით, ისეთი არაფერია საკამათოდ რომ ღირდეს. უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება საახალწლო მწარე ხუმრობად ჩამეთვალა, უარეს შემთხვე-

ვაში – საახალწლოდ „წაკრულ ქიშტად“. მაგრამ, ეტყობა, მთლად ასე არ არის საქმე, ამაზე მიგვანიშნებს „სამეფო რეპლიკის“ ფინალი. როგორც ჩანს, მჭექარე სათაური – „სამეფო რეპლიკა“ ამ ფინალისათვის იყო გამიზნული. ასე რომ, „ჭადრაკის მეფე“ მხოლოდ ფონია, საბაბია. როგორც ჩანს, ტარიელ ჭანტურიას უფრო სხვა „მეფის“ ბოლმა და ჟინი აქვს. კერძოდ იმ მეფის, მე და „თვალთაის“ რედაქცია „საფლავში რომ მივყვებით“.

სანამ მეფეებზე ვილაპარაკებდე, ორიოდე სიტყვას ვიტყვი ლექს „პაიკზე“. ვისაც გაგება უნდა, ის მიხვდება, რომ ეს არ არის ჭადრაკის პაიკზე, არამედ მედროვე, კარიერისტ, მესკამე ადამიანებზე დაწერილი ლექსი; ასეთი ადამიანები კი საქართველოს ისტორიას მრავლად ახსოვს. რაღა შორს წავიდეთ, თუნდაც 1991-92 წლები ავიღოთ. იმ ადამიანებმა (პაიკებმა), რომლებმაც „გამეფების“, ანუ სკამისთვის და კუჭის გამოძღომისთვის ყველაფერი რომ იკადრეს, ქვეყანა დააქციეს, ხალხი გაძარცვეს, ქართველი ხალხის სისხლის და ცრემლის ფასად „მეფობას“ თუ „აფიცრობას“ ამ მილიონებს მაინც გამოჰკრეს ხელი და შემდეგ საზღვარგარეთ „ქოხ-სასახლეები“ შეიძინეს. თუმცა იმასაც მოვესწარით, ზოგიერთი ეს გაფიცრებული“ თუ „გაგენერლებული“ პაიკები როგორ ჩასვა „გამეფებულმა“ პაიკმა რკინის გალიაში. იმ „პაიკებში“ ბატონ ტარიელ ჭანტურიას ნაცნობ-მეგობარიც იყო. თვითონ რომელ ჰორიზონტალამდე მივიდა, რა ხარისხსა და წოდებას მიაღწია, ჩემთვის ჯერ-ჯერობით უცნობია.

ახლა კი დავუბრუნდეთ „სამეფო რეპლიკის“ ფინალს: „ეს არ უნდა მოუვიდეთ ადამიანებს, მეფეებს რომ საფლავში მივყვებიან“. ეს რომ არა, რაც არ უნდა ეთქვა ჩემს უნიჭობაზე, უცოდინარობაზე, ხმას არ ამოვიღებდი. თუ ვინმეს შენი ლექსი არ მოსწონს, არ შეიძლება მას ამაზე გაუნაწყენდე, მაგრამ ის თემა, ტარიელ ჭანტურია რომ შეეხო, კერძო ან პირადული არ გახლავთ, საზოგადოა. ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ პასუხის დაწერა. მოკლედ, „მე შაირი არ მინდოდა“, მაგრამ რახან ბატონმა ტარიელმა ისურვა, იძულებული ვარ არა მარტო ჩემს „მეფეზე“, არამედ ტარიელ ჭანტურიას „მეფეზეც“ ვილაპარაკო.

მაინც, ვინ არის ის „მეფე“ („მეფეები“), რომელსაც მე საფლავში მივყვები? ტარიელ ჭანტურიას აზრით და ჩემი ღრმა რწმენით, ეს

„მეფე“ საქართველოს პირველი პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდიაა, რადგანაც საქართველოს სხვა „მეფეებთან“ არავითარი ნაცნობობა და ურთიერთობა არ მქონია. არც ტარიელ ჭანტურიას „მეფის“ ვინაობაა საიდუმლო. ის დღევანდელი საქართველოს „მეფე“ ედუარდ შევარდნაძეა. ბატონ ტარიელს ჩემთან პირად საუბარში (თუ კამათში) ეს ბევრჯერ დაუფიქსირებია. განსაკუთრებით დამამახსოვრდა 1992 წლის 7 იანვარი. დიახ, 7 იანვარი, საქართველოს პირველი პრეზიდენტის თბილისიდან წასვლის მეორე დღე (საინტერესო ფაქტია: ტარიელ ჭანტურიას ამ „რეპლიკის“ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნების თარიღი დაემთხვა ზვიად გამსახურდიას თბილისიდან წასვლის თარიღს).

ჩვენ ერთმანეთს რუსთაველის პროსპექტზე, გამომცემლობა „სამშობლოს“ წინ შევხვდით.

ტარიელ ჭანტურია: – ფრიად აღფრთოვანებული, გახარებული.

მე: – ფრიად დამწუხრებული, დაღონებული.

ჩვენ ძალიან დიდხანს ვიდავეთ და ვიკამათეთ. მე ვუმტკიცებდი, რომ, რაც მოხდა, ეს საქართველოსათვის დიდი უბედურება და ტრაგედია იყო, რომელიც თავის სავალალო შედეგს მალე გამოიღებდა. ის, პირიქით, მარწმუნებდა, რომ მოხდა ძალიან კარგი რამ, ხალხი განთავისუფლდა ტირანიისაგან და ალბათ მალე მოვა ადამიანი, რომელიც ქვეყანას დაალაგებს და უკეთესობისაკენ წაიყვანს (როგორი დალაგებულია ეს ქვეყანა დღეს, ყველა ხედავს).

ასეთი დავა-კამათი სხვა დროსაც გვქონია. ის თავის „მეფეს“ იცავდა, მე – ჩემსას. ყველას აქვს უფლება ჰქონდეს საკუთარი მოსაზრება, შეხედულება ამა თუ ის ფაქტზე, მოვლენებზე, მაგრამ სულ სხვაა იარაღის ხელში აღება, კანონიერი ხელისუფლების დამხობა, მშვიდობიანი მიტინგების დახვრეტა და დარბევა, საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხის – სამეგრელოს ხუთგზის აოხრება. მე დარწმუნებული ვარ, ბატონ ტარიელს, ზოგიერთი მისი კოლეგის მსგავსად, იარაღი არ აუღია, მაგრამ რამდენადაც მე ვიცი, არც პროტესტი გამოუთქვამს და არც სხვებისთვის შეუშლია ხელი ქვეყნის დაქცევაში.

ეგზიუპერი წერს: „ზოგიერთ ინტელიგენტს სათადარიგოდ ინახავენ პროპაგანდის თაროებზე, როგორც მურაბის ქილებს, რომ ომის შემდგომ გამოაჩინონ“. ამგვარი „მურაბის“ შთაბეჭდილება

დატოვა ჩემზე ტარიელ ჭანტურიას „პალინდრომის“ თეორიამ (იგივე „ლიტერატურული საქართველო“, „დინოზავრიდან დინოზა-ინამდე“). ამ თეორიის მიხედვით: „2002 წელს ბოლო მოეღება ჩვენს სიდუხჭირეს, ლტოლვილები შინ დაბრუნდებიან, საქართველოს ტერიტორიული და სულიერი მთლიანობა აღსდგება და ჩვენი ქვეყანა გახდება არა მეორე შვეიცარია, არამედ ერთი, ერთადერთი, განუმეორებელი, თავისუფალი, ბედნიერი, დემოკრატიული საქართველო“.

შეიძლება, დღევანდელი საქართველოს შემხედვარეს, დღევანდელი ხელისუფლების შემყურეს ამის იმედი ჰქონდეს და ამგვარი სასწაულის სჯეროდეს? ეს ხომ სწორედ „სათადარიგოდ შენახული პროპაგანდაა“, რაც გაცილებით უარესია, ვიდრე კაცმა წეროს „იმაზე, რაც არ იცის“. ტარიელ ჭანტურიამ იცის, რაზე წერს, იცის, ტყუილს წერს და მაინც წერს, მაგრამ ისიც იცის, რატომ წერს, რისთვის ან ვისთვის წერს. მისი „პოლინდრომიაც“ ხომ ისეთივე სიცრუე და სიყალბეა, როგორიც მილიონი სამუშაო ადგილი, ოცდაოთხსაათიანი ელექტროდენი, 120-ლარიანი პენსია. ედ. შევარდნაძემ კი ამ „აღმოჩენის“ გამო ტარიელ ჭანტურიას „ჭკვიანი კაცი“ უწოდა. არც მე ვთვლი ბატონ ტარიელს უჭკუოდ (თუ რამე მნიშვნელობა აქვს მეფის ტიტულის არმქონე კაცის აზრს), ოღონდ ერთი რამ მაინტერესებს...

ვთქვათ, 8 წლის წინათ, როცა ედ. შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდა, შეიძლება ზოგიერთებს, მათ შორის ტარიელ ჭანტურიასაც, სწამდათ მისი (თუმცა ყოფილი ცეკას მდივნის ბიოგრაფია ამის საბაბს არ იძლეოდა). დავუშვათ, მაშინ სჯეროდათ, მაგრამ დღეს, როცა შევარდნაძის 8-წლიანი „მეფობის“ ნაყოფი სახეზეა, როცა საქართველოს ტერიტორიის თითქმის მესამედი დაკარგულია და უფრო მეტის დაკრაგვის საშიშროებაა, როცა განადგურებულია საქართველოს მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, როცა საქართველო ვალებში იხრჩობა, როცა მილიონზე მეტი ქართველი საქართველოდან გაქცეულია და საზღვარგარეთ მათხოვრადაა ქცეული, როცა 300 ათასი ქართველი თავისივე სამშობლოში ლტოლვილია, ხოლო 30 ათასი ჭეშმარიტი პატრიოტი უაზრო ომს შეეწირა, როცა ხალხი ყოველდღე იხოცება შიმშილით, სიცივით, უსინათლობით (და, რაც მთავარია, მომავლის უმიედობით), როცა გაუცემე-

ლია მიზერული და სამოწყალო პენსიები და ხელფასები, რომ თვითმკვლელობის მხრივ საქართველოს მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია, შეიძლება ამ დროს გჯეროდეს და მხარს უჭერდე იმ „მეფეს“, ვინც ქვეყანა ამ მდგომარეობამდე მიიყვანა? შეიძლება გვჯეროდეს და გვწამდეს იმ „მეფისა“, ვინც თავის ხალხს წარამარა ატყუებს?

ხომ შეჰპირდა ტარიელ ჭანტურიას „მეფე“ ხალხს:

საქართველოს ესენგეში არ შევიყვანო.– მოატყუა.

სამაჩაბლო არ დაიკარგებაო. – მოატყუა

სოხუმში ჩიტი ვერ შეფრინდებაო, –მოატყუა.

სოხუმიდან ბოლო გამოვალო. –მოატყუა.

აფხაზეთი არ დაიკარგებაო. – მოატყუა.

თუ აფხაზეთი დაიკარგა, თავს არ ვიცოცხლებო. –მოატყუა.

ლტოლვილებს აფხაზეთში ღირსეულად დავაბრუნებო. – მოატყუა.

შემნახველ სალაროებში შენახულ ფულს ხალხს დავუბრუნებო. – მოატყუა.

თუ პრეზიდენტად ამირჩევთ, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღვადგენო. – მოატყუა (ამგვარი ცრუ დაპირებები დღესაც ისმის).

ასეთი „მეფის“ პატრონი სხვისი „მეფისკენ“ თითს არ უნდა იშვერდეს. მართალია, საფლავში არავის ჩავყოლილვარ, მაგრამ არასოდეს დამიმალავს, არც დღეს ვმალავ და არც მომავალში დავმალავ, რომ ყოველთვის ვიყავი, ვარ და ვიქნები საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ეროვნული პოზიციების მხარდამჭერი, იმ იდეოლოგიის მხარდამჭერი, რომლის მიზანია საქართველოს ეროვნული, ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ქართველი ხალხის და საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების ადამიანების ბედნიერება და კეთილდღეობა. ამიტომ მიმიღია მონაწილეობა ყველა იმ მრავალათასიან დახვრეტილ თუ დარბეულ მიტინგსა და მანიფესტაციში; ამიტომ დამაპატიმრეს და ამიტომ ამიტანია ის ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფა, რომელიც ჩემთვის მიუყენებიათ. ამიტომ მზად ვარ, თუ ჩემს ქვეყანას და ხალხს დასჭირდება, ისევ გავიარო ის გზა. საფლავში არავის ჩავყოლილვარ, მაგრამ მეამაყება, რომ საქართველოს (ე. ი. მეც)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰყავდა ისეთი „მეფე“, როგორიც ზვიად გამსახურდია იყო:

უპატიოსნესი,

უგანათლებულესი,

უმამაცესი,

სამშობლოს უერთგულესი, რომელმაც მთელი ცხოვრება (ბავშვობიდან დაწყებული) საქართველოს და ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლას მიუძღვნა და ბოლოს ზვარაკად შეეწირა.

ასეთი „მეფის“ „საფლავში ჩაყოლას“თუ მაბრალებს ტარიელ ჭანტურია, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

ისე, გულახდილად რომ ვთქვათ, ღირსეული და სამშობლოს შეწირული „მეფის“ „საფლავში ჩაყოლა“გაცილებით სჯობია ცოცხალი, მაგრამ უღირსი, ცრუ, მატყუარა, ქვეყნის დამქცევი და სამშობლოს მოღალატე „მეფის“ მლიქვნელობას, მისი ხელებისა და ფურთხის ლოკვას.

ასე რომ, ყველამ თავის... მეფეს მიხედოს და მოუაროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიქმს კი შიში სიყვარულს?

„ნამდვილად შეიქმს შიში სიყვარულს!“ – დარწმუნდებით გვამცნო საქართველოს ტელევიზიის დიქტორმა 1993 წლის 18 სექტემბერს. „შიში შეიქმს სიყვარულს“, – გვმოძღვრავს ზოგიერთი მწერალი, მეცნიერი, ხელოვანი. „შიში შეიქმს სიყვარულს“, – ჭკუას გვარიგებს ათასი ჯურის მოპოლიტიკანო ადამიანი და თან დაბეჯითებით ურჩევს ფაქტობრივ ხელისუფლებას მიმართოს მეტ რეპრესიებს, ძალადობას, სიმკაცრეს. „შიში შეიქმს სიყვარულს“, – ეს ხომ რუსთაველის სიტყვებია და ცხადია, ამ მრჩეველ-მომწოდებლებს, ნებსით თუ უნებლიეთ, დიდი პოეტი თავიანთ თანამოაზრედ გამოჰყავთ, ე. ი. ძალადობისა და შიშის აპოლოგეტად, რაც, ჩემი აზრით, დაუშვებელია და, რაც მთავარია, სწორი არ არის. ყოვლად წარმოუდგენელია შოთა რუსთაველი – დიდი ჰუმანისტი, სიყვარულის, თავისუფლების, მეგობრობის მქადაგებელი – შიშისა და მონობის მეხოტბე იყოს. ეს აზრი სხვებსაც გამოუთქვამთ და მეც კიდევ ერთხელ გავიმეორებ ამ უბრალო ჭეშმარიტებას. ამით შევახსენებ, „შიშით სიყვარულის შემქმნელებს“, რომ შოთა რუსთაველი მათი თანამოაზრე არასოდეს ყოფილა და არც მომავალში იქნება.

დავიწყებ ერთი შეხედვით პარადოქსული მსჯელობით. ვიტყვი, რომ „შიშით სიყვარულის შექმნის“ აზრი რუსთაველს არ ეკუთვნის. ამის დასამტკიცებლად დიდი მეცნიერული კვლევა-ძიების ჩატარება არ დაგვჭირდება. საჭიროა მხოლოდ ზემოთ ხსენებული სტრიქონის თავიდან ბოლომდე წაკითხვა: „მართლად იტყვის მოციქული: „შიში შეიქმს სიყვარულსა“. შიშით სიყვარულის შექმნის სენტენცია მოციქულს ეკუთვნის. რომელია ეს მოციქული? ბატონი ვიქტორ ნოზაძის აზრით, არც ერთი ასეთი რამ არც ერთ მოციქულს არ უთქვამს, მარჯორი უორდროპის აზრით კი ეს პოეტის ხუმრობაა. არა მგონია, შოთა რუსთაველს ეს სიტყვები სახუმაროდ ეთქვას. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ის პიროვნება არ არის, რაიმე შემთხვევით დაწეროს. მის მიერ ნახსენები მოციქული (მოციქულები) ნიშნავს, რომ რუსთაველმა სიტყვა-სიტყვით კი არ გადმოწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიმე მოციქულის ნათქვამი, არამედ მოციქულთა მიერ ნაქადაგები ქრისტიანული მოძღვრების კვინტესენცია მიაწოდა მკითხველს. ალბათ ამასვე ნიშნავს ვიქტორ ნოზაძის სიტყვები: „შიში შეიქმს სიყვარულს“ საღვთო წერილის გადაკეთების ნიადაგზეა გამოთქმული“ („ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველობა“). ამასვე ადასტურებს ლოცვა განთიად და მიმწუხრი სათქმელი“, სადაც ნათქვამია: უფალო, განახუენ ყური და თუალნი გულისა ჩემისანი, შიშისა მიმართ შენისა და უმჯობესნი სულისა ჩემისანი შენ განაგენ“. თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ, „შიშის“ გაგება და აღქმა რადიკალურად იცვლება, თავის კუთვნილ ადგილს იკავებს და ყველაფერი გასაგები ხდება. მთლიანად მოვიყვან 1045-ე სტროფს, სადაც ეს სტრიქონია ჩართული. სტროფი იმ თავშია, სადაც აღწერილია ავთანდილის ბრძოლა მეკობრეებთან:

„გაუმარჯვდა ომი მათი, ვითა სწადდა მისსა გულსა.
ზოგთა ჰკადრეს ზენაარი: „ნუ დაგვხოცო, შენსა სჯულსა!“
არ დახოცნა, დაიმონა, დარჩომოდა რაცა წყლულსა,
მართლად იტყვის მოციქული: „შიში შეიქმს სიყვარულსა“.

ერთი შეხედვით, ისე ჩანს, თითქოს საუბარია ავთანდილის მიერ დაშინებულ მეკობრეებზე. მაგრამ, როგორც კი პოეტი „მოციქულს“ ახსენებს, სიტყვა – „შიში“ სულ სხვა ფუნქციას იძენს და მიწიერი „შიში“ ღვთაებრივ „მოშიშობაში“ გადადის. ამის დასტურად გამოდგება იმავე სტროფის მეორე სტრიქონიც: „ ზოგთა ჰკადრეს ზენაარი: „ნუ დაგვხოცო, შენსა სჯულსა“. როგორც ამ სტრიქონიდან ვგებულობთ, შეშინებული მეკობრეები გააფთრებულ ავთანდილს შეახსენებენ ღმერთს „ზენაარს“ შეგონებას, რომელიც ძალიან ჰგავს ქრისტეს მცნებებს: „არა კაც-ჰკლა“, „გიყვარდეს მტერი შენი“. ავთანდილიც მიმტევებლობას იჩენს და არ კლავს მათ. როგორ არა ჰგავს დიდი რუსთაველის ეს ჰუმანიზმი ზოგიერთი ჩვენი თანამედროვე მწერლის „კაცთმოყვარეობას“, არათუ მეკობრეების (დღევანდელი გაგებით, ყაჩაღების), არამედ მათგან განსხვავებული აზრების მქონე ყველა თანამემამულის „თავების წასხეპვას“ რომ მოითხოვენ.

ისევ ვუბრუნდები ჩემს სათქმელს, მომდევნო სტროფში რუსთაველი ამბობს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კაცო, ძალსა ნუ იქადი, ნუცა მოჰკვეხ ვითა მთვრალი!
არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწევს ღმრთისა ძალი!

სტრ. 1046

პოეტის აზრით, ყოველგვარი ძალა და ძალგულოვნება ადამიანისათვის ფუჭია და ამაო, თუ „ღმრთის ძალა“ არ ასაზრდოებს. „ღმრთის ძალა“ კი ის ათი მცნებაა, რომელსაც ქრისტე ქადაგებს.

ასევე საყურადღებოა 769-ე სტროფი, რომელიც შინაარსობრივად ძალიან ჰგავს 1045-ე სტროფს და ამთლიანებს ამ სტროფში გამოთქმულ აზრს:

„წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ:
ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან ცნობანი მიაფერენ.
„სიყვარული აგვამაღლებს“, ვით ეჟვანნი, ამას ჟღერენ,
შენ არ სჯერხარ, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შევაჯერენ!“

აქაც სიყვარულზე და მოციქულზე (მოციქულებზეა)საუბარი, ოღონდ უფრო მაღალ რეგისტრში. აქ უკვე ამაღლებულ სიყვარულს ახსენებს პოეტი. ამ ორი, შინაარსობრივად ერთნაირი სტროფის შეერთება საბოლოოდ, ჩემი აზრით, ასე იკითხება: ღვთის მოშიში ადამიანი, რომელიც აღივსება „ღმრთის ძალით“ (მისი სიძლიერით), ცად ამაღლდება. მე მგონი, ცხადია და სადავო არ უნდა იყოს, აქ ღვთისადმი შიშზე და ღვთის მოშიშობაზეა საუბარი და არა ადამიანის მიერ დაშინებულ ადამიანებზე, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვთ არც „ღვთის ძალასთან“, არც „ამაღლებასთან“. სიტყვა „მოშიში“ რელიგიურ (და არა მარტო რელიგიურ) ნაშრომებში ყოველთვის დაწყვილებულია ღმერთთან: „ღმრთის მოშიში“(ლუკა, 2, 24), „ნუთუ ღმერთის არ გეშინია“ (ლუკა, 23, 40) „ღვთის მოშიშე კაცებმა წაიღეს სტეფანე“ (მოციქულთა საქმე, 8, 2), „ვიდოდა უფლის მოშიშობით“ (მოც. საქ. 9, 11), „პეტრემ გახსნა პირი და უთხრა: – ჭეშმარიტად ვრწმუნდები, რომ ღმერთი მიკერძოებული არ არის, არამედ, ყოველ ერში მისი მოშიში და სიმართლის მქონელი მოსაწონია მისთვის“ (მოც. საქ. 10, 35). მიწიერი „შიში“ და ღვთის „მოშიში“ ერთი და იგივე რომ არ არის, ამას დავით აღმაშენებლის მემატიანეც ადასტურებს. იგი დავით აღმაშენებელს: „უშიშარს ვითარცა უხორცოს“ და „ღვთის მოშიშარს“ უწოდებს. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ „მოშიში“ ახსნილია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც „ღვთის მორწმუნე“. ასე რომ, „შიშით სიყვარულის შექმნა“, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ (ან უნდათ რომ იყოს), არც ქრისტიანული მორალია და არც შოთა რუსთაველია ამ მკრეხელური აზრის მქადაგებელი. თავის დროზე კომუნისტებიც ამ მორალით ცდილობდნენ ქვეყნის აშენებას და ააშენეს კიდეც, 70 წელი შიშისა და მათრახის ქვეშ აცხოვრეს ხალხი, მაგრამ საბოლოოდ შიშით შექმნილი ქვეყნისაგან მხოლოდ „ბოროტების იმპერია“ მივიღეთ. დღესაც ამ იმპერიის მეტასტაზებია, რომ გვანგრევს, გვაშიმშილებს, ერთმანეთს გვაძულებს, გვახოცვინებს. ასე რომ დაშინებული ადამიანი თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს აღმშენებლად ვერ გამოდგება. თავისუფალი საქართველო ასევე შინაგანად თავისუფალმა, ღვთის მოშიშმა ადამიანებმა უნდა აშენონ და არა კომუნისტური იდეოლოგიით დაბანგულებმა. ამიტომ დარწმუნებით შეიძლება ითქვას: შიშით სიყვარულის შექმნის თეორია მკვლელების, ყაჩაღების, ხელისუფლებას დახარბებულ ადამიანთა გამოგონილია და მას საერთო არაფერი აქვს არც ზნეობასთან, არც დემოკრატიასთან, არც კანონთან. არ შეიძლება დაშინებულ ადამიანს თავისი დამშინებელი უყვარდეს. ეს აბსურდია. დაშინებული ადამიანი შეიძლება გამონდეს, გამლიქვნელდეს, დროებით დაემორჩილოს კიდეც თავის დამშინებელს, მაგრამ არ შეიძლება ის უყვარდეს.

მე ნორმალური ფსიქიკის ადამიანებს ვგულისხმობ. ასე რომ, „ღვთის მოშიში“ ისევე არ ნიშნავს „დაშინებულ“ ადამიანს, როგორც „განბანილი“ – „დაბანილს“, „ღვთის მონა“ – პიროვნებისადმი მონას. „ღვთის მოშიში“ და „ღვთის მონა“ – ეს არის ქრისტეს რწმენით მიწიერი ცოდვებისაგან განწმენდილი (განბანილი) კაცი, რომელიც უხეშ ძალას კი არა, ღვთისაგან ნაზიარებ უმაღლეს ჭეშმარიტებას ემორჩილება. სწორედ ამიტომაა, რომ ქრისტე ადამიანების გულებს სიყვარულით, სიბრძნით, სიმართლით იპყრობს და არა – შიშით და იარაღით. ქრისტე პირდაპირ ეუბნება თავის მოწაფეებს: „მე არ გიწოდებთ მონებს, ვინაიდან, მონამ არ იცის რას აკეთებს მისი ბატონი, არამედ მეგობრებს გიწოდებთ, რადგან ყველაფერი გამცნეთ, რაც მამაჩემისაგან მოვისმინე“ (იოანე, 15, 15). „ძლიერი ხელის“ ზოგიერთი მოსურნე კი დღეს სიბრძნისა და სიყვარულის გაცემაზე კი არა, მიწიერი სიკეთის მოხვეჭასა და თანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემამულეთა დაშინება-დამონებაზე ფიქრობს; ხანდახან მეჩვენება, რომ მათ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფრო თავიანთი ქონების დაცვა და გადარჩენა აინტერესებთ, იმ ქონებისა, „იდეოლოგიისათვის“ მებრძოლებმა ჯერ კიდევ „კომუნიზმის მშენებლობის“ დროს რომ შეიძინეს, ზოგიერთებმა კი ახლახან საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში „წესრიგის დამყარების“ დროს ხელს რომ გამოაყოლეს. ზოგიერთებს იმდენად სურთ წესრიგის დაცვა, რამდენადაც ეს ხელს შეუწყობს მათ კეთილდღეობას, საკარძლის შენარჩუნებას, მათი პოლიტიკური მიზნების განხორციელებას. ამიტომ ძალიან ხშირად ხელისუფლებისათვის ბრძოლა წესრიგისათვის ბრძოლით ინიღბება. ამის დასტურია მშვიდობიანი დემონსტრაციებისა და მიტინგების უმოწყალოდ დარბევა და დახვრეტა, იმავე დროს კი – ქალაქში დამნაშავე ელემენტების თავისუფალი პარპაში. ფრიად დამაფიქრებელია ფილარმონიის წინ და რუსთაველის პროსპექტზე გამართული მიტინგების შედეგები. ფილარმონიასთან მისული და რუსთაველზე გამოსული ადამიანების უპირველესი მოთხოვნა ქალაქში წესრიგის დამყარება და კრიმინალების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა გახლდათ, მაგრამ ამ მოთხოვნით დამუხტული ადამიანების მრისხანება ამ მიტინგების ორგანიზატორებმა არა დამნაშავეთა სამყაროს, არამედ თავიანთი პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ წარმართეს (პარლამენტში არსებული ოპოზიციის დაქსაქსვა, „განმდგარი“ სამეგრელოს გაკიცხვა).

წესრიგის დამყარების წინააღმდეგი არავინ არ არის. წესრიგი ყველას სურს, მაგრამ, პირველ რიგში მაინც, ადამიანებს მათრახის კი არა, ღვთის მოშიშობა უნდა ჩავუნერგოთ, რომელიც თავად არის გარანტი წესრიგისა, კანონიერებისა, ურთიერთსიყვარულისა, „ძლიერი ხელი“, პირველ რიგში, კანონიერების სიძლიერეს და უზენაესობას უნდა ნიშნავდეს და არა რომელიმე პიროვნების გაფეტიშებას და გაღმერთებას. ისიც უნდა აღვნიშნოთ, – კანონის შექმნის, შემოღების, გამკაცრების უფლება ყველას არა აქვს... ის, ვინც კანონს ქმნის, სხვებზე ბრძენი და ჭკვიანი უნდა იყოს, სხვებზე მეტად უნდა უყვარდეს სამშობლო და ერი. კანონის გამმკაცრებელი, პირველ რიგში, თავისი თავისადმი უნდა იყოს მკაცრი და მომთხოვნი, ობიექტური, სამართლიანი. ასევე, კანონის დამცველის პასუხისმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებლობა ერისა და ხალხის წინაშე ათასჯერ მეტია, ვიდრე კანონის დამრღვევისა. ამიტომაა, რომ დღეს დაბეჩავებული და დაშინებულია არა მკვლელი, ქურდი, ყაჩაღი, მძარცველი, არამედ პატიოსანი, მშრომელი, ალალ-მართალი კაცი, რომელიც თოფიანი ყაჩაღისა და ხელკეტიანი წესრიგის დამცველის შიშით ქუჩაში ვერ გამოსულა, ხმა ვერ ამოუღია და თავისი სათქმელი ვერ უთქვამს. ასევე დევნიან ოპოზიციურ პრესას. ჩემი აზრით, არავითარი სარგებლობა არ მოუტანია ტელევიზიით გამოსული ერთ-ერთი პროფესორის საუბარს, რომელიც ამტკიცებდა, კანონიერებისა და წესრიგის დარღვევამ, ისტორიულად, საქართველოს ბევრი სიკეთე მოუტანაო (საუბარი იყო კანონიერების დარღვევით გამეფებულ მეფეებზე). გასაგებია, რისთვის დასჭირდა მას ამგვარი აბსურდული მსჯელობა, სურდა დეკემბერ-იანვრის პუტჩისა და ფაქტობრივი ხელისუფლების გამართლება. მაგრამ ბატონ პროფესორს დაავიწყდა, რომ მედალს მეორე მხარეც აქვს. ამგვარი ლოგიკით, ყველა ავანტიურისტ და შარახვეტიას შეუძლია კანონსა და კანონიერებაზე ხელი აღმართოს იმის მომიზეზებით, – საქართველოსათვის კარგი მინდაო. კი, ზოგჯერ ისტორიული კანონზომიერება არღვევს და ცვლის ცხოვრებისეულ კანონებს, მაგრამ ეს სულ სხვა რამაა და მას არაფერი აქვს საერთო დამნაშავე ელემენტების მიერ კანონისა და კანონიერების დარღვევასთან. დეკემბერ-იანვრის პუტჩი სწორედ კანონსა და კანონიერებაზე, საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე ხელის აღმართვა იყო და არა – ისტორიული კანონზომიერება. ამის დასტურია ის უბედურება, რომელიც მან ქართველ ხალხს მოუტანა, საქართველო რომ ასეთ კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

მარსელ პრუსტი წერს: „მატერიისა და ძალადობის ქვეყანაში შეიძლება ვითომდა ასაშენებლად დაანგრიო, ბოროტება ჩაიდინო, მოწინააღმდეგეთა ბრძოლით ისარგებლო, მიზნით გაამართლო საშუალებები. მაგრამ სამართლიანობისა და სიყვარულის სამყაროში ასე როდი ხდება. ანარქისტებს, რომელთაც ჰგონიათ, უსამართლობით ვიპყრობთ სამყაროს და შემთეგ სამართლიანობას ვამყარებთო, არ ესმით ამ ორი მადლის – სამართლიანობის და სათნოების არსი... ძალადობით ყოველგვარი სიმდიდრის დანაწილება შეიძლება, მაგრამ მაშინ სამართალი უკიდურესად გაემიჯნება სამყაროს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდმა მწერალმა ეს აზრი გამოთქვა წერილში, რომელიც მიეძღვნა ლევ ტოლსტოის წიგნს – „პატრიოტიზმი და ქრისტიანული სული“.

ქრისტე განკურნებულ ადამიანებს ხშირად მიმართავდა სიტყვებით: „შენმა რწმენამ გადაგარჩინა“. საქართველო და ქართველი ხალხი რწმენამ უნდა გადაარჩინოს, ღვთისა და მომავლის რწმენამ, სამართლისა და სიყვარულის რწმენამ, ერთმანეთისადმი თანადგომამ, მიმტევებლობამ, სათნოებამ და არა – სიძულვილმა, საკუთარი ხალხის დაშინებისა და დამონების პოლიტიკამ, რომელსაც ასე დაჟინებით მოითხოვენ დღეს ზოგიერთი მწიგნობარნი და ფარისეველნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვა, რომელიც პასუხს მოელის

მკითხველის შენიშვნა

ბატონმა ნოდარ დუმბაძემ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ საკითხზე თავისი მოსაზრება გამოთქვა და ცნობილ რუსთველოლოგს ბატონ სარგის ცაიშვილს წააკითხა. ბატონ სარგისს იუმორით უთქვამს: ნუ დაგვტოვებთ რუსთველოლოგებს მშივრებს, „ვეფხისტყაოსანი“ სპეციალისტებს დაგვიტოვეთო. მეცნიერის იუმორით ნათქვამი ეს სიტყვები თავაზიანი და დელიკატური მინიშნება იყო იმისა, რომ ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს (ეს ალბათ უფრო სხვების მისამართით იყო ნათქვამი, თორემ ბატონ ნოდარ დუმბაძეს, გამოჩენილ მწერალს, მოაზროვნეს, ჰქონდა მორალური და იურიდიული უფლებაც, გამოეთქვა თავისი აზრი „ვეფხისტყაოსანზე“). მეც, მიუხედავად გაფრთხილებისა, როგორც არასპეციალისტმა, მინდა ვისარგებლო მკითხველის უფლებით და გამოვთქვა რამდენიმე მოსაზრება.

პირველი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს, კერძოდ იმ ოთხ მოყმეს, რომლებიც ფრიდონმა ტარიელის საძებნელად წასულ ავთანდილს გააყოლა.

„ამას გკადრებ, არ ეგების მარტოსაგან წასვლა შენი,
თანა ყმათა წამოგატან, იმსახურენ, იახლენი“.

(სტრ. 1018)

მართალია, მომდევნო სტროფში რუსთაველი „ყმათა“ ნაცვლად სიტყვა „მონებს“ ხმარობს, მაგრამ სიტყვა „მონა“ მაშინ სულაც არ იხმარებოდა იმ გაგებით, დღეს რომ გვესმის.

„მოასხა ოთხნი მონანი, მისანდობელნი გულითა“.

(სტრ. 1019)

„მონა“ უფრო ერთგულების სინონიმი იყო. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ფრიდონმა ავთანდილს გააყოლა ყველაზე „მისანდობელი“ და გულადი მოყმენი, რომლებიც მის გვერდით იქნებოდნენ ჭირსა და ლხინში:

„ავთანდილ მარტო ზღვის პირსა მივა ოთხითა მონითა“.

(სტრ. 1027)

ეს პოემის იმ თავშია ნათქვამი, როცა ავთანდილი ზღვის პირად შეეყრება შეშინებულ ვაჭართა ქარავანს. ამის შემდეგ ეს ოთხი მოყმე პოემაში დიდხანს არ ჩანს, თუმცა, წესითა და რიგით, პოემის შინაარსის მიხედვით, ისინი ავთანდილთან უნდა იყვნენ. პოემის კითხვისას მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ ისინი ავთანდილს ხომალდზე არ გაჰყოლიან. 1036-ე სტროფში წერია:

„მოქარავნენი აივსნეს სიხარულითა დიდითა,
თქვეს: „ყმა ვინმეა ჭაბუკი, არა ჩვენივე რიდითა“.

აქ აშკარად ჩანს, რომ ლაპარაკია მხოლოდ ერთ კაცზე – ავთანდილზე და არაფერია მინიშნებული მის თანმხლებ პირებზე. მომდევნო სტროფშიც მხოლოდ ავთანდილზეა საუბარი:

„მათი ბადრაგა ავთანდილ უძღვის გულითა ქველითა“.

(სტრ. 1037)

1040-ე სტროფში ავთანდილი პირდაპირ ეუბნება ვაჭრებს:

„მარტო მნახეთ, ვით შევება, ვით ვიხმარნე ლომნი მკლავნი“.

ფრიდონმა ეს ოთხი მოყმე-მონა იმიტომ გააყოლა ავთანდილს, რომ საჭიროების შემთხვევაში მას გვერდით ამოსდგომოდნენ, თავის პატრონთან ერთად ებრძოლათ. შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ავთანდილმა საჭიროდ არ მიიჩნია ან იუკადრისა სხვისი დახმარება. ეს ოთხი მოყმე არც მომდევნო თავებში ჩანს. გულანშაროში მისული ავთანდილი სთხოვს ვაჭრებს დამალონ მისი ვინაობა, თქვან, რომ ის მათი „თავადია“, ესე იგი, უფროსია, ამ ოთხ თანმხლებზე კი არაფერს ამბობს. არც გულანშაროში მყოფ ავთანდილთან ჩანან ისინი. გულანშაროში ჩასულ ავთანდილს ბევრი ფათერაკი გადახდა თავს: ფატმანთან გამიჯნურება, ფატმანის საყვარლის მოკვლა, ნესტან-დარეჯანის ამბის გაგება, ფატმანის წიგნის (წერილის) გაგზავნა ნესტან-დარეჯანთან, ნესტან-დარეჯანის საპასუხო წერილის მიღება. ავთანდილი იბრძვის, დიპლომატობს, არის მსტოვრებისა და ერთგული ადამიანებს გაგზავნა-გამოგზავნაში. ავთანდილისათვის მეტად საჭირო ჟამს არსად ჩანს ის ოთხი მოყმე და არსად არ არის მინიშნებული მათი მის გვერდით ყოფნა. პირიქით, ავთანდილი მარტო მიდის უსენის ქარვასლაში, მარტო მიდის ფატმანის საყვარლის მოსაკლავად (სახლამდე მიაცილებს ფატმანის ერთი მონა). ეს ოთხი მოყმე მაშინ ჩნდება, როცა ნესტან-დარეჯანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილს გამოუგზავნის ტარიელს:

„ყმამან ფრიდონის მონანი უხმნა, მასთანა ხლებულნი“.

(სტრ. 1314)

ამ სტრიქონის მიხედვით უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს „მონანი“ სულ თან ახლდნენ ავთანდილს, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, „ვეფხისტყაოსნის“ ჩემს ხელთ არსებული ტექსტიდან ჩანს (ვგულისხმობ „ჩვენს საუნჯეში“ დაბეჭდილ „ვეფხისტყაოსანს“), რომ რუსთაველი ავთანდილის ქარავანთან შეყრის შემდეგ (1314-ე სტროფი) არ ახსენებს მათ. რითი უნდა აიხსნას ეს? რუსთაველი ის ავტორია, რომელთან ყველაფერი „დღესავით არის ნათელი“. ჩვენს მიერ ზემოთ მოხმობილი ფაქტი, ასე თუ ისე, დაუკმაყოფილებლობის გრძნობას იწვევს. ამასთან დაკავშირებით, რასაკვირველია, მეც შემიძლია ჩემი არაკომპეტენტური მოსაზრება გამოვთქვა. მაგალითად: იქნებ თავის დროზე რომელიმე გადამწერს დაუდევრობით რაღაც გამორჩა, ან იქნებ რომელიმე გადამწერმა ის ადგილი, სადაც ლაპარაკი იყო ოთხ მოყმეზე, საჭიროდ არ მიიჩნია (ხომ ხდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ თვითნებურად გადაკეთებ-გადმოკეთება, მიმატება-შემოკლება), ან იქნებ რომელიმე ხელნაწერში არის კიდეც რომელიღაც სტროფი თუ სტრიქონი, რომელიც ახსნის იმ ოთხი მოყმის ავთანდილთან არყოფნას, როგორც მათ მოულოდნელ გაუჩინარებს, ასევე მოულოდნელ გამოჩენას, ან იქნებ ყველაფერი თავის ადგილზეა და მე მომეჩვენა სხვანაირად. ამიტომ საჭიროა კომპეტენტური აზრი.

კიდევ ერთ საკითხს მინდა შევეხო. როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსანი“ სასკოლო პროგრამაშია შეტანილი. მას ასწავლიან უმაღლეს სასწავლებლებშიც; აქედან გამომდინარე, „ვეფხისტყაოსნის“ ყოველი სტროფიც და სიტყვაც კი მოსწავლისათვის (არა მარტო მოსწავლისათვის) გასაგები და ნათელი უნდა იყოს. „ვეფხისტყაოსანში“ კი არის სიტყვები, რომელთა მნიშვნელობის გაგებას განმარტება და ახსნა სჭირდება. სად უნდა ეძებოს მოსწავლემ „ვეფხისტყაოსანში“ ნახსენები სიტყვები? ალბათ, უპირველეს ყოვლისა, ლექსიკონებში, მაგრამ, სამწუხაროდ, „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებული ზოგიერთი სიტყვა არ არის შეტანილი მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომ არც ერთ ლექსიკონში. მაგალითად:

„გულ-ამოსკვნით, ოხვრა-სულთქმით, მიხრის ტანსა, მიაწერებს“.

(სტრ. 716)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას ნიშნავს „მიაწერებს“, მე პირადად არ ვიცი და შევეცადე ლექსიკონებში მომეძებნა. არც ერთ ლექსიკონში არ აღმოჩნდა (ყოველ შემთხვევაში, იმ ლექსიკონებში, რომლებზედაც მოსწავლეებს და სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ) – არც „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“, არც ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“, არც სულხან-საბას „სიტყვის კონაში“, არც აკაკი შანიძის „ვეფხისტყაოსანში“, ლექსიკონში, რომელიც თან ერთვის „ჩვენს საუნჯეში“ გამოქვეყნებულ „ვეფხისტყაოსანს“. მაშ, სად უნდა ეძიოს მოსწავლემ თუ მისმა მასწავლებელმა ეს სიტყვა? სტრიქონის მიხედვით, შეიძლება მკითხველმა ივარაუდოს სიტყვის მნიშვნელობა: თუ გულამოსკვნილია, ოხრავს, გოდებს და იტანჯება, ალბათ, სიტყვა „მიაწერებს“ ნიშნავს სხეულის მოშვებას, მოთენთილობას, უძლურებას, რწევა-რწევით სიარულს. ეს ჩემი ვარაუდია, ჩემი განმარტება ამ სიტყვისა, მაგრამ რა ქნას მოსწავლემ ან სტუდენტმა, რომელიც პირველად კითხულობს „ვეფხისტყაოსანს“?

„მისი სმენა გააყრმობდა მსმენელისა ყურთა ბერთა“.

(სტრ. 893)

„აქა მოსვლითა გაყმდების, კაციცა იყოს ბერები“.

(სტრ. 1066)

სიტყვა „გააყრმობდა“ არ არის არც „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“, არც ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“. ალ. ნეიმანს „სინონიმთა ლექსიკონში“ „გაახალგაზრდავების“ გვერდით ნახმარი აქვს – „გაჯეელება“, „გაჭაბუკება“, „გაყმაწვილება“. როგორც ჩანს, ალ. ნეიმანს „გაყმაწვილება“ გადმოღებული აქვს სულხან-საბას „სიტყვის კონადან“. ამ უკანასკნელში „გაყმაწვილების“ გვერდით წერია „გაყმობაც“, რომელიც მეცნიერს რატომღაც „სინონიმთა ლექსიკონში“ შეტანის ღირსად არ მიუჩნევია. ეს სიტყვა არც ბატონ აკაკი შანიძეს აქვს შეტანილი „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონში“. მე ჩამოვთვალი კიდევ რამდენიმე სიტყვას, რომლებიც „ვეფხისტყაოსანშია“, მაგრამ მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომ არც ერთ ლექსიკონში არ არის შეტანილი:

„ფერი ჰკრთა და გასაშიშრდა, შემხედველთა შეაშთობდა“

(სტრ. 736)

„კვლა მოახსენა ვაზირმან სიტყვა ნაგუშინდეველი“.

(სტრ. 816)

„მე იმა ყმისა საძებრად მოვშორდი საგაზრდილოსა“.

(სტრ. 212)

„დანა დაიცა, მო-ცა-კვდა, დაეცა, გასისხლმდინარდა“.

(სტრ. 584)

1. „გასაშიშრდა“ – ნიშნავს არა შეშინებულს, არამედ – გაბრაზებულს, გამწყრალს. არა მგონია, მოსწავლემ საჭირო ახსნა-განმარტების გარეშე გაიგოს ამ სიტყვის მნიშვნელობა.

2. „ნაგუშინდეველი“, ე. ი. გუშინდელი ნათქვამი (ხომ გვაქვს სიტყვა „სახვალიო“).

3. „საგაზრდილო“, ე. ი. ადგილი, სადაც გაიზარდა, ბავშვობა და ყრმობა გაატარა. ნუთუ ეს სიტყვა ღირსი არ არის იყოს ლექსიკონში, თუნდაც „სინონიმთა ლექსიკონში“?

4. „გასისხლმდინარდა“ – ეს ხომ გენიალური სიტყვაა! ნუთუ ეს სიტყვა „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ არ უნდა იყოს? შეიძლება ვინმე შემომედავოს და მითხრას: – ქართულ ენაში არის სიტყვა „მდინარეც“ და „სისხლიც“, ეს კი, უბრალოდ, სიტყვების კომბინირებაა, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება კომპოზიტად მივიჩნიოთ. მე არ ვიცი, ვინ გამოიგონა ფოლადი, მაგრამ მისი გამომგონებელი რომ გენიოსია – ეს ფაქტია. ბუნებაში თავისთავად არსებობდა რკინა, მანგანუმი, სილიციუმი, ფოსფორი, ჟანგბადი და ყველა ამათი „ნარევისაგან“ გენიოსმა მიიღო ფოლადი. დარწმუნებული ვარ, „გასისხლმდინარდა“ რუსთაველის შექმნილი სიტყვაა და სხვა ლიტერატურულ ძეგლებში არ მოიპოვება (ყოველ შემთხვევაში, ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში, შევამოწმე ძველი ქართული მწერლობის ნიმუშები და ვერ მივაგენი. შეიძლება გამომრჩა, მაგრამ, ვფიქრობ, ეს არაფერს ცვლის ამ სიტყვასთან დამოკიდებულებაში). ყველასათვის ცნობილი ბრილიანტი, სხვა არაფერი თუ არა, ბუნებაში არსებული ალმასი, ოსტატის ხელში, სათანადო დამუშავების შემდეგ ხდება ხელოვნების ნიმუში, ძვირფასი ნივთი. ასე შექმნეს ჩვენმა მწერლებმა – „დალიანდაგება“, „შინა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არსი“, „ქვემეხი“ და სხვ.

ამას იმიტომ ვწერ, რომ პრესიდან შევიტყვე, გამოდის „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი გამოცემა და ზემოთ ნახსენები „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვები (და არა მარტო ეს სიტყვები) უნდა შევიდეს ლექსიკონში. ასევე, მოსწავლე-სტუდენტობისათვის აუცილებლად ცალკე უნდა გამოიცეს „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი (ან უნდა შეივსოს აკაკი შანიძის არსებული ლექსიკონი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ დამესხნენ თავს? რატომ დამაპატიმრეს?

ყოველგვარი კომენტარის გარეშე მინდა მკითხველს ორიოდე ფაქტი მივაწოდო. ყველასათვის ცნობილია 1992 წლის 24 ივნისს ტელერადიოდეპარტამენტში მომხდარი ინციდენტი. მეორე დღეს მთავარ რედაქტორს ვთხოვე ორი დღით განთავისუფლება, რადგან ვგრძნობდი, – თანამშრომელთა შორის ისედაც დაძაბული სიტუაცია კიდევ უფრო გამძაფრდებოდა და არასასიამოვნო შეხვედრებს თავი ავარიდე, მეუღლესთან ერთად წავედი მუხათწყაროში, სადაც საბალე ნაკვეთი და პატარა სახლი მაქვს.

28 ივნისს, კვირა დღეს, დაახლოებით საღამოს 5 საათისათვის, ჩემს სახლთან გაჩერდა ოთხი მსუბუქი მანქანა. მანქანებიდან გადმოსულმა შეიარაღებულმა ადამიანებმა (იქნებოდა 12-13 კაცი) ალყა შემოარტყეს ჩემს ეზოს. ავტომატებითა და სხვა იარაღით აღჭურვილებმა დაიკავეს საბრძოლო პოზიცია და გაისმა ულტიმატუმი-მომართვა: „სახლი ალყაშემორტყმულია, წინააღმდეგობის გაწევას აზრი არა აქვს, ყველანი გამოდით გარეთ“. რადგან წინააღმდეგობის გამწევი არავინ იყო, შეცბუნებულები და უფრო გაოცებულნი გარეთ გამოვედით: მე, ჩემი მეუღლე, ცოლისძმა და მისი 15 წლის ვაჟი (მათ სულ ორიოდე საათის წინ ამოგვაკითხეს თბილისიდან). ჩემს შეკითხვაზე, თუ ვინ იყვნენ ისინი, პასუხი არ გამცეს. ჩვენ ეზოს გარეთ, ქუჩაში გაგვიყვანეს, თავად ალყაშემოტყმულ „სახლში მყოფთ“ კატეგორიულად სთხოვდნენ გარეთ გამოსვლას. ჩვენ ვუხსნიდით, რომ ჩვენს მეტი აქ საერთოდ არავინ იყო და სახლშიც არავინ იმყოფებოდა. არ დაგვიჯერეს. მოვითხოვე ეთქვათ თავიანთი ვინაობა. ჯგუფის ხელმძღვანელმა მიჩვენა წითელი წიგნაკი, რომელსაც ყდაზე ეწერა „მვდ“. მიუხედავად ჩემი თხოვნისა, წიგნაკის პატრონმა არც წიგნაკი გადაშალა და არც თავისი გვარი მითხრა. ჩვენს შეკითხვაზე, ჰქონდათ თუ არა პროკურორის სანქცია სახლის ჩხრეკაზე, გაისმა ავტომატის საკეტის ჩხაკუნი და მუქარა. ასეთივე რეაქცია იყო ჩვენს მოთხოვნაზე –არ შესულიყვნენ სახლში მარტონი, შეეყვანათ თან ოჯახის რომელიმე წევრი ან მეზობელი.

ძალამ იმარჯვა და დაუპატიჟებელი სტუმრები სახლში შევიდნენ. დაათვალიერეს ოთახები, სხვენი, სარდაფი, ეზო და ყველა სათავსო. „არავინ არ ყოფილაო“, თქვა და ბოდიში მოგვიხადა ხელმძღვანელმა (ვინც ბრძანებებს იძლეოდა).

– ეს რა, დაშინების მეთოდია? – ვკითხე.

– მასეთ ლაპარაკს თავი დაანებე! – მკვახედ მითხრა, სხვებთან ერთად ჩაჯდა მანქანაში და წავიდნენ.

მართალია, ეს აქცია არცთუ ისე სასიამოვნო იყო, მაგრამ ბოდიშის მოხდამ თავისი საქმე გააკეთა და საჭიროდ არ ჩავთვალე ამ ამბის გახმაურება. მაგრამ იმან, რაც 7 ოქტომბერს მოხდა, მაიძულა ეს წერილი დამეწერა.

7 ოქტომბერს, დაახლოებით დილის 11 საათზე, ტელერადიოდეპარტამენტის პირველი კორპუსის პირველი სართულის დერეფანში მიმავალი, უცნობმა ახალგაზრდამ გამაჩერა და მითხრა, – „ერთი წუთით ჩემს უფროსს უნდა თქვენი ნახვაო“. მალე „უფროსიც“ მოვიდა. მან მთხოვა გავყოლოდი ქალაქის პოლიციის სამმართველოში, რადგან სამმართველოს უფროსს სურდა ჩემთან 15 წუთით შეხვედრა და საუბარი. დავთანხმდი, მაგრამ მინდოდა რომელიმე ნაცნობისათვის მეთქვა ჩემი დაკავების ამბავი, რომ ჩემიანებისათვის ეცნობებინათ. შენობიდან გასვლისას დავინახე ტელერადიოდეპარტამენტის თანამშრომელი, რომელთანაც 20 წელი ტელევიზიაში ვმუშაობ (ამ კაცის სახელს და გვარს შეგნებულად არ ვასახელებ, რადგან მას აქვს ოჯახი, ჰყავს შვილები და არ მინდა ისინი უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო). მას ვუთხარი, რომ, როგორც ჩანს, დამაპატიმრეს და მილიციაში მივყევარა-მეთქი. „ძალიან კარგი, რაც დაიმსახურე ის მიიღეო“, – იყო მისი პასუხი (ღმერთმა შეუნდოს).

დეპარტამენტიდან გამოსული, ჩამსვეს მანქანაში და წამიყვანეს დიღომში, ქალაქის პოლიციის სამმართველოში. იქ „უფროსმა“ თავის კაბინეტში ამიყვანა, ჩაიწერა ჩემი ბიოგრაფიული მონაცემები, მისამართი და როცა ყველაფერ ამას მორჩა, მითხრა, „მაგარი ზვიადისტი ყოფილხარო“ და წამოდგა. ოთახიდან გამოვედით. აქ დერეფანში დავინახე ჩვენი დეპარტამენტის თანამშრომლები – რეჟისორი უშანგ კაპანაძე და ინჟინერი ივერ ხურცილავა. სამივენი ძირს ჩაგვიყვანეს, ჩაგვსვეს მანქანაში და მიგვიყვანეს საბურთალოს

რაიონის პოლიციის განყოფილებაში. იქ ყოველგვარი „პროცედურების დაცვით“ (ქამრების და ფეხსაცმლების ზონრების შენსნა, ჯიბების გაჩხრეკა) მოგვათავსეს წინასწარი პატიმრობის (მგონი ასე ჰქვია) საკანში. ვიწრო საკანი საკმაოდ ხალხმრავალი და მრავალფეროვანი იყო... ცოტა ხნის შემდეგ რიგრიგობით ავყავდით გამომძიებელთან.

როცა ჩემი ჯერიც დადგა, გამომძიებელმა წამიკითხა აქტი, სადაც ეწერა, რომ ჩვენ სამნი: მე, უშანგ კაპანაძე და ივერ ხურცილავა 7 ოქტომბრის დილას ვიდექით ტელერადიოდეპარტამენტის შენობის წინ, ხმამაღლა ვლაპარაკობდით, ვილანძღებოდით და როგორც ხულიგნები, პოლიციის მუშაკებმა დაგვაპატმირეს. ამ ყოვლად სამარცხვინო სიყალებს პოლიციის ორი თანამშრომელი აწერდა ხელს. ამ „ბრალდების“ აბსურდულობა იქიდანაც ჩანს, რომ მე დერეფანში მიმავალი დამაკავეს, უშანგ კაპანაძე თავისი ოთახიდან გამოიყანეს, ივერ ხურცილავა კი – თათბირიდან (მოგვიანებით პოლიციის განყოფილებაში მოიყვანეს დეპარტამენტის კიდევ ერთი თანამშრომელი – თამუნა ბაჩილავა).

საღამოს ამიყვანეს პოლიციის განყოფილების უფროსთან. იქ დამხვდა ტელერადიოდეპარტამენტის თავმჯდომარე ბატონი არჩილ გოგელია. როგორც საუბრიდან გაირკვა, ჩვენი დაპატიმრების მიზეზი თურმე ჩვენი“ხულიგნობა“ კი არა, 11 ოქტომბრის არჩევნები ყოფილა. ჩვენ, პოლიტიკურად „არასაიმედონი“, არჩევნების დამთავრებამდე აქ უნდა დავრჩენილიყავით. ბატონმა არჩილმა როცა გაიგო, რომ მე არავითარი დანაშაული არ მქონდა, სთხოვა პოლიციის განყოფილების უფროსს ჩემი განთავისუფლება. იგი თავდებად მიდგებოდა, რომ მე „ცუდს არაფერს გავაკეთებდი“. ბატონ არჩილს ვუთხარი, რომ პირველ რიგში ალბათ ქალის განთავისუფლება იყო საჭირო. ეტყობა, მან არც თ. ბაჩილავას დაპატიმრება იცოდა. თ. ბაჩილავა ამოიყვანა და სთხოვა პოლიციის უფროსს ბატონ ირაკლი მხეიძეს ჩვენი განთავისუფლება. როგორც გამოირკვა, ეს ბატონი ირაკლის უფლებებს აღემატებოდა. მე საკანში დამაბრუნეს. 15 წუთის შემდეგ ისევ ამიყვანეს ზევით. ეტყობა, ბატონი არჩილი ტელეფონით დაკავშირებია სათანადო ინსტანციებს. მის თხოვნას ანგარიში გაუწიეს. ბატონმა არჩილმა მითხრა: – შენ და ბაჩილავა თავისუფალი ხართო. მე შევახსენე

ბატონ არჩილს, რომ ჩვენ გარდა დაპატიმრებული იყვნენ ასევე ჩემს თანამშრომლები უშანგ კაპანაძე და ივერ ხურცილავა (ჩვენზე, სამივეზე ერთი აქტი იყო შედგენილი). როგორც გამოირკვა, უ. კაპანაძესა და ი. ხურცილავას განთავისუფლება არ ხერხდებოდა. ბატონ არჩილს მადლობა მოვახსენე ყურადღების გამოჩენისათვის, მაგრამ განთავისუფლება არც მე ვისურვე და დავრჩი უშანგ კაპანაძესა და ივერ ხურცილავასთან ერთად. სამივე 12 ოქტომბერს გაგვათავისუფლეს ყოველგვარი ახსნა-განმრატებისა და ბოდიშის გარეშე.

როგორც დასაწყისში აღვნიშნე, არავითარი კომენტარის გაკეთებას არ ვაპირებდი, მაგრამ, როგორც ჩანს, ორიოდ სიტყვა მაინც უნდა ვთქვა.

პირველ რიგში, საჯაროდ უნდა განვაცხადო: არც ჩემს ლექსებში, არც დაბეჭდილ წერილებში, არც ზეპირ გამოსვლებში არასოდეს მიქადაგებია სიძულვილი, ერთმანეთის მტრობა, ძალადობა, არასოდეს ამიღია იარაღი. მაშ, რატომ დამესხნენ თავს? რატომ დამაპატიმრეს? ნუთუ საკუთრი აზრის, რწმენის და შეხედულებისათვის?

ასევე უნდა შევეხო „ზვიადიზმსა“ და „ზვიადისტობას“. ეტყობა, ზოგიერთები გარკვეული მიზნით ჯიუტად და შეგნებულად ამკვიდრებენ ამ ტერმინს. ამით უნდათ შექმნან ისეთი შთაბეჭდილება, რომ ადამიანები იცავდნენ და იცავენ არა რწმენას, არა სამართლიანობას და კანონიერებას, არამედ პიროვნებას. პიროვნების დისკრედიტაცია და სახელის გატეხვა ზოგიერთების თვალში ჭორებითა და ცილისწამებით ადვილია, ზოგადი და მარადიული იდეალებისა კი – შეუძლებელი. მე პოლიტიკოსი არასოდეს ვყოფილვარ და არც მომავალში ვაპირებ. საკუთარი პოზიციის გამოხატვა პოლიტიკოსობას არ ნიშნავს. საკუთარი პოზიციის გამოხატვა ამა თუ იმ ფაქტზე, ან მოვლენაზე ყველა პატიოსანი ადამიანის მოქალაქეობრივი ვალია. მე მიტინგებზე გამოვდიოდი და ვიცავდი არა კონკრეტულ პიროვნებას, არამედ ქართველი ხალხის მიერ არჩეულ საქართველოს პრეზიდენტს – ზვიად გამსახურდიას, ვიცავდი ქართველი ხალხის ნებას და სურვილს, ჩემს კონსტიტუციურ უფლებებს, დემოკრატიას. ასე მჯეროდა და ასე მჯერა დღესაც. ხალხის არჩევნის პატივისცემა, კონსტიტუციური უფლებების დაცვა, ჩემი

აზრით, არის ერთადერთი გზა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისა. სხვათა შორის, ამ საკითხთან დაკავშირებით ახლა მინდა ერთი შეკითხვა დავუსვა იმ ხალხს, ვინც ახალი პარლამენტი და მისი თავმჯდომარე აირჩია: – ხვალ ან ზეგ ვინმე ზარბაზნებით რომ მიადგეს ყოფილი„იმელის“ შენობას და მოინდომოს მათ მიერ არჩეული პარლამენტის და მისი თავმჯდომარის დამხობა, როგორ მოიქცევიან ისინი?

მაშინ ასე ვფიქრობდი და ახლაც ასე მგონია: დეკემბერ-იანვრის პუტჩი ცუდი მაგალითია. პრეცედენტის დაშვება მომავალში სხვასაც წააქეზებს და საქართველო შეიძლება აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების მსგავსად „გადატრიალება-გადმოტრიალების“, ე. ი. არასტაბილურობის და სამოქალაქო ომების ტიპურ ქვეყნად იქცეს, რაც დამღუპველი იქნება ქვეყნისა და ერისათვის. თუ ვინმეს პრეზიდენტი არ მოსწონდა, ის ისევე იმ ხალხს უნდა გადაერჩია, ვინც აირჩია, ოღონდ – წესით და რიგით, როგორც ეს ცივილიზებულ ქვეყნებში ხდება.

ერთ საკითხზე მინდა ვილაპარაკო. ზოგიერთებს ჰგონიათ, – „მოწინააღმდეგეებს“ (ე. ი „ზვიადისტებს“) მიტინგების დარბევით, დახვრეტით, დაპატიმრებით, სამსახურიდან გაგდებით თუ დააშინებენ, დაამცირებენ, საკუთარ აზრს და რწმენას წაართმევენ ან შეაცვლევინებენ, ამით საქართველოსათვის კარგ საქმეს აკეთებენ. ცდებით, ქალბატონებო და ბატონებო, ერთმანეთის დაშინებასა და დამარცხებას სჯობია ისინი დავაშინოთ და დავამარცხოთ, ვინც სამაჩაბლოსა და აფხაზეთს გვედავება, ვინც ქართველებს ცოცხლად წვავს და მარხავს. ეს პოლიტიკური ვნებები გაივლის, ხვალ და ზეგ ყველანი ერთად უნდა ვიყოთ, საერთო მტერს ერთად უნდა შევებრძოლოთ და მაშინ... მაშინ დაშინებული და დამცირებული ქართველი (არა აქვს მნიშვნელობა, რომელი „ისტი“ იქნება) სამშობლოს ვერ გამოადგება. დაშინებული ქართველი ტანზე თაფლს ვერ წაისვამს, დაბეჩავებული ქართველი მტრის ჯარს გზა-კვალს ვერ აუბნევს; დამცირებული ქართველი ქალი გახურებული შანთებით წამებას ვერ აიტანს და სამშობლოსათვის თავგანწირულ შვილებს ვერ გაზრდის. თავისუფლებაწართმეულ კაცს არ ეცოდინება თავისუფალი სამშობლოს ფასი. ღირსებაგათელილი კაცი ვერც ერის ღირსებას დაიცავს. საკუთარი რწმენადაკარგული ვერც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოს რწმენას უერთგულებს. უნდა გავიგოთ: ყოველი დაშინებული, დაბეჩავებული, დამცირებული ქართველი კაცი ისევ იმ საქართველოს ნაწილია, რომელსაც ჩვენი საერთო სამშობლო ჰქვია, ამიტომ ერთმანეთის აზრს და რწმენას პატივი უნდა ვცეთ, ერთმანეთს უნდა მივუტევოთ, მოვეფეროთ, რომ ხვალ და ზეგ, როცა ეს ჩვენს სამშობლს დასჭირდება, ჩვენი გული და გონება ერთიანი მამულისათვის დაიხარჯოს, რომ ხვალ თუ ზეგ ისევ საერთო სამშობლოს სამსხვერპლოზე მივიტანოთ ჩვენი სიცოცხლე.

ერთმანეთის მტრობის, დაშინების, განადგურების გზა ტაძრამდე ვერ მიგვიყვანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ ვუჭერ მხარს საქართველოს პრეზიდენტს

ეს წერილი გაზეთ „თბილისში“ უნდა დაბეჭდილიყო. 1992 წლის იანვარში პუტჩისტებმა რედაქცია დაარბიეს და წერილიც დაიკარგა. სახლში მეორე ეგზემპლარი აღმომაჩნდა, რომელსაც დღევანდელ მკითხველს ვთავაზობ. შეიძლება დღევანდელი გადასახედიდან ბევრი რამ სადავო იყოს, რადგან წერილში ნახსენებმა ზოგიერთმა პიროვნებამ შემდგომში ეროვნული ხელისუფლებისადმი ნეგატიური პოზიცია დაიკავა, მაგრამ წერილს მკითხველს ისევე ვთავაზობ, როგორც პირველად დაიწერა, რადგან ეს არის იმ დროის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების პირუთვნელი აღწერა, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ვიღაცას მომავალში უდავოდ დასჭირდება და გამოადგება.

ნ. ჯ.

ზოგიერთი ჩემი კოლეგა თუ ნაცნობი ქუჩაში მაჩერებს, ზოგიც ტელეფონით მირეკავს, საყვედურს მეუბნება: –ჩვენ წესიერი კაცი გვეგონე, შენ კი კერპთაყვანისმცემელი და ბნელი ყოფილხარ. არ გრცხვენია?! ვის უჭერ მხარს, ვის გვერდით დგახარ?

ხან მოთმინებით, ხან აღელვებით ვუხსნი ჩემს ოპონენტებს, თუ რატომ „არ მრცხვენია“, რატომ ვუჭერ მხარს საქართველოს პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას. რადგან, „ჭკუის სწავლება“ დღემდე გრძელდება, გადავწყვიტე საჯაროდ განვაცხადო, თუ რატომ ვუჭერ მხარს საქართველოს პრეზიდენტს. ამას კი იმიტომ არ ვაკეთებ, თითქოს თავს იმ პიროვნებად ვთვლიდე, რომლის აზრი მთელმა საქართველომ უნდა იცოდეს, ამგვარი სასაცილო ამბიციებიდან ღმერთმა დამიფაროს. ამ წერილის დაწერის მიზანი უბრალოა. მე მჯერა, ჩემს დღეში სხვაც ბევრია და ასე მგონია, ჩემს გულისტკივილთან ერთად სხვების სათქმელსაც ვიტყვი.

უპირველესად, პრეზიდენტს იმიტომ ვუჭერ მხარს, რომ ჩემი არჩეულია, მე მივეცი ხმა. ამ მხარდაჭერით მე ვიცავ ჩემს არჩევანს, ჩემს რწმენას, ჩემს კონსტიტუციურ უფლებებს, დემოკრატიულ პრინციპებს. პრეზიდენტის მხარდაჭერით მხარს ვუჭერ ქართველი ხალხის ნებას, მის სურვილს. მე პირადად ხმა რომ არც მიმეცა ზვიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამსახურდიასათვის, მაინც ვალდებულად ჩავთვლიდი ჩემს თავს დამეცვა იმ ადამიანის ღირსება, ვისაც ხმა მისცა საქართველოს მოსახლეობის 87-მა პროცენტმა, ე. ი. თითქმის მთელმა საქართველომ. როცა ოპოზიციას ძალზე გაუჭირდება, ფარივით მოიმარჯვებს სიტყვებს: „საქართველოს პრეზიდენტი მარტო უმრავლესობის პრეზიდენტი კი არ არის, უმცირესობის პრეზიდენტიცაა“. კი, ბატონო, სავსებით სწორია, მაგრამ ისიც ხომ სწორია, – თუ ისინი ბატონ ზვიად გამსახურდიას თავიანათ პრეზიდენტად თვლიან, მაშინ საქართველოს პრეზიდენტის ღირსების დაცვა მათაც ისე ევალებათ, როგორც უმრავლესობას და მნიშვნელობა არა აქვს, მათ მოსწონთ პრეზიდენტი თუ არ მოსწონთ. როცა პრეზიდენტს ვაფასებ, ერთმანეთს ვადარებ, თუ რა არის პოზიტიური და რა – ნეგატიური. დადებითი იმდენად სჭარბობს, არჩევანს უყოყმანოდ ვაკეთებ – მხარს ვუჭერ საქარათველოს პრეზიდენტს; ეს ყველაფერი ლიტონი სიტყვები რომ არ გამომივიდეს, შევეცდები ფაქტებითა და მაგალითებით დავამტკიცო ჩემი არჩევნის სისწორე. მე წინასწარ ვიხდი ბოდიშს, არავის ჭკუის სწავლებას არ ვუპირებ, არც იმის პრეტენზია მაქვს, ერთადერთ ჭეშმარიტებას ვღაღადებდე.

რადგან დღეს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ინტელიგენციაზე, მეც მინდა ამით დავიწყო.

დღეს ოპოზიცია და მათგან გამომდინარე საკავშირო (ზოგიერთი საზღვარგარეთული) პრესა მთელი ხმით გაკივის, თითქოს ინტელიგენცია განუდგა საქართველოს ეროვნულ მთავრობას.

ნუთუ მართლა ასეა?

ჯერ ერთი, გაზეთებში „თავისუფალ საქართველოსა“ და „საქართველოს რესპუბლიკაში“ იბეჭდება უამრავი ხელმოწერა ინტელიგენციის იმ წარმომადგენლებისა, რომლებიც მხარს უჭერენ პრეზიდენტს და ეროვნულ მთავრობას. ასევე, ჩატარდა პრეზიდენტის მხარდამჭერი ინტელიგენციის წარმომადგენელთა მიტინგი. ამ მიტინგზე გამოსული ბატონი აკაკი გაწერელიას დასახელებაც კმარა, წარმოდგენა რომ ვიქონიოთ მიტინგის დონეზე. ანა კალანდაძე, გრიგოლ აბაშიძე, რევაზ ჯაფარიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ და ოთარ ჭილაძეები, მურმან ლებანიძე, შოთა ნიშნიანიძე, რეზო ჭეიშვილი, დღევანდელი ქართული მწერლობის, მართლაც, ეს პირველხარისხოვანი ოსტატები, ოპოზიციის მიტინგებზე გამოსული არავის უნახავს. მართალია, ისინი არც უზენაესი საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენობის წინ გამართულ მიტინგებზე გამოდიან. ისინი საწერ მაგიდას უსხედან და თავიანთ საქმეს აკეთებენ. განა საკავშირო და რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნებული ოთარ ჭილაძის ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილები ეროვნულ საქმეს არ ემსახურება? განა შოთა ნიშნიანიძის ნიჭიერებითა და ეროვნული სულით დამუხტული ლექსები მთავრობის მხარდამჭერ მიტინგებზე არ დგანან? განა რევაზ ჯაფარიძის წერილები და სტატიები ეროვნულ ღირსებას არ იცავენ? განა ოთარ ჩხეიძის პიესა დღევანდელი და ხვალინდელი საქართველოს სინდისს არ უდგას დარაჯად (ბატონი ოთარ ჩხეიძე უზენაესი საბჭოს წინ გამართულ მიტინგებშიც მონაწილეობს)? რატომ მიითვალა ოპოზიციამ ეს ადამიანები თავის ანგარიშში? მე არაფერს ვამბობ მუხრან მაჭავარიანსა და ნოდარ წულეისკირზე, რომლებიც უზენაესი საბჭოს წევრები არიან. იქნებ ფიქრობენ, ოპოზიციის მიტინგებზე გასულები ამათზე უფრო „გამოჩენილები“ არიან? რასაკვირველია, ოპოზიციის რიგებშიც არიან ინტელიგენციის წარმომადგენლები მაგრამ არა იმდენი, რომ ისინი გამოხატავდნენ ქართული ინტელიგენციის სახეს. გარდა ამისა, ერთი შეკითხვაც მინდა დავსვა: განა ოპოზიციაში მყოფი ინტელიგენციის წარმომადგენლების ღვაწლსა და შრომას ეროვნული მთავრობა უარყოფს? განა ვინმემ თქვა, „დათა თუთაშხია“ ცუდი რომანიაო? ხალხს არ მოეწონა, „დათა თუთაშხიას“ ავტორი კი არა, ის ჭაბუა ამირეჯიბი, რომელიც თავგამოდებით იცავდა საქართველოსათვის საზიანო ტრანსკავკასიური რკინიგზის იდეას. ეროვნული მთავრობა და მისი მხარდამჭერები პატივს სცემენ ოპოზიციაში მყოფ მართლაც ღირსეულ ადამიანებს; პატივს სცემენ მათ, როგორც კულტურისა და ხელოვნების მუშაკებს, მეცნიერებს, მაგრამ არ იზიარებენ მათ პოლიტიკურ შეხედულებებს. განა ეს მათი, როგორც პიროვნებების, უარყოფა და უპატივცემლობაა? ადამიანი შეიძლება იყოს ნიჭიერი მწერალი, მეცნიერი, რეჟისორი, მსახიობი, კომპოზიტორი, მაგრამ არ იყოს ნიჭიერი პოლიტიკოსი. ამიტომ, რატომ ვარ მე ვალდებული გავიზიარო მათი პოლიტიკური მრწამსი? ერთმა ჩემმა მეგობარმა არქიტექტორმა, რომელსაც საქართველოს გარეთაც კარგად იცნობენ, მითხრა: მე რომ ახლა პოლიტიკაში ჩავება, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი პროფესიული საქმიანობა განზე გადავდო და ყველაფერი ნულიდან დავიწყო, რადგან პოლიტიკოსობაც ისეთივე პროფესიაა, როგორიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქიტექტორობა, ფიზიკოსობა, ექიმობა... ასე რომ, ჩემი ამჟამინდელი ქმედებით ჩემს საქმესაც ვავნებ და ეროვნულსაც.

მე სავსებით ვეთანხმები მას. ყველამ თავისი საქმე აკეთოს. საკუთარი პოლიტიკური მრწამსის გამოხატვა სულაც არ ნიშნავს პოლიტიკოსობას, მათ „შუა უზის დიდი მზღვარი", მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ამ „ზღვარს"ბევრი ადვილად არღვევს. ამიტომ საქართველო კარგავს ბევრ კარგ სპეციალისტს და ღებულობს ცუდ პოლიტიკოსს. მე, პირადად, არ მჯერა იმ ადამიანებისა, საპენსიო ასაკის შემდეგ რომ იწყებენ პოლიტიკურ მოღვაწეობას. ჩვენი პრეზიდენტი კი სწორედ ის კაცია, რომელმაც მთელი ცხოვრება საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირა. ეს ის კაცია, რომელიც სულმნათ მერაბ კოსტავასთან ერთად ეროვნული მოძრაობის სათავეებთან იდგა. მე ვერ დავიბრალებ ბატონ ზვიად გამსახურდიასთან ვერც მეგობრობას, ვერც ამხანაგობას არც ახალგაზრდობაში და არც ამჟამად. უფრო მეტიც, წლების წინათ ზოგიერთი მისი გამონათქვამი თუ საქციელი მაღიზიანებდა კიდეც. მერე?.. მერე, გავიდა დრო და მისი სიტყვა გამართლდა, მისი მოქმედება სწორი აღმოჩნდა. ასეა დღესაც და ამაზე მე ქვემოთ ვილაპარაკებ. როცა ამგვარი ფაქტები ბევრჯერ განმეორდა, მივხვდი, ჩემი პოლიტიკური ცოდნა თუ ალღო, საჭადრაკო ენით რომ ვთქვათ, პირველი თანრიგის დონისა იყო, მისი კი – დიდოსტატისა. მივხვდი, რომ ის„მაღლა მხედი" პროფესიონალი პოლიტიკოსია. ასეთ ადამიანს გვერდით უნდა ამოუდგე. თუ ამას არ გააკეთებ, ხელი მაინც არ უნდა შეუშალო. მე მჯერა, ის მართლა მიიყვანს საქართველოს სანუკვარ მიზნამდე, სრულ თავისუფლებამდე, ამიტომ ვუჭერ მხარს და არა იმიტომ, რომ კერპთაყვანისმცემელი ვარ.

სათქმელს გადავუხვიე. სიტყვას ისევ ინტელიგენციაზე გავაგრძელებ. ადრე ვთქვი, ოპოზიციაში, ჭეშმარიტად, გამოჩენილი ადამიანებიც არიან-მეთქი, მაგრამ მათ გვერდით ისეთი „გამოჩენილებიც" არიან, რომელთა გვარების გასწვრივ შეგვიძლია მივაწეროთ: დირექტორი, ხელმძღვანელი, მდივანი, მთავარი რედაქტორი (ყოფილი თუ ამჟამინდელი), ლენინური პრემიის ლაურეატი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, საქართველოს საბჭოთა

სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო არტისტი. რასაკვირველია, მათ შორის ნიჭიერი ადამიანებიც არიან, მაგრამ უმეტესობის დაჯინჯილება-დამედლებ-დაორდენებაში, მათ ნიჭთან ერთად, ლომის წილი იმ „საქმესაც“ მიუძღვის, რასაც ისინი აკეთებდნენ. გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, კომუნისტური ხელისუფლება რისი მიხედვით ანაწილებდა ჯილდოებს, ორდენებს. უმეტეს შემთხვევაში, იმის მიხედვით, ვინც ხელისუფლებასა და მის იდეოლოგიას ემსახურებოდა (ასეთი ცოდვილიანები ვართ ბევრი, მათ შორის მეც). აბა, საქმე მარტო ნიჭზე რომ ყოფილიყო, რეჟისორი ოთარ იოსელიანი უპრემიოდ და უწოდებოდ უნდა დაგვრჩენოდა? ლუკმაპურის საძებნელად უცხოეთში უნდა გაგვექცია? ამიტომ არის დღეს ოპოზიციის ბანაკში საკმაოდ ბლომად თავის დროზე საბჭოთა წყობილების მიერ გალაღებული და აქედან გამომდინარე, „გამოჩენილი“ პიროვნებები. ისინი ინერციით თუ ქვეცნობიერად (ძალიან ბევრი – შეგნებულადაც) დგანან იმათ სამსახურში, ვინც მათ თავის დროზე მზრუნველი კალთა გადააფარეს (რასაკვირველია, არა უანგაროდ). ვაგლახ, რომ სულს ხშირად ხორცი ჯაბნის, თორემ ცოტა მოთმენა თუ გვეყო, წინ ჭეშმარიტად თავისუფალი საქართველო გველოდება, რომელიც თავის ნიჭიერ შვილებს არც ჯილდოებს მოაკლებს და არც სიყვარულს. მე მჯერა, დადგება დრო, დღეს ოპოზიციაში მყოფი ბევრი ნიჭიერი ხელოვანი თავის ხალხს დაუმტკიცებს, რომ ნამდვილად „სახალხოა“ თავისი ნიჭით და არა რომელიმე პრეზიდიუმის დადგენილებით თუ ბეჭდიანი ქაღალდის ძალით, ოღონდ მანამდე ნუ შევიძულებთ ერთმანეთს, ოღონდ მანამდე ისეთ რამეს ნუ ჩავიდენთ, რომ საოცნებო თავისუფალ საქართველოში ერთმანეთის შეხედვის შეგვრცხვეს.

ერთ პატარა დეტალსაც მინდა ხაზი გავუსვა, რომელმაც, ჩემი აზრით, შეიძლება, ზოგიერთი ინტელიგენტი დააფიქრა. სანამ სათქმელს ვიტყოდე, ერთ კურიოზულ, ანეკდოტად ქცეულ ამბავს გავიხსენებ: „უძრაობის“ ხანაში ერთ „პირველს“ თურმე ახალი ფილმი აჩვენეს. ფილმის ჩვენების შემდეგ უთქვამს: – „ვადი ნე ხვატაეტო“. ფილმის ავტორებს მეორე დღესვე გამოუსწორებიათ ეს „ნაკლი“. სასწარაფოდ ჩაუმატეს აბობოქრებული მდინარეებისა და ჩანჩქერების კადრები. რისთვის ვახსენე ეს ამბავი? როგორც ცნობილია, რესპუბლიკის „პირველებს“ ბევრი მრჩეველი ჰყავდათ ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. ამ მრჩევლების წყალო-

ბით ბევრი არგამოსაჩენიც „გამოჩენილი“ ხდებოდა. „ვეფხვის ტყაოსნის სახისმეტყველების“, ბრწყინვალე „წერილებისა და ესსეების“ ავტორს არ სჭირდება სხვისი რჩევა-დარიგება, შესანიშნავად იცის, ვინ როგორი მწერალია და მეცნიერი, ვის ნაწარმოებს აკლია „წყალი“ და ვისაც კიდევ – ნიჭიერება.

მე ბოდიშს ვიხდი, კალამი ასე რომ გავათამამე და სიტყვა გამიგრძელდა ინტელიგენციაზე, მაგრამ ეს ისეთი მტკივნეული და რთული საკითხია, მისთვის გვერდის ავლა არ შემეძლო იმ მიზეზის გამოც, რომ ზოგიერთმა ჩემმა კოლეგამ სალამი დამიძვირა, – აქაოდა, ჩვენს ბანაკში არა ხარო. არავინ იფიქროს, ვინმეს სალამ-ქალამს ვემათხოვრებოდე, უბრალოდ, არ შეიძლება ამ დონემდე დაშვება, არ შეიძლება ინტელიგენტი და დემოკრატი უწოდოს თავს იმ კაცმა, ვინც ფიქრობს, – „ვინც ჩემთან არ არის, ის ჩემი მტერია“.

მაინც რა ბრალდებას უყენებს ოპოზიცია პრეზიდენტს? თითქოს ის დიქტატორია, საქართველოში არ არის დემოკრატია, ილახება სიტყვისა და პრესის თავისუფლება, არ მოსწონთ საკადრო პოლიტიკა, არც მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკით არიან აღფრთოვანებული და, საერთოდ, თურმე პრეზიდენტს საქართველო დაღუპვისაკენ მიჰყავს... იმათი უმრავლესობა, ვინც დღეს საქართველოს პრეზიდენტს დიქტატორობას სწამებს, გუშინ კომუნისტურ დიქტატურაში თავს მშვენივრად გრძნობდა და საერთოდ არ აწუხებდა დემოკრატიის ბედი. ისინი ახლა, ეროვნული მოძრაობის შემდეგ გახდნენ დემოკრატიისათვის მებრძოლნი. განა მათ, აგრეთვე ცენტრისა და დასავლეთის „დემოკრატებს“ არაფერს ეუბნება ის ფაქტი, რომ „დიქტატორული“ რეჟიმიდან გაქცევას არავინ ცდილობს? ხომ არიან ლტოლვილები შუა აზიიდან, ბალტიისპირეთიდან, ამიერკავკასიდან, ზოგიერთი სხვა რესპუბლიკიდან? „დიქტატორული“ საქართველო ერთადერთი რესპუბლიკაა, საიდანაც არ გარბიან არაქართველები (თუ არ ჩავთვლით ოსებს, რომლებმაც ეს პრობლემა თვითონ შექმნეს და იმ ქართველებს, იძულებით რომ ატოვებინებდნენ სამაჩაბლოს). ამ მნიშვნელოვან ფაქტს არავინ აღნიშნავს და რატომღაც ქართველებს მაინც – ნაციონალისტებად და ზვიად გამსახურდიას – დიქტატორად აცხადებენ. აბა, რომელი დიქტატორი მოითმენდა ამდენ ლანძღვა-გინებას. ვისაც არ ეზარება, ყველა ქოქოლას აყრის. ის ყველაფერს იობის მოთმინებით იტანს. ლანძღა-გინებას არ სჯერდებიან და იარაღით ხელში საკუთარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზიდენციაში უვარდებიან, „დიქტატორი“ პრეზიდენტი კი ინდივიდ-ლგენციებს ურიგებს იმ პირებს, ვინც მის საწინააღმდეგოდ იარაღი აღმართა...

ოპოზიციამ შესანიშნავად იცის, რომ ზვიად გამსახურდია არავითარი დიქტატორი არ არის, მაგრამ „ჩაუშესკუ“, „ჩაუშესკუს“ ძახილი ხელს აძლევს და მიზანსაც აღწევს. აქაოდა, ვინმემ მართლა დიქტატორობა არ დამაბრალოსო, საქართველოს პრეზიდენტი ზედმეტ ლოიალობას იჩენს, რასაც მოჰყვა ანარქია, კანონის უპატივცემლობა, განუკითხაობა. თუ პრეზიდენტი დროზე არ მიიღებს ზომებს, ოპოზიციის „ჩაუშესკუ“, „ჩაუშესკუ“ ძახილში საქართველოს მართლა მოევლინება ჩაუშესკუ, რომელიც ღიმილ-სიცილით და ჩახუტებით მოახრჩობს თავის ყველა ოპონენტს. ვიცი, ამის წამკითხველი ზოგიერთი ოპოზიციონერი დაიწყებს ძახილს: შეხედეთ, რეპრესიებისკენ მოუწოდებსო. არა, ბატონებო, რეპრესიებისკენ კი არა, წესრიგის დაცვისკენ მოვუწოდებ ხელისუფლებას, კანონიერების უზენაესობისკენ მოვუწოდებ საზოგადოებას. აბა, სანამ ვიყოთ ასეთ ყოფაში: ხალხს ქუჩაში გასვლის ეშინია, ღამით მშვიდად არ სძინავს კრიმინალებისა და პოლიტიკურ პარტიებს შეფარებული ზოგიერთი ბანდიტის შიშით.

საქართველოში უამრავი ჟურნალ - გაზეთი გამოდის, თითქმის ყველა პარტიას (მათ შორის ოპოზიციასაც) საკუთარი პრესა გააჩნია, სადაც იმას ბეჭდავს, რაც მოესურვება.

ერთადერთი გაზეთი, რომელიც უზენაეს საბჭოსა და პრეზიდენტს არ ლანძღავს, უზენაესი საბჭოს გაზეთი – „საქართველოს რესპუბლიკაა“. ეს არის საქართველოში პრესის შეზღუდვა? მაშინ მიჩვენონ ოპოზიციის ის ჟურნალ-გაზეთები, თავიანთ პარტიასა და მის ხელმძღვანელობას რომ აგინებდნენ.

რაც შეეხება ტელევიზიას, რადიო-ტელევიზიის დეპარტამენტის მუშაკთა ერთმა ნაწილმა საპროტესტო აქცია მოაწყო. მოითხოვდნენ რადიოსა და ტელევიზიაში ადგილი დათმობოდა განსხვავებულ აზრს. მე ამ სამართლიან მოთხოვნას მხარი დავუჭირე, მაგრამ პროტესტის ნიშნად კიბის საფეხურებზე არ ჩამომჯდარვარ. რატომ? იმიტომ, რომ მზადდებოდა კანონპროექტი პრესისა და ტელევიზიის შესახებ, სადაც ეს სამართლიანი მოთხოვნა, თავისთავად, გათვალისწინებული იყო. მაშ, რისთვის, ვისთვის უნდა გამომეცხადებინა პროტესტი? თუ ჩვენ მართლა გვსურს სამართლებრი-

ვი სახელმწიფოს აშენება, უნდა დავიწყოთ კანონის პატივისცემით. ესა თუ ის უფლება-მოვალეობა უნდა დაფიქსირდეს კონსტიტუციურად. მხოლოდ ასე ავიცილებთ ქვეყანაში ანარქიასა და თვითნებობას. პრესაში გამოქვეყნებული კანონპროექტი სესიამ დაამტკიცა და კანონად იქცა. „პიკის საათმა“ სთხოვა მსურველებს, მონაწილეობა მიეღოთ ალტერნატიულ გადაცემებში. ოპოზიციის ჟურნალისტებმა რედაქციის ნაცვლად კიბეებს მიაშურეს, აქაოდა, კანონის შესრულებას აგვიანებენო. თქვე კაი დედ-მამის შვილებო, მთელი სიცოცხლე უუფლებობაში, სიყალბის წერაში, კომუნისტური რეჟიმის სამსახურში გაატარეთ (თქვენს შორის მეც), ხმა არ ამოგიღიათ და ახლა ერთი კვირის თუ ერთი თვის მოთმენა გაგიჭირდათ?... საქმეც მაგაშია, ეს აჩქარება საქართველოში ვიღაცას დესტაბილიზაციის შესაქმნელად სჭირდებოდა (აქციის მონაწილეთა უმრავლესობამ ეს ალბათ არც იცოდა). მიაღწიეს კიდეც მიზანს – საქართველოს ეროვნული მთავრობის სახელგამტეხი ინფორმაცია მიაწოდეს საკავშირო და საზღვარგარეთის პრესას. ზოგიერთს კი თავის გამოსაჩენად უნდოდა, –ჩვენმა ბრძოლამ ნაყოფი გამოიღო და სესიაზე მიღებული კანონი ჩვენი ბრძოლის შედეგიაო.

ტელევიზიის ოპოზიციის წარმომადგენლებს ორი ფაქტი მინდა შევახსენო: ჯერ კიდევ პერესტროიკამდე, როცა საქართველოს რადიო-ტელევიზიის კომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ ფოფხაძე იყო, მე კრებაზე გამოვედი და საჯაროდ ვამხილე მისი მუშაობის მანკიერი და არაადამიანური სტილი, რაც გამოიხატებოდა თანამშრომლებისადმი უდიერ დამოკიდებულებაში, აბუჩად აგდებაში, მათი ადამიანური უფლებების გათელვაში. სად ბრძანდებოდით მაშინ, ადამიანების უფლებების დამცველნო? რატომ არ დაიცავით მაშინ, ჩემი კი არა, თქვენი ადამიანური ღირსება, რომელსაც იგი ყოველ ნაბიჯზე თელავდა (რასაკვირველია, მლიქვნელთა და მაამებელთა გარდა, რომელთა უმრავლესობაც დღეს სწორედ ოპოზიციაშია)? რატომ არ ამოიღეთ ხმა, რატომ არ მოაწყვეთ აქციები, რატომ არ წერდით საპროტესტო წერილებსა და სტატიებს?! ანდა თქვენ, ბატონო ვალერი, დღეს რომ თითქოს ასე საჯაროდ იბრძვით დემოკრატიისათვის, სიტყვისა და პრესის თავისუფლებისათვის, ჟურნალისტთა პროფესიონალური უფლებების დაცვისათვის, მაშინ სად იყავით, ორი წლის წინათ, როცა თქვენი ჟურნალისტური ღირსება ფეხქვეშ გაითელა და მოქალაქის ადამიანური უფლებებიც

აბუჩად აიგდეს? ალბათ იცით, რაზეც ვლაპარაობ – სწორედ იმ გადაცემაზე, თვენ რომ მოამზადეთ ჩემზე და კიდევ ერთ პროფესორზე, კომუნისტური პარტიის რიგებიდან გასულებზე (მე პარტიიდან გავედი 1989 წლის 10 აპრილს. როდესაც თქვენ იმ გადაცემას ამზადებდით, ჯერ კიდევ პარტიის წევრი ბრძანდებოდით და პარტიიდან კომიტეტის პარტიული ორგანიზაციის თვითლიკვიდაციის შემდეგ გახვედით). როგორც გახსოვთ, საათნახევრიანი გადაცემა მოამზადეთ. საათნახევრიანი გადაცემა კომიტეტის ხელმძღვანელობამ ერთ საათამდე დაიყვანა. ამოიღეს ის, რაც, ჩემი აზრით, საჭირო იყო ალბათ თქვენი აზრითაც, რადგანაც გადაცემის ავტორი თქვენ იყავით და იმ შეკითხვებსაც თქვენ გვისვამდით. მაგრამ, როგორც გამოირკვა, ჩვენი პასუხები არ დაემთხვა თქვენთვის საჭირო სავარაუდო პასუხებს. ეს არ დაემთხვა იმდროინდელი ოფიციოზის პოლიტიკურ ხაზს. მიუხედავად ნახევარი საათით შემცირებისა, ჩვენ თანახმა ვიყავით იმ სახით წასულიყო გადაცემა. სამი დღის შემდეგ ისევ დამირეკეთ და მითხარით, რომ გადაცემა კიდევ ნახევარი საათით შემცირდა. ეტყობა, ვიღაცას არც ის აწყობდა, რაც გადაცემაში დარჩა. როცა მე ვნახე ორჯერ დაჩეხილი გადაცემა, რომლის საბოლოო ვარიანტი მხოლოდ ოფიციოზის წისქვილზე ასხამდა წყალს, გადაცემაზე უარი ვთქვი. მე ახლა ორი წლის შემდეგ ვეკითხები იმჟამინდელი, ეროვნული ხელისუფლებისადმი ოპოზიციაში ჩამდგარ ვალერი კვარაცხელიას: რატომ არ დაიცავით იმდროინდელი კომუნისტური ხელისუფლების წინაშე ვალერი კვარაცხელიას ჟურნალისტური ღირსება? რატომ არ დავიცავით იმ ადამიანების მოქალაქეობრივი უფლებები, რომელთაც არ ათქმევინეს ის, რისი თქმაც სურდათ?

რაც შეეხება კადრებს. დიახ, კადრების შერჩევაში დაშვებული იქნა შეცდომები. ასეთი „შეცდომები“ მოსდის თავისუფლებისათვის მებრძოლ ყველა რესპუბლიკას. იცვლებიან მინისტრები, პრემიერ-მინისტრები, პარლამენტის წევრებიც. ამაზე საკმაოდ ბევრი იწერება და იმის თქმა, რომ ეს მხოლოდ საქართველოში ხდება, უსამართლობაა. ახლა სხვა კუთხითაც შევხედოთ ამ საკითხს. არჩევნებში გაიმარჯვეს ეროვნულმა ძალებმა, ხელისუფლების სათავეში მოვიდა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“. ვისთვის უნდა გაენაწილებინა თანამდებობები იმ დროს ზვიად გამსახურდიას? – რასაკვირველია, მათთვის, ვისაც ენდობოდა, ვინც

ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში გვერდით ედგა. ამ დროს „კარგ სპეციალისტებზე“ მაღლა „კარგი ქართველის“ დაყენება გამართლებულად მიმაჩნია. იქმნებოდა ახალი სტრუქტურები და აქ სანდო ადამიანები იყო საჭირო. თუ ზოგიერთმა „კარგი ქართველობა“ ვერ დაამტკიცა, ამაში ზვიად გამსახურდიას ნუ დავადანაშაულებთ. შეეძლო მას მაშინ წინასწარ განეჭვრიტა, რომ ის ადამიანი, ვინც ბრძოლაში ტყვიას არ უშინდებოდა, გამინისტრების შემდეგ კორუფციის ჭაობში აღმოჩნდებოდა? შეიძლებოდა წინასწარ სცოდნოდა ზვიად გამსახურდიას, რომ მისი ყოფილი თანამებრძოლი, იდეისათვის მებრძოლი კაცი, თანამდებობის დაკარგვის შემდეგ მის წინაამღდეგ იარაღს აღმართავდა? არის ისეთი პოლიტიკური და ადამიანური საკითხები, რომელთა წინასწარ პროგნოზირება ძნელია. რაც მთავარია, პრეზიდენტს არ უცდია თავისი შეცდომების დაფარვა.

არ შემიძლია ორიოდე სიტყვით არ შევეხო ლოზუნგს: „ჯერ დემოკრატია, შემდეგ – თავისუფლება“. არ იქნებოდა ურიგო, მოგვენახა ამ ლოზუნგის ძირი, პირველწყარო, პირველად ვინ თქვა და სად თქვა. თუ ეს ლოზუნგი ცენტრიდან – მოსკოვიდან მოდის (და ნამდვილად, ცენტრიდან მოდის), რამდენად მიზანშეწონილია ოპოზიციის მიერ ამ ლოზუნგის თავის არსენალში შეტანა? მეტიც, ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ოპოზიცია მორჩილად ასრულებს ცენტრიდან წამოსულ ინსტრუქციებს?

ახლა, კონკრეტულად, – არის თუ არა ჭეშმარიტი და სრული დემოკრატია საქართველოში?– არა, არ არის. ნათქვამია, ფეხი იმდენზე გაჭიმე, რამდენზედაც საბანი გაგწვდებაო. ჩვენში ისეთი და იმნაირი დემოკრატიაა, როგორის საშუალებასაც დღევანდელი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა იძლევა. საქართველოში ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად შეიცვლება ჩვენი კანონებიც (გახდება უფრო დემოკრატიული) და მივუახლოვდებით იმ სასურველ მოდელს, რომელიც სრულყოფილად მიგვაჩნია. არ შეიძლება ერთ თვეში, ერთ წელში, თუნდაც პრეზიდენტის არჩევნების ერთ პერიოდში მოესწროს ყველაფერი იმის გაკეთება და გამოსწორება, რაც 70 წლის მანძილზე არ გაკეთებულა. ისე კი, აბსოლუტურ დემოკრატიაზე ლაპარაკი ჩვენთანაც და სხვაგანაც აბსურდია.

ერთმა ლიტერატორმა წერილი გამოაქვეყნა, რომელიც დაამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავრა სიტყვებით: – „მე პირადად, ძვირფასო მკითხველო, ყვარ-ყვარეობისა მეშინია, ყვარყვარესი –არა! თქვენ?“

ჩვენც, პატივცემულო ლიტერატორო, ყვარყვარეობის რომ გვეშინოდა, იმიტომ ავირჩიეთ ღირსეული კაცი პრეზიდენტად. ოღონდ, მწერლისეული ყვარყვარესაგან განსხვავებით, დღევანდელი ყვარყვარეები უფრო გულმაგრები აღმოჩნდნენ. ის მწერლისეული ყვარყვარე, ასე თუ ისე, დროებით მაინც შეურიგდა დამარცხებას, დღევანდელი ყვარყვარეები კი ისევ თავგამოდებით იბრძვიან.

ოპოზიციის (და არა მარტო ოპოზიციის) გაღიზიანებას ხშირად იწვევს პრეზიდენტის მიტინგებზე გამოსვლები, – მკვახე ლაპარაკი იცისო. შეიძლება ასეც იყოს. დღეს იმდენი ვინმეა ხვრელიდან ამოსაყვანი, იქნებ მართლა სჯობდეს „ენა ტკბილად მოუბარი“, მაგრამ ნურც დიდი ილიას სიტყვებს დავივიწყებთ – „რას მიქვია ტბილი სიტყვა! თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი“. არ სურს პრეზიდენტს თვალთმაქცობა, ლაპარაკობს „ჩანგლიანი“ (ილიას გამოთქმაა) სიტყვებით. და, ბოლოს და ბოლოს, პოლიტიკური მოღვაწე უნდა შეფასდეს არა იმის მიხედვით, თუ რას ლაპარაკობს, არამედ იმით, თუ რას აკეთებს.

ერთი ფაქტიც მინდა აღვნიშნო: მე და ჩემსავით მონური რეჟიმის ქვეშ გაზრდილებს (იყვნენ, რასაკვირველია, გამონაკლისებიც, მაგრამ მე უმრავლესობას ვგულისხმობ) საუბრისა და მიმართვის სხვა ტონი და მანერა გვქონდა – შეშინებული, მლიქვნელური, არაგულწრფელი. ასეთივენი იყვნენ ჩვენი „პირველებიც“. თავიანთი სიტყვა თუ საუბარი ისე უნდა აეგოთ, რომ იქ, ზემოთ, მოსკოვში, კრემლის კარისკაციდან დაწყებული „გენერალურამდე“ ყველას მოსწონებოდა. საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლები ამ სტერეოტიპიდან ამოვარდნილია. იგი თავისუფლად ლაპარაკობს და გამოთქვამს თავის აზრს გორბაჩოვზე, ბუშზე, ელცინზე. ლაპარაკობს არა როგორც მონა ბატონთან, არა როგორც მლიქვნელი, არამედ, როგორც ტოლისტოლი, ერთი ქვეყნის პრეზიდენტი მეორე ქვეყნის პრეზიდენტზე. ჩვენ, ასეთ საუბრებს მიუჩვევლებს, ეს გვიკვირს, გვაღიზიანებს. კარგია ეს თუ ცუდი? პირადად მე მომწონს საქართველოს პრეზიდენტის ეს შინაგანი თავისუფლება, შემართება, რაც ქვეცნობიერად ხალხზეც გადადის და თანდათანობით განვთავისუფლდებით იმ მონური კომპლექსისაგან, საუკუნეობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გვინერგავდნენ დამპყრობლები. თუ ჩვენ თავგამოდებით ვი-ვითხოვთ სიტყვის და საკუთარი აზრის გამოთქმის უფლებას, რა, ზვიად გამსახურდიას ვართმევთ ამას? წელან ვთქვი, თავისუფლად ლაპარაკობს-მეთქი, თავისუფლად და არა უდიერად ან არაკორექ-ტულად. არც ერთი ქვეყნის ხელმძღვანელი ჩვენს პრეზიდენტს უდიერად არ მოუხსენიებია, თავის სათქმელს ამბობს ყოველთვის გულწრფელად და პირდაპირ. გამოითქვა მოსაზრება პუტჩში გორ-ბაჩოვის შესაძლო თანამონაწილეობაზე. პირველად ყველას ემცხ-ეთა. ახლა? ახლა რუსეთისა და საზღვარგარეთის პრესა სერიოზუ-ლად მსჯელობს ამ საკითხზე და ვინ იცის გამოძიება რა სიურ-პრიზებს შემოგვთავაზებს. ისიც უსაყვედურეს, – ბუშს გადაკრული სიტყვა რატომ უთხრაო. არადა, ბუშს უკრაინაში მეტიც აკადრეს, საერთოდ არც დაელაპარაკნენ. ახლა თვითონ აშშ-ს პრეზიდენტსაც არ მოსწონს თავისი ადრინდელი პოლიტიკა, სულ სხვა თვალით უყურებს თავისუფლებისათვის მებრძოლ რესპუბლიკებს. თავის დროზე რუსეთთან და მის ფედერაციაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობაც დაუწუნეს ახლად გამომცხვარმა პოლიტიკოსებმა. აქაც მართალი აღმოჩნდა. რუსეთის ნაქებმა დემოკრატებმა ჩეჩნეთ-ინგუშეთში სანგანგებო წესების შემოღება მოინდომეს. ჩემი აზრით, ყველა პოლიტიკოსი იმის მიხედვით უნდა შევაფასოთ, თუ მათ სიტყვას და მოქმედებას რა სარგებელი მოაქვს საქართველოსათვის. თუ რომელიმე პოლიტიკური მოღვაწე და ქვეყნის ლიდერი ისეთ პოზიციას დაიკავებს, რაც ჩვენი მტრების წისქვილზე დაასხამს წყალს, ასეთ კაცს, რაც არ უნდა პოპულარუ-ლი იყოს, რატომ უნდა ვეფეროთ და ვუგოროთ კოჭი? მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ედუარდ შევარდნაძე უნიჭო და უჭკუო იყოს, როგორც ამას აცხადებენ ზოგიერთ მიტინგზე. ნიჭიერიც არის და ჭკვიანიც, მაგრამ, ვაგლახ, რომ მისი ნიჭი და ჭკუა საქართველოს არ ხმარდება, პირიქით, თავის დროზე საქართველოს ჭკვიან შვილ-ებს თავიანთი ჭკუა და ნიჭი სამშობლოსათვის რომ მოეხმარათ, საქა-რთველოს ბედს მართლაც ვერც ძაღლი დაჰყეფდა და ვერც ძაღლთა-პირი იმპერია.

ზოგიერთი „კეთილი ოპოზიციონერი“ დათმობაზე მიდის და აცხადებს: – კი, ბატონო, ზვიად გამსახურდიას მერაბ კოსტავასთან ერთად ეროვნულ მოძრაობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის, მაგრამ როგორც პრეზიდენტი, ქვეყნის მეთაური, საჭირო სიმაღლეზე ვერ

აღმოჩნდაო. დავიწყებ იმით, რომ ზოგიერთი ურწმუნო ეროვნული მოძრაობაშიც მის მოღვაწეობას ასევე აფასებდა: – რას იკლავს თავს, მაინც არაფერი გამოუვაო. დრომ დაამტკიცა დისიდენტ ზვიად გამსახურდიას არჩეული გზის სისწორე. საყვედურობდნენ: – მშვიდობიანი, პარლამენტური გზა აირჩია, რაც სტრატეგიულად არასწორიაო. დღეს, როდესაც ბალტიისპირეთის რესპუბლიკები უკვე გაეროს კარებთან დგანან, ვხედავთ, რომ საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერის მიერ არჩეული ეს გზაც სწორია. უსაყვედურეს: – საქართველოს პრეზიდენტმა პრეფექტების სახით დიქტატორულ-საპოლიციო ორგანოები შექმნაო. სხვა რესპუბლიკების ხელმძღვანელებმაც მერებისა და პრეფექტურის ეს გზ ა აირჩიეს.

ვინმეს ხომ არ ჰგონია, საქართველოში შექმნილი დღევანდელი სიძნელეები პრეზიდენტის ბრალია? ანალოგიური მდგომარეობა იყო აღმოსავლეთ ევროპაში, ანალოგიური მდგომარეობაა ბალტიისპირეთში, რუსეთსა და სხვა რესპუბლიკებში. ეს ეკონომიკური და პოლიტიკური სიძნელები ის „იმპერიული სენია", თავისუფლებისაკენ მიმავალმა ყველა რესპუბლიკამ რომ უნდა მოიხადოს. ეს სიძნელეები თავიდანვე იყო ჩამონტაჟებული იმპერიის სტრუქტურებში. დღეს, საქართველოს პრეზიდენტი ვინც არ უნდა ყოფილიყო, უარესი, თორემ უკეთესი არაფერი იქნებოდა.

დღეს საქართველოში და, საერთოდ, იმპერიაში მიმდინარე მთელ პროცესს წარმართავს არა რომელიმე პიროვნება, არამედ ისტორიულად შექმნილი სიტუაცია. პიროვნებას შეუძლია დააჩქაროს ან შეანელოს ეს პროცესი, მისი შეცვლა კი არავის ძალუძს. ჩემი აზრით, საქართველოს ახლანდელი პრეზიდენტი ის პიროვნებაა, იმპერიის ბრჭყალებისაგან საქართველოს განთავისუფლებას რომ აჩქარებს.

ერთ პრეზიდენტსა და ერთ მთავრობას საფიქრებლად და თავის სამტვრევად მარტო ის ეყოფოდა, რაც სტიქიურმა უბედურებამ დაატეხა თავს საქართველოს. ამას დავუმატო ცენტრის მიერ ინსპირირებული ეროვნული კონფლიქტები, ომი სამაჩაბლოში, პარტოკრატია, კრიმინალური სამყარო, მაფია, პრეტენზიული უნიჭოები და ხელმოცარული (კომუნისტური რეჟიმიდან მემკვიდრეობით გადმოცემული) კარიერისტები, ეროვნულ მოძრაობას მიტმასნილები. ეს ის უზარმაზარი ძალაა, რომელსაც უპირისპირდება, ვის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანაც ბრძოლა უხდება დღევანდელ მთავრობასა და საქართველოს პრეზიდენტს. ამ დროს ე. წ. „შინაური ოპოზიცია“, იმის მაგივრად, რომ გვერდში ედგას ხელისუფლებას, ცეცხლზე ნავთს ასხამს.

ოპოზიცია მოითხოვს პრეზიდენტის გადადგომას. ჯერ ერთი, რა უფლებით მოითხოვს იმ კაცის გადადგომას, რომელიც მას არ აურჩევია? მეორეც, აქვს კი ოპოზიციას გათვითცნობირებული, რა შეიძლება მოჰყვეს პრეზიდენტის გადადგომას? პრეზიდენტის ამ ნაბიჯს შეიძლება საქართველოს უდიდესი ტრაგედია მოჰყვეს. იმ ადამიანებს, ვინც ხმა მისცა პრეზიდენტს, სჯერათ მისი. სანამ პრეზიდენტი თავის ადგილზეა, ისინი რჩებიან პრეზიდენტის კონტროლის ქვეშ, მაგრამ თუ ისინი ნახავენ, რომ მათმა არჩეულმა პრეზიდენტმა ფუნქცია დაკარგა, ისინი იარაღს აისხამენ, რასაც სამოქალაქო ომი მოჰყვება. თუ დღეს ოპოზიცია იმის იმედით უტევს პრეზიდენტსა და მთავრობის სასახლეს, რომ ხელისუფლებას არა აქვს მორალური უფლება ესროლოს (და, მართლაც, არა აქვს) საკუთარი ხალხს და თუ ამას გააკეთებს, – სახელი გაუტყდებაო, რა შეაჩერებს ასიათასობით შეიარაღებულ ხალხს? აქვს კი შანსი იმ ორას, ორი ათას თუ ათი ათას შეიარაღებულ ოპოზიციას, თუ საქმე იარაღზე და ბრძოლაზე მიდგება, ისინი დაამარცხებენ „მოწინააღმდეგეს“? ანდა შეიძლება ასეთ ბრძოლაში იყოს დამარცხებული ან გამარჯვებული? რომელმა მხარემაც არ უნდა გაიმარჯვოს, დამარცხებული მაინც საქართველო იქნება. ამიტომ ვუჭერ მხარს საქართველოს პრეზიდენტს და ამიტომ მსურს მან ბოლომდე შეასრულოს თავისი მოვალეობა.

ნუთუ ოპოზიციის ყველა მოთხოვნა უსამართლოა? – არა, არ არის ყველა მოთხოვნა უსამართლო, ოღონდ ისინი დღეს ითხოვენ იმას, რაც ხვალ უნდა მოითხოვონ. არ შეიძლება ოქტომბერში დასაკრეფი ვაშლი მაისში დაიკრიფოს. არ შეიძლება სრული დემოკრატიის მოთხოვნა იმ დროს, როცა მონობის ბორკილი ჯერ კიდევ ხელებზე გადევს, სანამ საბჭოთა ჯარი საქართველოში დგას. ერთადერთი მთავარი მიზანი უნდა იყოს მხოლოდ თავისუფლება, რადგან თავისუფლების გარეშე დემოკრატია ციხის კარებიდან იწყება და ფანჯრის გისოსთან მთავრდება. ქუჩაში გამოსულ „დემოკრატებს“ ერთი ჭეშმარიტება უნდა შევახსენოთ: – ქუჩაში ჩატარებული მიტინგი არ უნდა დაემსგავსოს ქუჩის ადამიანების მიტინგს. მაშ, რას ნიშნავს მათ მიერ ქალებისა და ბავშვების ცემა, ლანძღვა-გინება,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუქარა, შანტაჟი.

ვერ დავუჭერ მხარს ოპოზიციის მხარეს დამდგარ თენგიზ სიგუას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ უპრინციპო და უპოზიციო ადამიანად ვთვლი (ბოდიშს ვუხდი ბატონ თენგიზს ასეთი გამოთქმისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა სიტყვა ვერ მოვნახე). მე იმათ რიცხვში ვიყავი, რომლებიც ყოფილი პრემიერ-მინისტრის მიმართ სიმპატიურად იყვნენ განწყობილნი. ეს სიმპატია არც მაშინ განელებულა, როცა ბატონი თენგიზი თავისივე სურვილით გადადგა. როგორც ყველას, ბატონ თენგიზსაც ჰქონდა უფლება ნებისმიერი ადამიანისა და აუდიტორიის წინაშე დაეცვა თავისი შეხედულებები. მაგრამ... თუ ნებით გადადექი, მერე რატომ ტეხ ხმაურს. თუ რაიმე გქონდა სათქმელი, მაშინ გეთქვა იქ, პარლამენტში და როგორც პრემიერს, მაგალითი მიგეცა პარლამენტური დემოკრატიისათვის. ეს გაცილებით უკეთესი იქნებოდა საქმისათვის. ჩემთვის მთავარი მაინც ეს არ არის. მთავარი ის არის, რაც მან შემდეგ გააკეთა. აქ მინდა პატარა გადახვევაც გავაკეთო და პარალელი გავავლო ბატონ თენგიზ სიგუასა და ასევე ყოფილი პრემიერის ნოდარ ჭითანავას საქციელს შორის... ბატონმა ნოდარმა სავარძლის დაკარგვის შემდეგ, როგორც განაწყენებულმა, ლანძღვა-გინება კი არ დაიწყო, – თავის სოფელში წავიდა, ბარსა და თოხს დაუმეგობრდა და ფიზიკურ შრომას მიჰყო ხელი. თქვენ კი, თქვენ ვის გვერდით დადექით, ბატონო თენგიზ? – იმათ გვერდით, ვისაც გუშინ ზვიად გამსახურდიასთან ერთად ებრძოდით. როდის იყავით გულწრფელი და მართალი, – როდესაც გამსახურდიას გვერდით იდექით და ებრძოდით ჭანტურიას, წერეთელს, კომუნისტურ ფუნქციონერებს თუ მაშინ, როცა ტრიბუნაზე მათ გვერდით დადექით და ახლა ზვიად გამსახურდიას ებრძვით? აქვთ კი თქვენს ახლანდელ პარტნიორებს იმის გარანტია, რომ ხვალ ან ზეგ ისევ არ შეიცვლით პოზიციას და უკვე სულ სხვა ძალას არ დაუგებოდით გვერდით, იმათ წინააღმდეგ, ვისთანაც დღეს ალიანსში ბრძანდებოდით? ასევე უპრინციპო და უპოზიციო მგონია ისინი, ვინც თქვენ მიგიღეს. როგორც ჩანს, მათთვისაც მთავარი რწმენა და პარტიული პრინციპები კი არ ყოფილა, არამედ პრეზიდენტის დამხობა, საქმე ისაა, რომ ოპოზიციას პრეზიდენტის სიძულვილის გარდა სხვა არავითარი გეგმა და პროგრამა არ გააჩნია, პრეზიდენტისას რომ სჯობდეს. მაშ, რატომ დავდგე იმათ გვერდით, ვინც, ამბიციებით შეპყრობილი, პრეზიდენტის წინააღმდეგ

იბრძვის და არა საქართველოს თავისუფლებისათვის. რატომ დავდგე იმ ადამიანების გვერდით, რომლებიც თავიანთ პოლიტიკას სიცრუეზე აგებენ?

თუნდაც იგივე თენგიზ სიგუა. მან ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, – გია აბესაძემ თავი გამსახურდიასადმი პროტესტის ნიშნად დაიწვაო. ეს ხომ აშკარა ტყუილია. როგორც ცნობილია, ბალტიისპირელმა მოქალაქემ წითელ მოედანზე დაიწვა თავი და ამით გამოიხატა თავისი პროტესტი კრემლისადმი, თუ სულმნათ გია აბესაძეს პრეზიდენტისადმი პროტესტი სურდა, მაშინ პრეზიდენ-ტის რეზიდენციის წინ დაიწვავდა თავს და არა ოპოზიციის ბარიკადების წინ.

რატომ უნდა დავდგე იმ ადამიანების გვერდით, რომლებიც გაიძახოდნენ, – ზვიად გამსახურდია იანაევის პუტჩის თანამონა-წილეაო და ტყუილი აღმოჩნდა. ზვიად გამსახურდიამ შავნაბადაზე 60 კაცი მოკლაო, – ტყუილი აღმოჩნდა. ზვიად გამსახურდიამ იმელის შენობის წინ ხალხი დახოცა და გადამალაო, – ტყუილი აღმოჩნდა. ზვიად გამსახურდიამ ქართველების დასახოცად ჩეჩენ-ინგუშები ჩამოიყვანაო, – ტყუილი აღმოჩნდა. ზვიად გამსახურდიამ რაიონებიდან თავისი მომხრეები ქრთამით ჩამოიყვანაო(თურმე 30 კგ. შაქრის ფასად), – ტყუილი აღმოჩნდა. ზვიად გამსახურდია 4-5 ოტომბერს უზენაესი საბჭოს წინ მისულ ოპოზიციას „იქით" დაესხა თავს და ხალხი დახოცაო. ეს ისეთი ტყუილია, რომლის მოწმე და მნახველი მე თვითონა ვარ. იმ ღამეს უზენაესი საბჭოს შენობის წინ ვიყავი და კარგად ვიცი, ვინ ვის დაესხა თავს. ტყუილების სიის გაგრძელებას შეიძლება, მაგრამ, მე მგონი, საკმარისია. ყოველივე ამის შემდეგ რა გარანტია მაქვს, რასაც ისინი მომავალში მეტყვიან, ტყუილი არ იქნება? ზვიად გამსახურდიას აზრს, შეიძლება, არ დაეთანხმო, მაგრამ ეს ის კაცია, ტყუილს რომ არ იტყვის.

როგორ ან რატომ ვენდო მე ოპოზიციის მხარდამჭერ პრესას, რომელიც ასეთ რამეს დაწერს: „სამდღიანი დემონსტრაციები საქართველოში შემავალ ჩეჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკაში მას შემდეგ დასრულდა, რაც ადგილობრივი ოფიციალური პირის თხოვნით აქ ჩამოვიდა რუსეთის დელეგაცია, რათა მომხდარ ეთნიკურ კონფლიქტში მომრიგებლის როლი ეთამაშა" (ვაშინგტონ ტაიმსი", 30 ოქტომბერი, 1991 წ). ანდა, ცენტრალური ტელევიზიის მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია – საქართველოდან თავიანთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეზე წასული ადამიანები გაქცეულ ინტელიგენტებად ითვალ გამოაცხადა. ამ დროს ბატონი ჯანსუღ ჩარკვიანი თბილისიდან საერთოდ არ გასულა და როგორც გამოირკვა, ხელისუფლებას თავის სამუშაო ოთახში, მთავარი რედაქტორის კაბინეტში „ემალებოდა", ისე, რომ სამთავრობო ტელეფონიც არ ჰქონდა გამორთული. კიდევ კარგი, ბატონმა რობერტ სტურუამ დეპეშა გამოაგზავნა, – „ვრემიას" არ ენდოთო. მე და ბევრი სხვაც არ ენდობა, მაგრამ რა ვუყოთ ოპოზიციის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც არათუ ენდობიან ასეთ ინცორმაციას, არამედ თავად აწვდიან მას და, მოლა ნასრედინის არ იყოს, თავიანთ მოგონილ ტყუილს თვითონვე იჯერებენ, ხელზე იხვევენ და ჩირქს სცხებენ ეროვნულ მთავრობას და საქართველოს.

როგორ ვენდო და დავდგე იმ ადამიანების გვერდით, რომლებიც, გამსახურდიას სიძულვილით გონებადაბნელებულნი, მოსკოვში გარბიან და კრემლთან ამყარებენ კავშირს – იმ კრემლთან, რომლის ბრჭყალებიდან განთავისუფლებას ასე თავგამოდებით ცდილობს საქართველო. ოპოზიცია ხშირად ახსენებს მერაბ კოსტავას, ცდილობს თავის თანამოაზრედ წარმოადგინოს იგი, მაგრამ შეიძლება ვინმემ წარმოიდგინოს მერაბ კოსტავა, დახმარების სათხოვნელად კრემლის ბინადრებთან ჩასული?

რადგან კრემლი ვახსენე, ორიოდ სიტყვას „კრემლის აგენტებზე" და „ერის მოღალატეებზე" ვიტყვი. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ნათლად და გარკვევით გამოხატა თავისი პოლიტიკური მრწამსი, – იმპერიის შენარჩუნება და ამ იმპერიაში საქართველოს დარჩენის სურვილი. ახლა მე მინდა ასეთი კითხვა დავსვა: – რა შეიძლება ეწოდოს იმ ადამიანის საქციელს, რომლებიც იზიარებენ ედუარდ შევარდნაძის, კრემლის ერთ-ერთი მესვეურის, შეხედულებებს და გვერდით უდგანან მას? ღმერთმა დამიფაროს, ვინმეს „კრემლის აგენტი" ვუწოდო, მაგრამ ასეთ ადამიანებს რა ვუწოდო? როგორც ვიცით, ქართველმა ხალხმა ერთსულოვნად გამოხატა თავისი ნება – გამოვიდეს იმპერიის შემადგენლობიდან. ღმერთმა დამიფაროს, ვინმეს „ერის მოღალატე" ვუწოდო, მაგრამ რა ვუწოდო იმ ადამიანებს, რომლებიც ერის სურვილის საწინააღმდეგოდ მიდიან? ბატონი პრეზიდენტი ალბათ ამგვარ „აგენტებზე" ამბობს, თორემ ვინ დაიჯერებს, თითქოს ქალბატონი ლანა ღოღობერიძე რომელიმე ქვეყნის საიდუმლო სამსახურის აგენტი იყოს (თუმცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ჯამაგირიანი და დანომრილი აგენტები აკლია საქართველოს).

შევეცდები, ჩემს დასმულ კითხვებს, შეძლებისდაგვარად, თვითონვე ვუპასუხო. იქნებ ასეთ ადამიანებს „სხვაგვარად მოზროვნენი“ ვუწოდოთ, სხვა შეხედულებების მქონენი, „სხვა პლატფორმაზე მდგომნი“. თუ ეს ასეა, მაშინ რას ვერჩით შადიმან ბარათაშვილს, ბაღვაშს, ყორღანაშვილს; რას ვერჩით სხვა პლატფორმაზე მდგარ ილიას მკვლელ ბერბიჭაშვილს; სხვანაირად მოაზროვნე, თბილისის აღებისათვის ორდენით დაჯილდოებულ სერგო ორჯონიკიძეს; სხვა შეხედულების მქონე ქართველ ბოლშევიკებს, წითელ ჯარს რომ შემოუძღვნენ საქართველოში; რას ვერჩით მთელი მსოფლიოს პროლეტარიატზე ფიქრით ტანჯულ ჯუღაშვილს, თავის სამშობლოს მონის უღელი რომ დაადგა.

რასაკვირველია, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ოპოზიციაში მყოფთ სამშობლოს ბედი არ აინტერესებთ, სამშობლო არ უყვართ. დიახ, საქართველო იმათაც თავისებურად უყვართ. ისინი ფიქრობენ, – გზა, რომელიც მათ აირჩიეს, საქართველოსათვის უფრო სასარგებლოა, მაგრამ ვინ უნდა იყოს მსაჯული, ამ ორი გზიდან რომელია სწორი?

ჩემი აზრით, მსაჯული ხალხი უნდა იყოს, დიახ, ხალხი. რამდენიც არ უნდა უწოდონ ბრბო და სუნიანი, მხოლოდ ხალხი არჩევს უშეცდომოდ მტყუანსა და მართალს, ყველას და ყველაფერს თავის სახელს არქმევს. სწორედ ხალხმა გამოუტანა საბოლოო განაჩენი ბაღვაშებს და ორჯონიკიძეებს. დღესაც სწორედ ხალხმა განსაზღვრა საქართველოს მომავალი, ხმა მისცა იმპერიიდან საქართველოს გამოყოფას, საქართველოს თავისუფლებას და ამ დიდ ბრძოლას სათავეში ზვიად გამსახურდია ჩაუყენა. მეც ამიტომ ვუჭერ მხარს საქართველოს პრეზიდენტს და მწამს, – ამით მხარს ვუჭერ ქართველი ხალხის ნებასა და სურვილს.

მე მჯერა, ოპოზიციას ბევრი წარმომადგენელიც მივა ამ ჭეშმარიტებამდე და შეიცვლის თავის შეხედულებებს. მანამდე კი განსხვავებული აზრისათვის ტალახისა და ქვების სროლას ნუ დავუწყებთ ერთმანეთს. საქართველო მარტო ჩვენ, ცოცხლებს არ გვეკუთვნის, საქართველო იმათიცაა, ვინც ჩვენამდე ცხოვრობდა და იმათიც, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა. ამიტომ არ შეიძლება სამშობლოსთან ურთიერთობას მარტო ჩვენი, პირადი ცხოვრება დაედოს საფუძვლად. საქართველოს დღევანდელმა შვილებმა

ხვალინდელ საქართველოზეც უნდა ვიფიქროთ; უნდა ავიტანოთ გაჭირვება, შიმშილი, სიცივე. არ შეიძლება დღევანდელი კარგი ცხოვრებისათვის ისეთი რამ ჩავიდინოთ, ისეთ რამეს მოვაწეროთ ხელი, რომ შემდეგ ის ხელმოწერა ხვალინდელ საქართველოს ბორკილად ექცეს. ამიტომ ერთხელ კიდევ უნდა განვსაჯოთ, გავიაზროთ, პირადული კარგი ცხოვრება გვინდა თუ სამშობლოს კარგად ყოფნა, კაბინეტებში, ფეხზე ადგომით, კარგი მიღება უფრო გვაწყობს თუ დაჩოქილი საქართველოს ფეხზე წამოდგომა.

ადრე ვთქვი და ისევ ვიმეორებ, სულაც არა მაქვს პრეტენზია ერთადერთ ჭეშმარიტებას მე ვლაღადებდე. შეიძლება, ჩემი პოზიცია და მსჯელობა ჩემი აზროვნების დონეზეა და მე ვცდები. იქნებ არის სხვა, დიდი ჭეშმარიტება, რომელსაც მე ვერ ვწვდები, ვერ ვაანალიზებ. არ შეიძლება არცოდნისათვის ადამიანს შეურაცხყოფა მიაყენო, ეს არც დემოკრატობაა და არც ინტელიგენტობა. ამიტომ მე დიდი ინტერესით წავიკითხავდი იმ კაცის წერილს, ვინც მხარს არ უჭერს საქართველოს პრეზიდენტს, ოღონდ ეს წერილი არ უნდა იყოს აგებული ისეთ სიცრუეზე, ზემოთ რომ ვილაპარაკე, ანდა ისეთზე, პროფესორი ნოდარ ლომოური რომ წერს გაზეთ „დროში“: „4-5 ოქტომბერს ღამით რუსთაველის პროსპექტზე მომხდარ შეტაკებებში ბრალი მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებას მიუძღვის“. რატომ, რატომ მიუძღვის ბრალი ხელისუფლებას? რას ეყრდნობა, რა საფუძველი, რა საბუთი გააჩნია ბატონ პროფესორს ასეთი კატეგორიული განცხადებისათვის? მარტო სურვილი არგუმენტად არ გამოდგება. მე იქ ვიყავი და ვიცი, როგორ იყო, ვინ ვის დაესხა თავს. თუ პირველი შეტაკება, ზოგიერთი ოპოზიციონერის მტკიცებით, გაუგებრობის, ნერვიული დაძაბულობის შედეგად მოხდა, ორი საათის შემდეგ ოპოზიცია რატომ მივიდა მთავრობის სახლის წინ, რატომ ატეხა სროლა? იქნებ პროფესორის მიერ კატეგორიული დასკვნის გაკეთებას ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჯობდა. თუ მის ლოგიკას გავყვებით, რა გამოვა? თურმე მე შემიძლია (ღმერთმა დამიფაროს ასეთი მკრეხელური აზრისაგან) სახლში შევუვარდე ბატონ პროფესორს, ვლანძღო, ვაგინო, ერთი-ორჯერ ალიყურიც ვუთავაზო, თუ თავის დაცვა მოინდომა, ტყვიაც ვესროლო, შემდეგ გამოვიდე ქუჩაში და ყვირილი დავიწყო: – ნოდარ ლომოური თავს დამესხა-მეთქი. მართალი ვიქნები?

ტყუილზე აგებულ არც პოლიტიკას და არც სიტყვას დიდი ხნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლე არ უწერია. ამიტომ ვწეროთ სიმართლე, მწარე, მაგრამ მაინც სიმართლე. სიმართლე კი ერთია – თუ გვსურს საქართველოს კეთილდღეობა, პოზიციაც და ოპოზიციაც ერთად უნდა იყოს. ცნობილია, პოსტდამში მოსალაპარაკებლად ჩასულ ჩერჩილს ოპოზიციას ლიდერიც ჩაუყვანია: – ჩვენ რომ რამე მოგვივიდეს, საქმე ოპოზიციამ უნდა გააგრძელოსო. მე ასე მესმის, –ნამდვილი ოპოზიცია უნდა იყოს კეთილგანწყობილი და არა ჩასაფრებული. ოპოზიციის ხელისუფლების შეცდომა კი არ უნდა უხაროდეს, უნდა სწყინდეს. ამ შეცდომებს მსოფლიოს კი არ უნდა უფრიალებდეს თვალწინ, არამედ ხელისუფლებასთან ერთად ცდილობდეს მის გამოსწორებას, შეცდომები კი ხელისუფლებასაც და პრეზიდენტსაც, სამწუხაროდ, მოსდით (ისინი ამას არ მალავენ).

ერთიც უნდა ვთქვა: – ოპოზიციაში დგომა სულ ფეხზე დგომას არ უნდა ნიშნავდეს. ჩვენი პარლამენტარები კი სულ ფეხზე დგანან, მიკროფონებთან წინასწარ იკავებენ რიგს. მაყურებელს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მათი ერთადერთი სურვილია ხელისუფლების ნებისმიერი წინადადების თუ გადაწყეტილების ბლოკირება. იქნებ ამგვარ დაპირისპირებას, ასევე ქუჩაში ნაგვის დაყრას და ბარიკადების აგებას კონსტრუქციული დიალოგი სჯობდეს. იქნებ ერთმანეთისათვის ტყვიების სროლას ჭეშმარიტების დამკვიდრების ცივილიზებული ფორმები ვარჩიოთ. კი, ბატონო, ვიმსჯელოთ, ვიკამათოთ, ოღონდ ნუ შევიძულებთ ერთმანეთს, რამეთუ მხოლოდ სიყვარულით, ერთმანეთის თანადგომით შეიძლება აშენდეს ის დიდი და თავისუფალი საქართველო ჩვენ ყველას რომ გვეოცნებება. ოცნებას კაცი არ მოუკლავს... ნურც ჩვენ დავხოცავთ ერთმანეთს, რამეთუ პოზიციაც და ოპოზიციაც საქართველოს სისხლი და ხორცია, მისი განუყოფელი ნაწილია.

P.S. წერილი დამთავრებული მქონდა, როდესაც ხელში ჩამივარდა პარიზში გამომავალი ქართულენოვანი ჟურნალი „ჩვენი დროშა“ (პარიზი, 1991 წ. აგვისტო). ამ ჟურნალში გამოქვეყნებულმა სტატიამ – „საქართველო მორიგი სიძნელების წინაშე“, მაიძულა ეს დამატებითი ინფორმაცია მიმეწოდებინა მკითხველისათვის.

მიმდინარე წლის 23 აგვისტოს (მკითხველს ვთხოვ, ყურადღება მიაქციოს თარიღს – 23 აგვისტოს), გაზეთ „ლიტერატურულ

საქართველოში“ დაიბეჭდა ჩემი ლექსი – „სულის მისია“, რომელიც ეძღვნება ბატონ ზვიად გამსახურდიას. ჩემდა გასაოცრად, ამ ლექსმა უჩვეულო რეაქცია გამოიწვია. ზოგიერთმა ჩემმა კოლეგამ საყვედური მითხრა, ქუჩის ოპოზიციის ტრუბადურებმა ჩემი ლანძღვის თემად აქციეს. ამას დაემატა პარიზში გამომავალი ქართულენოვანი ჟურნალი „ჩვენი დროშა“, სადაც მისი რედაქტორი ბატონი ლევან ფაღავა წერს: „ასეთი პირმოთნე, დაკნინებული ლექსით ის ამცირებს პრეზიდენტის პიროვნებას და ავტორიტეტს და თვითონ კი შეურაცხყოფს პოეტის საპატიო სახელს“. ცოტა ნამეტანი კია, მაგრამ კაცი პარიზში შენს ლექსს რომ წაიკითხავს, იმან ლანძღვა კი არა, ქვების სროლაც რომ დაგვიწყოს, მხოლოდ მადლობა უნდა უთხრა... და მაინც რამდენიმე სიტყვას ვიტყვი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ლექსი დაიბეჭდა 23 აგვისტოს. ლექსის დაბეჭდვა კი მე და „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორმა ბატონმა სოსო სიგუამ გადავწყვიტეთ 20 აგვისტოს. დიახ, 20 აგვისტოს, როცა პუტჩი ზენიტში იყო. ასე რომ, „პირმოთნე“ ლექსი რა ფასად დაგვიჯდებოდა ავტორსა და რედაქტორს, ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო. ლექსს არ ჰქონია დიდი მხატვრულობის პრეტენზია. მისი ერთადერთი მიზანი იყო ჩვენი ქვეყნისათვის (და არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის) მძიმე ჟამს საქართველოს პრეზიდენტის გამხნევება და გვერდში ამოდგომა. კი, ბატონო, შეიძლება ლექსი „დაკნინებული“ იყოს და ძალიან ცუდიც, მაგრამ რა შუაშია საქართველოს პრეზიდენტის „დამცირება“ და მისი ავტორიტეტის შელახვა. არათუ ჩემი სამსტროფიანი ლექსი, ყოფილი იმპერიის უზარმაზარი საპროპაგანდო მანქანა მთელ მსოფლიოში ცდილობს მის „დამცირებას“, მაგრამ არაფერი გამოსდის. ახლა კი ვნახოთ, ვინ ამცირებს და ვინ ულახავს ავტორიტეტს პრეზიდენტს.

„რადგან სამშობლო ერქვა შენს სურვილს“, – ვწერ მე ზვიად გამსახურდიასადმი მიძღვნილ ლექსში.

„ქართველმა ერმა თქვენ მიგიღოთ მის ძნელბედობის ხანაში ხელგაშლილობით და ის არ გაპატიებთ ამ თქვენს დაუშვებელ ცოდვას“, – წერს ლევან ფაღავა ზვიად გამსახურდიაზე. მე ჩემს ლექსში ბატონ ზვიად გამსახურდიას „საქართველოსათვის შეწირულს“ ვუწოდებ. ბატონი ლევან ფაღავა, დასავლეთის პრესაზე დაყრდნობით, მას „დიქტატორად“ და „მოძმეთა სისხლის დამღვრელად“

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვლის. საინტერესოა, რომელია ჩვენ შორის საქართველოს პრეზიდენტის „დამამცირებელი“ და „ავტორიტეტის შემლახავი“. სამწუხაროდ, ბატონი ლევან ფაღავას პარიზში გამოქვეყნებულ წერილში თბილისური ოპოზიციის შეძახილი ისმის. ბატონი ლევანი წერს: –„ლიტერატურული საქართველოსა“ და მისი პატივცემული კოლეგიის საყურადღებოდ ვიტყოდი, თავი დაანებონ ბოლშევიკური ყაიდის საქებარი, მლიქვნელური „ლექსების“ გამოქვეყნებას“. რჩევა მისაღებია, მაგრამ, მე მგონია, არც ჟურნალში „ჩვენი დროშა“ ბოლშევიკური სიცრუით სავსე წერილების გამოქვეყნება უნდა იყოს მოსაწონი. თუ მე, ყოფილ კომუნისტს, ბოლშევიკები ნათესავად მეკუთვნიან, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჟურნალის რედაქციისათვის ისინი გაცილებით უფრო ახლობლები არიან. ბოლშევიკური ურჩხული სწორედ სოციალ-დემოკრატების პირმშოა.

რაოდენ სამწუხაროა, რომ ზოგიერთი ჩვენი საზღვარგარეთელი თანამემამულე იმის ნაცვლად, რომ გვერდში ამოუდგეს ხალხის მიერ არჩეულ მთავრობას, დეზინფორმაციის ბადეში გახვეული, საქართველოს მტრების წისქვილზე ასხამს წყალს. თუმცა, რაღა შორს მივდივართ: განა ჩვენი, აქაური თანამემამულეები არ სჩადიან ამგვარ უღირს საქციელს?! რამდენჯერ გვინახავს, ცენტრალურ ტელევიზიაში თბილისელი ოპოზიციონერი როგორ გულმოდგინედ ლანძღავდა ზვიად გამსახურდიას, ეროვნულ მთავრობას, ლანძღავდა თავის სისხლსა და ხორცს და სიტყვაც არ დაუძრავს იმაზე, თუ როგორ დაწვეს ოსმა ექსტრემისტებმა ოთხი ქართველი ვაჟკაცი; არ უთქვამს, – ქართველ კაცს მის თვალწინ როგორ გაუუპატიურეს ცოლი და ქალიშვილი და ამგვარი შეურაცხყოფით გაგიჟებულმა როგორ მოიკლა თავი. წამიკითხავს ცენტრალურ პრესაში საქართველოში „დევნილი და შევიწროებული“ ქალბატონი ლანა ღოღობერიძის დასაცავი წერილი, რომელსაც ხელს აწერდნენ ევროპისა და მსოფლიო სახელის მქონე კინომოღვაწეები, მაგრამ ვაი, რომ არსად წამიკითხავს არავისი და მათ შორის არც ქალბატონი ლანას წერილი იმ 90 წლის ქართველ ქალზე, სახლიანად რომ დაწვეს სამაჩაბლოში. ნუთუ ბატონი თენგიზ სიგუა ამას ეძახის „საინფორმაციო ომის მოგებას“? არ შეიძლება, სამშობლოდამარცხებული კაცი გამარჯვებული იყოს. რა მოგვდის, ისეთი რა დემონი ჩაგვსახლებია სულში ასე რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაბრმავებს და გვაყრუებს, ასე გვაძულებს ერთმანეთს? რაზეც უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი „დაფასებისთვის", უსათუოდ „დაფასებისთვის" კეთდება? რატომ არ შეიძლება, ყოველგვარი ანგარების გარეშე პატივს სცემდე ადამიანს და გწამდეს მისი?

როგორც ჩანს, ჩემი ლექსის „მლიქვნელობა", ფაღავას აზრით, ბატონი ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობამ განსაზღვრა. ახლა ჩემს ოპონენტებს ჩემი „მლიქვნელობის კიდევ ორიოდ მაგალითს მივაწვდი. ამ რამდენიმე წლის წინათ პრესაში გამოქვეყნდა წერილი, რომლის ავტორებიც მოითხოვდნენ ზვიად გამსახურდიას მწერალთა კავშირის წევრად აღდგენას და მისი დევნის შეწყვეტას. მცირერიცხოვან „მლიქვნელ" ხელმომწერთა შორის ჩემი გვარიც იყო. ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის დროს გაზეთმა „თბილისმა" გამოაქვეყნა ჩემი ლექსი–„გაბაასება მერაბ კოსტავას სულთან", სადაც მერაბ კოსტავას „ქრისტესმიერი ძმა" იყო ნახსენები. ეს „სამლიქვნელო" ლექსიც მაშინ დავწერე, ფილარმონიის დარბაზში ზვიად გამსახურდიას მტერიც და ყოფილი მეგობრებიც ერთად რომ ლანძღავდნენ. მეორე „სამლიქვნელო" ლექსისთვისაც სწორედ პუტჩის დღეები შევარჩიე. ერთი „საიდუმლოც"უნდა გავამხილო, – გამსახურდიების გვარის „მლიქვნელობის" დიდი გამოცდილება მაქვს. წინასწარ განვჭვრიტე რა ბატონი ზვიად გამსახურდიას საპრეზიდენტო მომავალი, „პირმოთნე" ლექსი 30 წლის წინათ დავწერე და იგი მომავალი პრეზიდენტის მამას – ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას მივუძვენი. რაკი ერთხელ „შევცოდე", გაჩერება ძნელი აღმოჩნდა. დღეისათვის ჩემს „სამლიქვნელო" პოეზიაში შესულია ლექსები, რომლებიც მივუძღვენი ივანე ჯავახიშვილს, გალაკტიონ ტაბიძეს, ტიციან ტაბიძეს, პაოლო იაშვილს, პავლე ინგოროყვას, გიორგი ლეონიძეს, მუხრან მაჭავარიანს, ბაჩანა ბრეგვაძეს, ანზორ ერქომაიშვილს, პოეტსა და მეცნიერს – შოთა ლომსაძეს, მერაბ ბერძენიშვილს, ელგუჯა ამაშუკელს, კობა გურულს, არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას, რეჟისორ ნანა დემეტრაშვილს, ოლიმპიურ ჩემპიონს ნინო სალუქვაძეს, მომღერალ ნოკო ხურციას, სრულიად ახალგაზრდა მხატვარს რუსუდან ფეტვიაშვილს, ცნობილ მევენახეს ბაგრატ დევნოსაძეს, მეცხვარეებს ვლადიმერ ხართიშვილს და ფშაველა ღუდუშაურს. ლექსი მივუძვენი ცოცხალ მერაბ კოსტავას. მანეს იცოდა. ეს ლექსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა მისი ტრაგიკულად დაღუპვის ზუსტად მეორე დღეს გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“, „შავლეგოს“ სახელწოდებით.

ნათქვამია, ჩვევა რჯულზე უმტკიცესიაო, ვატყობ, ვერც მომავალში მოვიშლი საქართველოს ღირსეული შვილების წინაშე „მლიქვნელობას“ – ლექსების მიძღვნას. ვხედავ შენს ირონიულ ღიმილს, ოპონენტო, კი, კომუნისტური პარტიის წევრი ვიყავი და ახალგაზრდობაში ლენინზეც მაქვს ლექსი დაწერილი, რასაც ხშირად მიკიჟინებენ დღეს თავის დროზე ჩემზე უფრო მაგარი კომუნისტები და ლენინელები.

ვერც ირონიული ღიმილით, ვერც შანტაჟით, ვერც ლანძღვა-გინებით, ვერც მუქარითა და სახლში მოვარდნით ვერ გამაჩუმებთ, არ გამოვა. მთელი ცხოვრება სიბნელეში გავატარე, ახლა, სიცოცხლის მიწურულს, გვარაბის ბოლოს სინათლეს ვხედავ. ეს სინათლე ჩემი სამშობლოს თავისუფლებაა. მეც ფარვანასავით ამ სინათლისკენ მივისწრაფვი. თუ დავიწვები, არც ვინანებ.

1991 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივიღო თუ არ მივიღო არჩევნებში მონაწილეობა?

წერილი, რომელსაც მკითხველს ვთავაზობ, გასული წლის დეკემბერში დაიწერა და მაშინვე წავაკითხე ბატონებს: მუხრან მაჭავარიანს, ელიზბარ ჯაველიძეს, ვახტანგ ბოჭორიშვილს, ნოდარ წულეისკირს, თენგიზ კიკაჩეიშვილს, ირაკლი გოცირიძეს, ვახტანგ ცაგარეიშვილს, სხვებსაც. გამოხმაურება არაერთგვაროვანი იყო. ზოგიერთებმა მირჩიეს მისი დაბეჭდვისაგან დროებით თავი შემეკავებინა... ახლა, როცა არჩევნების საკითხი ასე მწვავედ დგას, საჭიროდ ჩავთვალე მისი გამოქვეყნება. ეს არის ერთი რიგითი ამომრჩევლის ნააზრევი, რომელსაც შეიძლება ზოგი დაეთანხმოს, ზოგი – არა. ამიტომ ოპონენტების აზრს დიდი გულისყურით მოვისმენ. არჩევნებზე საუბარი არჩევნებში მონაწილეობას არ ნიშნავს. მზად ვარ მოსაზრება შევიცვალო, თუ დამაჯერებელ არგუმენტებს წარმომიდგენენ.

ნათქვამია: შეხედულება იმას არ შეუცვლია, ვისაც ჭეშმარიტება არასოდეს უძებნიაო.

ჭეშმარიტების პოვნა კი ნამდვილად მსურს.

პირველ რიგში ველი ბატონ ზურაბ კვარაცხელიას პასუხს.

ნ. ჯ.

ამ წერილის დასაწერად მიბიძგა გაზეთ „თავისუფალ საქართველოში“ (1994 წ; 10-17 ნოემბერი) გამოქვეყნებულმა ზურაბ კვარაცხელიას წერილმა სათაურით „უკანონო რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის მშვიდობიანი მეთოდები“. ამ წერილით ირკვევა, რომ „მრგვალი მაგიდა“ არსებული რეჟიმის პირობებში არ აპირებს უკანონო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას; მაგრამ მას, „მრგვალ მაგიდას“ აინტერესებს „მრგვალი მაგიდის“ გარეთ არსებული, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაცვის კონვენციაზე ხელმომწერი ორგანიზაციების აზრი და პოზიცია. სავსებით დროული და საჭირო კითხვაა დასმული, ვინაიდან ე. წ. არჩევნები კარზეა მომდგარი. სანამ ძირითად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათქმელს ვიტყოდე, მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა კონვენციაზე. რასაკვირველია, ეს იქნება არაპროფესიონალის აზრი. არჩევნებთან დაკავშირებით „მრგვალმა მაგიდამ“ არათუ კონვენციაზე ხელმომწერებთან, არამედ სხვა პოლიტიკურ ძალებთანაც უნდა ეძებოს დაახლოების წერტილი. პოლიტიკური კავშირი, ჩემი აზრით, არ ნიშნავს ერთი მხარის მეორისადმი უსიტყვო მორჩილებას. „მრგვალი მაგიდისა“ და კონვენციაზე ხელისმომწერთა ერთადერთი მიზანი დღეს უნდა იყოს უკანონო ხელისუფლების გადაყენება. ყველაფერ დანარჩენზე შემდეგ უნდა იყოს ლაპარაკი. ამიტომ კარგი იქნებოდა, ბატონ ზურაბს ეთქვა, რაში გამოიხატება კონვენციაზე ხელისმომწერთა სიტყვის და საქმის სხვადასხვაობა. მართალია, მე არა ვარ არც „მრგვალი მაგიდის“, არც კონვენციაზე ხელისმომწერი ორგანიზაციების და, საერთოდ, რომელიმე პარტიის, საზოგადოების თუ კავშირი წევრი, მაგრამ ვარ ჩემი ქვეყნის მოქალაქე, ჩემი სამშობლო ჩემი პარტიაა. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ისე მოვიქცე, როგორც ჩემი ქვეყნისთვის იქნება სასარგებლო... „მრგვალი მაგიდა“ კი ის პოლიტიკური გაერთიანებაა, რომელსაც მე თავის დროზე ვუჭერდი მხარს. ახლაც ვუჭერ და მომავალშიც დავუჭერ, თუ ის ღირსეულად გააგრძელებს იმ ადამიანის გზას, რომელმაც ის შექმნა. კერპთაყვანისმცემელი არასოდეს ვყოფილვარ და არც მომავალში ვიქნები. ჩემთვის სახელი და სახელწოდება არ არის მთავარი, არამედ ის, თუ ვინ რას აკეთებს. გასაკეთებელი საქმე კი ამჟამად ერთი უნდა იყოს – საქართველოს ხსნა კატასტროფისაგან, ბრძოლა მისი უკეთესი მომავლისათვის. რასაკვირველია, ჩემს აზრს და შეხედულებას თავზე არავის ვახვევ, არც იმის პრეტენზია მაქვს, რომ ერთადერთ ჭეშმარიტებას ვღაღადებ. მე ერთი რიგითი ამომრჩეველი ვარ და ჩემი წერილიც ამ პოზიციიდან არის დაწერილი. ეს კითხვა კი ალბათ მილიონობით ადამიანს აწუხებს.

„მივიღო თუ არ მივიღო არჩევნებში მონაწილეობა?“ – ეს კითხვა 1992 წლის არჩევნებში ჩემთვის, და არა მარტო ჩემთვის, არ არსებობდა. საქვეყნოდ განვაცხადე, რომ ჩემი ხმა უკვე მივეცი და 5 წლით არჩეული მყავს კანონიერი უზენაესი საბჭო და საქართველოს პრეზიდენტი. მე ჩემი არჩევნის ერთგული დავრჩი ბოლომდე. მომავალ წელს იწურება ვადა ჩემს მიერ არჩეული უზენაესი საბჭოსი. როგორ მოვიქცე? რასაკვირველია, იურიდიულად და მორალურადაც თავისუფალი ვარ და შემიძლია ის გა-

ვაკეთო, რასაც საჭიროდ ჩავთვლი, მაგრამ თუ დარწმუნებულიყავი-ვიქნები, რომ არჩევნებში მონაწილეობით ჩემი ქვეყნის სასარგებლო საქმეს ვაკეთებ, რასაკვირველია, არც მომავალ არჩევნებში მივიღებ მონაწილეობას. ჩემთვის არჩევნებში მონაწილეობა თვითმიზანი არ არის, არც „მრგვალი მაგიდის" პრინციპებთან (თუნდაც ამ საკითხებში) დაპირისპირებაა სასიამოვნო. არამგონია, მარტო მე ვფიქრობდე ასე. ალბათ ასე ფიქრობს ის ასიათასობით ამომრჩეველი, რომელმაც თავის დროზე ხმა მისცა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" კანდიდატებს.

მაინცრა მიაჩნია ბატონ ზურაბს არჩევნებში არმონაწილეობის უმთავრეს არგუმენტად? – „მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ პარლამენტური ბრძოლის გზაზე დადგომა ნიშნავს ვაღიაროთ და ვცნოთ ამ რეჟიმის კანონიერება, მონაწილეობა მივიღოთ მის მიერ დანიშნულ არჩევნებში, დავაკანონოთ მისი უკანონო მმართველობის დანაშაულებრივი შედეგები – ტერიტორიის დაკარგვის ჩათვლით, ანუ ვაღიაროთ და ვცნოთ საქართველოს დე ფაქტო მდგომარეობა დე იურედ. ვიმეორებ, ჩვენთვის ეს მიუღებელია, ქართველი ერის და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე". კატეგორიულად და სწორადაც არის ნათქვამი. ამის შემდეგ არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე ლაპარაკი ნიშნავს, – ქვა ააგდო და თავი შეუშვირო, შეიძლება თავთან ერთად სახელიც გაგიტყდეს. მაგრამ, დღევანდელი საქართველოს შემყურე, საკუთარ თავსა და სახელზე ფიქრი უზნეობაა. ამან მაიძულა ამ წერილის დაწერაც. დარწმუნებული ვარ ავტორის გულწრფელობაშიც, მაგრამ მთლად არა ვარ დარწმუნებული დღევანდელ საქართველოს „მრგვალი მაგიდის" ამგვარმა პოზიციამ სარგებლობა მოუტანოს. იმიტომ კი არა, რომ მისი პოზიცია არაა სწორი, არამედ იმიტომ, რომ დღეს საქართველო ყოველგვარი კანონის, სიმართლის და სამართლის გარეშე ცხოვრობს. თუ ასე გაგრძელდა, ქვეყანას რამდენიმე წლის შემდეგ არც სამართალმემკვიდრე დასჭირდება და არც კანონიერება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არ იქნება საქართველოს სახელმწიფოებრიობა, არ იქნება ქართველი ერი. დაშლილი, დაქუცმაცებული, დაჩაჩანაკებული საქართველო დაემსგავსება კომბინირებულ საკვებს, რომელსაც მალე შეჭამს და მალევე მოინელებს იმპერიის გაუმაძღარი სტომაქი. ამიტომ დღევანდელი საქართველოს გადასარჩენად გამოყენებული უნდა იქნეს ნებისმიერი მშვიდობიანი პოლიტიკური

ბრძოლის ფორმა და საშუალება. გაგიხარია, სამართალმემკვიდრეობა და, საერთოდ, კანონები დალაგებულ ქვეყანაში კარგიც არის და აუცილებელიც, მაგრამ ჩვენ ხომ „შეშლილ, შეშლილ, შეშლილ მსოფლიოში“ ვცხოვრობთ, სადაც კანონს და სამართალს მაშინ სცემენ პატივს და მაშინ ახსენებენ, როცა აწყობთ „ძლიერთა ამა ქვეყნისას“ (ჰაიტის, ქუვეითის და სხვათა მაგალითი). განა დასავლეთის და ამერიკის ნაქებმა დემოკრატებმა არ იცოდნენ, რა მოხდა საქართველოში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში? ანდა არ იციან, რა ხდება ახლა ჩეჩნეთში? განა მსოფლიო დემოკრატიის „მამებმა“ – ბუშმა, ბეიკერმა, კოლმა, გენშერმა, თვით ქლინთონმა არ იციან, როგორ მოვიდა საქართველოს ხელისუფლების სათავეში ხუნტა (სამხედრო საბჭო, სახელმწიფო საბჭო) და შევარდნაძე? შესანიშნავად იციან, მაგრამ დღეს ამის დანახვა არ აწყობთ. რატომ და რისთვის – ეს სხვა საქმე და სხვა სალაპარაკო თემაა. ცოტა ისტორიაც გავიხსენოთ. განა ბოლშევიკები და ლენინი კანონიერად და სამართალმემკვიდრეობით მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში? რა გააკეთა დასავლეთმა? მცირეოდენი წინააღმდეგობის შემდეგ ცნო ბოლშევიკური რეჟიმი. სხვათა შორის, ელცინის დღევანდელი ხელისუფლებაც სწორედ იმ 1917 წლის უკანონოდ და ძალით მოსული კომუნისტური რეჟიმის სამართალმემკვიდრეა, მაგრამ დღეს ეს არავის ახსოვს და არც არავის აშფოთებს.

მეორე მაგალითიც:

საქართველოს რესპუბლიკის პირველი ეროვნული მთავრობა და მისი ლიდერი ნოე ჟორდანია, მსოფლიო დემოკრატიის იმედით, თითქმის ორმოცი წელი ელოდნენ საქართველოში სიმართლის, სამართლიანობის და კანონიერების აღდგენას, მაგრამ ამაოდ. მწარე სინამდვილე ტკბილ და სასურველ ოცნებაზე ძლიერი აღმოჩნდა. დასავლეთის დემოკრატიამ და „ჩრდილოეთის დათვმა“ დელიკატურად გაინაწილეს იმდროინდელი საქართველოს ტყავი. დღევანდელი საქართველო სულაც არ არის 1921 წლის საქართველოზე უკეთეს დღეში, პირიქით. არც თავის მოტყუებაა საჭირო. ვიცით, საქართველო მსოფლიოს გლობალურ პოლიტიკაშია ჩართული, მაგრამ არც ის იქნება სწორი, მკვდარი თევზივით მდინარის დინებას მივყვეთ. თუ ჩვენს თავს თვითონ არ მივხედეთ, არავინ ჩვენთვის არ მოიცლის. დათვს თუ კლანჭები დააცვდა, იცოცხლეთ, მაშინ ბევრი გამოიღებს ყურებიდან ცვილს, მოიცილებს თვალებიდან ლიბრს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაინახავს ჩვენს სამართალმემკვიდრეობასაც და სიმართლეს. მაგრამ მანამდე ხომ უნდა გადარჩეს საქართველო და ქართველი ხალხი. თუ საქართველოში ისევ ეს რეჟიმი დარჩა ან მისი მსგავსი მოვიდა, ვიმეორებ, საქართველოს არავითარი სამართალმემკვიდრეობა არ დასჭირდება. კი, ბატონო, „კოლხურ კოშკში" და მერაბ კოსტავას სახლის ეზოში ჩატარებული მიტინგებითა და აქციებით, „საყოველთაო მშვიდობიანი ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობით" თუ მივაღწევთ უკანონო ხელისუფლების გადაყენებას, ამას რა სჯობია, მაგრამ მივაღწევთ კი? გადადგება კი სისხლითა და იარაღით მოსული უკანონო ხელისუფლება? მე ეჭვი მეპარება. ამიტომ პოლიტიკური ბრძოლის ეს ფორმა ერთ-ერთი უნდა იყოს და არა ერთადერთი. რასაკვირველია, ბოლომდე არც ის მჯერა, რომ იარაღით მოსული ბიულეტენებითა და საარჩევნო ყუთით გადადგება, მაგრამ ნათქვამია, – ცდა ბედის მონახევრეაო. ამიტომ ეს გზაც უნდა მოვსინჯოთ, ამ ფორმითაც უნდა ვიბრძოლოთ, მით უმეტეს, საიმედო მაგალითიც გვაქვს – 1990 წლის 28 ოქტომბერი. თუ ვინმე ფიქრობს, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ძალისხმევით დღევანდელი ხელისუფლების სათავეში მყოფი ადამიანები „თავადვე აღიარებენ და დაგმობენ 1991 წლის 22 დეკემბრიდან დღემდე რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის ფაქტს", საკუთარი თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი. ეს იგივეა, ორჯონიკიძე-მახარაძისათვის მოეთხოვათ რუსეთის მიერ 1921 წელს საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის ცნობა. ისინი ამას ცოცხალი თავით არ გააკეთებდნენ და ამას არც შევარდნაძეიოსელიანი იზამენ. ამიტომ, ვიმეორებ, ბატონი ზურაბის მიერ ჩამოთვლილ ბრძოლის ფორმებს, დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, ბრძოლის პარლამენტური ფორმაც უნდა მიემატოს. აქვე მინდა გავიხსენო 1990 წ. არჩევნების წინა პერიოდი. მაშინაც ისმოდა ანალოგიური სიტყვები, ბრალდებები „მრგვალი მაგიდისა" და ზვიად გამსახურდიას მისამართით. მაშინაც ამბობდნენ ოპონენტები (მომავალი ოპოზიციონერები), როგორ შეიძლება ეროვნულმა მოძრაობამ და ზვიად გამსახურდიამ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, რომელიც ტარდება კომუნისტური რეჟიმის ხელშეწყობითა და საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლებშიო. ზვიად გამსახურდიამ მაშინაც დინების საწინააღმდეგოდ გასცურა და ქართველ ხალხს ეროვნული ხელისუფლება და დამოუკიდებლობა (შესაძლებლობის

ფარგლებში) მოუტანა. აქვე მინდა ერთი აქტიც აღვნიშნო: ეს ფიცი 1990 წლის 28 ოქტომბრის დიდებულ ფინალს არათუ კომუნისტები, თვით „მრგვალი მაგიდა“ და მისი მესვეურებიც არ ელოდნენ. ამის თქმის საბაბს მაძლევს არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ეროვნულ ხელისუფლებაში ზოგიერთი შემთხვევითი პიროვნების მოხვედრა, რომლებმაც თავიანთი ნამდვილი სახე მალე გამოამჟღავნეს და უღალატეს კიდეც ეროვნულ პრინციპებს და საქართველოს პირველ პრეზიდენტს. ჯერჯერობით ჩვენში უცხო ხილია „ჩრდილოვანი კაბინეტი“, ამიტომ ხელისუფლებაში „მრგვალი მაგიდის“ მოულოდნელად მოხვედრის ფაქტორმაც განსაზღვრა ბევრი მაშინდელი საკადრო შეცდომა (რომელიც თვით ზვიად გამსახურდიამაც აღიარა). ასე რომ, ჩემი აზრით, ბატონი ზვიად გამსახურდიას მაშინდელი მონაწილეობა არჩევნებში უფრო პარლამენტში ოპოზიციის შექმნას ითვალისწინებდა, ვიდრე ხელისუფლებაში მოსვლას, მაგრამ, როგორც იტყვიან, სამართალმა პური ჭამა და „მრგვალმა მაგიდამ“ იმაზე მეტი მიიღო, ვიდრე ელოდებოდა. ქვეყნის, ერის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა მან სადღაც ოდესღაც ვიღაცის დაწერილი კანონით კი არ უნდა იცხოვროს, არამედ უნდა იმოქმედოს იმ სიტუაციისა და ვითარების გათვალისწინებით, რომელიც ქვეყანაში არსებობს. სწორედ ასეთი საგანგებო სიტუაციაა დღეს საქართველოში. ამიტომ დღეს საერთაშორისო კანონებისა და სხვისი იმედით ყოფნა სიკეთეს ვერ მოგვიტანს. ქვეყანა და ხალხი კი არ უნდა მოერგოს რომელიმე კანონს, არამედ კანონი უნდა მოერგოს ქვეყანასა და ხალხს. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი კანონი შეიძლება ხალხს ბორკილად ექცეს. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ „მრგვალი მაგიდა“ არ არის არც სამთავრობო და არც სახელმწიფო სტრუქტურა, რომ ვინმეს სამართალმემკვიდრედ იქცეს. „მრგვალი მაგიდა“ არის პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც იბრძვის ხელისუფლებისათვის, ამიტომ სახელმწიფოებრივ სამართალმემკვიდრეობაზე ლაპარაკი, მე მგონია, არასწორია. კანონიერი ხელისუფლების და უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრეობა ვინმესთვის ანდერძით ბოძებული ქონება არ არის, არც რომელიმე პიროვნების ან პარტიის მემკვიდრეობითი პრივილეგიაა. საქართველოს პირველი პრეზიდენტის და კანონიერი უზენაესი საბჭოს იდეური სამართალმემკვიდრე შეიძლება გახდეს ნებისმიერი პიროვნება, პარტია, გაერთიანება, ყველა, ვინც აღიარებს ზვიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამსახურდიას იდეას, ვინც გაჰყვება მის გზას, ვინც იბრძოლებს საქართველოს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისათვის. კიდევ ერთი ფაქტი: როგორც ცნობილია, კანონიერი უზენაესი საბჭოს მცირე ნაწილმა, პრეზიდენტის წასვლის შემდეგ, მოიხსნა თავისი უფლებამოსილება და მონაწილეობა მიიღო 1992 წლის უკანონო არჩევნებში. ნუთუ ამან რაიმე დააკლო უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონებს? ჩემი აზრით, არაფერი. მცირე ნაწილს კი არა, უმრავლესობასაც რომ გაეკეთებინა ეს, მაშინაც კანონიერი ხელისუფლების მიერ თავის დროზე მიღებულ კანონებს ყოველთვის ექნებათ იურიდიული ძალა. განა ზვიად გამსახურდიამ და ეროვნულმა ხელისუფლებამ უარი თქვა 1918 წლის თავისუფლების მანიფესტზე, რომელიც სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით მიიღეს? ისტორიული მოვლენის, აქტის, კანონის თუ დოკუმენტის მემკვიდრე არ შეიძლება იყოს რომელიმე კონკრეტული პიროვნება ან პარტია. მართალია, ცალკეული პიროვნებები, პარტიები გარკვეულ როლს თამაშობენ ქვეყნის ისტორიაში, მაგრამ ქვეყნისათვის სასარგებლო ნებისმიერი მოვლენის, დოკუმენტის ანუ ისტორიის მემკვიდრე და შემფასებელი მხოლოდ ხალხია. სამშობლო ყოველგვარ პიროვნებაზე, პარტიასა და მოძღვრებაზე მაღლა დგას. ახლა ცოტა შორიდან დავიწყებ. ედუარდ შევარდნაძემ საქართველოში ჩამოსვლისას განაცხადა: – მართალია, პარტიის წევრი არა ვარ, მაგრამ ძველ მეთოდებსა და ფორმებს გამოვიყენებო (საუბარი იყო მუშაობის ძველ, კომუნისტურ მეთოდებზე).

გამოიყენა კიდეც.

უპირველესად, ძველი, პარტიული ნომენკლატურა დააბრუნა. ყოფილ რაიკომის მდივნებს, აღმასკომის თავმჯდომარეებს გამგებლები და მერები დაარქვა. ბატონი ავთანდილ მარგიანის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ქვეყნის მართვის საჭე „გამოცდილ მძღოლებს“ ჩააბარა... და დაიწყო „ხალხის მომზადება“ „ესენგეში“ ანუ მოდერნიზებულ იმპერიაში შესაყვანად. ჭორებით და დეზინფორმაციით გაბრუებულ ადამიანებს კაენის ცოდვა აჰკიდეს. ციხეებიდან გამოუშვეს ათასობით სისხლის სამართლის დამნაშავე და „ცოდვების გამოსასყიდად“ ავტომატით შეიარაღებულნი აფხაზეთში გაგზავნეს, აფხაზეთის ქართველები კი განაიარაღეს და ამგვარად დაცულ სოხუმს რა ბედიც ეწია, ქვეყანამ ნახა. კრიმინალების დიდმა ნაწილმა ალბათ არ იცის, რომ პოლიტიკაში მათი გამოყენება „ძველი

მეთოდია“. ეს „მეთოდი“ თავის დროზე გამოიყენეს ლენინმა და ბოლშევიკებმა, შემდეგ – ჰიტლერმა და ფაშისტებმა, სხვებმაც. დამნაშავეთა სამაყაროს წარმომადგენლებს, როგორც წესი, თავისი საქმის გაკეთების შემდეგ თავიდან იშორებენ, და არამარტო კრიმინალებს. შტეფან ცვაიგი წერს: „ვინც სახელმწიფო გადატრიალებას აპირებს და შეთქმულებას აწყობს, მას პირველ რიგში უსინდისო გაიძვერები სჭირდება“. დიახ, პირველ რიგში, სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოსულს „უსინდისო გაიძვერები“ არ სჭირდება. უფრო მეტი, „უსინდისო გაიძვერები“ საშიშნიც არიან, რადგან ვინც ერთი უსინდისობა ჩაიდინა, იმას არც მეორე და მეათე უსინდისობის ჩადენა გაუჭირდება. ვინც ერთს უღალატა, ის მეორესაც უღალატებს. ამიტომ, „უსინდისო გაიძვერებს“ გადატრიალების შემდეგ ნელ-ნელა ატოვებინებენ ასპარეზს. ასე ყოფილა, ასეა დღესაც, ასე იქნება მომავალშიც. მარადიულია ბიბლიის გაფრთხილება: „ვინც მახვილს აღმართავს, მახვილითვე განიგმირება“. 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალების მონაწილე „უსინდისო გაიძვერები“, როგორც ვხედავთ, თანდათან ტოვებენ პოლიტიკურ ასპარეზს, ზოგი – სიცოცხლესაც კი. იარაღით და ტყვიებით მოსულნი იარაღისა და ტყვიების მსხვერპლნი ხდებიან.

ეს მომავალშიც უნდა გაითვალისწინონ ზოგიერთებმა.

ძველი მეთოდი კი, ჯერჯერობით, ამართლებს.

ჭეშმარიტი ეროვნული ძალა და ენერგია აფხაზეთის უაზრო ომს შეეწირა – ომს, რომელიც, ვითომდაც, საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლის საბაბით დაიწყო. ამ ომში დაიხოცნენ ნაღდი ვაჟკაცები, სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანები, რომლებიც მომავალში შეიძლება ე. შევარდნაძის პოტენციური მოწინააღმდეგეები გამხდარიყვნენ მისი ანტიეროვნული საქმიანობის გამო. საქართველოს ტოვებს სამშობლოსათვის გამოსადეგი, ჭკუითა და ძალ-ღონით სავსე ასი ათასობით ადამიანი. საქართველოდან ასეთი მასიური აყრა თავის დროზე ვერ მოახერხა თვით საბჭოთა წყობილებამაც კი, რის გამოც უკმაყოფილება გამოთქვა კიდეც ერთ დროს გაზეთმა „პრავდამ“. საქართველოდან წასული ადამიანები არა მარტო ჯანსაღი ძალა, არამედ მომავალი ამომრჩევლებიც იყვნენ. საქართველოდან მათი უმეტესობა გააქცია დღევანდელი ხელისუფლების ანტიეროვნულმა და ანტიხალხურმა პოლიტიკამ. ისინი

მომავალ არჩევნებში, რასაკვირველია, ამ რეჟიმს ხმას არ მიცემ-დნენ. ამიტომ ხვდება დღევანდელი ხელისუფლება და სახელმწიფოს მეთაური მათ წასვლას დუმილით და ფარული კმაყოფილებითაც კი. რეჟიმით უკმაყოფილო ადამიანების წასვლით უკანონო ხელისუფლება იცილებს პოტენციურ მოწინააღმდეგეებს მომავალ არჩევნებში. ესეც გასათვალისწინებელი ფაქტორია. თუ მიგრაცია ასე გაგრძელდა, შიმშილმა, სიცივემ, გაჭირვებამ თუ ასე მუსრი გაავლო ხალხს (ღარიბსა და პატიოსანს), საქართველოში მართლაც დარჩება ამომრჩეველთა 13 პროცენტი, რაზეც ასე ოცნებობდა „ელიტის" ზოგიერთი წარმომადგენელი. ასეთ „დაწმენდილ", „სტაბილიზებულ" საქართველოში ხუნტას არ ეყოლება არც ოპოზიცია, არც ხმის ამომღები და არც ვინმე ხელისშემშლელი. ჯერჯერობით კი სამშობლოში დარჩენილებს და ჯერ კიდევ ცოცხლებს პოლიტიკური და ეკონომიკური ტერორით აიძულებენ იფიქრონ მხოლოდ პურზე, წყალზე, გათბობაზე. არავითარი სამშობლო, არავითარი პატრიოტიზმი, არავითარი თავისუფლება. ფიქრი მხოლოდ კუჭზე და სიცოცხლის გადარჩენაზე ჯახირი. შემთხვევითი არ არის, რომ უგაზობა, უსინათლობა, უპურობა, უწყლობა სწორედ ზამთრის დასაწყისს დაემთხვა და არა გაზაფხულს, ზაფხულს ან შემოდგომას. სხვა დროს ამ „მეთოდს" ის ეფექტი არ ექნებოდა, რაც ზამთარში. ასეთ კატასტროფულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანი ყოველგვარ დათმობაზე წავა, ყოველგვარ ხელშეკრულებას და გარიგებას მოაწერს ხელს, ყველაფერზე თანახმა იქნება.

ადამიანები გაანახირეს, ხალხი ბრბოდ აქციეს.

ძველი „მეთოდი", ჯერჯერობით, ისევ ჩინებულად მუშაობს. რატომ ვწერ ამას? ყველაფერი ეს მეტ-ნაკლებად მიმართულია მომავალი არჩევნებისკენაც. არჩევნების მოახლოებასთან ერთად ალბათ თანდათანობით „დაიწყება სტაბილიზაცია", ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის მოჩვენებითი გაუმჯობესება. ადამიანებს დაუბრუნებენ წართმეულ ელემენტარულ უფლებას, შემდეგ გაზი ჩაირთვება, ხალხი გაიხარებს. წყლის მოსვლა, პურის ურიგოდ აღება, ტრანსპორტის რიგიანად მუშაობა ხალხისთვის ზეიმად იქცევა. ადრე დაწყებული ტერორისტული აქტები და სროლებიც ალბათ ნელ-ნელა მიწყნარდება და არჩევნების წინა დღეებში... პარლამენტის უმრავლესობა, სამთავრობო პრესა, რადიო, ტელევიზია ატეხენ გამაყრუებელ ხმაურს, რომ ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვიდა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიდან, რომ საქართველოში დაიწყო მყარი, ნამდვილი „საბოლოო სტაბილიზაცია“, საქართველო აღმავლობის გზას დაადგა და ეს ვისი წყალობაა, თუ არა სახელმწიფოს მეთაურის ბრძნული პოლიტიკისა. ასეთ დროს შევარდნაძის ხელისუფლებიდან წასვლა საქართველოს ღალატი და დაღუპვა იქნება. მოქალაქენო, ხმა მიეცით საქართველოს მოქალაქეთა კავშირს და მის ღირსეულ ლიდერს, საქართველოს გადამრჩენელს ედუარდ შევარდნაძეს.

ესეც ძველი მეთოდია.

1978 წელს სწორედ ამგვარი მეთოდით კრემლის ფარულ თუ აშკარა ემისრებს ეროვნული მოღვაწის მანტია მოახვიეს, მაშინდელი ცკ-ს პირველი მდივანი კი, ლამის ეროვნულ გმირად, ქართული ენის მხსნელად გამოაცხადეს. მაგრამ ვაი, რომ 1978 წლისაგან განსხვავებით, დღევანდელ საქართველოს მეორე „დავით აღმაშენებლის“ კორონაცია დიდი მსხვერპლის ფასად უჯდება. ამგვარ „მეთოდს“, ამბიციებს და სკამებს შეეწირა სამაჩაბლოც და აფხაზეთიც. ამ „მეთოდის“ შედეგია, რომ დღეს თითოეული ლტოლვილი ქართველის დაბრუნება გალსა თუ ცხინვალში აღიქმება როგორც ქართული სამშვიდობო პოლიტიკის გამარჯვება, ბრძნული პოლიტიკის ზეიმი. არადა, ორი-სამი წლის წინ ეს სამასი ათასი ლტოლვილი თავის საკუთარ ოჯახში ცხოვრობდა. დღევანდელი ხელისუფლების წყალობით იქნა ფუძიდან აყრილი. „ძველი მეთოდით“ იყო გაანგარიშებული სამეგრელოს მრავალგზის დარბევა და გაძარცვა, რათა ამ გზით ჩამოეცილებინათ ამ კუთხის აქტიური ჩარევა აფხაზეთის საკითხებში, უკეთეს შემთხვევაში, ეს ორი კუთხე ერთმანეთთან დაეპირისპირებინათ, ორივე ერთად კი – საქართველოსათვის და ამით პირველი ბზარი გაეჩინათ ერთიანობისათვის, დაეწყოთ საქართველოს ფედერალიზაციის პროცესი, რაც იმპერიის ოცნება იყო მუდამ და რასაც თავგამოდებით ებრძოდნენ ჩვენი დიდი წინაპრები. ასევე, წინასწარ იყო დაგეგმილი აფხაზეთის მოსახლეობის განსაკუთრებული სისასტიკით დახოცვა და გაძარცვა, რომ შემდგომ დაბოღმილ და გამწარებულ აფხაზებს შური ეძიათ ქართველებზე. ახლა ბევრი, მათ შორის სახელმწიფო მეთაურიც, აცხადებს, – აფხაზეთში ჯარი არ უნდა შეგვეყვანაო. მაგრამ განა იმავე ე. შევარდნაძემ არ განაცხადა სახელმწიფო საბჭოში, თანაც ორჯერ, აფხაზეთში ჯარი რომ არ შეგვეყვანა, გაკოტრებული ვიყავითო? რა გაკოტრებ-

აზე იყო საუბარი, – სახელმწიფოს მეთაურს არ დაუზუსტებია, მაგ-
რამ ხომ ცნობილია ყოფილი ბელადის სიტყვები, პოლიტიკურად
და ეკონომიკურად გაკოტრებული მთავრობა ბოლოს ეროვნულ
დროშას ააფრიალებსო, რომ ბრძანა.

საქართველოს ეს ტრაგედია ცოტა ხნის შემდეგ ტრაგიკომე-
დიად იქცევა. ეს სცენარიც საქართველოს გარეთაა დაწერილი,
ოღონდ შემსრულებლები, ჯერჯერობით, ისევ ქართველები არიან.
„კეთილი მეგობრები“ და „უფროსი ძმები“ მოინდომებენ დაჩაჩანა-
კებული, დაჩოქებული საქართველოს „ტერიტორიული მთლიანო-
ბის“ აღდგენას, მას ისევ შეუერთებენ მათ მიერ წართმეულ, ასევე
გაღატაკებულ-დაჩაჩანაკებულ სამაჩაბლოსა და აფხაზეთს (ყოველ
შემთხვევაში, მცირე ნაწილს მაინც), იმპერიისათვის სულერთია,
ერთად იქნებიან ისინი, მისი მონები, თუ ცალ-ცალკე, ოღონდ ის
კაცი, ვისი ხელითაც იმპერია გააკეთებს ამ საქმეს, საქართველოში
გამოცხადდება „დიდ პოლიტიკოსად“, საქართველოს გადამრჩე-
ნელ-გამაერთიანებლად, მეორე „დავით აღმაშენებლად“. აი, ასეთი
სიტუაციაა დღეს საქართველოში. აი, ასეთი „გამოცდილი მძღო-
ლები“ მართავენ დღეს საქართველოს და ამ დროს განზე გადგომა,
ტახტის მემკვიდრე უფლისწულივით ლოდინი, თუ როდის მოვა
ტახტზე ასვლის დრო, ჩემი აზრით, შეცდომაა. ასევე, არა მგონია
სწორი იყოს პრინციპი: „ან ყველაფერი, ან არაფერი“. ასეთ სიტუ-
აციაში უნდა ვიბრძოლოთ თითოეული ადამიანისათვის, თითოეული
ხმისათვის, ნაბიჯ-ნაბიჯ, მისხალ-მისხალ, ყოველდღიურად უნდა
მივიწევდეთ მიზნისაკენ. მიზანი კი ერთი უნდა იყოს – უკანონო
ხელისუფლების გადაყენება, თუნდაც უკანონო არჩევნებით. ამ
უკანონობას ღმერთიც გვაპატიებს და ერიც. ყველაფერს რომ თავი
დავანებოთ, არჩევნებში მონაწილეობა იქნება უაზრო, უმიზნო
ცხოვრებისაგან აპათიაში ჩავარდნილი, დათრგუნული, დაბნეული
ადამიანების გამოფხიზლება, გააქტიურებაც კი. უკანონო არჩევ-
ნებია, მაგრამ ბრძოლის ეს გზაც დრომ, ცხოვრებამ და, რაც მთავა-
რია, მოწინააღმდეგემ მოგვახვია თავს და ჩვენც, შესაძლებლობის
ფარგლებში, ეს ფორმაც უნდა გამოვიყენოთ, მეტოქეს მისივე იარა-
ღით უნდა ვებრძოლოთ. შეიძლება უსამართლობის ბორბლის ტრი-
ალი მთლიანად ვერ შევაჩეროთ, მაგრამ ამ ბორბლის ერთი ხრახნიც
რომ მოვშალოთ, ისიც საქმეა, ქვეყანას მომავალში წაადგება.
ვთქვათ, გამოვუცხადეთ არჩევნებს ბოიკოტი. იქნება კი ეს ბოიკოტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალური, ფაქტობრივი? შეძლებს კი „მრგვალი მაგიდა“ და, საერთოდ, ოპოზიცია, რომ ხალხი არ მივიდეს საარჩევნო ყუთებთან? ძე ეჭვი მეპარება. განა არ გამოვუცხადეთ ბოიკოტი 1992 წლის „არჩევნებს“? მაშინ ხომ „მრგვალ მაგიდას“, უზენაეს საბჭოს, კანონიერ ხელისუფლებას გაცილებით მეტი ძალა და გავლენა ჰქონდა ხალხზე. რა გამოვიდა ამით? – არაფერი. ზოგი ნებით, ზოგი ძალით მაინც მიიყვანეს არჩევნებზე. ასე ძალადობით და გაყალბებით ჩატარებული არჩევნების შედეგად მივიღეთ რეჟიმი, რომელსაც ჩვენ სამართლიანად ვარქმევთ უკანონოს, მაგრამ საერთაშორისო დემოკრატიის „მამები“ ლეგიტიმურს ეძახიან და გულში იხუტებენ. ამიტომ იქნებ რეალურად არაფრის მომტან ბოიკოტს ისევ უთანასწორო, მაგრამ მაინც მცირე შანსის მქონე ბრძოლა სჯობდეს. რასაკვირველია, ერთია არჩევნებში მონაწილეობის სურვილი და სულ სხვაა, როგორ და რა ფორმით ჩატარდება არჩევნები. რა მოჰყვება ამას, არის კი არჩევნების ნორმალურად ჩატარების გარანტია და გამარჯვების შანსი? გარანტია არც ისე დიდია, მაგრამ, ჩემი აზრით, მაინც არის. ერთ-ერთ ასეთ გარანტიად მიმაჩნია შევარდნაძე – იოსელიანის ფაქტორი. რასაც ახლა ვიტყვი, შეიძლება ზოგს პარადოქსად მოეჩვენოს, მაგრამ, მე მგონია, მასში სიმართლის გარკვეული ნაწილი მაინც არის. დღეს ბევრი ახსენებს შევარდნაძე – იოსელიანის ალიანსს. ეს ალიანსი და მეგობრობა (უფრო – პარტნიორობა), ჩემი ღრმა რწმენით, მოჩვენებითია, ეფემერულია. მათი დაახლოება გამოწვეულია არა რწმენით, არა იდეით, არამედ აუცილებლობით. მათ სჭირდებოდათ და დღესაც (ჯერჯერობით კიდევ) სჭირდებათ ერთმანეთი. როგორც კი ისინი ერთმანეთის შესაძლებლობებს ამოწურავენ, აუცილებლად გაწირავენ ერთმანეთს. თავიანთი ნატურით, ისინი არ არიან ის პიროვნებები, რომლებმაც ბოლომდე ერთმანეთის ან სხვისი ჭკუით იარონ. ორი ხანჯალი კი ერთ ქარქაშში არ ჩაიგება. რამდენიც არ უნდა გვიმტკიცონ დღეს ბატონმა იოსელიანმა, არავითარი თანამდებობა არ მიჭირავსო, ფაქტი სახეზეა: დღევანდელი საქართველოს პოლიტიკურ სცენაზე ედ. შევარდნაძესთან ერთად არსებობს ჯაბა იოსელიანის ფაქტორი. კარგია ეს თუ ცუდი, ეს სხვა საქმეა, მაგრამ ფაქტია. ამ ფაქტის არდანახვა და არგათვალისწინება ნებისმიერი პოლიტიკური პარტიისა და პიროვნებისათვის სიბეცე იქნება. ისინი ბოლომდე ერთად ვერ ივლიან. მათი მეგობრობა არის ყინულისა და ცეცხლის სიახლოვე. საბოლ-

ოდ, ან ცეცხლი გაადნობს ყინულს, ან ყინული ჩააქრობს ცეცხლს. რა მაძლევს ამის საბაბს? მათი ბიოგრაფიები და ცხოვრების წესი.

– ედუარდ შევარდნაძე – „მსოფლიო დონის პოლიტიკოსი“, პოლიტიკის გრანდების „მეგობარი“, გერმანიის „გამაერთიანებელი“, აღმოსავლეთ ევროპის „განმათავისუფლებელი“ და, რაც მთავარია, როგორც თავად ამტკიცებს, საბჭოთა იმპერიის დამშლელი, სუკ-ის გენერალი, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სკკპ ცკ პოლიტბიუროს წევრი, უზარმაზარი იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც ბოლოს უახლოვდება, უმეგობრდება და თავის პოლიტიკურ პარტნიორად ირჩევს იოსელიანს.

– ჯაბა იოსელიანი – ყოფილი „კანონიერი ქუდი“, ოთხჯერ ნასამართლევი, 24 წელი ციხეებსა და მკაცრი რეჟიმის კოლონიებში ნამყოფი, შავი სამყაროს აღიარებული ავტორიტეტი (ჯ. იოსელიანის ბიოგრაფიული მონაცემები აღებული მაქვს მისივე წერილებიდან და ინტერვიუებიდან); მიისწრაფვის და ხდება კიდეც „დიდი პოლიტიკოსის“ პარტნიორი და მეგობარი. აქ მინდა შევჩერდე წუთით და პარალელი გავავლო ამ ორ ადამიანს შორის. იმპერიის მინისტრობიდან კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლამდე, ამ სამყაროს ყოფილ ავტორიტეტამდე დაშვება და მეგობრობა არავითარ ღირსებას არ მატებს „დიდ პოლიტიკოსს“. თუ ფაქტებს თავის სახელს დავარქმევთ, ეს არის ედ. შევარდნაძის, როგორც პოლიტიკოსის და პიროვნების, დაცემა, მაღალი საფეხურიდან დაშვება, დაღმავალი გზა. ჯაბა იოსელიანი კი „კანონიერი ქურდიდან“ ხდება მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მწერალი და, ბოლოს, ადის ხელისუფლების პირამიდის უმაღლეს საფეხურზე. დასკვნების გაკეთება მკითხველისათვის მიმინდია. ჯაბა იოსელიანისთვის წარსული ტვირთია. ედ. შევარდნაძის ავტორიტეტი კი „შაგრენის ტყავს“ ჰგავს, რომელსაც იგი ნელ-ნელა ხარჯავს, პატარავდება და მალე, თუ გადამჭრელ ზომებს არ მიიღებს, სულ გაქრება. თვითონ ედ. შევარდნაძემ არაერთხელ აღნიშნა, რომ მის ჯერ კიდევ დარჩენილ ავტორიტეტს გადარჩენა სჭირდება. ამიტომ, დღეს იქნება თუ ხვალ, ეს ორი ადამიანი ერთმანეთს დაეჯახება. მათ ერთმანეთი უნდა გაიმეტონ და გაწირონ. ეს იცის შევარდნაძემ და არა ნაკლებ – იოსელიანმაც. ამიტომ ისინი ჩუმად, ფარულად, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფაციცებით ემზადებოდნენ და ემზადებიან ამ გადამწყვეტი ორთაბრძოლისათვის. ამისათვის ჯაბა იოსელიანმა თავის დრონე შექმნა „მხედრიონი“ და „მაშველთა კორპუსი“ (ძალოვანი სტრუქტურა, ე. წ. „მუსკულები“), შექმნა „არჩევნები“ (ანუ მომავალი ბრძოლისათვის საჭირო „ტვინი“). ედ. შევარდნაძისათვის ამავე ფუნქციებს შეასრულებენ ძალოვანი სტრუქტურები და „მოქალაქეთა კავშირი“. ასე რომ, ყველაფერი „აჟურშია“ მოყვანილი. ამ დაპირისპირების პირველი, სუსტი ხმა გაისმა გასული წლის სექტემბერში, როცა პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე ჯაბა იოსელიანმა სახელმწიფო მეთაური სწორედ ძველი ანუ კომუნისტური „მეთოდების“ გამოყენებაში დაადანაშაულა. შევარდნაძემ გადადგომის ინსცენირება მოაწყო, რასაც მოჰყვა საქართველოს ისტორიაში სამარცხვინო ფაქტი – რუსთაველის პროსპექტზე ხალხის დაჩოქება. მაშინ ზოგიერთები იმასაც კი ამბობდნენ, შევარდნაძე – იოსელიანის კონფლიქტი დაგეგმილი იყოო. არა მგონია. შევარდნაძემ ოისელიანის შეცდომა, როგორც ბევრი სხვისი შეცდომაც, უმალ თავის სასარგებლოდ გამოიყენა. შევარდნაძის მხვრივ ეს იყო საზოგადოებრივი აზრის ზონდირება და იოსელიანის გაფრთხილება, რომ მას, შევარდნაძეს, ადვილად შეუძლია მისი, ე. ი. იოსელიანის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის ამხედრება და მისი განადგურება, თუ ის „ჭკვიანად“ არ მოიქცევა. იოსელიანი მიხვდა, რომ იჩქარა და უკან დაიხია. შევარდნაძემ კი კიდევ ერთხელ ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლა, ხოლო იოსელიანის წინააღმდეგ ამხედრებული საზოგადოებრივი აზრი სხვა ოპონენტების წინააღმდეგ წარმართა. უფრო ძლიერი ზარის ხმა იყო ვაკის რაიონის დამატებითი არჩევნები, სადაც ჯაბა იოსელიანმა რევანში აიღო.

საბოლოოდ მათ ურთიერთობას გადაწყვეტს მომავალი არჩევნები. ეს იქნება ერთგვარი მშვიდობიანი გზით „საქმის გარჩევა“. არჩევნებში, შევარდნაძემ თუ იგრძნო, რომ „მშვიდობიანი გზით“ იოსელიანთან ან სხვებთან ომს აგებს (როგორც ეს მოხდა ვაკის რაიონის დამატებით არჩევნებში), საქმეში დაუყოვნებლივ ჩაერთვებიან „მუსკულები“ და აქ „დიდი პოლიტიკოსი“ კიდევ ერთხელ გამოიყენებს იმ „გადანახულ კარტს“, რომელსაც რუსული ტანკები და ჯარისკაცები ჰქვია. ტერორისტებთან და კრიმინალებთან ბრძოლის საბაბით თბილისის ქუჩებში ძალოვან სტრუქტურებთან ერთად გამოვლენ რუსეთის ტანკები (თუ საკუთარი ძალები საკმარისი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოჩნდა), რომლებიც წესრიგის დამყარების საბაბით, პირველ რიგში, გაანადგურებენ შევარდნაძის პოლიტიკურ ოპონენტებს. არაა გამორიცხული, ეს „კარტი" შევარდნაძემ არჩევნებამდე გაითამაშოს), როგორც ერთხელ უკვე გამოიყენა დასავლეთ საქართველოში კანონიერი პრეზიდენტის მომხრეთა გასანადგურებლად. იმ ფაქტს, რომ შევარდნაძემ ტახტი რუსეთის დახმარებით შეინარჩუნა, არც რუსი პოლიტიკოსები და არც სამხედროები არ მალავენ არც თვითონ შევარდნაძე, რომელიც საჯაროდ აცხადებს, რუსებს ვუნდივარო.

აი, ეს დაპირისპირება მიმაჩნია მომავალი არჩევნების ჩატარების მეტ-ნაკლებ გარანტად. ამას ემატება განაწყენებული სიგუა – კიტოვანის „ფერფლიდან აღდგომის" სურვილი, ასევე – საპარლამენტო თუ პარლამენტს გარეთ არსებული ოპონენტები, რომლებიც შეეცდებიან ერთმანეთის გაკონტროლებას. ისიც უნდა აღინიშნოს, 1992 წელს სხვადასხვა ჯურის, ყაიდის, შეხედულების თუ ზნეობის ადამიანები გააერთიანა ერთი ადამიანი, – ზვიად გამსახურდიას სიძულვილმა. მომავალ არჩევნებში კი ყველა ისინი უკვე ერთმანეთთან იბრძოლებენ მზის ქვეშ ადგილის მოსაპოვებლად. თუ ამას დაემატება წესიერი საერთაშორისო დამკვირვებლები და, რაც მთავარია, გამწარებული, გატანჯული, გაღატაკებული ხალხის სურვილი და მისწრაფება – მოიცილონ ანტიეროვნული, ანტიხალხური რეჟიმი, მე მგონია, არჩევნები შეიძლება შედარებით ნორმალურად ჩატარდეს და გამარჯვების შანსიც არის.

დავუშვათ წუთით, მოხდა სასწაული, შევარდნაძე-იოსელიანის ტანდემმა დათმო ხელისუფლება. ვინმე ხომ არ ფიქრობს, სხვა პარტიები და პოლიტიკური ორგანიზაციები საპატიო ყარაულში დადგებიან და ისე მიუშვებენ კანონიერი ხელისუფლების მომხრეებს ქვეყნის სათავეში? რასაკვირველია, არა. საპარლამენტო ოპოზიციაში მყოფი პარტიების გაერთიანება დასტურია იმისა, რომ ისინი სერიოზულად ემზადებიან არჩევნებისათვის (თუ არჩევნები, საერთოდ, ჩატარდა). ასე რომ, ხონჩით არავინ არავის არაფერს მიართმევს.

მაინც რას მივაღწევთ იმით, თუ მონაწილეობას არ მივიღებთ არჩევნებში? – პოლიტიკური იმიჯის გადარჩენის გარდა, სხვას არაფერს. თუ ვინმე ფიქრობს, არჩევნების ბოიკოტით სახელი გაუტყდება არსებულ ხელისუფლებას შინაც და გარეთაც. ესეც

ილუზიაა. დიდი ხანია მას სახელი გატეხილი აქვს, მაგრამ მისთვის ეს არაფერს ნიშნავს. თუ ამით გვინდა მსოფლიოს ერთხელ კიდევ დავანახვოთ მათი სახე, ესეც თავის მოტყუებაა. მსოფლიო დემოკრატიის „მამებმა“ შესანიშნავად იციან, თუ როგორ ჩატარდა 1992 წლის არჩევნები და როგორი საარჩევნო კანონით. მაგრამ მათ ამაზე, როგორც ზემოდ აღვნიშნე, ყურიც არ გაუპარტყუნებიათ და ალბათ არც მომავალში მოიკლავენ თავს. ამისი ისტორიული მაგალითიც გვაქვს. პარიზში დამკვიდრებული მენშევიკური მთავრობის პროტესტები განა ვინმემ ყურად იღო? განა ვინმემ ხელი შეუშალა დე-ფაქტო არსებულ საბჭოთა ხელისუფლების დე-იურედ ცნობაში? ათეული წლების განმავლობაში ხომ ტარდებოდა მთელს საბჭოთა კავშირში და მათ შორის საქართველოშიც ფარსი, რომელსაც არჩევნები ეწოდებოდა. ამ ფარსს დასავლეთი შეურიგდა, საქართველოს დღევანდელი უკანონო ხელისუფლება სწორედ იმ ძალად „გადეიურებული“ კომუნისტ-ბოლშევიკების და კრიმინალების მემკვიდრეა და მათ გაცილებით სქელი შუბლი აქვთ, ვიდრე მათ წინაპრებს. ამიტომ ნუ დავივიწყებთ ღვთის სიტყვებს, წყალში ჩავარდნილს რომ უთხრა, – ხელი გაანძრიე და გიშველიო. საქართველო ახლა, წყალში კი არა, უფსკრულშია ჩავარდნილი და მას ისევ ჩვენ უნდა ვუშველოთ. კიდევ ოთხ წელიწადს სახელმწიფოს სათავეში ამ ხელისუფლების დარჩენა ნიშნავს, რომ საქართველო კიდევ უფრო ღრმად ჩაეფლობა კორუფციის, მაფიის ჭაობში. სახელმწიფო და სამთავრობო სტრუქტურები კიდევ უფრო აივსება დამნაშავე ელემენტებით: პარტოკრატიით, ბიუროკრატიით, ყაჩაღებით, ხაზინის ქურდებით. მაშინ ბრძოლა უფრო გაჭირდება, უფრო ძნელი იქნება ქვეყნის ჭაობიდან ამოთრევა და ამას შეიძლება რამდენიმე თაობის სიცოცხლეც შეეწიროს. ხშირად წერენ და სწორადაც: მომავალ არჩევნებში ფაქტობრივი ხელისუფლება აუცილებლად გამოიყენებს ძალადობას, ტერორს, მოსყიდვას, ფალსიფიკაციას, თუ ხალხი (მე ვგულისხმობ ფაქტობრივი ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებს, ჯერ კიდევ საქართველოში დარჩენილებს) უარს იტყვის არჩევნებში მონაწილეობაზე, რას მოიგებს ქვეყანა ამით? – ჩემი აზრით, არაფერს. როგორც უკვე აღვნიშნე, ისინი ისევ თვითონ „აირჩევენ“ თავიანთ თავს, როგორც 1992 წელს ისე, რომ არც არავისი დაშინება, დატერორება, მოტყუება დასჭირდებათ. ამომრჩევლების მოსასყიდად ფულიც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეხარჯებათ. საარჩევნო კანონი კი ისეთი უნივერსალური და „ქართული“ გვაქვს, ასი კაციდან ათიც რომ მივიდეს საარჩევნო ყუთთან, არჩევნები მაინც „კანონიერად“ ჩაითვლება. მე თქვენ გეტყვით და, მსოფლიო მოიკლავს თავს პროტესტით. ამის მაგალითი უკვე გვაქვს. ამიტომ ჩვენს თავს ისევ ჩვენ უნდა მივხედოთ. პირველ რიგში, სწორედ ახალი, დემოკრატიული და სამართლიანი საარჩევნო კანონის მისაღებად უნდა ვიბრძოლოთ. არჩევნებში არმონაწილეობით მიღებული ზნეობრივი თუ იურიდიული კაპიტალი, არა მგონია, იმდენად მნიშვნელოვანი იყოს, რომ მის გამო უარი ვთქვათ ბრძოლის ამ ფორმის გამოყენებაზე. მით უმეტეს, პერსპექტივა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, არც ისე უიმედოა. ყველა ის დანაშაულებრივი ფაქტი, რომელსაც მიმართავს უკანონო რეჟიმი არჩევნებთან დაკავშირებით, მხილებულ უნდა იქნეს. ესეც ერთგვარი ბრძოლა იქნება და სჯობია პასიური მაყურებლის როლს, ქვეყნის დაქცევის შორიდან ყურებას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ არჩევნებში მონაწილეობა ერთ საქმეს მაინც გააკეთებს – საბოლოოდ გაარკვევს, ამგვარ არჩევნებში მონაწილეობა სწორი იყო თუ არა. თუ ამომრჩევლები საბოლოოდ დარწმუნდებიან მის უაზრობასა და უსარგებლობაში, მომავალში ბრძოლის სხვა ფორმებს აირჩევენ. ხომ სჯეროდათ ზოგიერთებს 1992 წლის „იმედის არჩევნების“, ედ. შევარდნაძის „დიდი პოლიტიკოსობის“. თვით ცხოვრება აღმოჩნდა ყველაზე დიდი მსაჯული, დრომ უმოწყალოდ დაამსხვრია „იმედის არჩევნებიცა“ და ედ. შევარდნაძის „დიდი პოლიტიკოსობის“ მითიც. ასე იქნება ახლაც. ზოგიერთებს გულწრფელად სჯერათ, რომ არჩევნებში მონაწილეობით საქართველოსათვის სასარგებლო საქმე გაკეთდება (ყველას აქვს უფლება ჰქონდეს საკუთარი აზრი). არჩევნების შედეგი კი იქნება ყველაზე დიდი არგუმენტი, რომელიც საბოლოო პასუხს გასცემს არჩევნებში მონაწილეობის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სხვები, სხვა თაობები სხვა გზებით ივლიან. იმის მტკიცება, რომ არჩევნებში მონაწილეობით ჩვენ სამუდამოდ „ვაკანონებთ“ დღევანდელ მმართველობას“, თუ გულუბრყვილობა არა, ნამეტანი სითამამე და დიდი უფლებების მინიჭებაა საკუთარი თავისთვის. არათუ რომელიმე პარტიის, პოლიტიკური გაერთიანების, არამედ მოტყუებული მასის უმრავლესობამაც რომ მისცეს ხმა რომელიმე უკანონო ხელისუფლებას, არც ეს ნიშნავს მის სამუდამო დაკანონებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო მარტო ჩვენ, ცოცხლებს და დღევანდელ თაობას ... გვეკუთვნის. სწორად წერს ბერდიაევი: „ერის ნებაში მონაწილეობენ არა მხოლოდ ცოცხალნი, არამედ გარდაცვლილნიც. მონაწილეობს დიდი წარსული და ჯერ გამოუცნობი მომავალი. ერში შედიან არა მხოლოდ ადამიანთა თაობები, არამედ ტაძართა, სასახლეთა და კარ-მიდამოთა ქვებიც, საფლავის ლოდები, ძველი ხელნაწერები და წიგნები“. ამიტომ ცდებიან ისინი (აქეთაც და იქითაც), ვისაც ჰგონია, რომ მათი მიღებული კანონი თუ გადაწყვეტილება საქართველოსათვის მარადიულია და უცვლელი. ეს ასე რომ იყოს, კაცობრიობა და მათ შორის საქართველო ახლაც საუკუნეების წინათ მიღებული კანონებით იცხოვრებდა. ჩვენი ვალია ჩვენს წილ საქართველოს მოვუაროთ ჩვენი ცხოვრებითა და საქციელით. პირველ რიგში, საკუთარ თავთან, ჩვენს სინდისთან, ჩვენს თანამედროვეობასთან ვიყოთ მართალი და გარდაცვალების შემდეგ მივემატოთ ტაძართა, სასახლეთა და კარ-მიდამოთა ქვებს, იმ საფლავის ლოდებს, იმ ხელნაწერებსა და წიგნებს, რომლებიც მომავალი საქართველოს ნების გამომხატველნი იქნებიან. ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს ქართველის ამქვეყნად მოსვლის მიზანი.

განა ბოლშევიკებმა თავის დროზე ძალადობით არ „დააკანონეს“ საბჭოთა ხელისუფლება? განა ამ დაკანონებამ ხელი შეუშალა საქართველოსა და ქართველ ხალხს მოეწყო 1991 წელს რეფერენდუმი და სრული დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა? მომავალშიც იქნება სხვა არჩევნები, რეფერენდუმიც. ყოველი დრო და თაობა თვითონ წყვეტს როგორ იცხოვროს, რა გზით იაროს. ვიმეორებ, მთავარია ერის ფიზიკურად გადარჩენა. მისი განადგურების საშიშროება კი დღეს ნამდვილად არსებობს. ამიტომ ჩვენი, დღევანდელი ქართველების უპირველესი ვალია ფიზიკურად გადარჩენილი საქართველოს მიტანა მომავალ თაობებამდე. ამისათვის საჭიროა ყოველგვარი ფორმის, საშუალებების, მეთოდების მაქსიმალურად გამოყენება.

რასაკვირველია, როგორც ზემოთ აღვნიშნე, 1990 წლის 28 ოქტომბერი არ განმეორდება. დღევანდელი „მრგვალი მაგიდის“ პროგრამა-მაქსიმუმიც ალბათ სხვა უნდა იყოს. ჩემი, როგორც რიგითი ამომრჩევლის, სურვილია, მან პარლამენტში რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი გაიყვანოს, საპარლამენტო ოპოზიციაში კი ავანგარდის როლი შეასრულოს, ოპოზიციის სხვა წარმომადგენ-

ლებთან ერთად აიძულოს მომავალი პარლამენტი გააკეთოს ის, რაც
გააკეთა ე. წ. გუმბარიძის უმაღლესმა საბჭომ – აღადგინოს კანონიერი ხელისუფლება, ცნოს 1991-1992 წლებში რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია და ოკუპაცია, თუ ამას ვერ მიაღწევს, პროტესტის ნიშნად დატოვოს პარლამენტი.

თუ ვერ გავიმარჯვებთ, თუ რუსეთმა, როგორც სხვა რესპუბლიკებში, აქაც თავისი კაცი დასვა, რა მოხდება მაშინ? არაფერი იმაზე უარესი, რაც დღეს ხდება. ჩვენ ამ ბრძოლაში, როგორც იტყვიან, ბორკილების, შიმშილის და უბედურების მეტს არაფერს ვკარგავთ. ამიტომ, მარცხის შემთხვევაში, „მრგვალმა მაგიდამ" მთელი თავისი შესაძლებლობები უნდა გამოიყენოს და ამხილოს იმპერიის და მისი რენეგატების ინსცენირებული და ფალსიფიცირებული არჩევნები, ქართველ ხალხს კიდევ ერთხელ უთხრას სიმართლე, კიდევ ერთხელ დაანახვოს მსოფლიოს, თუ როგორი „დიდი პოლიტიკოსები" და „დემოკრატები" არიან დღევანდელ საქართველოში და ისევ გააგრძელოს ბრძოლა იმ მეთოდებით, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის.

განა ქართველ ხალხს ადრე არ წაუგია ცალკეული ბრძოლები შინაურ თუ გარეშე მტრებთან, მაგრამ იგი სულიერად არ დაცემულა. თუ არჩევნებში დავმარცხდებით, ნურც ჩვენ ვაქცევთ ამას ტრაგედიად. ტრაგედია უიმედობა და გულზე ხელის დაკრეფაა და არა – რომელიმე ცალკეული ბრძოლის წაგება. საჭირო იქნება არჩევნების შედეგების გაანალიზება, შეცდომების გათვალისწინება და მიღებული გამოცდილებით მომავალი არჩევნებისათვის მზადება ან პოლიტიკური ბრძოლის სხვა ფორმის და გზების მონახვა.

ნათქვამია, – უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიანო, ამიტომ დღეს ამომრჩევლების ხმებს, რომლებიც შეიძლება კარგ საქმეს მოხმარდეს, ნუ დავუთმობთ სატანის მიმდევრებს.

1994 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ახალი თაობა“, №178–180, 185), 2001 წ.
კორესპონდენტი გულიკო გალაძე

მე ყველა დახვრეტილ მიტინგში ვარ მოყოლილი

ბატონი ნოდარ ჯალაღონია ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოში განვითარებული მოვლენების აქტიური მონაწილეა. ისევე, როგორც მრავალმა ადამიანმა, ბატონმა ნოდარმაც თავის მხრებზე გადაიტანა ამ წლების სიმძიმე – იგი რამდენჯერმე დააპატიმრეს და მრავალი დახვრეტილი მიტინგის მონაწილეა. მისი ლექსების წიგნი „ქუჩაში დაწერილი ლექსები“, ფაქტობრივად, 1990-1999 წლების მოვლენების ქრონიკაა. „ეს ათი წელიწადი საქართველოსთვის იყო ბედნიერებისა და უბედურების წლებიც. ბედნიერება გახლდათ – საქართველოში ეროვნული ხელისუფლების მოსვლა ბატონტ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით, უბედურება კი 1992 წლის იანვარს კანონიერი ხელისუფლების დამხობით დაიწყო, რაც დღემდე გრძელდება. ასე რომ, სათქმელი და ლექსებით თემა საძებარი არა მქონია, – ამბობს პოეტი, – „შესაძლებლობის ფარგლებში შევეცადე დამეწერა ის, რაც ვნახე, რაც განვიცადე, რაც ჩემს ქვეყანასა და ხალხს გადახდა თავს. ვიცხოვრე და ვცხოვრობ ისე, როგორც ჭეშმარიტი, პატიოსანი საქართველო და ქართველი ხალხი ცხოვრობს.“

– ბატონო ნოდარ, დღეს პოლიტიკის დროა თუ პოეზიის?

– მე მგონია, თუ ნამდვილი პოეზიაა, პოეზიის დრო ყოველთვის უნდა იყოს. შანდორ პეტეფი ხიშტზე წამოაგეს, როცა ის თავისი სამშობლოსათვის იბრძოდა. ასევე გარსია ლორკა სამოქალაქო ომის დროს იბრძოდა და თავისი ხალხის ინტერესებს იცავდა. მისი დახვრეტის შემდეგ ჯარისკაცები კაფეში შევიდნენ და მის ლექსებზე დაწერილ სიმღერას უსმენდნენ. ასე რომ, პოეზია თუ ჭეშმარიტი პოეზიაა, ჩემი აზრით, სიხარულშიც უნდა გამოადგეკაცს და ჭირშიც.

– სენტენცია იმის შესახებ, რომ ქვემეხები როცა ქუხან, მუზები დუმანო, თქვენს ცხოვრებაში როგორ აისახა?

– მართალი გითხრათ, ჩემს პოეზიას დიდმნიშვნელოვნად მივიჩნევ, მაგრამ მე ამ ლოზუნგით არ ვცხოვრობ. პირიქით, რაც უფრო მძაფრდებოდა სიტუაცია, რაც უფრო მკაცრი ხდებოდნენ ჩემს მიმართ ე.წ. პუტსჩისტები, მე უფრო რადიკალური ვხდებოდი. მათ ქმედებებს, გარდა მიტინგებისა და გამოსვლებისა, ვპასუხობდი ლექსებით, წერილებით, სტატიებით. ლექსების გარდა საკმაოდ ბევრი წერილი მაქვს ამ ათ წელიწადში დაწერილი და გამოქვეყნებული. ასე რომ, მე მაინცდამაინც არ ვიზიარებ ამ სენტენციას.

– ბატონო ნოდარ, თუ ფიქრობთ, რომ ამ ბოლო წლებში გაგიმძაფრდათ პოეტური აღქმის უნარი?

– დიახ, ნამდვილად გამიმძაფრდა. როგორც ცნობილია, საბჭოთა სისტემა თავისებურად ზღუდავდა ადამიანის ნებას, შინაგან თავისუფლებას, შებოჭილი იყავი. პატრიოტულ ლექსებს ყოველთვის ვწერდი, მაგრამ იმდროინდელი ატმოსფერო მაინც მბოჭავდა და როცა საშუალება მომეცა თავისუფლად მეთქვა ის, რაც მინდოდა, გამძაფრდა აღქმის უნარიც.

– თქვენ ბრძანეთ, რომ კომუნისტური წყობა პოეტს, საზოგადო მოღვაწეს ზღუდავდა. თვითონ ეს წყობა გაიძულებდათ მათ სასარგებლოდ რაიმე დაგეწერათ თუ სხვა მომენტიც იყო?

– თვითონ არსებული ცხოვრება ქმნიდა ამგვარ სიტუაციას, ცხოვრების წესს. როგორც ბევრი სხვა, მეც ამ წნეხის ქვეშ მოვექეცი. ვიყავი ოქტომბრელი, პიონერი, კომკავშირელი და ა.შ. ამიტომ კომუნისტური იდეოლოგიის გავლენით ძალაუნებურად ვიზღუდებოდი.

– კომპარტიის წევრი იყავით?

– ვიყავი, მაგრამ პარტიიდან 9 აპრილის მეორე დღეს – 10 აპრილს გამოვედი. ქართველი მწერლებიდან პირველმა დავტოვე კომუნისტური პარტიის რიგები.

– როგორც ვიცი, 9 აპრილის შემდეგ თბილისში კომუნისტური პარტიის წევრები ბილეთებს ურნებში ყრიდნენ. თქვენ რა ფორმით დატოვეთ პარტია?

– მე ათ აპრილს დავწერე განცხადება. ამ განცხადების ტექსტი შემდეგ გაზეთშიც დავბეჭდე. პირდაპირ ვწერდი, რომ მოტყუებული და გაბრიყვებული აღმოვჩნდი. ამის თაობაზე ლექსიც მაქვს დაწერილი – „პარტიიდან გასული კაცის ფიქრები“, სადაც პირველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგში ჩემს მოტყუებულ ბავშვობასა და ახალგაზრდობას მივსტირი. ასევე ჯერ კიდევ კომუნისტების დროს მაქვს დაწერილი ლექსი „რწმენის ორდენის კავალერი, ანუ ძველი ბოლშევიკის მიმართვა პარტიისადმი". მართალია, ეს ლექსი კომუნისტური იდეოლოგიის გავლენით მაქვს დაწერილი, არის ასეთი სტრიქონებიც: „რადგან რაინდთა ჯარი გყოლია, არ წაგიგია ომი არცერთი, შენ არასოდეს არ გიბრძოლია დაქირავებულ ჯარისკაცებით". ამ სტრიქონების შემდეგ იწყება ძველი, ბოლშევიკის საყვედური არსებული რეჟიმისადმი. ეს, პრინციპში, ჩემი საყვედური იყო, მაგრამ იმ დროს ამ საყვედურს მე ვინ მათქმევინებდა და ამიტომ ვათქმევინე ბოლშევიკს, რომელიც აკრიტიკებს და საყვედურობს პარტიას, – მე ყველაფერი შეგწირე, მაგრამ საბოლოოდ არაფერი მერგო, ჩემი დაღვრილი სისხლითა და ოფლით ბიუროკრატებმა და სკამის ვირთხებმა ისარგებლესო. პარტიის თუნდაც ამგვარი ფორმით კრიტიკა მაშინ არც ისე უხიფათო იყო. ხოლო 1990 წელს დაწერილ ლექსში „პარტიიდან გასული კაცის ფიქრები" ზემოთ ნახსენებ სტრიქონებს გამოვეხმაურე და დავწერე: „ასე ვფიქრობდი, ვწერდი ასევე და დღეს ამ სიტყვებს როცა ვიგონებ, ჩუმად დავსტირი და მივასვენებ იმ „რაინდებით" მოკლულ სტრიქონებს".

– ე.ი. თქვენ ამ ლექსით გაასვენეთ კომუნისტური პარტიაც და მისი იდეოლოგიაც. ასე იყო თუ არა?

– დიახ, რადგან, როგორც ლექსში ვწერდი, „იმ რწმენას, იმ გზებს, იმ გატაცებას მორყეული აქვს უკვე ფესვები, ჩემი ნაქები ჯარისკაცებით აჩეხილია ჩემი ლექსები".

– ბატონო ნოდარ, თქვენი თავი როდის აღმოაჩინეთ პოლიტიკაში?

– პოლიტიკაში გამოკვეთილად ყოფნაზე არასოდეს მიფიქრია. უბრალოდ, ჩემი სამშობლოს ტკივილი მტკიოდა. ეს იყო და ეს. აქტიურად კი 1988 წლიდან ვიყავი, მას შემდეგ, რაც შიმშილობები დაიწყო. მაშინ მიტინგებზე სიტყვებით გამოვდიოდი, ლექსებს ვკითხულობდი. ასე რომ, გააქტიურება 1988 წლიდან მოხდა, მაგრამ ადრე დაბეჭდილ წიგნებშიც სამშობლოს თემა ყოველთვის იყო.

– 1988 წლიდან თქვენ აქტიურობდით და იღებდით მონაწილეობას ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლების მიერ მოწყობილ აქციებში, მაგრამ კომუნისტურ პარტიას 9 აპრილის შემდეგ ტოვებთ. ეს ალბათ გარკვეულ ფსიქო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგიურ პროცესთან იყო დაკავშირებული.

– ზოგიერთებივით არ ვიტყვი, რომ კომუნისტურ პარტიაში ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით შევედი. თქვენ წარმოიდგინეთ, ოქტომბრელობისა და პიონერობის დროს ჩვენ რაღაც რწმენა ჩაგვინერგეს თავში. ეს რწმენა 1988 წლიდან ნელ-ნელა ირყეოდა და 9 აპრილმა აბსოლუტურად გააშიშვლა ყველა-ფერი. მივხვდი, რომ კომუნისტური იდეოლოგიით და რწმენით მოტყუებული და გაბრიყვებული კაცი ვიყავი. კომპარტიის ბილეთის მოშორებით თითქოს რაღაც ჭირი მოვიშორე. 9 აპრილის შემდეგ ჩემთვის ნათელი გახდა, რომ გაბრიყვებული კაცი ვიყავი და სატანას და უბედურებას ვემსახურებოდი.

– პარტიის ბილეთის დატოვებას როგორ შეხვდნენ?

– მაშინ ტელევიზიაში ვმუშაობდი, სატელევიზიო ფილმების რედაქციის რედკოლეგიის წევრი ვიყავი და ერთ-ერთმა პირველმა დავტოვე პარტია. რასაკვირველია, ძალიან უარყოფითად შეხვდნენ. ზოგიერთმა პარტიულმა ხელმძღვანელმა დამიბარა და მითხრა, ამას ნუ გააკეთებ და დაგაწინაურებთ და ყოველგვარ პირობებს შე-გიქმნითო.

– ვინ დაგიბარათ?

– ხელმძღვანელობიდან იყო, გვარის დასახელება არ მინდა. ვუთხარი, ყველაფერი დამთავრდა-მეთქი. მეორე დღეს იყო, მწერალთა კავშირში მწერლები რომ გამოვიდნენ კომპარტიიდან. მეც ვესწრებოდი, მაგრამ მე პარტიიდან უკვე გამოსული ვიყავი.

– 9 აპრილს სად იმყოფებოდით?

– 8 აპრილს ვიყავი რუსთაველზე, რუსთაველის თეატრის წინ, ბორჯომის წყლებს რომ ჰყიდიდნენ, იქ ვიდექი. ჩემთან ერთად იყვნენ მწერალი აპოლონ ჟორდანია და მისი მეუღლე. ამ დროს დავინახე, იმელის შენობის მხრიდან ვიღაც მანქანას მოაქროლებს, მანქანიდან გამოყოფილ დროშას აფრიალებს და იძახის: გადადით ქუჩიდან, გადადით, გადადითო. გავოცდი, ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. მეორე მხრიდან – თავისუფლების მოედნიდან ახალგაზრდების კოლონა მოდიოდა. სხვებიც ვერ მიხვდნენ, რატომ ითხოვდნენ ქუ-ჩიდან გადასვლას. უცებ მომესმა მოტორების გუგუნი და ტანკების მუხლუხების ხმა. მივხვდი, რაც ხდებოდა. ნურავინ ჩამითვლის დიდ ვაჟკაცობად, მაგრამ ტროტუარზე რომ ვიდექი, ქუჩაზე გადავედი და მთელი სისწრაფით „იმელის“ შენობისკენ გავიქეცი, იქითკენ,

საიდანაც ტანკების ხმაური ისმოდა. მივრბივარ... ჩემი ასეთი რეაქცია რამ გამოიწვია, ვერ გეტყვით.

– ალბათ იგრძენით რა იყო მოსალოდნელი.

– ქვეცნობიერად შეიძლება ასეც იყო. რომ მივუახლოვდი „იმელის“ შენობას, დავინახე, ვიღაც ბიჭი პირაღმა იწვა ტანკებისაკენ თავმიშვერილი ისე, რომ ტანკებს ვერ ხედავდა. მეც დავწექი, ოღონდ პირიქით, ტანკებს ვუყურებდი. ახლაც ყურში ჩამესმის ვიღაც ბავშვის განწირული ყვირილი, არ დაწვე, ბიძია, არ დაწვეო... ამას რომ ვიხსენებ, დღესაც თვალებზე ცრემლი მადგება. როგორც შემდეგ გავიგე, ტანკებს პირველი კოკა გაწერელია დაუწვა. მაშინ კოკას პირადად არ ვიცნობდი. ვხედავ, მოდიან ტანკები... იქ, სადაც ადრე კაფე იყო, იქამდე მოვიდა პირველი ტანკი და გაჩერდა. ტროტუარზე მდგარი ადამიანები ნელ-ნელა ქუჩისაკენ ინაცვლებენ, ცდილობენ ტანკებს გზა გადაუღობონ. ვიღაც ხელს იქნევდა, ახლოს მოდითო. ვინც საპირისპიროდ იწვა, ისინი ვერ ხედავდნენ, მაგრამ მე ვხედავდი... ამიტომ წამოვხტი და ტანკისკენ გავიქეცი. ტანკს მივუახლოვდი და ვყვირი: „ნე სტანტე პალაჩამი, პერედ ვამი ნაროდ“. ტანკები რომ გაჩერდნენ, გოგონამ ტანკებს ყვავილები ესროლა, ვიღაც ბიჭი ტანკზე ახტა, მაგრამ ულვაშებიანმა რუსმა თავში ჩაარტყა და ჩამოაგდო. ეტყობა, გაჩერების ბრძანება მიიღეს, თორემ გაგვსრესდნენ. ტანკებმა მობრუნება რომ დაიწყეს, კინაღამ გაგვსრისეს. ბოლოს, მეოთხე თუ მეხუთე ტანკმა უკან დაიხია და დანარჩენი ტანკებიც უკუსვლით გავიდნენ.

– ე.ი. 1989 წლის აპრილის აქციების დროს პირველი შემოტევა მაშინ თქვენ შეაჩერეთ?

– ჩვენ რა შევაჩერეთ, მაგრამ ალბათ მომხდარმაც იმოქმედა.

– ტანკები გამოჩნდა, საშიშროება იყო. ამის შემდეგ არ გიფიქრიათ, რომ დაშლილიყავით?

– მაშინ ხალხი ისე იყო, შიშის გრძნობა არა ჰქონდა. მე ყველა დახვრეტილ მიტინგში ვარ მოყოლილი, რა დახვრეტებიც იყო თბილისში პუტჩისტების მოწყობილი: დიდუბეში, ცირკთან, დელისთან, მთავრობის სახლის წინ. უბრალოდ, გადავრჩი.

ბატონი ნოდარი თავის მეუღლეზე მიუთითებს, რომ მან გადაარჩინა. მისი მეუღლე გახლავთ ქალბატონი მანანა შალიკიანი, რომელიც ყოველთვის მის გვერდით იყო: „ამან გადამარჩინა, თორემ ალბათ მომკლავდნენ“. პოეტი იგონებს 1991 წლის 5 ოქტომბერს,

როცა კანონიერი მთავრობის შენობას ოპოზიციამ შეუტია, ამ-ამ მთელი ღამის უძინარი პოეტი ქაშვეთის წინ მდგარ ავტობუსში შესულა და ჩასძინებია. ამ დროს ოპოზიციონერები ცალ ხელში ანთებული სანთლებითა და ცალ ხელში ავტომატებით ჩუმად უახლოვდებოდნენ თურმე მთავრობის სასახლეს სწორედ ქაშვეთის მხრიდან. მეუღლეს ნახევრად მძინარე პოეტი ძალით გამოუყვანია იმ ავტობუსიდან, რომელსაც 10 წამში პუტჩისტებმა ტყვიები დაუშინეს.

– დიახ, მაშინ შიშის გრძნობა დაკარგული იყო, – განაგრძობს პოეტი, – ტანკები გაბრუნდნენ. გაოგნებული მივდივარ რუსთაველზე. შემხვდნენ რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი და მწერალი გურამ გეგეშიძე. როგორც ჩანს, აფორიაქება სახეზეც მეტყობოდა. მათ მითხრეს, ნოდარ, რა დაგემართა, რა იყოო. ვუთხარი, ტანკებს დავუწექი-მეთქი და ვგრძნობ, თანდათან ცუდად ვხდები. უკვე ოფიცერთა სახლთან ვარ მისული. იქ ეთერ ბერიტაშვილი გამოჩნდა, რომელიც, ეტყობა, მიხვდა, რა დღეშიც ვიყავი. მანქანა გააჩერა და ჩამსვა. სახლში მივედი, მეუღლეს ვუთხარი, ტანკებს დავუწექი-მეთქი და საწოლში ჩავწექი. დაახლოებით ორი საათი ვიწექი და რაც მოხდა, თითქმის ყველაფერი დამავიწყდა, ვერაფერი გავიხსენე (ორი-სამი დღე იქ მომხდარ დეტალებს ვერ ვიხსენებდი). ორი საათის გასვლის შემდეგ მეუღლეს ვეუბნები, არ მახსოვს, რა მოხდა და ისევ იქ წავიდეთ, მინდა ის ადგილი ვნახო-მეთქი. ორი-სამი დღის შემდეგ ნელ-ნელა ყველაფერი გავიხსენე. გამახსენდა, რომ ჩემთან ერთად იყვნენ აპოლონ ჟორდანია, ნომადი ბართაია, ვიქტორ კახნიაშვილი, კობა არაბული და სხვები. ეს გვარები სამი დღის შემდეგ ამოტივტივდა გონებაში.

თქვენ იცით, დამსჯელი რაზმის ერთი ნაწილი ტელევიზიაშიც იყო დაბანაკებული. ჰოდა, იმ ადგილების დათვალიერების შემდეგ რუსთაველიდან ტელევიზიაში წავედი. 8 აპრილის ღამის პირველის ნახევრისთვის სახლში წამოვედი, რადგან განცდილი ემოციებისაგან, ეტყობა, ძალიან გადავიღალე, ფიზიკურად აღარ შემეძლო ფეხზე დგომა და ვიფიქრე, დავისვენებ-მეთქი. ამან გადამარჩინა, თორემ 9 აპრილს რუსთაველზე რომ ვყოფილიყავი, გადავრჩებოდი თუ არა, კაცმა არ იცის.

– კომპარტიიდან გასვლის შემდეგ თქვენ დაწერეთ ლექსი „პარტიიდან გასული კაცის ფიქრები“, სადაც წერთ:

„თურმე ვესროლე ტყვია ილიას“. რატომ გაგიჩნდათ ასეთი გრძნობა?

– იმიტომ, რომ ილიას ტყვია სოციალ-დემოკრატებმა ესროლეს. კომპარტია კი ამათი ფესვებიდან აღმოცენებული პარტია იყო. ამიტომ გადავიტეხე ჩემს თავზე ჯოხი.

– ბატონო ნოდარ, ე.წ. იდეალური დემოკრატიის გამო ზოგ ადამიანს შეუძლია საკუთარი კუთხის დარბევა გაამართლოს, რით ახსნით ამას?

– ვინც დარბევას ამართლებს, ის დემოკრატი არ არის. ვინც სამეგრელოს დარბევას ამართლებს, ყოვლად გათახსირებული კაცია. ჩემს ბოლო წიგნში მაქვს ლექსი „ცოტნე დადიანის მიმართვა სრულიად საქართველოსადმი“, სადაც ვწერ: „ჩემო ამერო-იმერო, ქართლო, აჭარავ, გურიავ, თქვენ რომ ტყვიებით დაცხრილეთ, ის მიწა ჩემი გულია...“ ეს იმ დროს დავწერე, როცა პუტჩისტებმა სამეგრელოში გაილაშქრეს. სამეგრელოში მეორე ლაშქრობის დროს მე და კიდევ რამდენიმე კაცი ახმეტაში წავედით აგიტაციის მიზნით.

– თქვენთან ერთად ვინ იყვნენ?

– ჩემთან ერთად იყვნენ თენგიზ კიკაჩეიშვილი, ლია ბერუაშვილი, მამუკა წიკლაური და სხვები, სულ 15 კაცი.

ჩავედით თელავში, საიდანაც ახმეტაში უნდა წავსულიყავით. გამოგვყვნენ თელავიდანაც. ახმეტის შესასვლელში ავტომატებიანი ხალხი დაგვხვდა. ახმეტაში იმიტომ მივდიოდით, რომ აგიტაცია გაგვეწია, რათა კახელებს, საერთოდ, ქართველ დედებს არ გაეშვათ თავიანთი შვილები სამეგრელოს დასარბევად. როგორც გითხარით, ახმეტის შესასვლელთან გადაგვიდგნენ მხედრიონელები. მხედრიონელები კახეთშიც იყვნენ, ქართლშიც, იმერეთშიც და სამეგრელოშიც. ცუდი ადამიანები ყველა კუთხეს ჰყავს. მახსოვს ის ბიჭი, ვინც მათ ხელმძღვანელობდა და აქტიურ წინააღმდეგობას გვიწევდა. გვარად იმერლიშვილი იყო, თვითონ ასე გვითხრა. ეტყობა, ჩვენი ავტობუსი დააფიქსირეს და ახმეტის შესასვლელთან დაგვხვდნენ. მოვითათბირეთ, როგორ უნდა მოვქცეულიყავით. ავტობუსში ფოტოაპარატიც გვქონდა და ჩვენებს ვუთხარი, მე წავალ, თქვენ დააფიქსირეთ მათი რეაქცია-მეთქი. მაინტერესებდა, მართლა მესროდნენ თუ არა. მივედი და იმ ბიჭს, იმერლიშვილს, ვეუბნები, მე უნდა წავიდე-მეთქი; მან კი, – არა, ჩვენ დავალებული გვაქვს და არ გაგიშვებთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ვისგან გვაქვს დავალებაო?

– ალბათ, მხედრიონელებისგან. რომ წავიდე, მესვრი-მეთქი? გესვრიო. არა მჯერა-მეთქი და წავედი. მან ავტომატი შემართა. როგორც გითხარით, ჩვენ მათი რეაქციის დაფიქსირება გვინდოდა და, რასაკვირველია, უკან გამოვბრუნდით. ჩვენს ირგვლივ ხალხი მოგროვდა, უბრალო ხალხი, მათ აღშფოთება გამოთქვეს ავტომატიანი ახალგაზრდების მიმართ. ეტყობა, ჩემმა გვარმაც გაიჟღერა, გაიგეს სამეგრელოდან რომ ვიყავი და მოგროვილმა ხალხმა ავტომატიანებს საყვედური დააყარა, არა გრცხვენიათ, რას სჩადიხართ, ხალხი იმ სიშორიდან ჩამოსულა და თქვენ რას აკეთებთო.

– სტუმარ-მასპინძლის წეს-ჩვეულებას ღალატობთო?

– დიახ. თუ ვინმე სამეგრელოში ჩავიდა დასარბევად, ეს მთელი კუთხის მოსახლეობაზე არ უნდა გადაიტანოს კაცმა. ამ დროს იქ კიდევ საინტერესო ფაქტი მოხდა. მოგროვილ ხალხს შორის ახალგაზრდებიც იყვნენ. მათ ჩხუბი დაუწყეს ავტომატიანებს, გაუშვით, რას აკეთებთ, არა გრცხვენიათო? ამ პატარა ბიჭებმა ავტომატიანებს რომ ვერაფერი გააგებინეს, ამოიღეს რაღაც საბუთები და პროტესტის ნიშნად დახიეს და სახეში მიაყარეს. ეტყობა, ეს საბუთები მომავალი მხედრიონელობისათვის რეკომენდაციები იყო თუ რაღაც ამის მსგავსი. მხედრიონელები გაბრაზდნენ და ახალგაზრდებს დაემუქრნენ, ჩამოვლენ ჩვენები და ამის პასუხს მიიღებთო. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ჩუმად გვითხრეს, ჩვენ სხვა გზები ვიცით და წაგიყვანთო. მართლაც, სამ ჯგუფად გავნაწილდით, ფეხით კარგა ხანს ვიარეთ და ასე ავედით ახმეტაში.

– ავტობუსი არ გაუშვეს?

– არა. მიტინგი პირველ საათზე იყო დანიშნული და ხალხი ორი საათი გველოდებოდა.

– იცოდნენ, რომ უნდა მოსულიყავით?

– იცოდნენ, რასაკვირველია. მიტინგზე ისეთი სიტყვა ვთქვი, ეტყობა, ზოგიერთებს გულზე მოხვდათ. კახელ დედებს ასე მივმართე: „კახელო დედებო, თქვენი შვილები იმ კუთხის დასარბევად გაგზავნეს, სადაც ეკატერინე ჭავჭავაძე ცხოვრობდა და სადაც მისი შვილები დაიბადნენ. ამიტომ, როდესაც იქიდან თქვენი შვილები სისხლიანი ხელებით დაბრუნდებიან, ის ხელები არ დაჭბანოთ“. ეს რომ ვთქვი, ვიღაცამ დაიძახა, ალყა შემოარტყითო. კიკაჩეიშვილი, წიკლაური და სხვები მანიშნებდნენ, უკან გამოდიო. ვიფიქრე, უკან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგომას ჩაქოლვა ჯობია-მეთქი და გავაგრძელე ჩემი სათქმელი. ეტყობა, ჩემმა სიტყვებმა ქალებზე იმოქმედა, აყვირდნენ და შეუტიეს თავიანთ კაცებს.

– ე.ი. გადაგარჩინეს?

– შეიძლება გადარჩენამდე და ჩაქოლვამდე საქმე არ მისულიყო, მაგრამ უსიამოვნებას ნამდვილად გადამარჩინეს. როგორც შემდეგ გავიგეთ, ისინი, რომლებიც გვემუქრებოდნენ, სულ 5 თუ 6 კაცი ყოფილა, მაფიოზები. ასე თუ ისე, ჩავატარეთ ეს მიტინგი. ჩემ გარდა სიტყვით სხვებიც გამოვიდნენ, მათ შორის ადგილობრივებიც. აქ მოხდა ერთი ფაქტი, რომელზედაც ღირს ყურადღების გამახვილება. მიტინგი ის-ის იყო დავამთავრეთ და ის მხედრიონელი, იმერლიშვილი, ამოვიდა თავისი ბიჭებით და დაგვიწყო აგრესიული ლაპარაკი. ლია ბერუაშვილი ჩუმად მეუბნება, ნოდარ, ის ლექსი წაიკითხე, მაგათნაირ ბიჭებზე რომ გაქვს დაწერილიო. მეც არ დავაყოვნე, გადაბეჭდილი ლექსი ამოვიღე და საკმაოდ პათეტიკური ტონით წავიკითხე. აღელვება და ემოციები ისედაც არ გვაკლდა. იქნებ ღირდეს ამ ლექსის თქვენი გაზეთის მკითხველებისათვის მიწოდება. ლექსი რეალურ ფაქტზე არის დაწერილი, რომელზედაც ქვემოთ ვილაპარაკებ.

ბიჭებს, რომლებმაც მესროლეს ტყვია

განა სიკვდილთან შეხვედრა მზარავს,
ყველას სიკვდილის შვილები გვქვია.
ვინც უნდა მომკლას, ოღონდაც არა,
ოღონდაც არა – ქართველის ტყვიამ.

ისეც ღრუბელი ადგება ჩემს მზეს,
გინდ აქეთ ვიყო და გინდა იქით.
აღარ მასვენებს მე უფრო თქვენზე,
თქვენზე წუხილი და თქვენზე ფიქრი.

გამიგეთ, რასაც გულწრფელად გეტყვით,
გამიგე, შვილო! გამიგე, ბიჭო!
არის სასჯელი სიკვდილზე მეტი,
როცა სიცოცხლეს სიკვდილიც კი სჯობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგერქმეოდათ სახელი მკვლელის,
მკვლელის და ისიც თვისტომის მკვლელის.
ქართველისათვის ამაზე მეტი,
არ მეგულება მე სხვა სასჯელი.

რაკი გადარჩით განგების ნებით
და ამცდა თქვენგან ნასროლი ტყვია.
ახლა ერთსა გთხოვთ, ერთს გევედრებით,
გონს მოდით, სანამ არ არის გვიან.

სანამ გაყიდით ოცდაათ ვერცხლად
სამშობლოსათვის შესაწირ თავებს,
სანამდე ბავშვებს დატოვებთ ობლად,
სანამდე დედებს ჩააცმევთ შავებს.

სანამდე ხალხი გიწოდებთ მკვლელებს
(დრო ყველას თავის სახელებს არქმევს),
სანამ შეახებთ სისხლიან ხელებს,
შვილებო, თქვენი შვილების აკვნებს.

სანამ ქუჩაში ქართველ გოგონებს
იების ნაცვლად ესროდეთ ტყვიებს,
ეშმაკის სული ნუ დაგიმონებთ,
სძლიეთ სატანას, ბიჭებო, სძლიეთ!

გადაარჩინეთ დედები თქვენი,
სანამ სხვის დედებს ესროდეთ ტყვიებს.
რომ აღარ ერქვათ დედები მკვლელის,
სძლიეთ სატანას, ბიჭებო, სძლიეთ!

არ დაივიწყოთ შვილები თქვენი,
სანამ სხვის შვილებს ესროდეთ ტყვიებს,
რომ აღარ დარჩნენ შვილებად მკვლელის,
სძლიეთ სატანას, ბიჭებო, სძლიეთ!

• • •

და მაინც თუკი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ მაინც მოხდა,
თუ გამიმარჯვა მაინც მაცილმა,
თქვენგან ნასროლი ტყვია თუ მომხვდა,
უბედურებას ვერ აგაცილეთ, –

შეგინდოთ ღმერთმა!.. მე კი ახლავე
გაძლევთ შენდობას და პატიებას.
მე ვიცი, ერთ დროს თქვენს გულს დახრავენ
ჩემკენ ნასროლი თქვენი ტყვიები.

და როცა მოვა, ბიჭებო, სხვა დრო
და ეს დღეები შერჩება ხსოვნას,
ჩემო წუხილო, ტკივილო, დარდო,
მექნება ერთი სურვილი, თხოვნა:

როს დაადულებს დრო ძარღვში მაჭარს,
მოგემატებათ წლებიც და ჭკუაც.
როცა გაარჩევთ ვაჟკაცს და ლაჩარს,
როცა გაარჩევთ მართალს და მტყუანს,

ბიჭებო! როცა მიხვდებით თვითონ,
რას ნიშნავს ქვეყნად დარჩენა კაცად,
ჩემს სამარესთან მიხაკი თითო
დააწყვეთ თქვენი ტყვიების ნაცვლად!

ეტყობა, ჩემმა ლექსმა თავისი საქმე გააკეთა. ეს ჩემს ლექსზე უფრო ისევ ეშმაკისაგან შეცდენილი ბიჭების სულის სიკეთეზე მეტყველებდა. თავჩაღუნულები მისმენდნენ, აგრესიულობას თავი დაანებეს. იმერლიშვილს ვუთხარი, ფეხით ვერსად ვერ წავალთ, თუ გინდა, მანქანა გვიშოვე-მეთქი. ოღონდ თქვენ წადითო და მომავალი მანქანები გააჩერა. აქ ერთი ფაქტიც მოხდა: მიტინგი რომ დამთავრდა, ვილაც ადგილობრივი ჩოლოყაშვილი მოვიდა ჩვენთან, დაგვპატიჟა: ბატონო ნოდარ, ჩვენთან წამოდით სტუმრადო, მაგრამ სტუმრად წასვლა არ შეიძლებოდა.

– *როგორ ფიქრობთ, მიზანს მიაღწიეთ?*

– მგონი, მივაღწიეთ. ის ფაქტი, რომ თვითონ ადგილობრივმა ახალგაზრდებმა ავტომატიანების წინააღმდეგ გაიწიეს, ხოლო

დედებმა იმ რამდენიმე კაცს შეუტიეს, დადებითი მომენტი იყო. სხვათა შორის, ჩემ მიერ ნახსენები ლექსი ცოტნე დადიანზე სწორედ ამ შთაბეჭდილებებით დავწერე. ერთი ჩემი მეგობარი მომიყვა, როცა ეს ლექსი დაიბეჭდა, ფოთში ვიღაც პუტჩისტს უთქვამს, ვინც ეს ლექსი დაწერა, დასახვრეტიაო.

– ბატონო ნოდარ, როგორ უყურებთ ეროვნულ ერთიანობას?

– ეროვნული ერთიანობაა ერთადერთი გზა, რომელიც საქართველოს გადაარჩენს. ეროვნულმა ერთიანობამ და ქრისტიანულმა რწმენამ უნდა იხსნას საქართველო იმ უბედურებისაგან, რაც დღეს არის ქვეყანაში. ასე რომ, ვინც საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგია, ის წინააღმდეგია საქართველოს ხვალინდელი დღისა. მე მხედველობაში მაქვს საქართველოს კუთხეებად დანაწევრება. საქართველოს კუთხეებად დაყოფის პრინციპებს ბატონი აკაკი ბაქრაძეც იზიარებდა. მის აზრს იზიარებდა აგრეთვე ისტორიკოსი და პოლიტოლოგი ლევარდ ტუხაშვილი. მათ მოსაზრებებს არ დავეთანხმე, დავწერე და გამოვაქვეყნე წერილი, სადაც ჩემს პოზიციას ვაფიქსირებდი. რასაკვირველია, ახლაც ამ პოზიციაზე ვარ. ძლიერი და ჭკვიანი საქართველოს მეფეები ყოველთვის საქართველოს გაერთიანებას ცდილობდნენ.

– საქართველო ძლიერი მაშინ იყო, როცა კუთხეები ერთად იყვნენ და ქვეყანა ერთიანი იყო.

– რასაკვირველია. უჭკუო და უნიათო ხელისუფალნი ყოველთვის ცდილობდნენ საქართველო დაენაწევრებინათ, რადგან მათ ერთიანი საქართველოს ტვირთის ტარების ძალა და ჭკუა არ გააჩნდათ. ასეა დღესაც.

– თქვენ ფიქრობთ, რომ დღესაც იმიტომ ფიქრობენ დანაწევრებას და ავტონომიების შექმნას, რომ ჭკუა არ ჰყოფნით?

– დიახ. დღესაც ამიტომ ცდილობენ დაანაწევრონ საქართველო. ეს არის „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკა. საქართველოს დანაწევრებისა და ავტონომიების შექმნის იდეა ყოველთვის მოდიოდა საქართველოს დამპყრობლებისაგან. ალბათ იცით ისტორიიდან, მონღოლებმა დაყვეს საქართველო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ დავით ულუს და დავით ნარინის დროს. ეს მათ სპეციალურად გააკეთეს, რომ ქართველები ერთმანეთისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეპირისპირებინათ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს, რაზეც ივანე ჯავ-
ახიშვილი კარგად წერს: მათ ორი სამეფოსა და ორი მეფის ყოლას
ორთა მეფობა არჩიეს და ერთად მართავდნენ საქართველოს. დავით
ულუ და დავით ნარინი თბილისში მორიგეობით ისხდნენ სამეფო
ტახტზე, მაგრამ არა ცალ-ცალკე, ერთი რომ ქუთაისში მჯდარიყო
და მეორე თბილისში. ორივენი თბილისიდან მართავდნენ ქვეყანას,
ე. ი. ჭკუა და გონება ეყოთ საქართველო არ გაეთიშათ და ქართვე-
ლები ერთმანეთისათვის არ დაეპირისპირებინათ. ეს იყო ჭკუის
სასწავლებელი მაგალითი.

*– ამ სიტუაციაში პოეტის ადგილს როგორ ხედავთ? რო-
გორ ფიქრობთ, პოეტი მკვეთრად გამოხატულ პოლიტიკურ
პარტიაში უნდა გაერთიანდეს თუ უფრო სხვა როლი უნდა
მონახოს?*

– ჩემი აზრით, პოეტის პარტია არის სამშობლო. სხვა პარტია
პოეტს არ სჭირდება და არც უნდა ჰქონდეს. პოეტი, უპირველესად,
უნდა იყოს ერთიანი საქართველოს მეხოტბე; არა მარტო პოეტი,
ყველა ჭეშმარიტი ქართველი უნდა იყოს ერთიანი საქართველოს
მომხრე, რადგან ამაშია საქართველოს ხსნა.

*– ხშირად არის საუბარი იმაზე, რომ პოეტი, მწერალი,
ხელოვანი არ უნდა ერეოდეს პოლიტიკაში. თუმცა ბოლო
წლებში ეს პოზიცია მათ მიმართ გამოიკვეთა, ვინც დღევა-
ნდელი პოლიტიკური მმართველობის მხარდამჭერი არ არ-
ის. თქვენ რა აზრის ბრძანდებით?*

– პოეტი კი არა, ყველა პატიოსანი ქართველი ვალდებულია
დადგეს იქ, სადაც მისი სამშობლოს ბედი წყდება; იქ უნდა დადგეს,
სადაც უკეთესია მისი სამშობლოსათვის. პოეტი არ უნდა ერეოდეს
პოლიტიკაშიო, ამ მოსაზრებას არ ვიზიარებ. პოლიტიკაში ჩარევა
კი არა არის საქმე, არამედ, სადაც ჩემი სამშობლოს ბედი წყდება,
იქ უნდა ვიყო. როცა პოეტები, მწერლები, ხელოვნების მუშაკები
ერევიან ეროვნულ საქმიანობაში, ამას პოლიტიკაში ჩარევა კი არ
უნდა ერქვას, არამედ საზოგადოებრივი მოღვაწეობა. პოეტი
პოლიტიკაში არ უნდა ერეოდესო, ამას პუტჩისტები ამბობდნენ
ზვიად გამსახურდიას მომხრეებზე, თორემ პუტჩისტების მხარდ-
ამჭერი პოეტებისა და ხელოვნების მუშაკებისათვის ამ თეორიას
სულაც არ შეუშლია ხელი რუსთაველის პროსპექტზე სისხლიანი
სპექტაკლის დადგმასა და სისხლიანი ლექსებითა თუ მოწოდებებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოსვლაში.

– ბევრი სახელოვანი მომღერალი თუ მოღვაწე თბილისის ომის დროს ავტომატითაც უნახავთ?

– დიახ, მეც მინახავს, მაგრამ მათ გვარებს არ ვასახელებ, რადგან რაც საქართველოში მოხდა, ეს იყო სენი, ავადმყოფობა, უცხოთაგან, იმპერიისაგან თავს მოხვეული უბედურება. უნდა ვეცადოთ, ამ ავადმყოფობისაგან თავი დავიხსნათ. ახლა ერთმანეთს რომ გავუხსენოთ და წამოვაძახოთ: შენ იქ იყავი, შენ აქ იყავიო, არ გამოვა, საქვეყნო საქმეს არ გამოადგება. მე ლექსებს ვწერ და თუ პოეტი მქვია, ჩემი მოწოდება მაინც ადამიანების ერთმანეთთან დაახლოება და შერიგება უნდა იყოს.

– ბატონო ნოდარ, პირადად არავის დასჯას არ მოვითხოვ. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ფიქრობს: ქვეყანაში სამართლებრივი ნიჰილიზმი რომ არ დამყარდეს, აუცილებელია ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას. შემდეგ კი ერმა გადაწყვიტოს, აპატიოს ამ ადამიანებს ჩალენილი დანაშაული თუ არა.

– ამაში აბსოლუტურად გეთანხმებით. ის ხალხი, ვინც იარაღი აიღო, ვინც შეგნებულად გააკეთა ის, რაც მოხდა, ვინც უბედურება მოუტანა ქვეყანას და ხალხს, ისინი უნდა დაისაჯონ და დაისჯებიან კიდეც. ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ დაბნეულ, ფეხის ხმას აყოლილი რიგით ადამიანებს გათვითცნობიერებული არ ჰქონდათ, რას აკეთებდნენ და ეგონათ, რომ სწორად იქცეოდნენ, ამგვარი კატეგორიის ადამიანების მიმართ არ უნდა ვიყოთ ძალიან მკაცრი.

– ასეთ ადამიანებზე საუბარი არ არის.

– აბა, ის ხალხი, ვინც იცოდა, რას აკეთებდა, იცოდა, რატომ აკეთებდა, ეჭვი არ მეპარება, რომ დაისჯება. მოვა დრო, მოვა სხვა თაობა, რომელიც საფუძვლიანად გადახედავს საქართველოში 1991-92 წლებში მომხდარ მოვლენებს.

– თქვენს წიგნში „ქუჩაში დაწერილი ლექსები“ ყველა ლექსს თავისი თარიღი აქვს, რომლებიც 1990 წლის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს გვახსენებს. თუ ამ წიგნის მიხედვით ვიმსჯელებთ, თქვენ 1991 წლის 11 ნოემბრიდან 1992 წლის იანვრამდე ლექსი არ დაგიწერიათ. ეს ის პერიოდია, როცა თბილისში სახელმწიფო გადატრიალება ხდებოდა, რუსთაველზე ომი მიმდინარეობდა.

– მე ამ ომის მონაწილე ვარ... იმ დღეებში ლექსის წერაც ახსოვდა. როცა მთავრობის სასახლეს პუტჩისტები უტევდნენ, მე და ჩემი მეუღლე დღედაღამ სასახლის წინ ვიდექით. მაშინ ლექსის დასაწერად ვის ეცალა.

ბატონი ნოდარის მეუღლე, ქალბატონი მანანა:

– მთავრობის სახლის წინ სროლები იყო, მაგრამ ჩვენ მაინც იქ ვტრიალებდით. ასევე ვიყავით დიდუბეში დახვრეტილ მიტინგზე, ვაგზალზე, სანაპიროზე.

ბატონი ნოდარი:

– ჩვენ ყველა იმ აქციის მონაწილე ვართ. 22 დეკემბერს სროლები რომ დაიწყო, კინოთეატრ „რუსთაველის" გვერდით ვიდექით მე, მანანა და ჩვენი თანამოაზრეები. თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, ზოგიერთი სულაც არ ყოფილა ჩვენი „თანამოაზრე". მიუხედავად საშინელი სროლისა, ეროვნული ხელისუფლების მომხრეები, მათ შორის ჩვენც, გადავედით და დავდექით მთავრობის სახლის წინ. მიდის სროლები.

– გინდოდათ სროლები შეგეჩერებინათ?

– ალბათ, ჩვენი აზრით.

ქალბატონი მანანა:

– ეს გადაღებულია, სხვათა შორის.

ბატონი ნოდარი:

– დიახ, გადაღებულია. დავინახე, სასახლის ფანჯრებიდან ვიღაც კინოაპარატით იღებდა. ეს ალბათ უნიკალური მასალა იქნება იმის დასამტკიცებლად, თუ როგორი ერთგული იყო ხალხი ეროვნული ხელისუფლების... ვდგავართ მთავრობის სახლის წინ, მაგრამ, ეტყობა, ადამიანი ცოტას რომ მიაღწევ, უფრო მეტი გინდა. რადგან ტყვიები არ გვხვდება, გადავწყვიტეთ უფრო ახლოს მივსულიყავით იმ ადგილამდე, საიდანაც ისროდნენ. ერთი ჯგუფი წავიდა, მეორე ჯგუფს ჩვენც გავყევით. ქუჩა რომ გადავკვეთეთ და ქაშვეთს მივუახლოვდით, ტყვიებმაც დაბლა დაიწია. ნათლად ვხედავდით, ნატყვიარი ფოთლები რომ გვაცვიოდა თავზე. მე წინ მივდიოდი, მანანა უკან მომყვებოდა. ვხვდები, ავტომატის ლულას თუ ცოტა დაბლა დაუშვებენ, მოგვკლავენ. ჩავიკუზე და ხეს ამოვეფარე. მანანას, ეტყობა, ეგონა, ტყვია მომხვდა და შეშინებული და გაოგნებული მიყურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალბატონი მანანა:

– ყველა ჩაკუზულა, მე კი ვდგავარ და მეშინია, ნოდარს ტყვია არ მოხვდეს. ცოტა ხნით სროლა შეწყდა და ჩვენც ქუჩიდან ქაშვეთის მხარეს ტროტუარზე გადავედით. ჩვენ არ ვიცოდით, რომ ჩვენს მისვლამდე იქ ხალხი დაუხვრეტიათ.

ბატონი ნოდარი:

– აქ მოხდა ერთი საინტერესო ფაქტი. ის კაცი ალბათ ახლაც ცოცხალია. ვართ ქაშვეთთან ქუჩის კედელს ამოფარებულნი. უცებ ვიღაც წამოხტა და გაიქცა იქით, სადაც პუტჩისტებს ზარბაზანი ედგათ. ვიფიქრე, ალბათ იმათი კაცი იყო ჩვენთან შემოპარული და თავისიანებთან გაიქცა-მეთქი, მაგრამ არ გასულა რამდენიმე წუთი და რას ვხედავ, ის კაცი დაბრუნდა, რაღაცა უჭირავს ხელში. ჭურვი მოიტანა, მოპარა პუტჩისტებს. განა ეს კაცი ჰიუგოს რომანის გმირის – გავროშის მაგალითზე ნაკლებია? არ არის ეს გმირობა? ამისთანა ხალხი იყო და არის დღესაც საქართველოში.

– საიდან ისროდნენ?

– ქაშვეთის მხრიდან მთავრობის სასახლისაკენ. მთავრობის სასახლიდან არ ისროდნენ.

პოეტი და საზოგადო მოღვაწე ბატონი ნოდარ ჯალაღონია გვიყვება 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალების პერიოდში და მას შემდეგ საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ, იმ რეპრესიების თაობაზე, რაც მან თავის ზურგზე გადაიტანა.

ბატონი ნოდარ ჯალაღონია:

– დიდუბეშიც დიდი უბედურება მოხდა, ხალხი დახვრიტეს. როცა გავიგეთ, დიდუბეში მიტინგი ტარდებაო, მე და ჩემი მეუღლე წავედით, მაგრამ მეტროს ვაგონები მეტრო „წერეთლის“ იქით არ გაუშვეს, ამიტომ მისვლა დაგვაგვიანდა. „წერეთლიდან“ ფეხით გავუყევით გზას. „დიდუბიდან“ წამოსული ხალხი შეგვხვდა. გვითხრეს, – ნუ მიდიხართ, ხალხი დახვრიტესო. ჩვენ მაინც გავაგრძელეთ გზა. როცა მივედით მეტროსთან, ხალხი ისევ იკრიბებოდა. მოედანზე სისხლის გუბეები იდგა.

– პროტესტის გამოსახატავად იმ დროს ასიათასობით ადამიანი იკრიბეობდა. ამდენი ხალხის არ ეშინოდათ, ერთად რომ წამოსულიყვნენ?

– ტყვიების წინაშე უიარაღო ხალხი უძლურია, თუმცა ისიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინახავს, უიარაღო ხალხმა როგორ გააბრუნა ვაგზლის მოედნიდან ხალხის დასარბევად გამოგზავნილი ჯავშანტრანსპორტიორი. ასე მოხდა დიდუბეშიც. ხალხმა ცარიელი ხელებით შეიპყრო ავტომატიანი ბანდიტები და სცემა. ისევ პუტჩისტებმა უშველეს და საავადმყოფოში წაიყვანეს. როგორც გითხარით, ხალხმა ისევ დაიწყო თავმოყრა და საკმაო რაოდენობით თბილისის ცენტრისკენ გამოემართა. თოვლჭყაპია, ქუჩაში მყოფი ავტომატიანები რომ ხალხმა შეიპყრო და სცემა, მათი ლაჩარი მეგობრები სახლების სახურავებზე ავიდნენ და იქიდან დაგვიწყეს სროლა. პირქვე ჩამხობილები ვართ... მართალი გითხრათ, მე პოეტი კაცი ვარ, კაცს ვერ მოვკლავ და იმ მომენტში შიშისგან კი არა, უმწეობისა და სიმწრისაგან თოვლიანი ტალახის ჭამა დავიწყე. მეუღლემ მიყვირა, რას აკეთებო. წარმოიდგინეთ, კაცი ზემოთ, სახლის სახურავზე ზის, გესვრის, შენ კი თოვლში ჩამხობილი ვერაფერს აკეთებ... ბევრი დაიჭრა. აქაც მოხდა საინტერესო ამბავი: საკაცეზე დასვენებული ქალი მოჰყავთ, რომელიც იძახის, – ბედნიერი ვარ, ბედნიერი ვარო! რატომ ხარ ბედნიერიო, – ჰკითხეს. უპასუხა, – საქართველოსთვის ვკვდებიო. ამისთანები იმ დროს ბევრნი იყვნენ. ეს ჩემი განცდები შემდეგ შევეცადე ლექსებში გადამეტანა.

– თქვენ 1992 წლის 6 მარტს, შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლის წინა დღეს, შევარდნაძეზე ლექსი დაწერეთ.

– შევარდნაძეზე ორი ლექსი დავწერე, 1992 წლის 6 მარტს და 2 მარტს. ერთი ლექსი „ის“ გაზეთ „რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა, რის გამოც გაზეთის რედაქტორმა ჯემალ ნინუამ საყვედურიც მიიღო. ყველა ხედავდა, თავის დროზე შევარდნაძემ საქართველოში რაც გააკეთა. ინფორმაცია იყო, რომ შევარდნაძე საქართველოში ჩამოდიოდა. უკვე გითხარით, 9 აპრილის ამბებმა კომუნისტურ იდეოლოგიას აბსოლუტურად დამაშორა. შევარდნაძე კი კომუნისტების იდეოლოგი და ბელადი იყო. ზვიად გამსახურდიამ რამდენჯერმე სცადა ედუარდ შევარდნაძე რამენაირად სამშობლოს სასიკეთოდ გამოეყენებინა, მაგრამ ამაოდ. შევარდნაძემ პენსიონერობა მოიმიზეზა. პენსიონერი კი არა, პირველ რიგში, კარიერისტი და სკამს ჩაფრენილი ადამიანი აღმოჩნდა. ლექსში „ის“ ვწერ: „ის ისევ თესავს, ის ისევ მკის, მისი ბუნება ისევ ჭრელია, საქართველოს – კი, სამშობლოს – კი, მაგრამ სავარძელს ვერ შეელია“. ამ კაცის

მიმართ აშკარად უარყოფითად განვეწყვე და მისი ჩამოსვლიდან რამდენიმე დღის მერე, 2 მარტს დავწერე ლექსი „ითამაშე ყველა როდი“.

„ითამაშე მეფის როლი
(როლი ცეკას მდივანის),
როლი ტაკიმასხარას და
როლიც იმ შადიმანის.

როლი ისკარიოტელის,
პილატეს და კაენის...
რა ღიმილით, რა სიცილით,
რა მანერით, რა ენით.

მართლაც დიდი, დიიიდი,
დიდოსტატი სცენების,
ახლა ცოტნეს როლს თამაშობს
და როლს აღმაშენებლის.

მართლაც „დიდი მსახიობი“,
„ენამჭევრი“, „ენამზე“,
ითამაშე ყველა როლი,
ოღონდ, არა სცენაზე“.

– ბატონო ნოდარ, შევარდნაძე ბოლო 10 წელია საქართველოს მართავს...

– შევარდნაძე საქართველოს კი არ მართავს, შლის და აქცევს. ის საქართველოს დამაქცევარია. ეს ფაქტია, არაფერს ვიგონებ.

– ერთ-ერთ ლექსში თქვენ ამბობთ: „აბა რა ვუთხრა უმწიფარ ბიჭებს, მათ, ვინც ნიღბებით ქუჩაში დარბის“. ბევრია ჩვენს საზოგადოებაში ადამიანი, რომელიც ინიღბება და საკუთარ სახეს არ აჩვენებს?

– აქ სხვა ნიღბებზეა საუბარი. იყო ასეთი ფაქტი: უზენაესი საბჭო გარშემორტყმულია. უნივერსიტეტში დიდი მიტინგი ტარდება. მიტინგზე უნდა მოსულიყო ორი დეპუტატი, ერთი – მარჯანიშვილი, მეორის გვარი არ მახსოვს. ისინი მიტინგზე სიტყვით უნდა გამოსულიყვნენ. გავიდა საათნახევარი, არავინ გამოჩნდა. ამ დროს მოვიდა ვიღაც ბიჭი და განაცხადა, მთავრობის

სასახლის პირველი სართული პუტჩისტებმა აიღეს და ხალხი ეროვნული ხელისუფლების მისაშველებლად უნდა წავიყვანოთო. ჩემი ღრმა რწმენით, პროვოკატორი იყო, უნდოდა მომიტინგეებსა და მთავრობის სახლის გარშემო მყოფ პუტჩისტებს შორის შეტაკება მოეხდინა. ვკითხე: საიდან იცი შენ, რომ პირველი სართული აიღეს-მეთქი? – ვიციო. – მე ათი წუთის წინ ვიყავი და არ იყო აღებული და ახლა როგორ აიღეს-მეთქი. – საიდან შეხვედი და საიდან გამოხვედიო. ამ პასუხმა კიდევ უფრო დამაეჭვა და მიტინგის ორგანიზატორებს ვუთხარი: – ასე ხალხს ნუ წაიყვანთ, პროვოკაციას არ წამოვეგოთ. საჭიროა ვინმე წავიდეს და ნახოს, სინამდვილეში რა ხდება-მეთქი. წასვლის მსურველი არავინ აღმოჩნდა, ამიტომ მე წავედი მანქანით. კონსერვატორიას რომ მივუახლოვდი, ნიღბიანები დავინახე. მივხვდი ვინც იყვნენ. მანქანა გავაჩერე. მინდა უკანა სვლით გავიყვანო და გავასწრო, მაგრამ როგორც კი უკანა სიჩქარეზე გადავრთე და დავძარი, დამცხეს, სროლა ამიტეხეს. მე ხომ არ ვიცი, ჰაერში ისროდნენ თუ მე მესროდნენ. გაქცევას აზრი არ ჰქონდა და მანქანა გავაჩერე, რადგან უკანა მხრიდანაც გზა მოჭრილი მქონდა. ვზივარ და ველი, როდის მესვრიან. მოვარდნენ, მანქანიდან გამომაგდეს და მანქანის ჩხრეკა დაიწყეს. ამ დროს, მოდის 16-17 წლის ბიჭი, ხელში რევოლვერს ატრიალებს და ამბობს, – სამი ტყვია კიდევ დამრჩაო. ნუთუ ამ ბიჭს უნდა მოვეკალი? ამის გაფიქრება იყო საშინელება. ამ ფაქტზე მაქვს დაწერილი ლექსი „ბიჭებს, რომლებმაც მესროლეს ტყვია". ამ სიტუაციიდან მათ შორის მყოფმა ერთმა პიროვნებამ მიხსნა, გადამარჩინა, – როგორ, ამის მოყოლა ჯერ კიდევ არ შეიძლება, სახელისა და გვარის თქმაც ჯერ არ შემიძლია. მივედი უნივერსიტეტში და ვუთხარი, რომ მთავრობის სასახლე აღებული არ იყო.

– როგორ გაიგეთ, რომ მთავრობის სასახლე აღებული არ იყო?

– ვინც გადამარჩინა, იმ კაცმა მითხრა. ვგონებ, ის კაცი ჩვენი თანამოაზრე იყო. ჩემი აზრით, ჩაფიქრებული იყო პროვოკაცია, – უნივერსიტეტში შეგროვილი ხალხი წამოგვეყვანა და იარაღიან ხალხთან შეგვეჯახებინა. ვინც გადამარჩინა, იმ კაცს შემდეგ შემთხვევით შევხვდი, რომელიღაც თავშეყრაზე. თვითონ გამომეცნაურა.

– ბატონო ნოდარ, საკმაოდ მძიმე პერიოდი გაქვთ გამოვლილი...

– დიახ, მე ორჯერ დამესხნენ თავს. 1992 წელს, ტელევიზიაში შურღაია რომ შევიდა, ეტყობა, იქ ჩემი შეტყუებაც უნდოდათ. მაშინ ჯერ კიდევ ტელევიზიაში ვმუშაობდი.

– რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი შეტყუება უნდოდათ?

– გამთენიისას, დაახლოებით 7 საათზე, ვიღაცამ დარეკა, გვაცნობა, ტელევიზიაში ასეთი ამბავია და შენ იქ არა ხარო? ტელევიზიასთან ახლოს, ხილიანის ქუჩაზე ვცხოვრობდი. დავიწყე შექმნილი სიტუაციის ანალიზი, ჯერ ერთი, მე ამ ხალხთან, ასე თუ ისე, ახლოს ვიყავი, რაღაც მაინც ხომ უნდა მცოდნოდა. მერე, თუ ასეთი რამ ხდება, რატომ უნდა გაეკეთებინათ ეს იმ დროს, როცა მოსახლეობის 90 პროცენტს სძინავს და სპეციალურად თუ არ ჩართავდი რადიოს, ვერ გაიგებდი, ტელევიზიაში რა ხდებოდა. გულმა მიგრძნო, რაღაც ხდებოდა და არ წავედი. ტელევიზიის შენობამდე ჩამოვედი, მაგრამ შიგნით არ შევედი. მერე გაირკვა, რომ ეს მათი მოწყობილი იყო.

– ვისი?

– ეს შოუ ამ ხელისუფლების მოწყობილი იყო. უბრალოდ, შურღაია მოატყუეს. ეს შემდეგ შურღაიამაც აღიარა. იმ დილითვე ტელევიზიის ხელმძღვანელობამ თათბირი ჩაატარა. ვიღაცას უთქვამს, ნოდარ ჯალაღონიაც მათთან იყოო, მაგრამ ეს არ დადასტურდა. მაშინ ახალი ბრალდება წამოუყენებიათ: ნოდარ ჯალაღონია თავისი აივნიდან ჩვენკენ ავტომატს ისროდაო. ვიღაცას უთქვამს, –მოღუნული ავტომატი თუ ჰქონდა, თორემ მისი სახლიდან აქეთ ავტომატს ვერ გაისროდაო. ეს ვარიანტიც რომ არ გასულა, მერე უთქვამთ, სახურავზე იყო და ჩვენს ვერტმფრენს ესროდაო.

– ძალიან მოწადინებული კი ყოფილან, რომ დაედანაშაულებინეთ.

– დიახ. როდის იყო, მე, ზოგიერთებივით, ავტომატით დავდიოდი და ასეთ სისულელეებს ჩავდიოდი. ეტყობა, ეს ვარიანტი რომ არ გავიდა, ვერ დამიჭირეს. რაც მოხდა, ის ამბები, ვიცოდი, ტელევიზიის კოლექტივში რა დაპირისპირებას და დაძაბულობას გამოიწვევდა. ამიტომ არ მინდოდა იქ ყოფნა. ტელევიზიის მთავარ რედაქტორს ვთხოვე ერთი-ორი დღით გავეთავისუფლებინე და მუხათწყაროში წავედი, სადაც პატარა ნაკვეთი მაქვს.

– ე. ი გაეცალეთ იქაურ სიტუაციას?

– გავეცალე, რადგან მივხვდი, ამ ამბავში რა სიბინძურეც იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი დღის შემდეგ მუხათწყაროში ჩემი ცოლისძმა ამოვიდა თავის პატარა ვაჟთან ერთად. – თბილისში ხალხს იჭერენო. ქვემოთ, ეზოში ვსაუბრობთ, შემდეგ ზემოთ ამოვედით და ვხედავთ სახლი-საკენ მოშვერილ ავტომატებს და ტყვიამფრქვევს. მალე მეგაფონიდან ხმაც გაისმა: „სახლი ალყაშემორტყმულია, წინააღმდეგობის გაწევას აზრი არა აქვს და დაგვნებდითო". გაოცებული მივედი ღობესთან და მოსულებს ვეკითხები, ვინ ხართ-მეთქი. პასუხი არ გამცეს, ოღონდ დაჟინებით მოგვმართავენ მეგაფონით, – გამოდით გარეთ, სახლი ალყაშემორტყმულიაო. ვეუბნები, სახლში ჩემი მეუღლე, მისი ძმა და ბავშვია, მეტი არავინ არის, თქვენ ვინ ხართ – მხედრიონელები თუ გვარდიელები-მეთქი, რადგან არანაირი, არც სამხედრო და არც პოლიციის, ფორმა არ ეცვათ. ოთხი მსუბუქი მანქანით იყვნენ. ეზო გარშემორტყმული იყო ავტომატიანებით. შემდეგ რამდენიმე საფრებიდან გამოვიდა და ჭიშკარს მოადგა, სახლი უნდა გავჩხრიკოთო. მანანამ უთხრა, ასე არ შემოგიშვებთ, თუ გინდათ სახლის გაჩხრეკა, მაშინ ვინმე მეზობელი დავასწროთო. პასუხად ავტომატების ჩხაკაჩხუკი გაისმა.

ქალბატონი მანანა:

– მე ვუთხარი: მაშინ პირველი მე შევალ, თქვენ რომ დარწმუნდეთ, რომ იქ არავინაა. თუ ისვრიან, პირველი მე მომხვდება. თანაც, ამბობენ, რომ ჩხრეკის დროს სახლში რაღაცას დებენ. ისე შემოიჭრნენ, ჩვენთვის არც შემოუხედავთ.

– *რამდენი კაცი იყო?*

– ბევრი, 14-16 კაცამდე იყვნენ. იარაღმომარჯვებულები, დაძაბულები. ვეუბნები: შვილებო, დამშვიდდით, რას ჰგავხართ, აქ არავინ ყოფილა და არ არის, ჩვენ იქაურობას გამოვერიდეთ, ოთხი დღეა აქ ვართ, კაციშვილი არ გვინახავს, აქ არაფერი ხდება, სახლში არავინაა, მარტონი ვიყავით, გაუგებრობა რომ არ მოხდეს, წინ მე წავალ-მეთქი, მაგრამ ნოდარმა დამიშალა და გამაჩერა.

ბატონი ნოდარი:

– ვუთხარი: გამოდი, რაც უნდათ, ის დადონ, თუ რამეს დადება უნდათ, ისედაც დადებენ-მეთქი. ჩემი მეუღლისათვის შეურაცხყოფა რომ მიეყენებინათ, მისი ძმა და მე ვერ მოვითმენდით და ამას შეიძლება უსიამოვნება მოჰყოლოდა, ამიტომ გავაჩერე. მანანას ძმა ეკითხება, ჩხრეკის ორდერი თუ გაქვთ ან თუ იცით ვის სახლში მოხვედითო. შესანიშნავად ვიცით ყველაფერი, შენ გაჩუმდი, თორემო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და დაიწყეს ისევ იარაღის ჩხაკუნი.

დაათვალიერეს სახლი, ეზო, ტუალეტიც კი, შეამოწმეს სხვენი. კიბე მე თვითონ მოვუტანე. ისე, იმასაც ვერ დავუკარგავ, რომ მიდიოდნენ, მათმა უფროსმა ბოდიშიც მოიხადა. მაშინ ვუთხარი: ეს რა, დაშინების ახალი მეთოდია, გინდათ დამაშინოთ? მითხრეს, – ასე ნუ ლაპარაკობთ, ერთ დროს ყველანი ერთად ვიყავითო. ეზოში შემოსვლის შემდეგ მითხრეს, პოლიციელები ვართო, მაგრამ არა მგონია, რადგან პოლიციასთან ერთად როგორ ვიქნებოდი. ეტყობა, რომელიღაც პარტიიდან (შეიძლება მხედრიონელები) იყვნენ. როცა ერთად ყოფნა ახსენეს, ვუთხარი: ერთად რომ ვიყავით, რატომ გავიყავით და ვისი ბრალია-მეთქი. არაფერი მიპასუხეს, ეზოდან გავიდნენ, ჩასხდნენ მანქანებში და წავიდნენ.

– მეორედ თავს როდის დაგესხნენ?

– მეორედ დამიჭირეს.

– პოლიციამ დაგაპატიმრათ?

– პოლიციამ დამაპატიმრა 1992 წლის ოქტომბერში, არჩევნების წინ. ტელევიზიაში ვიყავი, ოთახიდან გამოვედი, გაზეთი უნდა მეყიდა.ვიღაც ახალგაზრდა მომიახლოვდა და მეუბნება, – ჩემს უფროსს თქვენთან ლაპარაკი უნდაო. ტელევიზიაში 3000 კაცი მუშაობს, ყველას არ ვიცნობდი და ვიფიქრე, ვიღაც ტელევიზიიდან არისმეთქი. წავყევი. ტელევიზიის შენობიდან რომ გამიყვანა, მივხვდი ვინც იყო. მივხვდი, რომ დამაპატიმრეს. შენობიდან გასულს ჩემი ყოფილი თანამშრომელი შემეფეთა (როცა ერთ-ერთი რედაქციის უფროსი ვიყავი). მას ვუთხარი, – მგონი დამაპატიმრეს და ჩემს ოჯახს გააგებინეთ-მეთქი. – ძალიან კარგი, თუ დაგაპატიმრესო, – მიპასუხა. ის კაცი პირწავარდნილი პუტჩისტი აღმოჩნდა. მიუხედავად მისი სიავკაცისა, ის მაინც დავინდე, როცა ერთ-ერთ გაზეთში ჩემი დაპატიმრების ამბავი აღვწერე, მისი გვარი არ დავასახელე, მის ოჯახს და შვილებს ვეცი პატივი. დაპატიმრების შემდეგ ჯერ ქალაქის, თბილისის შს სამმართველოში წაგვიყვანეს. ჩემთან ერთად დააპატიმრეს ტელევიზიის კიდევ სამი თანამშრომელი – ვიდეოინჟინერი ხურცილავა, რეჟისორი კაპანაძე, ერთი ქალი – კორესპონდენტი. შს სამმართველოში აგვიყვანეს მეოთხე სართულზე. არ ვიცი, რატომ დამაპატიმრეს. შემოდის ოთახში ვიღაც კაცი და მეუბნება: შენ მაგარი ზვიადისტი ყოფილხარო. მივხვდი, რა იყო ჩემი დაპატიმრების მიზეზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ე.ი. პოლიტიკური მრწამსის გამო დაგაპატიმრეს?

– დიახ, ასე გამოვიდა. ვუთხარი, კი, ზვიადისტი ვარ-მეთქი. შემდეგ გადაგვიყვანეს საბურთალოს პოლიციის განყოფილებაში. იქ წაგვიკითხეს ოქმი, საიდანაც გავიგეთ, – მე და ჩემთან ერთად დაპატიმრებული ტელევიზიის თანამშრომლები თურმე ვიდექით ტელევიზიის წინ, შეურაცხყოფას ვაყენებდით ხალხს, ვიფურთხებოდით, ამიტომ დაგვიჭირეს როგორც ხულიგნები. ოქმს ხელს აწერდა ვიღაც ორი პოლიციელი. ხულიგნობაზე რომ არაფერი ვთქვა, სინამდვილეში მე გაზეთის ჯიხურისკენ მიმავალი დამაპატიმრეს, რეჟისორი უ. კაპანაძე თავისი ოთახიდან გამოიყვანეს, ინჟინერი ხურცილავა – თათბირიდან. დაგვაპატიმრეს დაახლოებით დღის 11 საათზე. როგორც ჩანს, ჩემი დაპატიმრების ამბავი ტელევიზიაში გავრცელდა. ბელა შალვაშვილსაც გაუგია და ჩემი მეუღლისათვის დაურეკავს, – ნოდარი დაუჭერიათო.

– ბატონო ნოდარ, 1992 წლის 11 ოქტომბრის წინა დღეებში დაგაპატიმრეს, როდის გათავისუფლდით?

– დაპატიმრების დღეს, საღამოს 11 საათისათვის, საბურთალოს პოლიციის განყოფილებაში მოვიდა ტელერადიოკომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე ბატონი არჩილ გოგელია. მისთვის ჩემს მეუღლეს დაურეკავს: ნოდარი არსად არის, მითხრეს დააპატიმრესო და თქვენ გეცოდინებათ, თუ მართალიაო, პოლიციაში უარი გვითხრეს, არაფერი ვიცითო.

ქალბატონი მანანა:

– ეს ის პერიოდია, როცა პოეტებს არათუ იჭერდნენ, კლავდნენ კიდეც. ბერდია ბერდიაშვილი და სხვებიც ხომ მოკლეს. საბურთალოს შს განყოფილებაში განცხადება შევიტანე, მითხრეს, ჩვენთან არ არისო. ვერ დავადგინე, სად ჰყავდათ და, საერთოდ, იყო თუ არა დაპატიმრებული.

ბატონი ნოდარი:

– მოვიდა არჩილ გოგელია და პოლიციის უფროსს ჩემი თანდასწრებით უთხრა, – ნოდარ ჯალაღონიას დაპატიმრება არ შეიძლება, უხერხულიაო. შს სამმართველოს საბურთალოს განყოფილების უფროსი მაშინ მხეიძე იყო, მხედრიონელი. მან უპასუხა, – ჯალაღონია მობარებული მყავს, ამიტომ მისი გაშვების უფლება არ მაქვსო. ამ საუბრის შემდეგ მე ისევ საკანში ჩამიყვანეს.

– ვინ მომაბარაო, არ უთქვამს?

– არა, ეს არ უთქვამს. ჩამიყვანეს საკანში, სადაც ჩვენთან ერთად ქურდებიც ისხდნენ. ორი ღამე თითქმის ფეხზე ვიდექი, დასაჯდომი ადგილიც არ იყო.

– რამდენი დღე იყავით დაპატიმრებული?

– ერთ კვირაზე მეტი.

– ბატონი გოგელია მოვიდა და მაინც ვერ გაგანთავისუფლათ?

– მისი იქ ყოფნის დროს ხელმეორედ ამიყვანეს მხეიძესთან. ბატონი არჩილი მეუბნება, ნოდარ, ახლა დავრეკე (ეტყობა, ზედა ინსტანციაში დარეკა და იქიდან მიიღო თანხმობა), შენი გათავისუფლების ნება მომცეს და სახლში მიგიყვანო. ვკითხე: სხვები-მეთქი? სხვები არაო. – მაშინ ვერც მე წავალ-მეთქი. უკეთესია ბაჩილავა გაათავისუფლო, ქალია და პირველ რიგში ის წაიყვანეთ-მეთქი. ბაჩილავას და შენ სახლში მიგიყვანთო. – თუ ყველა ერთად არ გავალთ, ისე არ წავალ-მეთქი. გაგიჟდა, ამდენი ხალხი შევაწუხე და შენ უარს ამბობ, არა, უნდა წაგიყვანოო და ხელი ჩამავლო. ხელი გავაშვებინე, არ გავყევი. ძალიან გაბრაზდა. ძალით ხომ ვერ წამიყვანდა. გაგვათავისუფლეს არჩევნებიდან მეორე თუ მესამე დღეს. გაგვათავისუფლეს ყველა ერთად. არჩევნები კი 11 ოქტომბერს იყო. ჩემი დაპატიმრების მიზეზი კი ის ყოფილა, რომ ვიღაცებს მიუტანიათ ამბავი სადაც ჯერ არს, რომ მე თითქოს არჩევნების საწინააღმდეგო აგიტაციას ვეწეოდი. არჩევნების წინა დღეებში ჩემი ბინის კარებთან ჩემთვის არასასურველი დეპუტატობის კანდიდატის სურათი გააკრეს. ფიქრობდნენ, რომ ჩამოვხევდი და ამით შარს მომდებდნენ. მივხვდი, საპროვოკაციოდ რომ იყო და ხელი არ მიხლია.

– როგორ შეეგუეთ საკნის პირობებს?

– საკნის პირობები საშინელი იყო. გითხარით უკვე, რომ ორი ღამე ფაქტობრივად ფეხზე ვიდექი. საკანში ხის ერთი საჯდომი იყო, სადაც ერთდროულად ოთხ ადამიანს შეეძლო ჩამოჯდომა, საკანში კი თხუთმეტამდე ვიყავით. იქ „სხვა სამყაროს“ ხალხიც იყო – „შავი სამყაროს“ წარმომადგენლები. ერთი მოვიდა და მეკითხება: ბატონო ნოდარ, გათავისუფლებდნენ და მეგობრების გამო არ გახვედითო? – დიახ, არ გავედი-მეთქი. სიმართლე გითხრათ, ეს ფაქტი დიდად არ ჩამითვლია. როცა ერთად დაგვიჭირეს, ან ერთად უნდა გავეთავისუფლებინეთ, ან ერთად უნდა დავრჩენილიყავით. ჩვენთან საკანში კიდევ ერთი ზვიადისტი – თამაზ წიკლაურის ძმა შემოიყვანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს ხურცილავას ნათესავმა ქალმა მოაკითხა. მისაღებიდან საკანში ხმა გარკვევით ისმოდა. ხურცილავამ იცნო ნათესავის ხმა და საკნიდან ხმამაღლა გამოეხმაურა. იმან იკითხა, როგორ ხართო. – კარგად ვართო, ნოდარ ჯალაღონიაც ჩვენთან არისო. – ჰო, ვიცით, უშვებდნენ და არ გამოსულაო. გამიკვირდა. ჩემი და არჩილის დიალოგი წინა დღეს მოხდა. მეორე დღესვე, 11-12 საათისათვის ამ ხალხმა როგორ გაიგო-მეთქი, ამიტომ გავოცდი. როცა ჩემი გაოცება გამოვხატე, „სხვანაირი გაგების" კაცი სიცილით კვდება, მითხრა, – წუხელ აქედან ერთი ჩვენიანი გაუშვეს და ის ამ ამბავს მთელ ქალაქს მოსდებდაო. ეტყობა, ჩემი მოქმედება მოეწონათ. სხვათა შორის, პოლიციელებიც თავაზიანად მეპყრობოდნენ.

– მეუღლე ალბათ ამანათებს გიგზავნიდათ.

ქალბატონი მანანა:

– ბატონმა გოგელიამ მითხრა, მიაკითხეთ, იქნებ თქვენ მაინც გამოგყვეთო. ნოდარი მე დამიჯერებდა? ისე მოიქცეოდა, როგორც საჭიროდ ჩათვლიდა. როცა პოლიციის უფროსთან შევედი და ნოდარის ნახვის უფლება ვთხოვე, მკითხა: აქ რომ ამოვიყვანოთ, დაგიჯერებთ და წამოგყვებათო? – არა-მეთქი. – მაშინ ამოყვანას რა აზრი აქვსო. – ვნახო მაინც-მეთქი. ახლა ამოყვანა უხერხულიაო და არ მანახეს, კარგად არისო. მიმქონდა ამანათები. ერთხელ საძილე ტომარა მივუტანე, მაგრამ პოლიციელმა უკან დამიბრუნა, – აქ კურორტი არ არისო. შემდეგ „ვეფხისტყაოსანი" მივუტანე, რადგან იმ პერიოდში „ვეფხისტყაოსანზე" მუშაობდა. საერთოდ, იმ დღეებში სახლში იყო ჩაკეტილი, კითხულობდა და წერდა. შოთას, ილიას, ვაჟას, აკაკის ნაწარმოებები თავიდან გადაიკითხა და დაებადა სურვილი „ვეფხისტყაოსანზე" ემუშავა. ამიტომ მივუტანე წიგნი საპატიმროში, ვიფიქრე, გულს გადააყოლებს-მეთქი. მისაღებში რომ გადავეცი, პ ოლიციის მორიგე ოფიცერმა იკითხა: ეს რა არისო. – „ვეფხისტყაოსანია", ამაზე მუშაობს და იმიტომ მივუტანე-მეთქი. გამომართვა და თან შემოხედვით გამოხატა, – მთლად კარგად ვერ უნდა იყოთო. შემდეგ საგულდაგულოდ გადაფურცლა და უკან დამიბრუნა, – არ შეიძლებაო. როცა ის პოლიციელი გავიდა, მეორემ გამომართვა და ნოდარს შეუტანა. საშინელი პერიოდი იყო.

ბატონი ნოდარი:

– წიგნმა კარგი საქმე გაგვიკეთა. „ვეფხისტყაოსნიდან" ნაწყვეტებს ვუკითხავდი პატიმრებს. რაც შეეხება წერილს „ვეფხისტყა-

ოსანზე“, შემდეგში ორი მცირე მოცულობის წერილი დავწერე და დავბეჭდე კიდეც.

– ბატონო ნოდარ, ერთ-ერთ სამთავრობო გაზეთში ერთი უკიდურესად ხელმოკლე სუბიექტი, რომელსაც იმ ძარცვაგლეჯაშიც კი ერთი ზედმეტი კაპიკი არ რგებია, მთელი აღფრთოვანებით, სულითა და გულით ოდას უძღვნის შევარდნაძეს. როგორ ახსნით ამ ფენომენს?

– მე ვიცი, თქვენ ვისზე ამბობთ. მან მარტო შევარდნაძეზე კი არა, მის მეუღლეზედაც დაწერა. მწერლები... იცით რა, მაინც არ მინდა მკვეთრი დაპირისპირება გამომივიდეს.

– მეც ამიტომ არ ვასახელებ მის ვინაობას, მაგრამ, რა ფენომენთან გვაქვს საქმე?

–აქ ალბათ ორ ფენომენთან გვაქვს საქმე – ან ბრიყვია, სულელი, ან კარიერისტი და გამორჩენის მიზნით აკეთებს ამას.

– რომ არაფერი მიუღია?

– ალბათ ეგონა მიიღებდა.

– თქვენ თუ გადაგიჭარბებიათ ზვიად გამსახურდიას ქებაში?

– მიმაჩნია, რომ გადაჭარბებული არაფერი მითქვამს. მე დავწერე ერთი ლექსი „სულის მისია“, რომელიც მივუძღვენი ზვიად გამსახურდიას მის წიგნთან, „საქართველოს სულიერ მისსიასთან“ დაკავშირებით. ამ ლექსს ერთი არასასიამოვნო ფაქტი მოჰყვა. ეს ლექსი დაიბეჭდა ლიტერატურულ საქართველოში“, დაიბეჭდა მაშინ, როცა რუსეთში პუტჩი იყო.

– 1991 წლის 19-20 აგვისტო...

– დიახ, ჩავთვალე, რომ ეს ლექსი იმ დროს ზვიად გამსახურდიასათვის მორალური მხარდაჭერა იქნებოდა. ლექსის გამოქვეყნებას მოჰყვა საინტერესო გაგრძელება: სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ პარიზში გამომავალ ემიგრანტულ ჟურნალში დაიბეჭდა ემიგრანტ ფაღავას წერილი, სადაც ჩემს ამ ლექსს ცუდად იხსენებს და ზვიად გამსახურდიას მიმართ მლიქვნელობას მაბრალებს. პასუხი დავწერე, მაშინ ვერ დავბეჭდე, მაგრამ იმედი მაქვს, მომავალში სადმე გამოვაქვეყნებ. არავითარი მლიქვნელობა ჩემს ლექსში არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ჩემს ნათქვამში ეჭვი არ მეპარებოდა და არც ახლა მეპარება. ზვიად გამსახურდია არის ერთ-ერთი დიდი პიროვნება საქართველოს ისტორიაში. მიმაჩნია, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით აღმაშენებლისა და ილია ჭავჭავაძის შემდეგ ზვიად გამსახურდია ერთ-ერთ დიდ პიროვნებად დარჩება საქართველოს ისტორიაში, მაგრამ ხომ ცნობილია, თანამედროვენი ცოცხლებს ნაკლებად აფასებენ. დავით აღმაშენებელსაც ჰყავდა სიცოცხლეში მტრები, ილია ჭავჭავაძე კი ხომ მოკლეს.

– *ილიას ახლაც ებრძვიან?*

– დიახ, ილია ჭავჭავაძეს ახლაც ებრძვიან.

რაც ზვიად გამსახურდიაზე დავწერე, ქება არ იყო, არამედ მისი წიგნიდან მიღებული შთაბეჭდილება გახლდათ. რა პოზიციითაც ვაფასებდი მას, იმ პოზიციაზე ვარ ახლაც, ზვიად გამსახურდია დიდი პიროვნებაა. ჩვენ მალე მოვესწრებით, საქართველოში ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედნებიც იქნება და ძეგლებიც დაიდგმება. ის მიიღებს იმას, რაც თავისი ცხოვრებით დაიმსახურა.

– *როდის გაიცანით ზვიად გამსახურდია?*

– ზვიად გამსახურდიასთან დიდი ურთიერთობა მქონდა-მეთქი, ვერ ვიტყვი. ბატონ კონსტანტინესთან მქონდა ურთიერთობა. ბატონ კონსტანტინეს მივუძღვენი ლექსი. მაშინ ცოცხალი იყო. ლექსს „წუთისოფელი" ჰქვია. ეს იყო 1972 წელს. მოგეხსენებათ, ბატონი კონსტანტინე ისეთი კაცი იყო, თუ რაიმე არ მოეწონებოდა, ამას პირდაპირ გამოხატავდა, ამიტომაც ერთი კვირა მასთან დარეკვა ვერ გავბედე. მეშინოდა. ერთი კვირის შემდეგ გავბედე და დავურეკე. ვუთხარი, – ბატონო კონსტანტინე, მე ის კაცი ვარ, რომელმაც თქვენ ლექსი მოგიძღვნათ-მეთქი. – მოდი ჩემთან, მოდიო, – მიპასუხა. იმ წუთშივე წავედი. საოცრად თბილად მიმიღო. ავლაბარში, ერთ-ერთ სკოლაში შეხვედრაზე მიდიოდა. მე ბატონი კონსტანტინეს გასაცნობად მივედი, მან სკოლაში შეხვედრაზე წამიყვანა. ის ლექსი, ბატონ კონსტანტინეს რომ მივუძღვენი, იქ წავიკითხე, შეხვედრაზე. შეხვედრაზე თავისი მანქანით წავედით. აქეთობისას მითხრა, ახლა სამეგრელოში ვაპირებ მოგზაურობას და ჩემთან ერთად წამოხვალო. ეს ჩემთვის უდიდესი სიხარული იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, რამდენიმე დღის შემდეგ ლოგინში ჩაწვა და მისი მოგზაურობა სამეგრელოში ვერ შედგა.

ზვიად გამსახურდიას, რასაკვირველია, ვიცნობდი, მაგრამ ზოგიერთებივით დიდ მეგობრობას ვერ დავიბრალებ. იყო ასეთი ფაქტიც: ბატონი კონსტანტინე უკვე გარდაცვლილია. ტელევიზიაში ბატონ კონსტანტინეზე გადაცემა გაკეთდა. გადაცემაში მონაწ-

ილეობა მიიღო ზვიად გამსახურდიამ. მან თავის გამოსვლაშიც ახსენა, რომ ბატონი კონსტანტინესთვის ლექსები მიძღვნილი აქვთ კარლო კალაძეს და ნოდარ ჯალაღონიასო. რატომღაც მხოლოდ ჩვენ ორნი დაგვასახელა, თუმცა ლექსები სხვებსაც აქვთ მიძღვნილი. ამ ფაქტმა შემდეგ თავისებური როლი ითამაშა. როცა საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, მე, რასაკვირველია, სიმართლის და კანონიერი ხელისუფლების გვერდით დავდექი. მაგრამ გულღრძო და ენამყრალმა ადამიანებმა ის გადაცემა გაიხსენეს და მითხრეს, შენ იმიტომ დაუდექი გვერდით ზვიად გამსახურდიას, რომ იმ გადაცემაში დაგასახელაო. ისეთი პატარა და ნამცეცა გულის და გონების ადამიანები არიან, ყველაფერს რომ თავისი საზომით ზომავენ. კიდევ ერთი რამ მინდა გითხრათ, რაც ძალიან მეამაყება, – მერაბ კოსტავას ლექსი პირველმა მე მივუძღვენი. მერაბი ცოცხალი იყო. ლექსს „შავლეგო" ჰქვია.

– მერაბ კოსტავას ახლოს იცნობდით?

– არა, მაგრამ მათი საქმეების შესახებ ვიცოდი. „შავლეგო" რომ დავწერე, მერაბი შემხვდა „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციაში, ვუთხარი, თქვენთვის ლექსი მაქვს მიძღვნილი-მეთქი. – სად უნდა დაბეჭდოო, მკითხა იმ ცხონებულმა. მაშინ მერაბ კოსტავაზე ლექსის დაბეჭდვა ცოტა ძნელი იყო და ვუპასუხე, – ჯერ-ჯერობით არ ვიცი-მეთქი. შემდეგ ეს ლექსი „სოფლის ცხოვრებაში" მივიტანე, მიძღვნა ინიციალებით გავაკეთე: მ. კ. ლექსს „შავლეგო" ერქვა. საოცარი დამთხვევა მოხდა, ლექსი დაიბეჭდა მერაბ კოსტავას დაღუპვის მეორე დღეს. მაშინ ბორჯომში ვისვენებდი და ერთმა სულელმა მითხრა, – რა უცბად დაგიწერია ლექსი მერაბზეო.

– ფიქრობთ, რომ ეს უბრალო დამთხვევა იყო?

– რასაკვირველია, დამთხვევა იყო. რედაქციას რომც ნდომებოდა, ვერ მოასწრებდა. რაც მთავარია, მერაბმა იცოდა, რომ მას ლექსი მივუძღვენი.

– ლექსის შინაარსი იცოდა?

– არა. მეორე ლექსიც მაქვს მერაბ კოსტავაზე – „გასაუბრება მერაბ კოსტავას სულთან". ეს ლექსი მაშინ დავწერე, როცა ფილარმონიაში მისი უღირსი ყოფილი თანამოაზრეები ზვიად გამსახურდიას ლანძღავდნენ და აგინებდნენ. ლექსი პირველად გაზეთ „კომუნისტში" მივიტანე. რასაკვირველია, არ დამიბეჭდეს და მერე გაზეთ „თბილისში" დავბეჭდე. ეს იყო 1990 წლის სექტემბერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი. 1992 წლის 6 იანვარს, იმ დილითვე, როგორც კი ზვიად გამსახურდია და ეროვნული ხელისუფლება თბილისიდან წავიდა, ჩემთან მოვიდნენ ტელევიზიის ოპერატორი ოსეფაშვილი და რედაქტორი ბიწაძე. მითხრეს, რომ იყვნენ მუხრან მაჭავარიანთან, სახლში არ დახვდათ და ახლა ჩემთან მოვიდნენ, მთხოვეს ტელევიზიით გამოვსულიყავი. მივხვდი, რომ ეს პროვოკაცია იყო.

– რატომ ფიქრობთ, რომ პროვოკაცია იყო?

– 6 იანვარს ტელევიზიით გამოსვლა, თავისთავად, პუტჩის მხარდაჭერად აღიქმებოდა. ამიტომ კატეგორიული უარი ვუთხარი, – პუტჩისტების და ბანდიტების ტელევიზიით არ გამოვალ-მეთქი. – შენ რაც გინდა, ის ილაპარაკეო, – მითხრეს. ტელევიზიაში 30 წელი ვიმუშავე და კარგად ვიცი, იქ რა და როგორ კეთდება, როგორ შეიძლებოდა ჩემი სიტყვის შეცვლა. ამიტომ ვუთხარი კატეგორიული უარი. ბიწაძე შემდეგი სიტყვებით გავისტუმრე: – მალე ნახავთ, რა ბნელი და შავი ძალა მოიყვანეთ ხელისუფლებაში-მეთქი. სხვათა შორის, მას ეს ჩემი სიტყვები რამდენიმე წლის შემდეგ შევახსენე, მაშინ, როდესაც ამ ხელისუფლებისა და ტელევიზიის ხელმძღვანელობისა თვითონაც უკმაყოფილო იყო... ვიცოდი, ბიწაძე ეროვნული ხელისუფლები მომხრე იყო, ალბათ ახლაც ასეა, მაგრამ მაშინ, როგორც ბევრი სხვა, ისიც შეცდა, ამიტომ მის მიმართ კეთილი განწყობილება არ დამიკარგავს. შემდეგ თვითონაც აღიარა თავისი შეცდომა და სხვებთან ერთად ტელევიზიის ხელმძღვანელობას ოპოზიციაში ჩაუდგა.

– ე.ი. ფაქტობრივად, ბოლო ათწლეული თქვენთვის იყო ბრძოლის პერიოდი, თუმცა ხელში იარაღი არ გეჭირათ. 1992 წლის 2 თებერვალს მოხდა მშვიდობიანი მიტინგის დახვრეტა. ამასთან დაკავშირებით თქვენ ლექსიც გაქვთ დაწერილი – „1992 წლის 2 თებერვალი ცირკში და ცირკთან“.

– დიახ, მე მოყოლილი ვარ ამ დახვრეტაშიც. ცირკთან პროვოკაცია მოაწყვეს და საშინელებაც ჩაიდინეს პუტჩისტებმა, საკუთარი თვალით ვნახე, ლენჩავა თუ ლანჩავა რომ ამბობს, პირველი სროლა მომიტინგეებიდან იყოო. ის სროლა მომიტინგეებმა კი არა, მათმა შემოგზავნილმა პროვოკატორებმა ატეხეს. სადგურიდან მოვდიოდით. ცირკთან, მარჯვენა მხარეს რომ ბორცვია, იქ მოხდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასროლა. როგორც გითხარით, ისინი მათი შემოგზავნილები იყვნენ. თუ არ ვცდები, ორნი იყვნენ. სროლის შემდეგ უმალ ახტნენ ტროტუარის კედელზე და ზემოთ, ბორცვზე მდგომ თავისიანებს შეუერთდნენ. სწორედ იმ ბორცვიდან ესროდნენ ხალხს. საშინელება იყო, წივილ-კივილი, ზოგი გარბოდა, ზოგს დაჭრილები მანქანებით გადაჰყავდა. მახსოვს, ერთი ქალბატონი, ნადარეიშვილი, ატირებული მომვარდა, ბატონო ნოდარ, და დავკარგე და მიშველეო. დახმარებას მთხოვდა. დავამშვიდე. ირგვლივ მართლაც დიდი უბედურება ტრიალებდა, მაგრამ ხალხი მაინც არ შეშინდა, გადავწყვიტეთ მარჯანიშვილის ქუჩით მთავრობის სასახლისაკენ წავსულიყავით. მივუახლოვდით თუ არა მარჯანიშვილის თეატრს, ისევ აგვიტეხეს სროლა. ისევ ატყდა აურზაური, წივილ-კივილი, ხალხი ისევ აირია. წინ წასვლას აზრი არ ჰქონდა და ხალხი ისევ უკან გამობრუნდა. ხალხი პანიკაში ჩავარდა. იყო ყვირილი, კივილი, ზედახორა, მაგრამ ადამიანებს ერთმანეთის თანადგომის სურვილი მაინც არ დაუკარგავთ. დაცემულებს აყენებდნენ, ერთმანეთს ამხნევებდნენ. მეც ვცდილობდი რაღაც დახმარება გამეწია. ნელა მივუყვებოდი ქუჩას, მტკიცედ გადავწყვიტე, არ გავქცეულიყავი. საოცრად დამამცირებელია, ვიღაც იარაღიანი რომ მოგდევს და შენ გარბიხარ. ქუჩის ნახევარზე მეტი გავლილი მქონდა, უკან რომ მოვიხედე. ვხედავ, ირგვლივ ჩემს მეტი არავინაა და ჯავშანტრანსპორტიორი მე მომდევს. ეტყობა, სული ტკბილია, მაინც გავიქეცი. მარჯანიშვილის მოედანთან მარჯვნივ მოვუხვიე. იქ ვხვდები გაზეთის ჯიხურს ამოფარებულ მიხეილ ჩაჩუას (კარგი პოეტი, ბრწყინვალე პიროვნება და პატრიოტი). ვხედავთ, როგორ მიამწყვდიეს ჯავშანტრანსპორტიორებმა ხალხი ქუჩის ერთ კუთხეში, შემდეგ მიაყენეს ავტობუსი, იმაში შეყარეს და სადღაც წაიყვანეს. ხალხი ეზოებში გაიფანტა. ჩვენც ერთ-ერთი სახლის ეზოში შევედით. შესვლამდე ორი ბიჭი ფეხებში დაჭრეს. ჩემი ღრმა რწმენით, სასწრაფო დახმარების მანქანებიდან ისროდნენ.

ყოველი წლის 2 თებერვალს ცირკთან, სადაც დახვრეტა მოხდა, მივდივარ და სანთლებს ვანთებ. დახვრეტის მეორე წელს ცირკთან, კედელზე სანთელი ავანთე. შემდეგ მიტინგზე, ვაკის პარკში უნდა წავსულიყავით, გაჩერებასთან ვიდექით. ეტყობა, გვიცნობდნენ, იმ რაიონის პოლიციამ 15 ადამიანი დაგვაპატიმრა და განყოფილებაში წაგვიყვანა. მართალია, ვაკის პარკში მიტინგზე ვერ წავედით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მიტინგი პოლიციის განყოფილებაში მოვაწყვეთ. პოლიციელებთნ ანტისამთავრობო აგიტაციას ვეწეოდით. იქაც მოხდა ერთი საინტერესო ფაქტი. დაპატიმრებულებს შორის ერთი ქალი იყო, რომელიც პოლიციელებს უმტკიცებდა, რომ ის შემთხვევით მოხვდა, – ამათთან (ე. ი. ჩვენთან) საერთო არაფერი მაქვსო. მე ხმამაღლა წავიკითხე ლექსი „ჩემი თაყვანი". ეს ლექსი მიტინგზე უნდა წამეკითხა:

ყველას, ვისაც კი წვიმაში, თოვლში
ვედექი გვერდით და მედგა გვერდით,
ვინც ამაყად და სამშობლოს დროშით
ტყვიებს და სიკვდილს ხვდებოდა მკერდით, –
– ჩემი თაყვანი!
შიშველი ხელით ტანკებს რომ ძლიეს,
გაუტეხელნი ნებით და სულით,
ჭაბუკს და მოხუცს, სუსტსა და ძლიერს, –
თავისუფლების წყურვილს და სურვილს –
– ჩემი თაყვანი!

ტყვიებითა და სიტყვით დაჭრილებს,
მოშიმშილეებს, ნაგვემ-ნაცემებს,
მოკლულ გოგონებს, მოკლულ ყმაწვილებს,
მათი დედების ტკივილს და ცრემლებს, –
– ჩემი თაყვანი!

სამშობლოსათვის ანთებულ თვალებს,
საქართველოსთვის დროშად გაშლილებს,
ბარიკადებთან დამდგარ ჩვენს ქალებს:
დედებს, მეუღლეს, დებსა და შვილებს, –
– ჩემი თაყვანი!

ვინც ყაჩაღების კანონი არ ცნო,
ვინც ტვირთის ზიდვა ბოლომდე შეძლო,
ყველას, ო, ყველას, უცნობს და ნაცნობს,
ყველას თანამდგომს და თანამებრძოლს, –
– ჩემი თაყვანი!

ეს ლექსი რომ წავიკითხე, ის უცნობი ქალბატონი წამოხტა და

ატირებულმა ყვირილი დაიწყო: მეც ამათთან ვარ, მეც ამათთან ვარ. პოლიციელებს სიცილი აუტყდათ. ის ქალბატონი თუ გამომეხმაურება, ძალიან გამეხარდება.

– თქვენ თბილისის აეროპორტში შევარდნაძის მიერ გაკეთებულ განცხადებას – „მადლობა ინტელიგენციას, რომელმაც დროულად აიღო იარაღიო“ – უძღვენით ლექსი „ქართველ ინტელიგენციას კი არა, ზოგიერთ ქართველ „ინტელიგენტს“. როგორც ჩანს, ეს განცხადება თქვენთვის გამაოგნებელი იყო.

– დიახ, ამ ფაქტს ვუძღვენი ლექსი. ჩემთვის ასევე გამაოგნებელი იყო რუსთაველზე შევარდნაძის წინ ხალხის დაჩოქება. ამ ფაქტს ტელევიზიით ვუყურებდი. აცრემლებულმა დავუძახე მეუღლეს, – მანანა, მოდი, ნახე, რა საშინელება ხდება, ხალხს შევარდნაძის წინ აჩოქებენ-მეთქი. ორ დღეში დავწერე ლექსი „არ დაიჩოქეს“, რომელსაც წამძღვარებული აქვს შევარდნაძის სიტყვები, რომელიც აფხაზეთის ომის შემდეგ თქვა: – „საქართველო დამარცხდა, საქართველომ დაიჩოქა“. ეს ლექსი იყო პროტესტი შევარდნაძის სამარცხვინო სიტყვების გამო.

„საქართველო დამარცხდა, მუხლზე დაჩოქილია,
ღმერთო, რა სიტყვებია, ღმერთო, რა სირცხვილია,
– საქართველო დამარცხდა, მუხლზე დაჩოქილია.
ნეტავ, ამას ვინ ამბობს, რა გულით და რა ენით,
ალბათ ხმაა იუდას, ალბათ ხმაა კაენის“.

– როგორ ფიქრობთ, საქართველოს მონობა უწერია?

– „სანამ ჩვენში დედები იავნანას მღერიან, საქართველოს მონობა არა, არ უწერია“.

– ფაქტობრივად, გინდოდათ თუ არ გინდოდათ, თქვენ პოლიტიკაში აღმოჩნდით. დღეს ძალიან რთული მდგომარეობაა. გამოსავალს რაში ხედავთ?

– საქართველო იმ მდგომარეობამდეა მისული, რომ ვისაც ამაში ბრალი მიუძღვით, იმ პიროვნებების ადგილი საქართველოში არ არის. კარგს იზამენ, თუ ხელისუფლებიდან ისე წავლენ, ამას სისხლსა და უბედურებას არ მოაყოლებენ. სინდისი და სამშობლოსა და ქართველი ხალხისადმი ცოტაოდენი პატივისცემა მაინც თუ შერჩათ, მათ ხელისუფლება უნდა დატოვონ და სამშობლოს ბედი პატიოსან ადამიანებს დაუთმონ.

– ბატონო ნოდარ, ზოგს შევარდნაძის გარეშე ძალა წარმოუდგენია. ამბობენ, თუ შევარდნაძე არა, მაშ, ვინო. თქვენ რას იტყვით?

–ეს არის კომუნისტური აზროვნება, კომუნისტური მენტალიტეტი. კომუნისტების დროს ბავშვებს შორის ყველაზე ჭკვიანი პიონერი იყო, მოზრდილებში – კომკავშირელი, შემდეგ – რაიკომის მდივანი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე, ცკ-ს მდივანი. ასე ლაგდებოდა მაშინ ადამიანის ჭკუა და ღირსება. ეს იყო ადამიანების აბსოლუტურად დამახინჯებული ფსიქიკა. შევარდნაძის გარეშე წარმოუდგენელიაო, – ამბობენ ის ადამიანები, რომლებმაც შევარდნაძის შემწეობით დიდი ქონება და ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში. შევარდნაძის წასვლის შემდეგ მათ ყველაფერი ამის დაკარგვის შიში აქვთ. მე ნებისმიერ კაცს დავსვამდი შევარდნაძის ადგილზე. შევარდნაძემ საქართველო დაანგრია და კატასტროფამდე მიიყვანა. დანგრევა და ცუდის გაკეთება ყველას შეუძლია. კარგი რა გააკეთა შევარდნაძემ, ეს მითხრან და დამანახვონ. საქართველოში არის უამრავი მასზე ჭკვიანი და, რაც მთავარია, პატიოსანი ადამიანი. იძახიან, შევარდნაძე მსოფლიო დონის პოლიტიკოსიაო. რა დონის პოლიტიკოსიცაა, გამოჩნდა – საქართველო დააქუცმაცა და ხალხი დაამშია. დიდი პოლიტიკოსი იყო ტალეირანი, რომელმაც თავისი დიპლომატიის წყალობით ომწაგებულ საფრანგეთს ტერიტორიები შემოუერთა, შევარდნაძემ კი თავისი ქვეყნის ტერიტორიები თავისი ტახტის სანაცვლოდ გაასხვისა, სხვებს მისცა. საქართველოს ისტორიას ახსოვს უნიჭო მეფე, სუსტი და უნიათი მეფე, შეიძლება, ღვინის მოყვარული მეფე, მაგრამ მოღალატე მეფე არ ჰყოლია. შევარდნაძე სამშობლოს და თავისი ხალხის მოღალატეა. მან თავის სკამს, თავის კარიერას, თავის კლანს ანაცვალა მთელი ხალხი და სამშობლო.

– საქართველოში იყო ლეკიანობა, იყო შემოსევები – აღა-მაჰმად ხანის, მონღოლების, შაჰ-აბასის, მაგრამ, როგორც ჩანს, დღეს უფრო დიდი ძნელბედობის ჟამი უდგას საქართველოს. თქვენ რას ფიქრობთ?

– დიახ, თქვენ სწორი ბრძანდებით. ძველი დრო მონაგონია იმასთან შედარებით, რაც დღეს ხდება. ამაზე დავწერე კიდეც ლექსი, რომელსაც წამძღვარებული აქვს მონღოლთა ნათქვამი. ისინი არბევდნენ საქართველოს და ქართველებს ეუბნებოდნენ: –

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენთვის ღვთით მოვლენილი სასჯელი ვართო. მე მგონი, ასევე სასჯელად მოუვლინა ღმერთმა საქართველოს შევარდნაძე. ლექსი, რომელიც შევარდნაძეს მივუძღვენი, ამ სტროფით მთავრდება:

„ალბათ ეს არის დღის დღევანდელის
საყვედურიც და სათქმელ-სარჩელიც,
არ მოვლენია მიწას ქართვლისას
შევარდნაძეზე დიდი სასჯელი“.

– ბატონო ნოდარ, მეგრული „ნანა“ თქვენთვის რას ნიშნავს?

– ჩემთვის უპირველესი ამოსავალი არის საქართველო. საქართველოს განუყოფელი ნაწილია სამეგრელო. არასოდეს მიფიქრია, რომ მეგრული „ნანა“ და ქართული „ნანა“ ერთმანეთისაგან განსხვავდება. „ნანა“ ძველი კოლხური წარმართული ქალღმერთის სახელია. დღევანდელი საქართველოს ბალავარი და ერთ-ერთი ქვაკუთხედიც ხომ ძველი კოლხეთია. დღეს რითაც საქართველო ამაყობს, ბევრი რამ სწორედ იქიდანაა ამოზრდილი და მეგრული და ქართული „ნანას“ ერთმანეთისაგან დაცილება გამორიცხულია. დუტუ მეგრელმა (ხოშტარიამ) თავისი ლექსი – „ქართლ-კახეთი, იმერეთი, გულია და სამეგრელო, ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო“ – მაშინ დაწერა, როცა შინაური და გარეშე მტრები, რუსეთის იმპერია საქართველოს დანაწევრებას ცდილობდა. მაშინ შესანიშნავი სიტყვა თქვა იაკობ გოგებაშვილმაც: – რუსებს უნდათ, ერთი დიდი ლუკმა საქართველო ორ ლუკმად გაყონ, რომ ადვილად გადაყლაპონ და მოინელონ. ასეა დღესაც, ახლაც უნდათ, რომ ერთიანი საქართველო დაშალონ. ეს უნდათ იმპერიას და საქართველოში მის მსახურებს, მაგრამ ამ საყმაწვილო სენს საქართველო ისევ მოიხდის. ცნობილია, საქართველოს დანაწევრების, მათ შორის, სამეგრელოს გამოყოფის მხარდამჭერები ყოველთვის ჩინოვნიკები და მის ფეხისხმას აყოლილი ხალხი იყო. მაშინ ამ ანტიეროვნული ქმედების წინააღმდეგ ხმა აღიმაღლეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, ნიკო დადიანმა და სხვებმა, ყველამ, ვისაც იმდროინდელ საქართველოში ჭკუა ეკითხებოდა. საბჭოთა ეპოქაში დანაწევრების მომხრე იყვნენ ისაკ ჟვანიას მსგავსი ჩინოვნიკები. მაშინ მათ განზრახვას წინ აღუდგნენ კონსტანტინე გამსახურდია, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია და სხვები. 60-იან წლებშიც იყო ანალოგიური მცდელობა, მაშინაც

ხმა აღიმაღლეს ალიო მირცხულავამ და სხვებმა. ასე რომ, რაც ახლა ხდება, ახალი არ არის და არც დიდ ტრაგედიად მიმაჩნია. როგორც გითხარით, ეს საყმაწვილო სენი მალე გაივლის და სამეგრელო მომავალში ისევ იქნება ხერხემალი და ბურჯი საქართველოსი. ასე პრიმიტიულად აზროვნება როგორ შეიძლება. ე. ი. მე უარი უნდა ვთქვა იოანე მინჩხზე, ცოტნე დადიანზე, კონსტანტინე გამსახურდიაზე, სიმონ ჩიქოვანზე, ლეო ქიაჩელზე, ტერენტი გრანელზე, ასევე შოთა რუსთაველზე, გალაკტიონ ტაბიძეზე. ეს ხომ სისულელეა.

– ჯერჯერობით, ჩვენ დაკარგული გვაქვს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიები. როგორ ფიქრობთ, რატომ მივიღეთ ასეთი შედეგი?

– აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განვითარებული პროცესები იმპერიის შეკვეთილი იყო, რომელიც ბრწყინვალედ შეასრულა შევარდნაძემ. ამ თემას რამდენიმე წერილი მივუძღვენი და გამოვაქვეყნე კიდეც. აფხაზეთი შევარდნაძემ თავისი სკამის სანაცვლოდ დათმო.

– დღეს ცდილობენ აფხაზეთის დაკარგვა სხვებს გადააბრალონ.

– სამეგრელოს დარბევა შემთხვევითი არ ყოფილა. ჯერ ერთი, სამეგრელო დასაჯეს ეროვნული სულისკვეთებისათვის, ე. ი. ზვიად გამსახურდიას მხარდაჭერისათვის. მაგრამ ეს არ იყო მთავარი. მთავარი იყო აფხაზეთის ჩაბარება. სამეგრელოს თუ არ დაასუსტებდნენ, თუ არ გათელავდნენ, ისე აფხაზეთს მტრებს ვერ ჩააბარებდნენ. ახლა რომ იძახიან, აფხაზეთის გასაღები მოსკოვშიაო, მოსკოვში კი არ იყო, არამედ სამეგრელოში.

– ახლა სად არის აფხაზეთის გასაღები, ბატონო ნოდარ?

– აფხაზეთის გასაღები ისევ ქართველი ხალხის ხელშია. ეს იმაზეა დამოკიდებული, როგორ მოინდომებს და გადაწყვეტს ხალხი ამ ხელისუფლების ყოფნა-არყოფნას. დარწმუნებული ვარ, დღევანდელი, ამ ანტიეროვნული ხელისუფლების წასვლის შემდეგ მოიძებნებიან ძალები, რომლებიც ამ საკითხს საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტენ და არა ისე, როგორც შევარდნაძემ, რომლის ამოსავალი წერტილი მხოლოდ მისი სკამია.

– ბატონო ნოდარ, მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩვენ კარგა დიდი, უძველესი ქართული ტერიტორიები დავკარგეთ

– საინგილო, ტაო-კლარჯეთი, შავშეთი, სოჭი და ა. შ. – შინაც ეს ბოლშევიკური რეჟიმის მხრიდან მოხდა. საქართველოს საქმე ისე წარიმართა, რომ ამ ტერიტორიების დაბრუნებაზე საუბარი აღარ არის და თითქოს ტკივილიც განელდა. არ მინდა, ასეთი რამ ვუსურვო აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, როგორ ფიქრობთ, რა მოელის საქართველოს?

– რა მოელის და ის, რაც დაემართა თქვენს მიერ ჩამოთვლილ კუთხეებს, მაგრამ მე მჯერა, ქართველი ხალხი ამას არ დაუშვებს და საკადრის პასუხს გასცემს ყველას, ვისაც ბრალი მიუძღვის საქართველოს დაქუცმაცებაში.

– აღვნიშნე, რომ საუკუნის დასასრულს დაკარგულ ტერიტორიებზე აღარავინ საუბრობდა. იგივე ხომ არ მოელის აფხაზეთსა და სამაჩაბლოს?

– დიახ, ამ ტერიტორიების დაბრუნებაზე აღარ საუბრობენ. თუ ახსენებენ, მხოლოდ გულისტიკივილით და ნოსტალგიით; მაგრამ ახლახან გამოვიდა პროფესორ შუშანა ფუტკარაძის ძალიან საინტერესო წიგნი „ჩვენებურების ქართული“, სადაც აღწერს, იქაური ქართველები როგორი ტკივილით, როგორი სიყვარულით ახსენებენ თავიანთ სამშობლოს – საქართველოს. ის მიწა ახლა თურქეთშია, მაგრამ ისინი ხომ ჩვენებურები, ქართველები არიან. რასაკვირველია, ძალიან ოპტიმისტი უნდა იყო, რომ იმ ტერიტორიების დაბრუნებაზე იფიქრო, მაგრამ არ იფიქრო, არც ეს შეიძლება. ჩვენ შინაგანად არ უნდა შევურიგდეთ ამ ტერიტორიების დაკარგვას. ისე, არა მგონია, აფხაზეთსა და სამაჩაბლოსაც იგივე მოუვიდეს, რაც წინა საუკუნის დასაწყისში მოხდა, რადგან ახლა სხვა პოლიტიკური სიტუაციაა, საერთაშორისო პოლიტიკის ასპარეზზე თამაშის სხვა წესებია. მაგრამ ეს სულაც არ გვაძლევს დამშვიდების და მოდუნების უფლებას. პირიქით, უნდა ვიბრძოლოთ. დღეს ეს ბრძოლა ნიშნავს ამ ანტიეროვნული ხელისუფლების მოცილებას. შემდეგ მოვლენ სხვა მენტალიტეტის, სხვა შეგნების და გონების ადამიანები და ისინი გააკეთებენ ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეებს.

– ამ ხელისუფლების პირობებში არ შეიძლება ტერიტორიების დაბრუნება?

– გამორიცხულად მიმაჩნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ტელევიზიიდან როდის წამოხვედით?

– იქ ყოფნა არ ღირდა, რადგან მაშინდელმა ჩემმა ხელმძღვანელობამ მხოლოდ მე დამიწესა მკაცრი კონტროლი. აკონტროლებდნენ ჩემს ყოველ ნაბიჯს, მისვლას, მოსვლას, სიტყვებს. მე ვიყავი ტელეფილმების რედკოლეგიის წევრი. ტელეფილმების სტუდიის დირექტორმა მე რედკოლეგიის წევრობიდან გამომიყვანა და ჩემს მაგივრად შევარდნაძის ქალიშვილი მანანა შევარდნაძე შეიყვანა. მივხვდი, რომ ჩემს იქ ყოფნას აზრი არ ჰქონდა. შეიძლებოდა რაღაც პროვოკაციაშიც ჩავეთრიეთ.

– მანამდე მანანა შევარდნაძე იქ არ მუშაობდა?

– მუშაობდა, მაგრამ კოლეგიის წევრი არ იყო, სხვა განყოფილების გამგე იყო. მე დოკუმენტური ფილმების განყოფილებაში ვმუშაობდი და იმავდროულად ვიყავი რედკოლეგიის წევრი. რატომღაც რედკოლეგიის წევრობიდან მხოლოდ მე გამომიყვანეს და ჩემს მაგივრად მანანა შევარდნაძე შეიყვანეს.

– თქვენს თვალწინ ჩაიარა იმ მოვლენებმა, რაც მაშინ ხდებოდა ტელევიზიაში. დღევანდელი გადასახედიდან როგორ აფასებთ ამ მოვლენებს?

– ახლა რომ ჰკითხოთ ტელევიზიის თანამშრომლებს, თვითონვე გეტყვიან, რომ მათი მაშინდელი საქციელი დიდი სისულელე იყო. მე უმრავლესობაზე მოგახსენებთ, თორემ ზოგიერთებს ახლაც არ სურთ შავის და თეთრის გარჩევა. დღეს ტელევიზიაში დიდი დაპირისპირება და ბრძოლაა.

– დღეს თუ ხვდებით იმ ადამიანებს?

– როგორ არა. იმ დღეებში ბევრი ჩემი კოლეგა და ე. წ. „მეგობარიც“ არ მესალმებოდნენ. სამწუხაროდ, ასე იქცეოდა ბევრი კოლეგა მწერალიც. ახლა, პირიქით, არც გამარჯობას მაკლებენ და არც ყურადღებას. ერთ დროს გურამ ფანჯიკიძეც არ მესალმებოდა. ერთ მშვენიერ დღეს რუსთაველის მეტროს მხრიდან მოვდიოდი, რუსთაველზე, რედაქციის წინ საპირისპირო მხრიდან მომავალი გურამი შევამჩნიე. ვიცოდი, არ მესალმებოდა და უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩამეყენებინა, ქუჩის კიდისკენ გავიწიე და განზე გავიხედე. უცებ ვილაც მომეხვია. მოვიხედე, გურამ ფანჯიკიძე იყო. – ბატონო გურამ, მე ნოდარ ჯალაღონია ვარ-მეთქი, ვუთხარი. – ვიცი ვინც ხარ, ჩემი ძმა იყავი და იქნებიო. გურამი მაინც ვაჟკაცი კაცი იყო. მან დაძლია რაღაც პირადული და კაცურად მოიქცა. ეს

მის ღირსებაზე მეტყველებს. ყველას კი არ შეეძლო ასე მოქცევა. ასეთი ფაქტიც მოხდა. მე და ნოდარ წულეისკირი ჩიქოვანის ქუჩაზე მეზობლად ვცხოვრობდით. ნოდარიც ერთ დროს ტელევიზიაში მუშაობდა. ჰოდა, ერთ დღეს ჩვენი ყოფილი კოლეგები და „მეგობრები“ ტელევიზიიდან მეგაფონით მოადგნენ ჩვენს სახლებს, გვლანძღავდნენ, შეურაცხყოფას გვაყენებდნენ იმიტომ, რომ ეროვნულ ხელისუფლებას ვუჭერდით მხარს და არა ოპოზიციას. ერთხელაც, იმ დღეებში, ტელევიზიის სტუდიაში კრება მოიწვიეს, ჩემს მიმართ აგრესიული გამოსვლები არ ცხრებოდა, ქუჩაში ატეხილ სროლებს ახსენებდნენ. მე ვუთხარი: კაცის მოკვლას და ტყვიის სროლას არ ვაპირებ და თქვენ თუ გინდათ, მესროლეთ-მეთქი.

– ხშირად გაიგონებ, პოლიტიკაში ქალს არაფერი ესაქმებაო. თქვენ როგორ ფიქრობთ?

– ასეთი ფიქრი დიდი შეცდომაა და სისულელეა. არ მინდა ამას უვიცობა ვუწოდო, მაგრამ არც კარგ სახელს შევარქმევდი. ქალი უპირველესად დედაა. დედა ზრდის ყველას – პოლიტიკოსი იქნება ეს თუ ბელადი, მწერალი თუ მეცნიერი, აყალიბებს მის სულს, გონიერებას, ზნეობას. რა, საქართველოს პოლიტიკოსი ქალები არ ჰყოლია? თამარ მეფე, ქეთევან დედოფალი, დიპლომატიაში – ცოქალი და კრავაი ჯაყელი და მრავალი სხვა. ამ თემას ლექსიც მივუძღვენი.

– გმადლობთ, ბატონო ნოდარ.

– მეც მადლობელი ვარ.

„სამრეკლო“, №3, 20-27 თებერვალი, 1995 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გაზეთ „სამრეკლოს“ კორესპონდენტთან

გამოჩენილ ქართველ პოეტს ნოდარ ჯალაღონიას დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. გაზეთ „სამრეკლოს“ სარედაქციო კოლექტივი, ქართველი მწერლები, ქართული პოეზიის მოყვარულები, ქართული ეროვნული მოძრაობის მოღვაწენი ულოცავენ პოეტს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებენ მას დღეგრძელობასა და ჯანმრთელობას.

– ამ სამოცი წლის ბოლო სამი წელი ჯოჯოხეთთან გათანაბრებულ ცხოვრებაში გაატარეთ, მაგრამ არც თქვენში, არც თქვენს ზოგიერთ თანამოკალმეში და არც ქართველ ერში არ ჩაკვდა მეომრის სული. რამ გაგაძლებინათ და რისი იმედი უნდა ვიქონიოთ სამომავლოდ?

– სამშობლო ყოველნაირი უნდა გიყვარდეს, სამოთხე იქნება ის თუ ჯოჯოხეთი. მე ვიცხოვრე და ვცხოვრობ ჩემი ხალხის ცხოვრებით, ეს კი ყველაზე დიდ ბედნიერებად მიმაჩნია. მე ქედს ვიხრი იმ ადამიანების წინაშე, რომლებმაც მართლაც ჯოჯოხეთი გამოიარეს. ეს მათ გამაძლებინეს. მათი სიმტკიცე და სულიერი სიძლიერე იყო ჩემთვის მაგალითი და ძალის მომცემი. მომავალშიც ამ ადამიანების, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული და თავგანწირული ადამიანების იმედი მაქვს. მჯერა მათი, ქართველი ხალხის, საქართველოს მომავლის. მჯერა, მეოცე საუკუნის დასასრული საქართველოს თავისუფლების დასაწყისი იქნება.

– ხომ არ გაქვთ იმ ადამიანების მიმართ ბოღმა და წყენა, ვინც ფიზიკური თუ სულიერი ტკივილები მოგაყენათ?

– არავითარი. მე მიმაჩნია, რომ ჩვენ ყველანი მსხვერპლი ვართ იმ იდეოლოგიისა და სისტემისა, რომელშიც ვცხოვრობდით. „აქეთაც“ და „იქითაც“ ჩემი სამშობლოა, ჩემი სისხლი და ხორცი, ამიტომ საქართველო და ქართველი ხალხი უნდა გააერთიანოს მიმტევებლობამ და სიყვარულმა. სათავე ჩვენი უბედურებისა იმპერიის ჯურღმულებში იწყება, ეს დღეს მაინც უნდა შეიგნოს ყველამ (მე სამშობლოს მოღალატეებს არ ვგულისხმობ). პატიო-

სანი კაცი, რომელიც ამას ვერ ხვდება, საცოდავია. ამიტომ ერთმანეთი კი არ უნდა ვხოცოთ, არამედ ერთმანეთის გვერდით უნდა დავდგეთ და ერთად ვებრძოლოთ იმათ, ვინც სამშობლოსა და თავისუფლებას გვართმევს.

– დაბადების დღეს ადამიანი უკან მოიხედავს ხოლმე და თვალს გადაავლებს განვლილ გზას. რისი დანახვა გიხარიათ ამ სამოცწლოვან გზაზე და რისი დანახვა არ გსიამოვნებთ?

– ჩემი დიდი სიხარული იყო ის, რაც ახარებდა ყველა ჭეშმარიტ ქართველს – საქართველოს თავისუფლება. იმ ერთი ბედნიერი წელიწადისათვის ღირდა ამქვეყნად გაჩენა. ვისურვებდი (და მჯერა), რომ ისეთი დღეები ისევ დაუდგება საქართველოს. არ ვისურვებდი იმის დანახვას, რაც ბოლო სამ წელიწადში ვნახე საქართველოში: ადამიანების დაცემა, უზნეობა, ღალატი, ქართველის მიერ ქართველის გაუტანლობა, ადამიანების გაპირუტყვება, სამშობლოზე მაღლა კუჭის დაყენება, თავისუფლებაზე უფრო სკამებისათვის ბრძოლა.

– პოეტი კაცის ცხოვრება ხომ სულ ოცნებაა. რაზე ოცნებობთ დღეს?

– როგორც ყველა ჭეშმარიტი ქართველის, ჩემი ოცნებაც არის საქართველოს თავისუფლება. სხვა რა ოცნება უნდა ჰქონდეს დამონებული ერის შვილს.

– როგორ წარმოგიდგენიათ საქართველო 50 წლის შემდეგ?

– კი არ წარმომიდგენია, ნამდვილად მჯერა, რომ 50 წლის შემდეგ საქართველო იქნება თავისუფალი, ძლიერი, ამაყი, კავკასიური სახლის მებაირახტრე, მსოფლიო თანამეგობრობის ღირსეული წევრი.

„ახალი თაობა“, №121, აგვისტო, 1996 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზვიადი და მერაბი ერთი მედლის ორი მხარეა

ინტერვიუ ნოდარ ჯალაღონიასთან

– ბატონო ნოდარ, თქვენ ცნობილი პოეტი ბრძანდებით, ლექსების მრავალი წიგნის ავტორი. ამ ცოტა ხნის წინათ კი გაზეთ „ლაშარის გორის“ გამოცემაც დაიწყეთ. რა ვერ თქვით თქვენი ლექსებით, რაც გაზეთით გსურთ თქვათ?

– კარგი მთქმელი ალბათ ლექსებითაც იტყოდა თავის სათქმელს. როგორც ჩანს, მე ეს ვერ შევძელი, ამიტომ გამიჩნდა უკმარისობის გრძნობა. გარდა ამისა, პოეზია და ლექსი მაინც სხვაა, არამიწიერი და მას იმ ტვირთს ვერ აჰკიდებ, სხვა ჟანრმა რომ უნდა იტვირთოს. ჩვენი დღევანდელობა კი უფრო მიწიერი საქმეების კეთებას გვკარნახობს. ვფიქრობ, დღეს ჟურნალისტიკა და გაზეთი ჰაერივით სჭირდება ეროვნულ მოძრაობასა და საზოგადოებას ყველა იმ უბედურებათა სამხილად, ჩვენს გარშემო რომ ხდება. გარდა ამისა, გაზეთის საშუალებით მხოლოდ შენს სათქმელს კი არ ამბობ, სხვასაც აძლევ თავისი აზრის გამოთქმის საშუალებას.

– რამდენადაც ვიცი, თქვენ ტელევიზიაში მუშაობდით. გაიძულეს თუ თქვენით წამოხვედით?

– ჩემით წამოვედი, ოღონდ მაიძულეს.

– 1992 წლის მარტის ბოლოს, ოცდაათიოდე მწერალთან ერთად, თქვენ მიატოვეთ მწერალთა ყრილობა და მწერალთა კავშირის რიგებიც. რა მოსაზრებით?

– ორიოდე სიტყვით ამის თქმა შეუძლებელია. მოკლედ თუ ვიტყვი, მე არ შემეძლო იმ კოლეგების გვერდით ვყოფილიყავი, ვინც სამშობლოს მტრებს გვერდით დაუდგნენ, ვინც თვითონაც იარაღით ხელში ებრძოდნენ საკუთარ ხალხს, რისთვისაც ედუარდ შევარდნაძის მადლობაც დაიმსახურეს. ჩემი სიტყვები, რასაკვირველია, ქართველ მწერალთა უმრავლესობას არ ეხება.

– პროტესტის ნიშნად რომ დატოვეს ყრილობა და მწერალთა კავშირს მიუბრუნდნენ, რა აზრის ხართ მათზე?

– ჩვეულებრივი აზრის. ყველა ადამიანს უფლება აქვს ასე მოიქცეს, როგორც საჭიროდ მიიჩნევს. ისე კი, ზოგიერთების მიმართ სინანულის გრძნობა მაქვს, ზოგიერთის მიმართ – სიბრალულის.

– იმ მწერალთა შესახებ გვითხარით, 1991-92 წლებში „დემოკრატიული რევოლუციის“ გამარჯვებისთვის რომ იღვწოდნენ.

– ნუ ვიქნებით მკაცრნი და რადიკალურნი. მიმტევებლობა ქრისტიანული მორალის ქვაკუთხედია. ყველას მივცეთ მონანიებისა და სწორ გზაზე დადგომის საშუალება.

– ბატონო ნოდარ! რა იყო თქვენთვის 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადებული დამოუკიდებლობა?

– 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადებული დამოუკიდებლობა არა მარტო ცოცხლების, არამედ საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპულ ადამიანთა სულების აღზევება იყო, მათი თავგანწირვის საფასური იყო. პირადად ჩემთვის ეს იყო უდიდესი სიხარული და ბედნიერება. ალბათ ამ ერთი დღისათვის ღირდა ამქვეყნად მოსვლა. ვაგლახ, რომ ეს სიხარული და აღმაფრენა ხანმოკლე აღმოჩნდა, მაგრამ, მჯერა, ასეთი სასიხარულო დღეები საქართველოს კვლავაც ექნება და ამას ჩვენც მოვესწრებით.

– თქვენ ერთ-ერთმა პირველმა უძღვენით ლექსი მერაბ კოსტავას. მერაბი რომ ცოცხალი ყოფილიყო, როგორ ფიქრობთ, შეიცვლებოდა რამე?

– მერაბ კოსტავა რომ ცოცხალი ყოფილიყო, მოვლენები ალბათ სხვაგვარად წარიმართებოდა. მერაბ კოსტავას განსხვავებული ადგილი ეჭირა ეროვნულ მოძრაობაში. მართალია ნოდარ წულეისკირი, როცა წერს: „მერაბ კოსტავა იყო უპირველესი ზვიადისტი, მისი იდეების უპირველესი პროპაგანდისტი. ეროვნულ მოძრაობაში იგი ასრულებდა შემკვრელ-შემდუღაბებლის როლს, ხოლო მისი სიმტკიცე და კრისტალური პატიოსნება იყო უდიდესი გამაერთიანებელი ძალა“. აი, ეს ძალა მოაკლდა ეროვნულ მოძრაობას მისი სიკვდილით. რაც შეეხება ლექსს, დიახ, მე ერთ-ერთმა პირველმა ვუძღვენი ლექსი მერაბ კოსტავას. ლექსს ერქვა „შავლეგო“. მერაბმა იცოდა ამ ლექსის შესახებ. ერთ დღეს „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში შემხვდა და ვუთხარი, ლექსი რომ ვუძღვენი. გაეხარდა. მკითხა, სად ბეჭდავო. მაშინ არცთუ ადვილი იყო

ამგვარი ლექსების დაბეჭდვა. მოხდა საოცარი რამ: ეს ლექსი „სოფლის ცხოვრებაში“ დაიბეჭდა მერაბის დაღუპვის მეორე დღეს.

– რით ჰგავდნენ და განსხვავდებოდნენ მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია?

– ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ერთი მედლის ორი მხარეა. ამ მედალს კი თავისუფალი საქართველო ჰქვია. ასე რომ, მათი არც გაყოფა შეიძლება და არც დაპირისპირება. ჭეშმარიტად, ისინი ქრისტესმიერი ძმები იყვნენ და ასე დარჩებიან საქართველოს ისტორიაში.

– თუ გქონიათ შეხვედრები ზვიად გამსახურდიასთან და რაიმე ყურადსაღებს ხომ არ მოიგონებთ?

– ზოგიერთებივით ვერ დავიბრალებ ზვიადისა და მერაბის მეგობრობას. მე მათი ჩვეულებრივი, რიგითი ნაცნობი ვიყავი და ასეთივე ჩვეულებრივი შეხვედრები მქონდა მათთან. როგორც ათასობით რიგითი ადამიანი, მეც ვიყავი, ვარ და ვიქნები მათი იდეების – საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი რიგითი ჯარისკაცი.

– როგორ გესახებათ საქართველოს მომავალი, რა უნდა მოხდეს საქართველოს აღორძინებისათვის?

– პირდაპირ გეტყვით, რომ საქართველოს მომავალი ბრწყინვალედ მესახება. საქართველო არ ეკუთვნის არცერთ პიროვნებას, თაობას, საუკუნეს. ძალიან ცდებიან ის ადამიანები, რომელთაც ჰგონიათ, რომ ხვალინდელი საქართველო მათ ჯკუაზე გაივლის. ბელადები, დიქტატორები, ტირანები მოდიან და მიდიან, საქართველო კი რჩება. ქართველი ხალხი უკვდავია. საქართველოს და ქართველ ხალხს დღეს მომხდარ უბედურებაზე უფრო დიდი უბედურებისთვისაც გაუძლია და ამასაც გაუძლებს, ის კიდევ გაბრწყინდება. რუსთაველის და აღმაშენებლის ერს სიკვდილი არ უწერია. ჩვენ აუცილებლად მოვესწრებით „ლაშარის გორზე შადგომას“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გაზეთ „აჭარის“ კორესპონდენტთან

ნოდარ ჯალაღონია ცნობილი ქართველი პოეტია, ქვეყნის ბედზე, მის აწმყოსა და მომავალზე ღრმად ჩაფიქრებული. ეს განსაკუთრებით წარმოჩინდა შარშან გამოცემულ პოეტის კრებულში „ქუჩაში დაწერილი ლექსები“. ამას წინათ ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა ბატონ ნოდარს. ქვემოთ გთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს.

– ბატონო ნოდარ, როდის და როგორ მოხვედით ეროვნულ მოძრაობაში?

– ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ეროვნული მოძრაობა სადარბაზო არ არის, – ან შეხვიდე, ან გამოხვიდე. ეროვნული მოძრაობის ცნებაში თუ სამშობლოსა და შენი ხალხის სიყვარული იგულისხმება, არ შეიძლება სამშობლო ხან გიყვარდეს და ხან – არა. ჩემი აზრით, ყველა ნორმალური ადამიანი იმ დღიდან მოდის ეროვნულ მოძრაობაში, როცა გააცნობიერებს, რა არის სამშობლო. მეც ამ კატეგორიის ადამიანებს ვეკუთვნი. ჩემი ლექსებით, ჩემი ცხოვრებით, მე მგონი, ყოველთვის ეროვნულ პოზიციაზე ვიდექი. ამდენად, როცა ეროვნული მოძრაობა აზვირთდა, მეც უფრო გავაქტიურდი.

– ქვეყანა, ჩვენი ხალხი 1991-92 წლების საბედისწერო ამბების შემდეგ, ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, გათიშულია. ერთხელ ჟურნალისტმა ოტია იოსელიანს ჰკითხა, რომელ მხარეს დგახართ თქვენო. ასეთი შეკითხვა მწერალს არ უნდა დაუსვაო, – დაარიგა მან ახალგაზრდა კაცი. – მწერალი არ შეიძლება გათიშულ ქვეყანაში რომელიმე მხარეს იდგეს, ის იქ უნდა იყოს, სადაც გაერთიანებას რამენაირად წაადგებაო. თქვენც ასე ფიქრობთ?

– ვეთანხმები ბატონ ოტიას. ქვეყნისათვის სასარგებლო ყოველგვარ გაერთიანებას უნდა მიესალმოს და გვერდით დაუდგეს

მწერალი და ყველა პატიოსანი კაცი. მაგრამ დღეს ისეთი დროა, ცოტა სიფხიზლეცაა საჭირო, რომ გაერთიანების მოსურნის ნაცვლად ჩვეულებრივი მედროვის, კარიერისტის, სკამის მოყვარულის გვერდით არ აღმოჩნდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– არის ასეთი საკმაოდ გავრცელებული აზრი, რომ მწერალი ხელისუფლებას ყოველთვის ოპოზიციაში უნდა ედგეს. თქვენ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ოპოზიციაში იქნებოდით?

– ალბათ სწორი იქნებოდა გეკითხათ, ეროვნული ხელისუფლების ოპოზიციაში ვიყავი თუ არა. პუტჩისტების მიერ დამხობილი ეროვნული ხელისუფლების ერთგულებისა და თანადგომისათვის ბევრჯერ მკაცრად დამსაჯეს. არც დაპატიმრება დამკლებია, არც პოლიციის ცემა-ტყეპა და ელექტროშოკი.

რაც შეეხება ოპოზიციას.

ოპოზიციაში დგომა თვითმიზანი არ უნდა იყოს, არა მარტო მწერალი, არამედ ყველა პატიოსანი კაცი ხელისუფლებას კი არა, ხელისუფლების მიერ გატარებულ პოლიტიკას უდგება ოპოზიციაში. თუ ხელისუფლება თავისი ქვეყნისა და ხალხის სასარგებლო საქმეს აკეთებს, ასეთ ხელისუფლებას მწერალი ოპოზიციაში რატომ უნდა ჩაუდგეს?

რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას, როგორ შეიძლებოდა დავპირისპირებოდი კაცს, რომელსაც სამშობლო ჩემზე ათასჯერ მეტად უყვარდა. ვინც საქართველოს საუკუნოვან ოცნებას ფრთები შეასხა და თავის ერს თავისუფლებასთან ერთად წართმეული მეობა და სიამაყე დაუბრუნა და, ბოლოს, სიცოცხლე ზვარაკად შესწირა. ზვიად გამსახურდიას გვერდით დგომა მაშინ ნიშნავდა თავისუფალი საქართველოს დროშის ქვეშ დგომას, სამშობლოს ჯარისკაცად ყოფნას (დღეს კი მისი დაწყებული საქმის ერთგულებას ნიშნავს). ასეთი ჯარისკაცი ვიყავი, ვარ და ვიქნები ყოველთვის.

ასე რომ, ოპოზიციაში ვუდგავარ და დავუდგები ისეთ ხელისუფლებას, რომელიც ოპოზიციაში უდგას თავის ხალხს და სამშობლს.

– თქვენს შემოქმედებაში საკმაოდ მკაცრი განაჩენი აქვს გამოტანილი ჩვენს დღევანდელობას. „ქუჩაში დაწერილი ლექსები“ ამის საუცხოო მაგალითია. მომავალს როგორ უყურებთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ჩემ მიერ გამოტანილი განაჩენი არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ქართველი ხალხი და ისტორია გამოუტანს დღევანდელ ანტიქართულ, საქართველოს დამაქცევარ ხელისუფლებას.

მე დავწერე ის, რაც ამ ათი წლის მანძილზე თავს გადახდა ჩემს სამშობლოს, ჩემს ხალხს. ეს იყო ქართველი ხალხის დაბეჩავების, დაცემის, განადგურების, გენოციდის წლები, რაც დღემდე გრძელდება. ჩვენდა საბედნიეროდ, ამ ეროვნულ ნგრევას გადაურჩა საქართველოს უძველესი და უმშვენიერესი კუთხე – აჭარა.

მომავალს, რასაკვირველია, იმედით ვუყურებ. ქართველ ხალხს ბევრი უბედურებისათვის გაუძლია და ამასაც გაუძლებს. საქართველო ისევ აღორძინდება. ქართველი კაცის ნიჭიერების, გამძლეობის და შრომისმოყვარეობის მაგალითია დღევანდელი აჭარა. დღეს აჭარა იმ ნაღვერდალს ჰგავს, რომელიც მალე სამშობლოს თავისუფლების კოცონად იქცევა და დღევანდელ ჩაბნელებულ წყვდიადში მყოფ საქართველოს ჩირაღდანივით წინ გაუძღვება, როგორც ერთ დროს. აჭარიდან დაიწყო საქართველოს გაქრისტიანება, ისევ აჭარიდან დაიწყება საქართველოს გადარჩენა, გამთლიანება და აღორძინება.

– ბატონო ნოდარ, როგორ გაიხსენებდით თქვენს ბათუმურ პერიოდს?

– დიდი სიყვარულით და სიხარულით. მადლობელი ვარ, რომ გამიხსენეთ. ეს იყო ჩემთვის არა მარტო ახალგაზრდობის წლები, არამედ წლები, რომელიც გავატარე უმშვენიერეს ქალაქში, უბრწყინვალეს ადამიანებს შორის. ბათუმი ჩემი სიყვარულია. სწორედ ამ სათაურით ოცი წლის წინათ დავწერე ლექსი, რომელიც გამოქვეყნდა და ჩემი ლექსების კრებულშიც შევიდა. დიდი მადლობელი ვიქნები, თუ ამ ლექსს თქვენს გაზეთში დაბეჭდავთ, რადგან ამ ოცმა წელმა კი არ გაანელა ბათუმისა და ბათუმელების მიმართ ჩემი სიყვარული, არამედ კიდევ უფრო გაამძაფრა და გაზარდა.

ბათუმი არა მარტო ჩემი სიყვარული, ჩემი მონატრების ქალაქიცაა.

ესაუბრა
შაქრო რომანაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ!

– ბატონო ნოდარ, თქვენი აზრით, რით გამოირჩევა შემოქმედი პიროვნება?

– თუ მაინცდამაინც გამორჩევაზე ვილაპარაკებთ, უნდა გამოირჩეოდეს წესიერებით, პატიოსნებით, სამშობლოს ერთგულებით.

– თქვენ მკითხველ საზოგადოებაში სიყვარულით და პოპულარობით სარგებლობთ. გთხოვთ გვითხრათ, როგორ დაიწყო თქვენი ლიტერატურული დებიუტი.

– ჩემს პოპულარობაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ თუ ვინმეს ჩემი ლექსები მოსწონს, ეს ჩემთვის ბედნიერებაა და მინდა ყველას მადლობა ვუთხრა. ლექსების წერისკენ მიბიძგა ჩემმა უფროსმა ძმამ ალიკომ, რომელიც ბავშვობაში თვითონაც წერდა ლექსებს და ახლაც წერს. საოცრად კეთილშობილი და წესიერი კაცია. როცა ჩემიანები დიდად არ იყვნენ მოსურნენი, რომ ლექსები მეწერა, ის ყოველთვის მმფარველობდა და მაქეზებდა.

– ძირითადად როდის წერთ და რა პირობებში?

– განსაზღვრული დრო და პირობები არ მაქვს. ვწერ, როცა მეწერება. მაგალითად, „ყვავილების მიწა“ მაშინ დავწერე, როცა არც ბინა მქონდა, არც სამსახური, არც ფული და არც საჭმელ-სასმელი. ბოლო ათი წლის უბედურებაცა და ტკივილიც ლექსების წერამ გადამატანინა. საერთოდ, ალბათ პოეტს ლექსებს აწერინებს ან დიდი ტკივილი, ან დიდი სიხარული. არ არის აუცილებელი ეს ტკივილი და სიხარული მაინცდამაინც პიროვნული იყოს, შეიძლება ეს იყოს საზოგადოებრივი ან ეროვნული.

– ამბობენ, რომ ხშირ შემთხვევაში მწერლის გმირები საზოგადოებიდან მოდიან. რას ვერ აპატიებდით მათ?

– საზოგადოება, უდავოდ, ახდენს გავლენას მწერალზე ისე, როგორც მწერალმაც უნდა მოახდინოს თავისი ნაწერებით ზეგავლენა საზოგადოებაზე. ეს რომ არ იყოს, წერას ალბათ აზრი არ ექნებოდა. რაც შეეხება უარყოფით თვისებებს, რაც ადამიანში არ მომწონს, ეს არის მატყუარობა, ორპირობა, უმადურობა.

– თქვენ, როგორც მწერალი, რას გვეტყოდით მწერლობის როლზე მოცემულ ისტორიულ ვითარებაში?

– ამ კითხვას ლექსებით ვუპასუხებ:

რა დროს ქებაა ია-ვარდების,
ანდა ოცნებით ზეცის აკლება,
როცა სიმართლეს ბორკილს ადებენ,
როცა სამშობლოს ჯვარზე აკრავენ,
როცა უმწეო პატიოსნებას
გადაუარეს ყაჩაღ-ქურდებმა,
რაღას მოგვიტანს მარტო ოცნება,
ლექსის ლამაზად მოჩუქურთმება.
როცა ალგეთს და დიდგორს ვიგონებთ,
მარტო ოცნება ვეღარ გვიშველის,
პოეტის გული,
სიტყვაც,
სტრიქონიც,
უნდა ხმალივით იყოს შიშველი.

* * *

როცა სამშობლო გმინავს და ოხრავს,
როცა ქვეყანა დგას ბეწვის ხიდზე,
დუმილი სულაც არ არის ოქრო,
დუმილი სულაც არ ნიშნავს სიბრძნეს.
როცა გვჭირდება ჭკუა და ძალა,
დროა ბრძოლის და სიმართლის თქმისა,
დუმილით ზოგი სიბრიყვეს მალავს,
ზოგის დუმილიც სილაჩრეს ნიშნავს.

– ბატონო ნოდარ, ბოლო წლებში მწერლის მჭახე შეძახილი მოენატრა საზოგადოებას. თითქოს მწერლობა გაემიჯნა ხალხს. რას იტყოდით ამის შესახებ?

– არა მგონია, ეს ასე იყოს. განა მუხრან მაჭავარიანის, ელიზბარ ჯაველიძის, ოთარ ჩხეიძის, ნოდარ წულეისკირის, დილარ ივარდავას, მიხეილ ჩაჩუას, გიგი ხორნაულის, ომარ გოჩელაშვილის, ჯემალ შონიას, ჩვენი მშვენიერი მწერალი ქალბატონების: თინათინ მღვდლიაშვილის, ბელა შალვაშვილის, ირინე ტალიაშვილის, მზისა ნავროზაშვილის, ჩვენი დაუბერებელი ანტონ არნანიას,

ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტის ლაშა გვასალიას და კიდევ სხვათა ლექსები, მოთხრობები, პუბლიცისტური წერილები მჭახე შეძახილი არ არის? თუ თქვენ ე. წ. „ელიტარულ მწერლებს“ გულისხმობთ, ეს სხვა საქმეა და თავიანთი საქმე თვითონ იციან.

– რას იტყოდით დღევანდელ ახალგაზრდობაზე? სჯერათ თუ არა მათ მწერლის სიტყვა?

– გააჩნია, ახალგაზრდობის რომელ ნაწილს გულისხმობთ. ხვალინდელ დღეზე მოფიქრალ ახალგაზრდებს ჭეშმარიტი მწერლის სიტყვების ნამდვილად სჯერათ.

– რა შეხედულების ბრძანდებით დღევანდელ პარლამენტზე? ხომ არ არის საჭირო, რომ უფრო მეტი მწერალი მოვიდეს პარლამენტში?

– დღევანდელ პარლამენტზე მაინცდამაინც დადებითი აზრის არა ვარ (რასაკვირველია, ყველა პარლამენტარს არ ვგულისხმობ). რაც შეეხება მწერლების პარლამენტში მისვლას, კაცია და გუნება. ვისაც უნდოდა მოსვლა, მოვიდა კიდეც. საერთოდ, ადამიანი იქ უნდა იყოს, სადაც მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია ქვეყნისა და საზოგადოებისათვის.

– გასულ წელს შეიქმნა ეროვნული თანხმობის და სამართლიანობის აღდგენის კავშირი, რომლის თავკაცია ბატონი გურამ აბსანძე. ამ ორგანიზაციას საზოგადოებაში დიდი მხარდაჭერა აქვს. რა აზრის ბრძანდებით ამ პოლიტიკურ ორგანიზაციაზე და მის თავკაცზე?

–ძალიან კარგი აზრის, განსაკუთრებით მის თავკაცზე. ბატონი გურამის ბიოგრაფია ბარე ხუთ კაცს ეყოფა. ის, უდავოდ, ჭკვიანი, სამშობლოზე შეყვარებული და, რაც მთავარია, უვაჟკაცესი ქართველია. რაც შეეხება ორგანიზაციას, იქ, უდავოდ, არიან პატიოსანი და საქმიანი ადამიანები, მაგრამ... ვნახოთ, სულ მალე გამოჩნდება, ვინ ვინ არის და ვინ რისი გამკეთებელია.

– რას გვეტყოდით ქალის როლზე დღევანდელ საზოგადოებაში?

– არათუ დღევანდელ საზოგადოებაში, ქალს ყველა საზოგადოებაში დიდი როლი აკისრია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქალი – დედა აყალიბებს საზოგადოების წევრებს, ეს იქნება პრეზიდენტი, მეცნიერი, მწერალი, მუშა თუ გლეხი. განსაკუთრებით საქართველოში ქალის როლი ძალიან დიდი იყო. ჩვენი წმინდანების უმრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავლესობაც ხომ ქალია.

– ამ ბოლო დროს რაზე მუშაობთ?

–ვმუშაობ ჩვეულებრივად. როცა მეწერება, ვწერ. ჩემი ლექსების თემა ისევ ჩემი დაბეჩავებული სამშობლო და ხალხია. აბა სხვა რაზე უნდა ვწერო?

– ქვეყანა დღეს დიდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს განიცდის. საზოგადოებამ დაკარგა რწმენა ხელისუფლებისა. თქვენ, როგორც მწერალი, სად და რაში ხედავთ გამოსავალს? როგორ უყურებთ მომავალს?

– პირადად მე არაფერი დამიკარგავს, რადგან ძალად მოსული ხელისუფლების არც არასოდეს მჯეროდა და მწამდა. ეს პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი სწორედ მათი მეოხებით დაატყდა თავს ქვეყანას და ხალხს. რაც შეეხება ხალხს, ხალხმა რაც შეიძლება დროზე უნდა მოიცილოს ქვეყნის დამანგრეველი და მოღალატე ხელისუფლება. თუ ეს არჩევნებამდე მოხდება, ხომ კარგი, თუ არა, არჩევნებში მაინც უნდა გააკეთოს სწორი არჩევანი. ეროვნულმა ძალებმა და მათმა თავკაცებმა დროზე უნდა მოთოკონ ამბიციები, უნდა გაერთიანდნენ ეროვნულ პლატფორმაზე და არა იმაზე, თუ ვინ რამდენ პარლამენტარს გაიყვანს, ვინ რა თანამდებობას მიიღებს.

რაც შეეხება მომავლის იმედს, შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ. დღევანდელმა უკანონო ხელისუფლებამ და მისმა მეთაურმა შევარდნაძემ ყველაფერი ამოწურეს და დახარჯეს, რაც დასახარჯი ჰქონდათ, – რეპრესია, დაპირება, ტყუილი, ცილისწამება. მოკლედ, მათი რესურსები ამოიწურა. თუ ხალხმა სიმართლეს მაინც არ გაუსწორა თვალი და სწორი არჩევანი არ გააკეთა, მართალი იქნება გამოთქმა: „ყველა ხალხი იმ მთავრობას იმსახურებს, რაც ჰყავს“.

საქართველო და ქართველი ხალხი კი უკეთესი ცხოვრებისა და ხელისუფლების ღირსია და მჯერა, ის ამჯერად მაინც სწორ არჩევანს გააკეთებს. საქართველო ნამდვილად იქნება თავისუფალი, დემოკრატიული და ბედნიერი და ეს იქნება ჩემი ბედნიერებაც.

მოამზადა *რუსუდან პატარაიამ*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

წერილები

ბრძოლა მქუხარე, ხანგრძლივი ტაშისათვის. 5
ეშმაკები უპატრონო ეკლესიაში ანუ ეროვნული იდეის
ფალსიფიკატორები. 41
სინჯარის პოლიტიკოსები. 69
უქართველებო საქართველო. 86
ვის სჭირდებოდა აფხაზეთის ომი. 90
დიდი პოლიტიკოსობა სამშობლოს მტრების მოტყუება,
დაჩოქება, დამარცხებაა და არა – საკუთარი ხალხის. 94
დავით აღმაშენებლის სტალინთან შედარება მკრეხელობაა. 102
სადღეისო ფიქრები. 114
ნუ ვაქეზებთ კაენის სულს. 119
გვმართებს მეტი სიფრთხილე. 125
ნუ დაყოფთ საქართველოს კუთხეებად. 132
ჭირსა შიგან გამაგრება... 142
ერთიანი საქართველოსათვის. 144
აკი ამბობდი, ხელმწიფის ნავში ნუ ჩაჯდებიო!. 146
ყველამ თავის... მეფეს მიხედოს. 151
შეიქმს კი შიში სიყვარულს?. 157
კითხვა, რომელიც პასუხს მოელის. 164
რატომ დამესხნენ თავს? რატომ დამაპატიმრეს?. 170
რატომ ვუჭერ მხარს საქართველოს პრეზიდენტს. 176
მივილო თუ არ მივილო არჩევნებში მონაწილეობა?. 200

ინტერვიუები

მე ყველა დახვრეტილი მიტინგების მონაწილე ვარ. 221
ინტერვიუ გაზეთ „სამრეკლოს“ კორესპონდენტთან 259
ზვიადი და მერაბი ერთი მედლის ორი მხარეა. 261
ინტერვიუ გაზეთ „აჭარის“ კორესპონდენტთან. 264
მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ!. 267

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტექნიკური რედაქტორი ლუარა გამყრელიძე

კომპიუტერული დამუშავება: მაია გორგიაშვილი
მაია ფარულავა

აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „ზანში“

ტაშკენტის ქ. №25, ბ.1
☎ 38-03-11

ეროვნული
ბიბლიოთეკა